

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ქველი ჩხატარაიშვილი

**ნარკვევები სამხედრო საქმის
ისტორიიდან ფეოდალურ
საქართველოში**

(„ლაშქარ-ნადირობა“ და მისი სოციალური არსი)



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1979

მონოგრაფიაში განხილულია ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა — სამხედრო საქმის ორგანიზაციის სოციალური არსი და მისი მნიშვნელობა ფეოდალური საზოგადოების წარმოქმნა-განვითარებაში. გამოკვლევაში შესწავლილია ვასალური ვალდებულება „ლამქარ-ნადირობა“, მოლამქარე-მონადირეთა სოციალური ვინაობა, მათი ადგილი და როლი საზოგადოებრივ წყობილებაში. გამოკვლევების დასკვნებს გარკვეული მნიშვნელობა აქვთ საქართველოში ფეოდალური ფორმაციის პერიოდიზაციის დაზუსტებისათვის.

წინასიტყვა

ქართული ფეოდალური საზოგადოების ცხოვრებაში სამხედრო საქმეს დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეკია. მწარმოებელი მასის — გლეხობის ბატონყმურ ჩავერაზე დაყარებული ვაბატონებული კლასის მრავალსაფეხურიანი იერარქია ერთიმეორეზე გარკვეული სახის ურთიერთობით დამოკიდებული სხვადასხვა რანგის სამხედრო პირთაგან შედგებოდა. საფუძველი ურთიერთობის იმ თავისებური ფორმისა, რამაც სახელი მისცა მთელ ამ ფორმაციას — ფეოდალიზმს, იყო სამხედრო სამსახურის პირობით სამემპვიდროდ გაცემული მიწა — ფეოდი, ლენი, მამული.

ფეოდალურ საზოგადოებაში სამხედრო საქმესთან დამოკიდებულება განსაზღვრავდა ამ საზოგადოების წევრის სოციალურ სტატუსს — არამოლაშქრე, არასამხედროვალდებული — არათავისუფალი, მშრომელი და გადამხდელი იყო, მას ეკისრებოდა საზოგადოების დანარჩენი ფენების რჩენა, მატერიალური უზრუნველყოფა. სამხედრო ვალდებულება პრივილეგიებულობის საფუძველი და ნიშანი იყო.

სამხედრო საქმის ისტორია იმითაცაა საინტერესო, რომ მისი მატერიალური მხარის (იარაღის) განვითარების დონე, ფრ. ენგელსის სიტყვით, სახალხო მეურნეობის განვითარებებს დონის მაჩვენებელია. ზოგი რამ, მაგ., საფორტიფიკაციო ნაგებობების ტიპი, პირდაპირ მიგვითითებს მისი გამოყენებელი საზოგადოების სოციალური განვითარებისა და იმდროინდელი სამხედრო ტექნიკის დონეზე. სამხედრო საქმის ზოგიერთ მკვლევარს (მაგ., მ. სვეჩინი) მიაჩნია, რომ სამხედრო ხელოვნებაში, კერძოდ სტრატეგიული განკვერტისა და ტაქტიკური ხერხების გამოყენების უნარში, თავს იჩენს კულტურის დონე იმ ხალხისა, რომელმაც ესა თუ ის მხედართმთავარი წარმოშვა, და ამდენად სამხედრო ხელოვნების ისტორია კულტურის ისტორიის ნაწილად უნდა ჩაითვალოს. წინამდებარე ნაშრომის ავტორს ცნება „კულტურის“ შინაარსი ისე ესმის, რომ ამგვარ თვალსაზრისს ვერ დაეთანხმება.

სამხედრო საქმეს ისტორია საკითხთა დიდ რიგს მოიცავს. თითოეულ ამ საკითხთანს საკუთარი ისტორია აქვს, მაგ., ცალკე შეისწავლება სამხედრო ცოდნის, სამხედრო აღჭურვილობის (ტექნიკის), ჯარის სახეობების (კავალერია, ქვეითი, სასანგრო ნაწილები...), არმიის ორგანიზაციის, სამხედრო წვრთნის, სამხედრო ხელოვნების, დისციპლინის, კავშირისა და სიგნალიზაციის და რიგი სხვა დარგების ისტორია.

ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში სამხედრო საქმის განვითარების ისტორია მკვლევართა ყურადღების ჭარბზე არ დარჩენილა. ვ. ბაგრატიონის; ი. ბაგრატიონის, ს. ბარათაშვილის, თ. დადუმჭელიანის, ვ. მიქელაძის, ი. გედევანიშვილის, ლ. გარსიაშვილის, ვ. მახათაძის, ივ. შაიშველასვილის, ა. კლიმაშვილის, კ. ჩოლოყაშვილის, პ. ზაქარაიას, კ. მელითაურის, ვ. დონდუასა და რ. მეტრეველის სპეციალურ ნაშრომებში, აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილისა და ს. კაკაბაძის გამოცდევებში შესწავლილია ფეოდალური საქართველოს სამხედრო ორგანიზაციის, ფეოდალური არმიის, მისი შეიარაღებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი. ბევრი რამ შეუსწავლელი რჩება.

წინამდებარე ნაშრომი, შეიძლება ითქვას, შესაბამისა იმ დიდი თემისა, რომელსაც „ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის ისტორია“ ეწოდება. მისი მიზანია შუა საუკუნეების ქართულ საზოგადოებაში ფეოდალური ლაშქრის სოციალური შემადგენლობის, ამ ლაშქრის არაფეოდალური ნაწილის ისტორიის შესწავლა და საზოგადოებრივ ურთიერთობებში მისი ადგილისა და როლის აღდგენა.

ნაშრომი გამოდის იმ აპრიორული დებულებებიდან, რომ: 1) შუა საუკუნეების საქართველოში არსებობდა ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობანი (ცხადია, ვარკვეული ადგილობრივი თავისებურებებით), როგორც იყო იმდროინდელ დას. ევროპაში. ეს დებულება, რომელიც ჯერ კიდევ XIX ს. პირველ ნახევარში გამოითქვა, საფუძვლიან მხარდაჭერას პოულობს მომდევნო ხანის ყველა მკვლევრისა, ვინც კი საქართველოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისტორიას სწავლობდა და სწავლობს. აქვე შევნიშნავთ, რომ საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა არსებობის ბოლო ზღვარი ევროპულისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია.

2) ფეოდალური ეპოქის ქართული სამხედრო საქმის ტერმინოლოგიაში აღმოსავლური ელემენტების სიუხვე გეოგრაფიული

და საგარეო-პოლიტიკური ფაქტორის, უცხო ქალის მძლავრი ზეგავლენის შედეგია და არა ქართული და აღმოსავლური სამხედრო სისტემების ნათესაობისა (განსაკუთრებით ირანში ისლამის გავრცელების შემდეგ). წინამდებარე ნაშრომის ავტორი იცნობს შუა საუკუნეების საქართველოს მეზობელი აღმოსავლეთის ქვეყნების სამხედრო საქმის ორგანიზაციის ისტორიას და დარწმუნებულია იმაში, რომ სამხედრო საქმის ორგანიზაციის არაი (სოციალური ბუნება) საქართველოსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში ძირეულად განსხვავებული იყო. აქედან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ საკითხის შედარებითი განხილვისას ნაშრომი დასავლეთისკენა მიმართული.

ნაშრომი შეიძლება უფრო სრულყოფილი ყოფილიყო: ბევრი რამ მასში მოკლეა, მონახაზის სახითაა წარმოდგენილი. ზოგ საკითხზე, მაგ., მსახურთა წოდებასა და ნადირობაზე თხრობა არასრულია, მაგრამ მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ამ ნაშრომის საგანი არც მსახურთა წოდებისა და არც ნადირობის ისტორიაა, — ამ საკითხებზე აქ მხოლოდ ისაა წარმოდგენილი, რაც ლაშქარ-ნადირობის სოციალური არსის დადგენისათვის იყო აუცილებელი.

მოუხედავად ამისა, ავტორი ფიქრობს, რომ ნაშრომს ამ სახითაც გარკვეული მნიშვნელობა ექნება როგორც შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო საქმის ისტორიის, ისე საქართველოში საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების შესწავლისათვისაც.

პირველი თავი

ქართული ფიოდალური ლაშქრის სოციალური შეგადგენლობა

სამხედრო საქმი და ფიოდალიზმი

ა) ევროპა

სამხედრო საქმის ორგანიზაცია უშუალოდ ასახავს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს. ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას სათანადო სამხედრო ორგანიზაცია შეესაბამება.

ცაცობრიობის განვითარების უმდაბლესი საფეხურიდანვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამხედრო საქმე მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა გვაროვნულ-თემური წყობილების დროს. „ომი არის ის დიდი საერთო ამოცანა, ის დიდი საზოგადო სამუშაო, რომელიც ან იმისათვისაა საჭირო, რომ დაიპყრონ არსებობის ობიექტური პირობები, ან იმისათვის, რომ შეინარჩუნონ ეს დაპყრობა და უკვდავყონ იგი. ამიტომაც არის, რომ ოჯახებისაგან შექმნილი თემი პირველ ხანებში სამხედრო ყაიდაზეა მოწყობილი და ეს ორგანიზაცია წარმოადგენს თემის — როგორც მესაქუთრის — არსებობის ერთ-ერთ პირობას“ [3. 12—13].

საზოგადოების სოციალური განვითარების დონის მჩვენებელი სამხედრო ორგანიზაციაში ლაშქრის სოციალური შემადგენლობაა.

გვაროვნულ-თემური წყობილების დროს, ამ ფორმაციის უმაღლეს საფეხურზეც კი, ე. წ. „სამხედრო დემოკრატიის“ ეპოქაში, მაშინ როცა გაიზარდა ქონებრივი უთანასწორობა და ჩაისახა სოციალური უთანასწორობა, არსებობდა სახალხო ლაშქარი: ყოველი სრულსაკოვანი მამაკაცი ვალდებული იყო ელაშქრა, „ხალხი“ და „ჯარი“ ამ ეპოქაში თანაბარმნიშვნელოვანი ცნებები იყო.

მომდევნო საზოგადოებრივი ფორმაციების (მონათმფლობელობის ან ფეოდალიზმის) წარმოშობა უშუალოდ იყო დაკავშირებული სამხედრო საქმის ორგანიზაციასთან. კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის სიტყვით დას. ევროპაში ფეოდალური საკუთრება წარმოიშვა „გერმანელთა სამხედრო წყობის გაცდენით“ [11. 22], ევროპაში ფეოდალიზმის წარმოშობას საფუძვლად ბარბაროსთა სამხედრო საქმის ორგანიზაცია დაედო [11. 74], ხოლო თვით ფეოდალური სისტემა წარმოშობით სამხედრო ორგანიზაცია იყო [15. 164]. სამხედრო საქმემ, სალშქრო ვალდებულებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა საზოგადოების ფეოდალიზაციაში. ვასალიტეტის ჩამოყალიბებასა და გლეხთა დაყმევებაში. კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ სამხედრო სამსახური, რამაც დააჩქარა რომაელი პლებეის ცალატაკება, კარლოს დიდისთვის ძირითადი საშუალება იყო თავისუფალ გერმანელ გლეხთა ფეოდალურად დამოკიდებულ და ყმა გლეხებად (Leibeigene) გარდაქცევის საქმეში [2. I. 913]. მისივე სიტყვით, კარლოს დიდს დროს ოჰმა ფრანკი გლეხებიც გაალატაკა და მათ სხვა არაფერი დაჩინონდათ გარდა იმისა, რომ მოვალეებიდან ყმებად ქცეულიყვნენ [2. III (2). 175].

ფეოდალურმა წყობილებამ სამხედრო ორგანიზაციის ახალი ფორმა წარმოქმნა. ფეოდალიზმის განვითარების საწყის ეტაპზე (აღრეული ფეოდალიზმი), როცა თავისუფალ მეთემეთა ყმადქცევის პროცესი მიმდინარეობდა, საზოგადოება თანდათან იყოფოდა ორ ძირითად კლასად — ფეოდალებად და გლეხებად და ვასალიტეტის სისტემა ყალიბდებოდა, ლაშქარს შეადგენდნენ მეფის რაზმელები (მეფის მსახურები: მეფის ყმები, ყოფილი მონები, წარჩინებულთა ნაწილი) და თავისუფალი მოლაშქრეები — მეთემეთა მასა.

აღრეული ფეოდალიზმის ეპოქის დასასრულისათვის, თავისუფალი გლეხობის დაყმევების კვალდაკვალ, ფეოდალებმა „სამხედრო საქმეში მონობოლია“ მოიპოვეს [17. 413], ყმაგლეხობა ლაშქარს ჩამოაშორეს [192.163] და ახლა ფეოდალურ ლაშქარს „ხალხისგან ნახევრად მოწყვეტილი კასტა“ შეადგენდა [8. 42]. ამის შემდეგ, ენგელსის თქმით, არშიამ მასობრივი ხასიათი ხელახლა მხოლოდ ფეოდალური წყობილების დაცემის შემდეგ, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მიიღო [16.507—8], ამასვე აღნიშნავდა ვ. ლენინიც [8.42]. სამხედრო საქმიანობა ფეოდალიზმის დროს გაბატონებული კლასის საქმიანობად, მის პრივილეგიად

იქცა. ფრ. ენგელსის სიტყვით, ევროპაში ფეოდალურ ურთიერთობათა წარმოშობის დროიდან „მეფის მიერ უშუალოდ გაწვეული თავისუფალი გლეხების ლაშქრის ადგილი დაიკავა ჯარმა, რომელიც შედგებოდა ახლანაირად მოწოდებულ დიდგვაროვანთა სამსახურში მყოფი პირებისაგან, მათ რიცხვში აგრეთვე ყმა გლეხებისაგან (Leibeigene), იმათი შთამომავლებისაგან, ვინც ადრე მეფის ვარდა სხვა ბატონს არ იცნობდა, ხოლო კიდევ უფრო ადრე კი საერთოდ არავითარ ბატონს, მეფესაც კი, არ იცნობდა“ [7. 210]. ძველი სახალხო ლაშქრის ადგილი თანდათან დაიკავა ვასალებმა ლაშქარმა; პროფესიონალი მეომარი ლაშქრობის ვალდებული ფეოდალიზმის დროს მხოლოდ ვასალი იყო [184.58]. სახალხო ლაშქარი, გლეხთა „კუთხედ შეიარაღებული ბრბო“, რომელიც მხოლოდ უკიდურესი ვასალიზმის დროს გაჰყავდათ, ისიც მხოლოდ დამხმარე პერსონალად (აღალი, სასანგრო ნაწილები...) [272.576].

ლაშქრის შემადგენლობის ამ ცვლილებაში თვალსაჩინოდ აისახა ჩამოყალიბებულ ანტიგონისტურ კლასთა უკიდურესი დაპირისპირება. ფეოდალური წყობილება იყო ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის სტრუქტურული საფუძველი. ფეოდალურ საზოგადოებაში არმიის ორგანიზაცია «ფოტოგრაფიული სიზუსტით ასახავდა ფეოდალურ ურთიერთობებს» [211. LV]. ა. მარტენის სიტყვით (მოგვაქვს ფრ. ენგელსის ამონაწერი) ფეოდალიზმის დროს «Социальный порядок есть не что иное, как иерархия земель, которыми владеют войны, зависящие друг от друга в различной степени и образующие одну цепь, которая тянется от поместья простого дворянина к замку короля» [10. 279].

ფეოდალური სამხედრო ორგანიზაცია უზრუნველყოფდა არა მარტო სახელმწიფოს საგარეო თავდაცვას, არამედ ფეოდალთა კლასობრივ ბატონობასაც. ვ. ლენინის სიტყვით, ყოველგვარ კლასობრივ საზოგადოებაში შეიარაღებულია მხოლოდ „მჩავერელი კლასი“ [9.96]. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი აღნიშნავენ, რომ „მარქსის საკუთარების იერარქიული სტრუქტურა და მასთან დაკავშირებული სისტემა შეიარაღებული რაზმებისა აძლევდა ფეოდალებს ყმა-გლეხებზე ძალაუფლებას“ [11. 14]. ლაშქრის სოციალური შემადგენლობა ჯერჯერ ამ ძალის საშინაო ფუნქციით იყო განპირობებული, საგარეო ფუნქციისათვის მას მნიშვნელობა არ ჰქონდა. გარდა ამისა, ლაშქრის სოციალური შემადგენლობა საზო-

გადოების ეკონომიკური პოლარიზაციითაც იყო განპირობებული: ფეოდალური საზოგადოების ყველაზე მრავალრაცხოვანი ნაწილი — ფლეხობა მოკლებული იყო მოლაშქრეობის ეკონომიკურ შესაძლებლობას, ხელი არ მიუწვდებოდა ძვირადღირებულ სამხედრო აღჭურვილობასე და არც ლაშქრად ყოფნისას თავის რჩენა შეეძლო [184.59].

ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთად ფეოდალთა სალაშქრო პრივილეგია იტრიდიულადაც გაფორმდა. ფეოდალები გლეხებს იმდენად უფრთხოდნენ, რომ მათ იარაღის ტარება აუკრძალეს. 1152 წ. გერმანიის იმპერატორმა ფრიდრიხ I-მა გამოაცხადა, რომ თუ რომელიმე გლეხი საომარი იარაღის — ნახეილის ან შუბის ტარებას გაბედავდა, მას იარაღი უნდა ჩამოართვიოდა და დიდი ჯარიმა უნდა გადაეხადა. მეკობრეობის გავრცელების გამო ვაჭრებს ნება ეძლეოდათ ნგზავრობისას თან ქქონოდათ იარაღი, მაგრამ მახვილი რაინდული წესით წელზე კი არ უნდა ეტარებინათ, არამედ უნაგირზე უნდა დაეკიდათ ან ურწმით წაეღოთ. ფეოდალები სასტიკად სჯიდნენ იმ გლეხებს, რომლებიც იარაღის ტარებას ბედავდნენ: 1078 წ. გერმანიის იმპერატორის ლაშქარში მებრძოლი დატყვევებული გლეხები რაინდებმა იარაღის ხელში აღებისთვის დაასაჭურისეს [184.59].

ამრიგად, ფეოდალურ ევროპაში მშრომელი მოსახლეობის მასა ლაშქრიდან გამოთიშული იყო და მოკლებული იყო იარაღის ტარების უფლებას. ამის შედეგად ყმა გლეხი «საუკუნეების განმავლობაში, თაობიდან თაობამდე... შეეჩვიოდა მორჩილებას და გადაეჩვიოდა იარაღის ხმარებას» [6. 36]. ფეოდალიზმის განვითარების კვალდაკვალ გლეხთა მასა რომ სამხედრო საქმეს გადაეჩვიოდა («уtratила привычку к военному делу»). ამას ფეოდალიზმის მკვლევრებიც აღნიშნავენ [223.265]. სწორედ ეს გარემოება იყო გლეხთა ანტიფეოდალური ბრძოლის წარუმატებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი.

ზოგჯერ, სამხედრო ძალის შემცირების ან შინაპოლიტიკური სიტუაციის გამო, ცენტრალური ხელისუფლება იძულებული იყო რომ გლეხობისთვის იარაღის ხმარება ესწავლებინა და მსახურეულ პირთა რიგები შეეესო (სამხედრო წოდება მუდამ ლებულობდა შევსებას დაბალი ფენებიდან. მათი წარმომადგენლების სოციალური სტატუსის ამალღების გზით) [184. 60], მაგრამ ეს განზრახვა ფეოდალთა მძაფრ წინააღმდეგობას აწყდებოდა [184. 296]. სამხედრო საქმი-

საგან გლეხობის ჩამოშორება ნაწილობრივ, იმანაც გამოიწვია, რომ მხედრობის პრივილეგია [«Исключительное право на (воевого) коня»] ფეოდალებმა მიითვისეს [209. 172]. ყმა გლეხს თავისი სამეურნეო საქმიანობის სიმძიმის გამოც არ შეეძლო მოლაშქრე, პროფესიონალი მეომარი ყოფილიყო [184. 61]. ამიტომ იყო, რომ შუა საუკუნეთა ევროპაში ომის მცოდნენი მხოლოდ ფეოდალები და მათი მსახურები იყვნენ [209. 231].

ბიზანტიის იმპერიაში ლაშქრობა მხოლოდ დიდებულებსა და მეგვიდრეობით სამხედრო წოდებას — სტრატოტებს ევალებოდათ. სტრატოტს სახელმწიფოსაგან ეკონომიკური საფუძველი — გარკვეული რაოდენობის შემოსავლის მომცემი მიწა ეძლეოდა [233. 310, 208. 87]. X საუკუნიდან ბიზანტიის არმიაში რიგით მოლაშქრეებად მხოლოდ წვრილი მემამულენი (Вотчинник) შეიძლებოდა ყოფილიყვნენ. სტრატოტები, რომლებიც ადრე გლეხთა მასას ეკუთვნოდნენ, ახლა მას მკვეთრად გამოეყვნენ [199. 86], ბიზანტიის ჯარი გლეხთა ლაშქრიდან პროფესიონალურ არმიად იქცა [184. 61]. მხედრობა (ცხენით ლაშქრობა) ბიზანტიაში კეთილშობილთა პრივილეგია იყო [189. 86].

ასეთივე მდგომარეობა იყო რუსულ სამთავროებშიც. მთავრის „დრუჟინის“ წევრობა მიწათმფლობელთა პრეროგატივა იყო, გლეხი (სმერდი) არ ლაშქრობდა [190.16]. მატანეებში საგანგებოდ აღინიშნა, რომ როცა ქვეყანას საფრთხე შეექმნა და სხვა გამოსავალი არ რჩებოდა, ვლადიმირ მონომანხმა ყივჩაყებთან საომრად ლაშქარში სმერდებიც გაიწვია [190.15]. გლეხები არ იყვნენ ნოვგოროდის ლაშქარშიც, ისინი ჯარში გაჰყავდათ მხოლოდ უკიდურესი გასაჭირის დროს და ისიც მხოლოდ განაპირა მხარეებიდან [226.54].

როგორც ვხედავთ, საზოგადოების მწარმოებელი ფენების ლაშქრიდან გამოთიშვა ფეოდალიზმის დაპყრობითი მოვლენაა, ამ ფორმაციის განმასხვავებელი ნიშანია (მიუხედავად იმისა, განვითარების რომელ საფეხურზეა ფეოდალური ურთიერთობანი). ფეოდალურ საზოგადოებაში პროფესიონალი მეომარი, სამხედროვალდებული, მოლაშქრე — არამწარმოებელია, პრივილეგირებული პირია, ვასალია; მოლაშქრეობა პრივილეგიაა. გლეხობის მასის ლაშქრიდან გამოთიშვა განპირობებულია როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური მიზეზებით. ყოველივე ეს არ გამოირიცხავს გლეხთა მონაწილეობას სამხედრო საქმიანობაში, ოღონდ

ეს მონაწილეობა, როგორც დამხმარე ძალისა, შეზღუდულია: გლეხი ლაშქარად გაჰყავთ მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში, ქვეყნის შიგნით თავდაცვით ოპერაციებში გამოსაყენებლად.

ბ) საქართველო

ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეოდალური ეპოქის საქართველოს ლაშქრის სოციალური შემადგენლობის საკითხი სპეციალურად არავის უკვლევია, მაგრამ ქართველ ისტორიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა ნაშრომებში გამოთქმულია შეხედულებანი ამ საკითხზე. 1865 წ. ნ. ნიკოლაძე წერდა: „თავდაზნაურების არსებობა სრულიად გასაგები იყო ძველ საქართველოში... ეს წოდება უკეთ რომ ვთქვათ, ადამიანთა ეს კატეგორია მოვალე იყო დაეცვა ხალხი გარეშე მტრებისაგან... ამიტომ ხალხი ხალხით არჩენდა თავდაზნაურებს, როგორც მის დამცველ ჯარს... თავდაზნაურებს ხალხი სარჩოს აძლევდა, რადგან მათ სარგებლობა მოჰქონდათ ხალხისათვის“ [96. 164] მსგავსი აზრი აქვს გამოთქმული თ. ყორდანიასაც. მისი სიტყვით ფეოდალურ საქართველოში „მოლაშქრედ გამოარჩეული იყო მთელი წოდება (თავადნი და აზნაურნი), რომელნიც მუდამ მზად იყვნენ საომრად... თავადნი იყვნენ უფროსნი (ახლანდელის ანგარიშით — გენერლები), ხოლო აზნაურნი — აფიცრების მაგიერნი. უბრალო ოქში გამოდიოდნენ მარტო თავდაზნაურნი და მხოლოდ გაჭირვების დროს გამოჰყავდნენ გლეხობაც. ომის დროს ესენი გამოდიოდნენ თავისი სურსათით და ამიტომ ხალხს ხარჯი არ აწვებოდა. სამაგეროდ თავადებსა და აზნაურებს მეფესაგან „საკმელად“ მიცემული ჰქონდათ სახასო მიწები გლეხებითურთ..... ეს მიწა-წყალი მათ არჩენდა, რადგან გაჩენილ მიწაზე დასახლებულნი გლეხნი გაჩენილ ღალას, რომელსაც უწინ მეფეს აძლევდნენ, ეხლა, რაკი სათავადო ან სააზნაურო ცლევებად გახდნენ, ამათ აძლევდნენ გარეშე საბატონო სამსახურისა. ამ ნაირად ჯარის შენახვა გლეხს გადასახადს არ უჰატებდა, იაფად უჯდებოდა სამეფოს და თვით ომიანობაც დიდს ხარჯს არ მოითხოვდა, რადგან თუ არ დიდს ომიანობაში, ხალხისა არა იხარჯებოდა რა... ახლანდელ ევროპიელთა გლეხობას რომ ხარჯი ადევთ ომიანობისათვის, იმისი მესამედიც არ მოუვიდოდა ჩვენს გლეხობას“ [102. XVII—XVIII].

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძისა და თ. ყორდანის შეხედუ-

ლებანი ქართული ფეოდალური ლაშქრის სოციალური შემადგენლობის შესახებ სხვაებით შეესაბამება ფეოდალური ლაშქრის ბუნებას, მაგრამ მათ მიერ მოცემული შეფასება, ახსნა ამ მოვლენისა აშკარად არაისტორიული და რეაქციულია, რაც სხვათაგან და მახასიათებელია XIX საუკუნის ქართული თავდაზნაურული „ისტორიოგრაფიული რომანტიზმისათვის“ [32.140]. საყურადღებოა, რომ ამ თვალსაზრისზე იღვა იმ ხანებში რევოლუციურ დემოკრატთა პოზიციებზე მღვდომი ნ. ნიკოლაძეც. ასე იჩინა თავი მის შეხედულებებში ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მაშინდელმა დონემ.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1873 წ. დიპ. ჯანაშვილმა, რომლის ისტორიული შეხედულებანი დიდი პროგრესულობით არ გამოირჩეოდა, სწორად განსაზღვრა ქართული ფეოდალური ლაშქრის სოციალური შემადგენლობის ევოლუცია. მისი აზრით, ფეოდალურ საქართველოში მონღოლთა შემოსევამდე ჯარში გლეხობა არ გაჰყავდათ, ლაშქრის რიგებში მხოლოდ თავადები, აზნაურები და მსახურები იბრძოდნენ. გლეხები ჯარში მხოლოდ მონაღოლებმა გაიყვანეს და ამის შემდეგ გლეხთა მონაღოლებმა წესად დარჩა [60].

უკვე XIX ს. დასაწყისიდან როგორც ქართველი, ისე რუსი და ევროპელი ისტორიკოსები და დამკვირვებლები, რომლებიც კარგად იცნობდნენ შუა საუკუნეების ევროპისა და საქართველოს ისტორიას, ერთხელად მიუთითებდნენ ამ ქვეყნებში საზოგადოებრივ ურთიერთობათა (ფეოდალიზმის) ტიპოლოგიურ მსგავსებაზე. ასეთი შეხედულება (თუმცა ჯერჯერობით სპეციალური გამოკვლევებით შეუძაგრებელი) გაბატონებულია თანამედროვე ისტორიოგრაფიაშიც (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი, ა. ნოვოსელცევი).

მიუხედავად ამისა, ისტორიკოსთა ნარკვევებში ახლაც ვხვდებით დებულებანი, რომ იგანვითარებული ფეოდალიზმის ეპოქის საქართველოში, კერძოდ XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში იყვნენ „მიწათმოქმედნი“, „მიწის მუშები“, „მწარმოებელი ფენა“. 1965 წ. გამოცემულ ნარკვევში ნათქვამია: „გამზდობილი ოკები, რომელსაც დავითი (აღმაშენებელი, ქ. ჩ.) აწარმოებდა, ძირითადად აღმწარმოებელ ფენას დიდი ხნით წყვეტდა სოფლის მეურნეობას... მუშახელი ს მოედენა ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას ბელს საგრძნობლად შეუშლიდა“ [91.62]; იქვე ნათქვამია, რომ „საქართველოს ჯარი ფეოდალური

ლაშქრის პრინციპზე იყო აგებული, მიწის მუშაობა იძულებული იყო გუთანა მიეტოვებინა და ხელი იარაღისთვის მოეკრდა. ამის გამო ფეოდალური მეურნეობა წარადგებოდა“ [91.65].

იმავე ავტორის 1972 წ. გამოცემულ ნაშრომში ნათქვამია: „ის ბრძოლები, რომლებიც ასე ინტენსიურად ხდებოდა ქვეყნის თურქთა ბატონობისაგან განსათავისუფლებლად, უდიდეს მატერიალურ ზარალს აყენებდა საქართველოს ეკონომიკას. ეს იმატომ, რომ საქართველოს ჯარი ფეოდალური ლაშქრის პრინციპზე იყო აგებული და, ბუნებრივია, როცა ბრძოლები იმართებოდა, მიწათმოქმედნი მოწყვეტილი იყვნენ თავიანთ ძირითად საქმეს და მოლაშქრეობას ეწეოდნენ. ამ პერიოდში ეს ფეოდალური მეურნეობა წარადგებოდა“ [92.101].

ესადაა, რომ ზემოთ მოყვანილ დებულებებში არასწორადაა ვაგებული „ფეოდალური ლაშქრის პრინციპი“ და თვით დებულებებიც, ამის გამო, არასწორია.

როგორც ეს გაჩემოვბა, ისე ზემოვანხილულა შეხედულება-ნი ფეოდალური საქართველოს ლაშქრის სოციალური შემადგენლობისა და ქვეყნის დაცვის საქმეში ფეოდალთა განსაკუთრებული, მონოპოლიური როლის შესახებ აშკარად გვიჩვენებს, რამდენად აქტუალურია დღეისათვისაც წინამდებარე ნარკვევში განსახილველი საკითხის სწორი, მეცნიერული ვადაჭრა — ქართული ფეოდალური ლაშქრის სოციალური ბუნების, საგარეო მტერთაგან ქვეყნის დაცვის საქმეში ხალხის მასის, გლეხობის მონაწილეობისა და ამ მონაწილეობის ფორმების დადგენა.

ენახოთ, რას ვვაძლევენ ამ პრობლემის გადასაჭრელად საქართველოს საისტორიო წყაროები.

უკვე ანტიკური ხანის საქართველოში, როგორც ამას არქეოლოგიური გათხრების ექვემიტანელი მონაცემები ცვიჩვენებენ, საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაცია ისე შორს იყო წასული, რომ ამან ასახვა პოვა ქართულ სამხედრო ორგანიზაციაშიც. ამ საკითხზე მეტად საყურადღებო და დოკუმენტურად დასაბუთებული მოსახრებებია გამოთქმული არქეოლოგი ი. ვაგოშიძის ნაშრომებში (აქვე აღვნიშნავთ, რომ საზოგადოების ეკონომიკურ-სოციალური დიფერენციაციის ფაქტს იმავე ხანების არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით მრავალი არქეოლოგი აღნიშნავს).

ი. გაგოშიძის სიტყვით, ძვ. წ. ა. VI—V საუკუნეთა სამაროვნებზე (მაგ., ბეშთაშენში), „ბევრია საბრძოლო იარაღი, მაგრამ ძვ. წ. ა. V ს. შუა წლებისა და მომდევნო ხანის მრავალრიცხოვან სამაროვნებზე კი იარაღი სრულებით არ გვხვდება“ [38. 80] ადრეანტიკური ხანის სამაროვნებში „იარაღის მასობრივი გაქრობა... დამახასიათებელია მთელი საქართველოს ბარისათვის“ [38.79]. ს. ჯანაშიამ ამ ფაქტში სოციალური შინაარსი დაინახა და იგი მცხეთის გაქალაქებას დაუკავშირა, მაგრამ ი. გაგოშიძის აზრით, „ამ პოვლენაში უფრო მეტი უნდა დავინახოთ, ვიდრე ცალკეული პუნქტების გაქალაქება“ [38.79], რადგან როცა სამაროვნებზე იარაღი სრულებით აღარ გვხვდება, მდიდრულ მამაკაცთა სამარხებში საბრძოლო იარაღი უხვადაა ჩატანებული [38.80].

იზოწმებს რა ს. ჯანაშიას დაკვირვებას და ბ. კუტუბინის ფაქტიურ მონაცემებს, ი. გაგოშიძე ასკვნის: „მნელია იმ საზოგადოებაში, სადაც ამგვარი დაპირისპირება ჩანს, არ დავინახოთ კლასობრივი საზოგადოება, სადაც იარაღი და მასთან ძალაუფლებაც საზოგადოების გარკვეული, უფლებრივად და ეკონომიურად დაწინაურებული წრის, ფენის ხელშია; სადაც იარაღი და ქვეყნის დაცვაზე უზრუნველად ფენის მოვალეობას დაკიდევ უფრო მის პრივილეგიას შეადგენს, ხოლო მოსახლეობის ძირითადი მწარმოებელი ნაწილი — მიწის მუშები და მოქალაქენი, „თავის უფალია“ იარაღისაგან, და ფიზიკური თავდაცვის აუცილებლობისაგან (უფრო სწორად — საშუალებებისაგან, ქ. ჩ.), წარჩინებულები კი იმწარმოებლური შრომისაგან თავისუფლებიან“ [38,81].

არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ასეთი მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა ისტორიკოსს შესაძლოა საეჭვოდ მიეჩნია, საქმე რომ სამაროვნებში წარჩინებულთა და რიგით მეთემეთა სამარხებს შორის შეიარაღების ხარისხობრივ სხვაობას, ან იარაღით მდიდარ და ღარიბ სამარხთა არსებობას შეეხებოდეს. ასეთი ვითარება სავსებით მოსალოდნელია უკლასო საზოგადოებაშიც, გვაროვნულ-თემური წყობილების მაღალ საფეხურზეც, მაგრამ საქმე ეხება იმ ფაქტს, რომ ძვ.წ. V—IV სს-დან მთელი საქართველოს ბარში წარჩინებულთა მდიდრულ სამარხებში დადასტურებულია იარაღის უხვად ჩატანება, ხოლო რიგით სამარხებში იარაღის თითქმის სრული გაქრობა [38. 80], «Полное отсутствие в погребальном инвентаре предметов

вооружения» [38. 80]. ეს გარემოება ისეთი ეპოქისათვის, როცა იარაღის ჩატანება რელიგიურ, რიტუალურ წესს წარმოადგენდა, ამკარად მხარს უჭერს ი. გავოშიძის მოსაზრებას, — საქმე გვაქვს ისეთ საზოგადოებასთან, რომელშიც მეომარი და მშრომელი ერთმანეთისაგან განსხვავებულია, უფრო ზუსტად — სათანადოსოციალური პროცესი საქმოდ განვითარებულია.

ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვის პერიოდში (ჩვენს ისტორიოგრაფიაში ამ პერიოდს უწოდებენ „გარდამავალი ტიპის საზოგადოებას“, „აღრეკლასობრივს“, „პატრიარქალურს“, „პროტოფეოდალურს“, „არქაულს“, — რაც ფაქტიურად ერთი და იმავე შინაარსის შემცველი ცნებებია) ქართული ლაშქრის სოციალური შემადგენლობის შესახებ პირდაპირი ცნობები არა იგვაქვს. ს. კაკაბაძე ფიქრობდა, რომ ამ პერიოდში მოლაშქრე იყო ყველა ბრძოლისუნარიანი მამაკაცი [113. I. 263]. V საუკუნის ქართლის ლაშქრის შემადგენლობა კი მას ასე აქვს წარმოდგენილი: ჯარის მძიმედ შეიარაღებულ ნაწილს (ცხენ-თოროსანნი და ჯაჭვ-ჩაბალახოსანნი) შეადგენდნენ წარჩინებულები, მსუბუქ მხედრობას — წვრილი აზნაურები და მსახურები, ხოლო ქვეითობას — „შიწის ბუშები“ ანუ გლეხები [68.9].

ახ. წ. ა. I—V საუკუნეებზე მსჯელობისას ს. ჯანაშია ახასიათებდა ქართულ ლაშქარსაც (ატრაბონის, ჯუანშერის... ცნობები). მისი სიტყვით ქართლის ლაშქარში შედიოდნენ: ქვეითობა, მძიმე კავალერია და მსუბუქი მხედრობა [162. I. 198]: ამათ გარდა ს. ჯანაშია ვ ა რ ა უ დ ო ბ დ ა მ ე ფ ი ს პ ი რ ა დ ი რ ა ზ მ ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ა ს ა ც . ეს რაზმი, მისი აზრით, მ ო ნ ე ბ ი ს ა გ ა ნ უ ნ დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო შემდგარი: „ამ მონათაგან ზოგი, შე ს ა ძ ლ ო ა, გააზატებულიც ყოფილიყო... გარდა ამისა მეფის რაზმში, უეჭველია, იმთავითვე თავისუფალნიც იქნებოდნენ“ [162. I. 199]. ამ ნავარაუდევ რაზმს გარდა, ლაშქრის სხვა ნაწილთა ერთობლიობას ს. ჯანაშია უწოდებდა „სახალხო ლაშქარს“, რომელიც „თავდაპირველად მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იყრიება“ [162. I. 198], „სახალხო“ აქ ს. ჯანაშიას ბრტყალებში აქვს ჩასმული, შინაარსობრივად აქ უფრო შესაფერი ჩანს „საქვეყნო ლაშქარი“. ს. ჯანაშიას აზრით, „ცხადია, თუ რაჰდენად განვითარებულ საწარმოო ძალებსა და სოციალურ დიფერენციაციას გულმსახობს ჯარის ორგანიზაციის ეს ტიპი მოტანილი ფაქტების საფუძველზე“ [162. I. 198]. მკვლევარს კონკრეტულად არ მიუთითებია, თუ ქართლის ლაშქრის რო-

მელი სახეობა რომელ სოციალურ ჯგუფს შეესაბამებოდა, მაგრამ მისი ნაშრომების ტექსტზე დაკვირვება აშკარად გვიჩვენებს, რომ მძიმე შეჯავშნული მხედრები მას წარჩინებულებად მიაჩნია, მსუბუქი მხედრობა წერილ აზნაურებად და მსახურებად, ხოლო ქვეითობა „წვირლ ერად“, თავისუფალ მიწათმოქმედებად. გარდა ამისა, ს. ჯანაშია ვარაუდობდა მეფის რაზმში მონების (paн) ყოფნას. ამ ვარაუდის გასამაგრებლად მას მოაქვს გვიანდელი ცნობა (XIV ს-ის ძეგლიდან), ადრეფეოდალური ხანის ვითარების ამსახველი, როსტომ ბიბლიურის რაზმში სამოცდაათი „კეთილი მონის“, პროთესიონალი მოლაშქრეების ყოფნის შესახებ, ამ შემთხვევაში კი „მონა“ სრულიადაც არ გულისხმობს ნამდვილ მონას—ესენი არიან „ერისაგანნი“, — „მესამე გენეს წევრები“, რომლებიც ეკონომიკური დიფერენციაციის შედეგად დაწინაურებულან და შეუძლიათ „ექიროთ როგორც სამხედრო, ისე საერო სახელმწიფო თანამდებობანი“ [162. I. 199]. თუ არქეოლოგიურ მონაცემებს გაევიჯვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ ასეთ „ერისაგანთა“ რიცხვი ამ დროს საკმაოდ გაზრდილი უნდა იყოს, ხოლო ქვეითთა ის სიმრავლე, რაც V საუკუნის ქართლის ლაშქარში ჩანს, ამ ლაშქარში მთელითა მასობრივ მონაწილეობაზე უნდა მიგვითითებდეს.

ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთად საქართველოს ბარში თანდათან ქრებოდა მოლაშქრე „ერისაგანი“, „თავისუფალი მწარმოებელი“. წყაროებში მოლაშქრეებად იხსენიებიან „მსახურები“, „მხედრები“, „ტაძრეულები“, წარჩინებულები („აზნაურნი დიდდინნი“) და რიგითი აზნაურები — მკვეთრად გამოყოფილი „სამხედრო მსახურეული წრე“ (ა. ბოგეერაძე). ის ფაქტი, რომ „მსახური“ თავიდანვე მოლაშქრეა (ს. ჯანაშია), იმის მაჩვენებელია, რომ მოლაშქრეობა, აზნაურებთან ერთად, მსახურთა ძირითადი ფუნქციაა. გლენხი მიწათმოქმედის (მწარმოებლის) გაგებით მოლაშქრედ ბარში V საუკუნეში უკვე აღარ უნდა ყოფილიყო.

ფეოდალურ ეპოქაში მოლაშქრეობა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პრივილეგიაა, პატივია. ასევე იყო საქართველოშიც. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, საქართველოში ფეოდალიზმის დროს „ლაშქარში ყოფნა და სამსახური მართო მოქალაქეობრივი მოვალეობა კი არ იყო, არამედ საპატიო და საამაყო უფლებად ითვლებოდა ყოველ კეთილშობილ მამაკაცისათვის“ [160. II. 61]. მოლაშქრეობის სოციალური არსი, მისი კავშირი გარკვეული სახის მიწისმფლობელობასთან და საპატიო ხასიათი, კარგად ჩანს ქართულ საისტორიო წყაროებში. ივ. ჯავახიშვილმა ამის საჩვენებ-

ლად მოიტანა 1263 წ. დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოში მეფის „სახლისა და პალატის წესი“ ყოფილა, რომ ეკლესიის მიერ დაკრულვილი კაცი მეფესაც უნდა შეეჩინება, მა-
მული ჩამოერთმია და ლაშქარში არ შეეშვა („მამული დასპირვია და ლაშქართა შიგან არ შეშუებულა“) [125. III. 163].

გიორგი V-ის „ძეგლის დადებამი“ (1335 წ.?) აღნიშნულია რომ თუ მამული ბეთალმანი დარჩა, ისე, რომ მისი ძველი მულო-
ბელის „გუარისა აღარა დარჩეს რა კაცი, ამავე საჯარო ბეგარი, სა-
ლაშქროდ ვინცდა შეიწყალონ და ღირს იყვნენ ბოძებასა, — დარბაზით ებოძოს“ [125. I. 413]. აქ პირდაპირაა ნათქ-
ვამი, რომ ლაშქარში გაწვევა წყალობაა. მოლაშქრე სხვა რი-
გით მეთემესე რანგით რომ მალა იღვა, ამას ადასტურებს იმავე
მუხლის მომდევნო ნაწილი: „თუ დარბაზით მისისა ბოძების უღირ-
სი იყოს, ერისთავმან და განმგებელმან მისცნენ და ავრევე მე ბე-
გრედ და მოსამსახურედ იყვნენ“ [125. I. 414], ე. ი. თუ
უწყვიდრო მამულს ბოძების ღირსი, ისეთი პირი, რომელიც შეიძ-
ლება მოლაშქრედ შეიწყალონ, არ აღმოჩნდება. ასეთი მამული
მანც გაიცემა; მაგრამ არამოლაშქრე, რომელიც ამ მამულს
მიიღებს, ბეგარას უნდა იხდიდეს. ცხადია, რომ ბეგრის გადახ-
და და მოლაშქრობა შეუთავსებელია.

მოლაშქრობა გვიან შუა საუკუნეებშიაც რომ „განსაკუთრე-
ბით სავატიო სანსახური“ იყო და, როგორც საქვეყნო სანსახური,
განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ამის დამადასტურებელი დოკუ-
მენტები მრავლადაა შემორჩენილი და ამ მასალაზე დაყრდნობით
ლ. ზუსხელიშვილმა აღნიშნა, რომ ფეოდალებს გარდა „სავატიო სა-
მსახურს ასრულებდა, ჩვეულებრივ, მსახური, ხოლო სათაკილოს —
გლეხი“ [95.277].

ახლა, ცხადია, გასაგებია ის ფაქტი, რომ ფეოდალური ეპოქის
არც ერთი ქართული საისტორიო წყარო ლაშქრის შემადგენლობა-
ში XVII საუკუნემდე გლეხს (არათავისუფალ მებეგრეს) არ
იხსენიებს. „ქართლის ცხოვრებაში“, რომელიც ყველაზე მეტად
ლაშქარსა და ლაშქრობებზე მოგვითხრობს, გლეხი მხოლოდ ოთხ-
ჯერაა ნახსენები. ჟუანშერის თხზულებაში პირდაპირაა განმარტე-
ბული, რომ გლეხი მებეგრეს ნიშნავს [122. I. 187]. ორჯერ
იხსენიება გლეხი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება-
ში: 1) დავითმა „მტურერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთა-
ვარნი მათნი“ (122. I. 351), აქაც გლეხი მებეგრეს (მოხარკეს) ნიშ-
2. ქ. ჩხატარაიშვილი

ნავს; 2) დავითის ისტორიკოსის სიტყვით დიდგორთან სელჯუკთა დანარცხებისას ქართველთა წადავლი დიდი იყო — „რაოდენმან ქარტაჰმან და მელანმან დაიტიოს აღწერად! და რამეთუ გლახთა, იხილემცა, ოდეს არაბთა მეფენი მოჰყუანდეს ტყუედ“ [122. I. 341—2]. შ. მესხიას ეს ადგილი ასე აქვს გაგებულის: „გლახებმაც კი ნახეს, როცა ქართველ მოლაშქრეებს არაბთა მეფეები მოჰყავდათ ტყვედ“ [90. 115]. ჩვენი აზრით, აქ „იხილემცა“ ჩართული შიშაღთვია, „მცა“ ნაწილაკით გაძლიერებული [130], ხოლო ტექსტი ასე უნდა გავიგოთ: „[ნეტავ] გენახა, როცა გლახებს არაბთა მეფენი მოჰყავდათ ტყვედ“. მაგრამ დავითის ისტორიკოსის ამ სიტყვებიდან ის კი არ ჩანს, რომ გლახები მოლაშქრეები იყვნენ და არაბთა სარდლები ბრძოლაში ხელდახელ შეიპყრეს! გავიხსენოთ სხვა მსგავსი სიტუაცია: 1609 წელს ტაშისკართან ქართველთა ჯარმა საშინლად დაამარცხა თურქეთიდან შემოჭრილ ყირიმელ თათართა ჯარი. უცხო ქვეყანაში დამარცხებული, იარაღშემოძარცული და გაფანტული თათრები „შეშინებულნი და დანქრეულნი შევიდეს ტყესა და სიმაგრესა მოსაკიდლისასა (მხარუა, ქ. ჩ.), არა აქუნდათ ღონე გზის გაგნებისა და მაშინ ჰპოვებდნენ დედანი მოსაკიდლის სოფლისანი ტყეთა შინა დამალულთა ყირიმთა კაცთა, შეიპყრობდნენ, მოჰყდიდნენ დოლბანდსა და თუ რამე ჰქონდათ, წაართმევდნენ და კაცთა შეიწყალებდნენ და განუტევებდნენ“ [122. II. 388]. როგორც ჩანს, მსგავსი შემთხვევა აღწერა დავითის ისტორიკოსმა — პანიკური შიშით შეპყრობილი, გაქცეული მტრის დანახვისას დიდგორის მახლობელი სოფლების გლახობა გულხელდაკრეფილი არ დარჩებოდა, ტყვეთა ჰყრობას და ალაფობას შეუდგებოდა. გამორიცხული არც ისაა, რომ დიდგორის ომში, რომელშიაც საქართველოს ბედი წყდებოდა, დავითმა ლაშქართან ერთად გლახობაც („ქუღზე კაცი“) გამოიყვანა და დიდგორის მიდამოებში რეზერვად დააყენა. როგორადაც არ უნდა ვიფიქროთ, ერთი რამ აშკარაა — ზემომოტანილი ცნობა გლახის მოლაშქრობაზე არაფერს გვეუბნება. ამასთანავე აღსანიშნავია შემდეგი: დავითს ჰყავდა უაღრესად სწრაფადმოძრავი (მობილუერი) არმია, რომლითაც მეფე ლაშქრობდა ზამთარ-ზაფხულ, დიდთოვლობის თუ წყალდიდობის დროსაც, დარუბანდიდან ბასიანამდე და ხუფათიდან ჭიქეთამდე. მეფეს მუდამ ახლდა შიდა-სპა, ტაძრეულნი (მონასპა), საქვეყნო ლაშქარს კი საჭიროებისამებრ იწვევდა და ითხოვდა, მაგრამ დავითის დროს ლაშქრის „გაშუება“, როგორც ჩანს, ხანმოკლე იყო და იშვიათი. ლაშქრის შეყრა დავითს

ისე ჰქონდა ორგანიზებული, რომ „წვევის წიგნების“ დაგზავნიდან მესამე დღეს მეფის წინაშე 60 ათასი მოლაშქრე იდგა. დავითის ლაშქარი მუდმივი მზადყოფნის მდგომარეობაში იყო, როგორც „გარდაცმული მშვილდი“ ან „ორღანოს [დაჭიმული] სიმი“. ასეთი შეუწყვეტელი, სწრაფი ლაშქრობების შედეგი იყო დავითის შესანიშნავი საქმედრო მიღწევები. ასეთ ლაშქარში, მეურნეობიდან მოწყვეტის შედეგებს რომ თავი დავანებოთ, გლეხს მრავალი სხვა მიზეზითაც (საბრძოლო ცხენი, აღჭურვილობა, პროვიანტი...) არ შეეძლო მონაწილეობა. ისტორიკოსის სიტყვით, დავითი ლაშქარს შეუსვენებლად იმიტომ ალაშქრებდა. რომ „ქართველთა ნათესაეი“ ისეთი ბუნებისაა, თუ მოსვენება ნახა, „განსუქნის და ბოროტებას განიზრახავს“-ო, — ცხადია, ასეთი პირი — მეფის მოლაშქრე, დასვენების დროს „განსუქებული“ და მეფის წინააღმდეგ ბოროტებას განმზრახველი, დაბეგრილი მიწათმოქმედი, გლეხი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. დავითის დროს გლეხის მოლაშქრობას ისიც გამორიცხავს, რომ მაშინ საქართველოს მოსახლეობა, განსაკუთრებით აღმ. საქართველოს ბარში, ისე იყო შეთხელებული, რომ გლეხი რომ მოლაშქრედ გაეყვანათ, ქვეყნისა და ლაშქრის მარჩენალი აღარავინ იქნებოდა (სწორედ ამიტომ მოიყვანა დავითმა ყივჩაყი მოლაშქრეები).

მომდევნო ხანებშიც. XII—XIII ს-თა მონაკვეთზე მოლაშქრობა რომ პრივილეგია და პატივი იყო, ეს „ვეფხისტყაოსნიდანაც“ კარგად ჩანს. პოემის მიხედვით მუშაკს (მშრომელს, გლეხს) სხვა საზოგადოებრივი ფუნქცია აქვს, მოლაშქრეს — სხვა: „რაცა ვის რა ბედმა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს, მუშა მიწყვი მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს“ (სტროფი 11).

ესაა მალაღანვითარებული ფეოდალური საზოგადოების პრინციპის აფორისტული გადმოცემა. რუსთაველი თავისებურად იპოვებს შუა საუკუნეების დასავლეთევროპულ ფორმულას: „ხალხმა უნდა იშრომოს, რაინდებმა — იომონ. სანდგდელოებამ — ილოცოს“ [184. 138].

ფეოდალურ საქართველოში გლეხობას პირველად მონღოლებმა დააკისრეს მოლაშქრობა. უამთაღმწერლის ცნობით, XIII ს. შუა წლებში მონღოლებმა ხარკის გაწერის მოწესრიგებისა და ლაშქრის გაყვანის მიზნით აღწერეს „სამეფო დავითისა“ (იგულისხმება ულუ-დავითი) „იწყეს აღწერად კაცთაგან პირუტყვთაჲდ, ყანთ ვენაჲჲდ, წალკოტით ბოსტანაჲდ და ცხრასა გლეხსა, სრულისა მიწისა მქონებელსა, ერთი ლაშქარს

წარმავალი კაცო შეაგდიან“ [122. II. 235]. სავარაუდებელია, რომ იმ დროიდან მონღოლთა მსახურში ლაშქრად მიმავალი ყოველი მეცხრე სრული საკომლოს მქონე გლეხი თარხნდებოდა, ე. ი. მსახურის კატეგორიაში (წოდებაში) გადადიოდა. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ძნელი სავარაუდებელია მეხევრე გლეხს ისე შორს ელაშქრა, სადაც მონღოლებს ქართველები მიჰყავდათ (რუმი, ჰირია, პალესტინა...).

ს. ჯანაშიას აზრით, „ვახუშტის შეუმჩნევია... ამ პერიოდის ერთი „შეძინებული წესი“, რომ სახელდობრ ჯარში ახლა გაჰყავთ „გლეხნიც“ „მგზავსად შეწერილებისად“. ამ ახალ წესს ვახუშტი მონღოლთა შემდეგ დროინდელ ხანაში წარმოშობილად თვლის“ [162. II. 459]. ნ. ბერძენიშვილის აზრით, მონღოლთა ბატონობის დროს „საქართველოს გლეხობა იძულებული შეიქნა საქართველოს ფეოდალურ წრეებთან ერთად შებმულიყო მოლაშქრეობის მძიმე უღელში, პირადი მონაწილეობით იქნებოდა, თუ სამაგიერო საზღაურით“ [33. 231].

ყამთააღმწერლის განხილულ ცნობასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ უკვე ადრეფეოდალურ ხანაშივე, როცა ფეოდალებსა და მსახურებთან ერთად თავისუფალ გლეხთა მრავალრიცხოვანი ფენაც არსებობდა, ყველა თავისუფალი მეთემე არ ლაშქრობდა. ფრანკთა სამეფოში IX ს. დასაწყისში ლაშქრად გადიოდნენ მხოლოდ 3—5 მანისის (საკონლოს) მქონე პირები, ხოლო უფრო მცირემწიანი მეთემეების რაოდენიმე კომლიდან ლაშქარში ერთი მოლაშქრე გადიოდა [205. 60]. ეს იმით იყო განაწვეული, რომ მოლაშქრეობა ქონებაზე ეკიდა, ყველას არ ჰქონდა ცხენისა და საჭურვლის შეძენის საშუალება. ლაშქრის გაწვევას მსგავსი წესი იყო ინგლისშიაც. ჰენრი I-მა (1100—1135) ყოველი ცხრა გლეხიდან ერთი ციხესიმაგრეში ჩააყენა და დანარჩენი რვის დაცვა დაავალა. ამ მოლაშქრეებს milites agrarii ერქვათ და ისინი მეფის მინისტერიალებად იქცნენ. თავდაპირველად ამ მოლაშქრეებს სასამსახურო ბენეფიციუმი არ მიუღიათ, — ამის სანაცვლოდ ყოველ მოლაშქრეს რვა არამოლაშქრის კომლი ინახავდა. მომდევნო ხანებში ამ მინისტერიალებს ბენეფიციუმები მისცეს და ისინი რაინდთა რიგებს შეემატნენ [204 ა. 35].

ასეთივე მოვლენაა დადასტურებული აღმოსავლეთშიც: ილჩანთა სახელმწიფოში (რომელსაც ემორჩილებოდა საქართველოც) ჯარს შეადგენდა: 1) მონღოლი მომთაბარეების ლაშქარი, რომელიც გვაროვნულ-ტომობრივ პრინციპზე იყო აგებული და რომელ-

შიც ტომის ყველა სრულწლოვანი მაჰაკაცი მონაწილეობდა, 2) დაპყრობილი მკვიდრი მოსახლეობიდან გაყვანილი ლაშქარი, რომელშიც შედიოდნენ ფეოდალები და ყოველი ცხრა კომლი მიწათმოქმედთან ერთი მოლაშქრე [197. 152]. როგორც დავინახეთ, მონღოლებმა ლაშქარი საქართველოდანაც სწორედ ასეთი წესით გაიყვანეს.

ცხრა მიწათმოქმედიდან ერთი მოლაშქრე საქართველოში, ინგლისში და ილხანთა სამეფოში! დამთხვევა საყურადღებოა და შემთხვევითი არ ჩანს. ცხადა, რომ ცხრა ამ შემთხვევაში რაიმე საკრალურ რიცხვს არ წარმოადგენს, იგი სავსებით რეალური ვითარების აშახველია: როგორც ჩანს, XII—XIII სს-ში ერთი მეომარს (მხედრის) შესაიარაღებლად და შესანახავად საჭირო იყო რვა საკომლოს სახელმწიფო გამოსაღები.

ზემოთქმულის მიხედვით, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ინგლისში ლაშქრად მიმავალი გლეხი მინისტერიალის რანგში იქნა აყვანილი (ყოველი მე-9 გლეხი!), სარწმუნო ჩანს ჩვენი ვარაუდი მონღოლთა მიერ ქართველ მოლაშქრეთა გათარხნების და ამრიგად ქართველ მსახურთა რიცხვის ხელოვნურად გაზრდის შესახებ. როგორც ჩანს, სწორედ ამ დროიდან გაჩნდა ქართველი მსახურის ახალი, მონღოლური სახელწოდება — თარხანი. აქედან ისიც აშკარაა, რომ თუ ჩვენშიც (როგორც ინგლისში) გლეხთა ყოველ რვა კომლს ერთი მსახურის ეკიპირება და რჩენა ევალებოდა, ქართველი მოლაშქრე თანამოძმე გლეხთა ექსპლუატაციის მონაწილე ხდებოდა, მებეგრე გლეხთა ფეოდალურ ჩაგვრას ამძიმებდა. ცნობილია, რომ მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილე ქართველი მოლაშქრეები სამხედრო ალაფის მოზიარეები იყვნენ. ეს ქართველ მოლაშქრეებს ეკონომიკური დაწინაურების საშუალებას აძლევდა.

XV—XVI სს-თა საისტორიო წყაროები ქართველ გლეხთა მოლაშქრეობის შესახებ ცნობებს არ შეიცავენ. შესაძლოა ეს იმის შედეგი იყოს, რომ მონღოლთა უღლის გადაადგილების შემდეგ ქართველ მეფეებს გლეხობაზე ლაშქრის შეწერა აღარ გაუვრძელებიათ. ამ საუკუნეებში წყაროები მოლაშქრეთა უმდაბლეს სოციალურ ფენად მსახურებს ასახელებენ. თემურლენგის დროს ბირთვისის ციხის დამცველებად იხსენიებიან თავადები, აზნაურები და მსახურები [122. II. 337, 469]. იმავე ხანის სპარსელი ისტორიკოსები ბირთვისის მკველ აზნაურებს იხსენიებენ. 1570 წ. მუხათგვერდთან ბრძოლაში დაცემულთა შორის მემკვიდრე იხსენიებს

თავადებს, აზნაურებს და მსახურებს [122.II. 511]. ამავე წელს ცხედრიდთან ომში „ამოწყდა თავადნი და აზნაურნი და მრავალნი მსახურნი“ [122. II. 367, 511] და ა. შ.

XVII ს. პირველი ნახევრიდან შემორჩენილია მრავალი დოკუმენტი, რომლებშიც იხსენიებიან აზნაურები, მსახურები და მებეგრე-გლეხები, მაგრამ მათ შორის მოლაშქრებად მხოლოდ აზნაურები და მსახურებია დასახელებული. ამ თვალსაზრისით სინიმუშოა მალაქია კათალიკოსის (გიორგი II გურიელის ძის) 1616-1621 წწ. „მოლაშქრე კაცთა“ ნუსხა, რომელშიც ჩამოთვლილია კათალიკოსის მოლაშქრეები იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში — აზნაურები და მსახურები [125. VI.480—1]. ამ ცნობიდან ლ. მუსხელიშვილმა სავსებით საფუძვლიანად დაასკვნა, რომ „აქ სავსებით მხოლოაზროვანი ჩვენება გვაქვს: მდაბიო გლეხი [ჰოინალე] არ ლაშქრობს“ [95. 307].

იმავე პერიოდში მებეგრე გლეხი რომ არ ლაშქრობდა, ამას არქ. ლამბერტიც ადასტურებს. მისი სიტყვით, ოდიშის სამთავროში მოლაშქრეა მსახური; მსახურის კომლის ერთი წევრი მოვალეა ბატონს სახლში ემსახუროს, „ლაშქარსა და მგზავრობაში თან უნდა ეახლოს ბატონს“ ცხენით ან უცხენოდ [83. 28].

XVII ს. პირველ ნახევარში მხოლოდ ერთი ცნობაა, როცა ომში გლეხთა მონაწილეობა ექვს არ იწვევს: 1625 წ. მარაბდის ომში დახოცილ თავადაზნაურობასა და მსახურებთან ერთად ცალკე იხსენიებიან გლეხებიც [122. II. 408]; ცხადია, რომ მარაბდის დიდმნიშვნელოვან ბრძოლაში ქართლიდან „ქუღზე კაცი“ გამოსულა. ასეთი იშვიათი, ექსტრაორდინარული გაწვევები, რთული საგარეო სიტუაციის გამო, განსაკუთრებით ხშირი იყო XVII ს. მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნეში.

ს. ჯაკობაძემ 1922 წ. აღნიშნა, რომ ფეოდალურ საქართველოში „ჯარის მთავარ შემადგენლობას პირველად წარმოადგენდნენ აზნაურნი და მსახურნი, ხოლო შემდეგ თანდათან — განსაკუთრებით XVII საუკუნის სიგრძეზედ — ჯარში გასვლა სავალდებულო გახდა მოყალნე ანუ მებეგრე გლეხთათვისაც“ [75, 124]. გლეხთა მოლაშქრეობა საქართველოში სისტემად იქცა XVII ს. მეორე ნახევრიდან და ამ მოვლენას საფუძველი ჰქონდა როგორც საგარეო, ისე საშინაო ვითარების მკვეთრ გაუარესებაში. XVII ს. 30-იანი წლებიდან, მაჰმადიან მეფეთა ეპოქაში, ქართლი ირანის ვასალურ სახელმწიფოდ იქცა, მალე დასავლეთ საქართველოს ძირითად სტრატეგიულ პუნქტებში თურქთა გარნიზონები

ჩადგა და ეს მხარე გარესამყაროს მოწყდა. დაიწყო ძნელბედობის, საუკუნოვანი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის პერიოდი. ირანს აღმოსავლეთ საქართველოდან „ნოქარი“ გაჰყავს, დაიწყო ლეკიანობა, აყვავდა ტყვის სყიდვა. ნოქარად გაყვანილი ქართველები ავღანეთისა და ინდოეთის ტერიტორიაზე ლაშქრობენ და იხოცებიან, მოლაშქრეთა რაოდენობა მკვეთრად მცირდება, ამით ლეკები სარგებლობენ და მხარეს აწიოკებენ. ამის გამო აღმოსავლეთ საქართველოში „კოზლზე კაცი“ კი არა, „ქუდზე კაცი“ გამოყვანა აუცილებელი გახდა და საყოველთაო მობილიზაცია გახშირდა, ამას, როგორც ჩანს, საგანგებო საკანონმდებლო აქტი არც დასჭირვებია. XVII ს. მეორე ნახევრიდან ლაშქრობენ ყველანი — თავადები, აზნაურები, მსახურები, მებეგრეები, ლაშქრობს „ცარიელი ბოგანოც“ კი, ე. ი. სავსებით უქონელი, უმიწო გლეხი; უაღრესად გამწვავებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი იწვევს იმ სიმძახინჯეს (ფეოდალიზმის ნორმალიზაციის თვალთახედვით), რომ მოლაშქრედ გაჰყავთ უიარაღო ან კეტით შეიარაღებული გლეხებიც და მოლაშქრეთა ნუსხებში საგანგებოდ უთითებენ — ვინ გამოდის თოფით, მშვილდით, შუბით... უიარაღოდ გამოდის ზოგჯერ გლეხთა 50 %-მდე. მოლაშქრეობიდან გათარხნებულთა რიცხვი მცირდება, ახლა „ლაშქარ-ნადირობიდან“ მხოლოდ ისაა განთავისუფლებული, ვინც თავისი შრომით მაინც ლაშქარს ემსახურება — მეთაოფე ოსტატი, ციხის მშენებელი, ჯობორდი („ისრის მთლელი“)...

XVIII ს. დასაწყისის საბუთებში მოლაშქრეებად მხოლოდ თავად-აზნაურები და მსახურები იხსენიებიან, მაგ., ვახტანგ VI-ის ერთ საბუთში „სამკცხეთო ჯარში“ „მსახურ-აზნაური-შვილები“ არიან დასახელებულნი [125. II. 191]. ამავე დროს ფაქტია გლეხთა მასობრივი გაწვევა, რაც სალაშქრო დავთრებში აისახა, მათში ერთად არიან დასახელებულნი ფეოდალები, მსახურები და მოყალნეები (მებეგრეები).

თეიმურაზ II-ის მიერ „მონაცვლე ლაშქრის“, ანუ „მორიგის“ დაწესება (1755 წ.) იყო პირველი ცდა გლეხთა მოლაშქრეობის ოფიციალურად დაკანონებისა [81. 191]. „მონაცვლე ლაშქარში“, რომელიც ფაქტიურად მეფის შცველი ჯარი იყო, თითო თვით გამოჰყავდათ ცხენოსანი და ჭვეითი მოლაშქრეები. ზოგ შემთხვევაში მორიგეობის ვადა ორი თვე იყო [125. II. 404]. ეს „მონაცვლე ლაშქარი“ ძირითადად მაინც ფეოდალთა და მსახურთა ჯარი იყო. ერეკლე II-ის 1774 წლის 1 იანვრის დადგენილება

„მორიგე ლაშქრის“ ახალი ორგანიზაციის შესახებ საბოლოოდ და-
აკანონა ყველა ბრძოლისუნარიანი გლეხის მოლაშქრეობა და ეს
ჯარი მართლაც საქვეყნო ლაშქრად აქცია. მიუხედავად ამისა, ეს
არ იყო საყოველთაო სამხედრო ვალდებულება, ამ სიტყვის თანა-
მედროვე გაგებით. „მორიგე ჯარი“ ფეოდალური ლაშქრის სახეო-
ბა იყო, ყმა გლეხის ლაშქრად წასვლაზე პასუხისმგებელი ამ ყმის
ბატონი იყო. მორიგეობის პრინციპით ერთდროულად ჯარში გადი-
ოდა სამხედროვალდებულთა 1/12 ნაწილი, და ისიც არა ყოველ-
თვის და სრულად, რადგანაც ფეოდალები მასობრივად მალავდნენ
თავიანთ მოლაშქრე გლეხებს.

XVIII ს. საქართველოში სამხედრო ორგანიზაციის დარგში
გატარებული არც ერთი ღონისძიება თვისობრივად ახალს, სო-
ციალური და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით რაიმე
სიახლეს არ ასახავდა, ფეოდალურ ურთიერთობათა ფარგლებს
გარეთ არ გადიოდა. ერეკლეს ღონისძიებანი („რეფორმები“) სამ-
ხედრო საქმის ორგანიზაციის დარგში უფრო ნებისმიერი (უკეთ,
იძულებითი) იყო, ვიდრე ბუნებრივი სოციალური განვითარე-
ბის კანონზომიერებით გამოწვეული. საქართველო იმ დროს
აღყაშემორტყმულ სიმაგრეს, სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა და
ასეთ პირობებში, სანამ ბატონყმური სისტემა არსებობას განაგრ-
ძობდა ერეკლეს რეფორმების შედეგებიც ბუნებრივი იყო, ერეკ-
ლეს ღონისძიებებმა სამხედრო დარგში მის სოცოცხლეშივე განი-
ცადა მარჯბი და რუსეთთან შეერთების წინ გიორგი XII-ს ლეყ-
თა „მცდელი ჯარის“ დაქირავება და „სალეკო“ გადასახადის გაწე-
რა მოუხდა. საქართველოს სამხედრო ორგანიზაცია რუსეთთან შე-
ერთებამდე ძველი, ფეოდალური სახით მოვიდა, — ერთიანი ფორ-
მის შემოღების ცდა და ძველი სამხედრო წოდებების („ველის“)
ევროპული წოდებებით შეცვლა ლაშქრის არსს არ ცვლიდა.

ამით იძხვნება, რომ გვიანდელი, XIX ს-ის დამკვირვებლები
და ისტორიკოსები, რომელთათვისაც კარგად იყო ცნობილი XVII-
XVIII საუკუნეებში ქართველ გლეხთა მოლაშქრეობის ფაქტები,
საქვებით სამართლიანად წერდნენ, რომ რუსეთთან შეერთების
წინ საქართველოში არ იყო რეგულარული არმია და ქართული
ლაშქრის სოციალური შემადგენლობის დახასიათებისას გვერდს
უვლიდნენ ამ ფაქტებს. როგორც გამონაკლისს, არადამახასიათე-
ბელ მოვლენებს და აღნიშნავდნენ იმას, რაც საქართველოშიათვის,
როგორც ფეოდალური სახელმწიფოსათვის, ბუნებრივი იყო.
პ. გნისოსაროვს, რომელმაც XIX ს. შუა წლებში კარგად შეის-

წავლა იმერეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელი პერიოდი. არ შეიძლება არ სკოდნოდა, რომ იმერეთის ლაშქარში XVIII--XIX სს. მიჯნაზე ხშირად გლეხებიც გაჰყავდათ, მაგრამ იგი წერდა, რომ იმერეთში ლაშქარად გადიოდნენ თავადები, აზნაურები და მსახურები, გლეხობა კი რეზერვს შეადგენდა და ომის დროს მოუჩავეთა მეთაურობით სტრატეგიულ პუნქტებში იდგაო [176. . 438-9]. როგორც აღვნიშნეთ, თ. ჟორდანიას სიტყვით, ქართლ-კახეთის სამეფოში გლეხები ჯარში მხოლოდ გაჭირვების დროს გაჰყავდათ [102. XVIII]. ზნილოსაროვიცა და თ. ჟორდანიაც სავსებით სწორნი იყვნენ: ფეოდალური ქვეყნისათვის ფეოდალური ლაშქარი იყო დამახასიათებელი და არა კრიზისული მომენტებით გამოწვეული რეანიმაცია „სახალხო“ ლაშქრისა ფეოდალების მეთაურობით.

რუსეთის ზელისუფლების წარმომადგენლებმა საქართველოში მოსვლისთანავე დაინახეს ქართული ლაშქრის ფეოდალური ხასიათი. გენ. ერმოლოვი 1827 წ. აღნიშნავდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთთან შეერთების წინ სამხედრო საქმის ორგანიზაცია ტიპიური ფეოდალური იყო, მსგავსი იმისა, რაც შუა საუკუნეების ევროპაში არსებობდა. ერმოლოვი აღნიშნავდა ქართული ლაშქრის იმ ნაკლოვანებებს, რაჲც საფუძველი ფეოდალურ სისტემაში ჰქონდა და რის გამოც ეს ლაშქარი იმდროინდელ პირობებში ომის წარმოებისათვის გამოუსადეგრად მიაჩნდა [165. VI. 1523]. ერმოლოვს, ცხადია, ომის წარმოების იმდროინდელი ევროპული დონე ჰქონდა მხედველობაში.

ყოველივე ის, რაც აქამდე ქართული ფეოდალური ლაშქრის სოციალური შემადგენლობის შესახებ ითქვა, ბარის მხარეებს, იმ მხარეებს შეეხებოდა, სადაც ფეოდალური ურთიერთობები ბატონობდა. განსხვავებული ვითარება იყო როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მთიან მხარეებში.

ევროპაში ფეოდალიზმმა სასოფლო თემი ბარში ვერ მოსპო, მაგრამ მას ძირითადი ფუნქციები, პოლიტიკური მნიშვნელობა თითქმის დაუკარგა: თემს სოციალური შინაარსი გამოეცალა და მხოლოდ ადმინისტრაციული, თანაც დაქვემდებარებული ფუნქციები შეერჩა. თემი მეთემე გლეხთა კლასობრივი ინტერესების დაცვას ნაწილობრივ ახერხებდა, მაგრამ ბარის სოფელი მთლიანად ფეოდალიზებულ იქნა, ბარში თავისუფალი გლეხი გაქრა.

მთიან მხარეებში გვაროვნულ-თემური წყობილება ფეოდალური ეპოქის მთელ მანძილზე შემორჩა, ხოლო ზოგ ნაკლებად

მისაწვდომ რეგიონში ახალ ხანაშიაც განაგრძობდა არსებობას. მთის მოსახლეობა ბარის ფეოდალიზაციის დროს ძირითადად თავისუფალი დარჩა და უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებას ემორჩილებოდა. გამონაკლისი აქაც იყო: უფრო ადვილად მისადგომ მხარეებში ფეოდალური ურთიერთობა შეიქრა. მაგ., გერმანიაში შვაბიის მთიანეთი ფეოდალიზებულ იქნა და იქ გაჩნდა მემკვიდრეობით გამგებელი გრაფი თავისი ციხით, რაზმითა და ყმა გლეხებით [184. 315].

ასეთი გამონაკლისები იშვიათი იყო. მთის თემები ძველი, პატრიარქალური წესებით ცხოვრობდნენ, სახალხო კრებაც კი ძველებურად იკრიბებოდა. ასეთ დონეზე იდგნენ მაგ. ალპურ ზონაში მდებარე კანტონები: შვიცი, ური, უნტერვალდენი (ახლანდელი შვეიცარია). ამ მხარეთა მოსახლეობის შიერ თავისუფლების შენარჩუნება მათი საცხოვრებელი ადგილების მიუდგომლობით იყო განპირობებული [184. 316]. როცა ფრ. ენგელსი აღნიშნავს მთისა და ბარის განვითარების დონეთა შორის განსხვავებულობის მუდმივობას, ცხადია, საქმე ეხება არა წმინდა გეოგრაფიულ ცნებას, მაგ., სიმალღეს ზღვის დონიდან, არამედ ამ სიმალღესა და რელიეფიდან გამომდინარე სხვა ფაქტორს — ამა თუ იმ მაღალმთიანი მხარის ძნელად მისადგომლობას, იზოლირებულობას, უგზობობას, კონუნუნიკაციათა ნაკლებობას.

მთაში მესაქონლეობასა, მონადირეობასა და მთის მკაცრ ბუნებასთან დაკავშირებული ყოველდღიური სიფათი, მეზობელ თემებთან შუღლი მოსახლეობას „მეომრულ-ავანტურისტულ“ სულს უნარჩუნებდა (პ. დელბრიუკი), ამან განაპირობა მთიელ მოლაშქრეთა პროფესიონალიზმი. ფეოდალურ დას. ევროპაში დაქირავებულ მოლაშქრეთა ძირითად კონტინგენტს მთიელები შეადგენდნენ. ამის საუკეთესო მაგალითია შვეიცარია.

სამხედრო საქმის ისტორიის ცნობილი მკვლევარი პ. დელბრიუკი აღნიშნავს, რომ ბარიდან მოსულ რაინდთა რაზმებს მთიელები ჩვეულებრივ ამარცხებდნენ, მაგრამ ეს მთიელთა განსაკუთრებული მამაცობით ან პირადი მეომრული ღირსებებით კი არ აიხსნებოდა, როგორც ამა სოგიერთი „მთიელი ურაპატრიოტი“ ამბობდა, არამედ იმით, რომ ფეოდალური ლაშქარი ყოველთვის მცირე იყო, მთიელთა ლაშქარი კი მრავალრიცხოვანი, ბარში პროფესიონალი მეომრები მოსახლეობის უმცირესობას შეადგენდნენ, ნთაში კი ყველა სრულასაკოვანი მამაკაცი პროფესიონალი მოლაშქრე იყო [184. 381].

ფეოდალური ევროპის მთიანეთში სოციალური დიფერენციაცია ან სულ არ იყო, ან არქაული ფორმით იყო წარმოდგენილი — გამოიყოფოდა გვაროვნული არისტოკრატია, თემების ხელმძღვანელი ზედაფენა. ამის იგამო ბარისა და მთის ლაშქართა სოციალური შემადგენლობა ძირეულად განსხვავებული იყო.

დიდ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში, საისტორიო წყაროებსა და შიდა რეალურ ფოლკლორში, რომლებიც საქართველოს მთიან მხარეთა წარსულს ასახავენ, უამრავი თვალსაჩინო და სასიამოვნო მასალაა მთიელთა ლაშქრის შემადგენლობის დასახასიათებლად.

იანვითარების ადრეფეოდალურ საფეხურზე მდგომ აფხაზეთის ზღვისპირა ზოლში და „სამხედრო დემოკრატია“ საფეხურზე მდგომ აფხაზეთის მთიან მხარეებში შუა საუკუნეებში სამხედრო ორგანიზაცია არქაული ტიპისა იყო, „ხალხი — ჯარის“ პრინციპს ემყარებოდა. ამის უეჭველი დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ამ მხარეებში XIX ს. მეორე ნახევარშიაც, რუსეთთან შეერთების წინ, მოლაშქრე იყო ყოველი სრულასაკოვანი მამაკაცი. ყოველი მოზრდილი აფხაზი საბრძოლოდ იყო შეიარაღებული, გარდა მცირერიცხოვანი „ახუოიუების“ (ყმა) და „ახაშალებისა“ (საშინაო მონა). ლაშქრის ორგანიზაცია გვაროვნულ პრინციპს ემყარებოდა, — თანამეგობრები ცალკე რაზმებად — „ამწახარებად“ („ერთი ცეცხლი“, კერა) გამოდიოდნენ [195. 417]; ხშირად ქალებიც ლაშქრობდნენ [195. 414], რაც იმის დამადასტურებელია, რომ ისინი სამხედრო წვრთნას გადიოდნენ. შ. ინალ-იფას სიტყვით, აფხაზთა სამხედრო ორგანიზაციაში თავს იჩენდა სამხედრო-დემოკრატიული წყობის მძლავრი გადმონაშთები [195. 414]. რაიმე ცენტრალური გამგებლობა ან სამხედრო „კელი“ აფხაზთა ლაშქარში არ არსებობდა (ისევე, როგორც საქართველოს სხვა მთიან მხარეებში). „მშვიდობიან“ დროს აფხაზი მოლაშქრე მკობრეობდა.

შეიარაღებული იყო და ლაშქრობდა სვანეთის ყველა სრულასაკოვანი მამაკაცი. სვანი მოლაშქრეები მასობრივად იბრძოდნენ შუა საუკუნეების საქართველოს ლაშქარში და დიდ როლს ასრულებდნენ საგარეო მტრისაგან ქვეყნის დაცვაში. სწორედ სამხედრო სამსახურის ნიადაგზე უნდა აიხსნას ჯვანეთის თემთა ზედაფენების წარმოქმნილობა ჩვეულებრივი სოციალური დაწინაურება ბარის მხარეებში, როგორც მეფის მსახურეული პირებისა (ერისთავი, ტაძრეული...) გვიან შუა საუკუნეებში, როცა საქართველოს

ე. პიანე სამეფო სამეფო-სამთავროებად იყო დაშლილი და დას. საქართველოს ბარი თურქეთის გავლენის ქვეშ მოექცა, მთიელი მოლაშქრეები ბარში ნაკლებად ჩანან, თუ ჩანან — როგორც მეკობრეები.

სვანეთის ლაშქრის ორგანიზაცია თეოკრატიულ პრინციპებს ემყარებოდა: მოლაშქრე-მეკობრეთა მფარველი წმ. ბარბაღე იყო, ხოლო ლაშქრობის გაძრევე-გამგებელნი სვანეთის ამ სალოცავის მსახურნი იყვნენ [27. 549-550].

XIX ს. პირველ ნახევარში შეკრებილი ცნობების მიხედვით მსგავსი მდგომარეობა იყო აღმ. საქართველოს მთიანეთშიც. ხევსურეთის, ფშავისა და თუშეთის ყველა სრულწლოვანი შაჰაკაცი შეიარაღებული იყო და ლაშქრობდა [305]. სალაშქრო ორგანიზაცია აქ თემობრივ და რელიგიურ პრინციპს ემყარებოდა [148.392]. ლაშქარს სათავეში ჰყვებოდნენ (კულტის მსახურნი და გამგებელნი) ედგნენ.

მთის ლაშქრის არაკლასობრივი, სახალხო ხასიათი კარგადაა ასახული ფოლკლორში, რომელიც არ განასხვავებს მოლაშქრეთა რაიში განსაკუთრებულ ჯგუფს. მოლაშქრის, გმირის ქებებს კრიტიკობია არა მისი ადგილი საზოგადოებაში, არამედ მისი პირადი ღირსებები.

მთის ლაშქრის ბუნება თვალსაჩინოდაა ასახული XV ს. საისტორიო თხზულებაში „ძეგლი ერისთავთა“. არაგვის მთიელები, ცხრაზმისხველები, მოხვევები და სხვა მთიან მხარეთა მკვიდრნი თემობით ლაშქრობენ, ერთმანეთს არბევენ, მეკობრეობენ. ზოგჯერ ერთი თემი მეორეს მხოლოდ „სახელისთვის“ ლაშქრავს. აღწერილია ასეთი დამახასიათებელი შემთხვევა: ორი თემი ერთმანეთზეა წაკიდებული და ერთმანეთს ებრძვის, მეფის მემკვიდრე მათ დაზავებას ცდილობს: „ძე მეფისა მუკლთა დაუყრიდა და ლომისას მყოფნი ხატთა დაუსვენებდეს და ევედრებოდეს“ [138. 351], მაგრამ მთიელი მოლაშქრეები ამას არაფრად აგდებენ და შტლს განაგრძობენ. ეს ხდება საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი მეფის — გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს.

მთიელთა ლაშქრად გაწვევა მეფის მიერ ერისთავების, გამგებლებისა და ხვეისბერების მეშვეობით ხდებოდა. როგორც ჩანს, არ არსებობდა მთის თემების სალაშქრო დაეთარები. მათი საჭიროება არ იყო.

გვაროვნულ-თემურ წყობილებას შეესაბამებოდა მთიან მხარეთა საფორტიფიკაციო სისტემა: საკუთარი ციხე ჰქონდა ყვე-

ლას, ვისაც კი მისი აგება შეეძლო. ამის გამო მთაში უამრავი საგვარეულო და საოჯახო ციხე, კოშკი და ციხე-სახლია აგებული. ამავე დროს ბარში ციხე მხოლოდ ფეოდალს ჰქონდა, ეს იყო მისი განმასხვავებელი ნიშანი, გლეხის ციხე წარმოუდგენელი იყო. საერთო სასოფლო ციხე-გალავნებიც ბარში გვიან, XVII—XVIII საუკუნეებში გაჩნდა და ამას თავისი მიზეზები ჰქონდა, სოციალური ვითარებასთან არ იყო დაკავშირებული.

ვახუშტი ბაგრატიონმა საგანგებოდ აღნიშნა მთიელთა მოლაშქრობის სპეციფიკურობა, მეფისადმი მათი „ყმობის“ ვასალური ხასიათი. თუშეთ-ფშავ-ხევსურეთზე თხრობისას იგი აღნიშნავს, რომ ლევან კახთა მეფემ (1520—1574) მთის თემები „დაიპყრნა არა ძალითა, არაჲდ აღუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ იყუნენ კახეთს და მისცა შეწირულობა ლაშას ჟუარსა თიანეთსა შინა და მიერთგან მისცემდიან ლაშქარსა და ბეგარასა“ [30. 573]. მთიელთა ბეგარა გლეხური ბეგარა არ იყო, მას უფრო სიმბოლური ხასიათი ჰქონდა, ხოლო მოლაშქრობა ვასალურ პრინციპს ემყარებოდა და მეფისგან სამაგიერო წყალობას ითვალისწინებდა: მეფის „ყმებს“ მოლაშქრობის სამაგიეროდ „წყალობა“ ეძლეოდათ — საძოვრები, სახნავ-სათესი, ვენახი, ჯამაგირი, ალაფი, შეღავათები... [63. I. 82, 84]. შტედერის სიტყვით (1781 წ.), თუშებს, რომლებიც ერეკლე II-ს ერთგულად ემსახურებოდნენ. „როგორც შევიცარიელთა გვარდია“, მეფე ჯამაგირს (Sold) აძლევდა [291. 52].

ქართველ მთიელ მოლაშქრეთა „თავისუფლების“ შინაარსი — ვასალური დამოკიდებულება განსაკუთრებით კარგად ჩანს ფშავ-ხევსურეთის მაგალითზე. სათანადო დოკუმენტური და ფოლკლორული მონაცემები შეკრებილი და ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით ნაწილობრივ გაანალიზებულია ვ. ბარდაველიძის მიერ ფშავ-ხევსურეთის სოციალური წყობის შესწავლისადმი მიძღვნილ შესანიშნავ ნაშრომებში.

თეოკრატიული ხელისუფლების ხელქვეით გაერთიანებული თემი სათემო კულტის („ჯვარი“) ყმად ითვლებოდა, მას ემსახურებოდა. სხვა ვინმე რეალური ბატონი თემს ადგილზე არ ჰყავდა, მაგრამ თემი იმავე დროს ყმა იყო საქართველოს (გვიან — ქართლ-კახეთის) მეფისაც, თემისა და მეფის ურთიერთობას „ბატონ-ყმობა“ ეწოდებოდა [26. 48]. ეს ბატონყმობა ბარში არსებულისგან განსხვავდებოდა — „ყმა“ ამ შემთხვევაში ძველი, თავდაპირველი მნიშვნელობით („ვასალი“) იხმარებოდა — მაგრამ არც ცარიელი

სიტყვა იყო, — თუ ხევი (თემი) მეფის ბრძანებას არ შეასრულებდა, მაშინ იგი მეფის „ძალას სცნობდა“, ე. ი. სათანადოდ დაიხვეწებოდა [26, 48]. მეფის ან მისი მოხელის წინაშე დანაშაულისთვის მეთემე მეფის წინაშე აგებდა პასუხს, როგორც ჩანს, სათანადო კანონის („დებულების“) მიხედვით [26. 43].

„ჯვარის“ (ამ შემთხვევაში — „დიდი ლაშარის ჯვარის — გიორგის“) ყმები მეფის „უნჯი ყმები“ იყვნენ [26.47—48; 63. I. 82,84]. „სიტყვა უნჯი ნიშნავს ძირეულს, საკუთარს... უნჯი ყმანი სათემო ჯვარისათვის ყველა დანარჩენ მეთემეზე მახლობელ და სასურველ წვერად ითვლებოდნენ... უნჯი ყმანი თემის ფარგლებში არისტოკრატიულ ფენას შეადგენდნენ“ [28. 499]. მეფის „უნჯი ყმაც“, ცხადია, ასე პრივილეგირებული უნდა ყოფილიყო და იყო კიდევ: რადგანაც ეს მოლაშქრეები ფეოდალები არ იყვნენ, მათი რანგი და სამსახური მსახურისას შეესაბამებოდა.

თუმცა, ფშავ-ხევსურთა და სხვა მთიელთა ორმაგი „ყმობა“ (ორი ბატონის — მეფისა და „ჯვარის“ მსახურობა) ფორმალურად იპირო წესრიგდებოდა, რომ მეფე „ჯვარის“ „ძმა“, „მოძმე“, იყო [26.40.42—3,47]. ამავე დროს თემთან ურთიერობის მქონე ფეოდალებისა და „ჯვარისთვის“ შეწირული გლეხებისათვის ეს ჯვარი „ველმწიფე“ იყო [26. 46, 50].

იმისათვის, რომ „ჯვარს“ თემის მოლაშქრეები მეფის სამსახურში გაეგზავნა, ელაშქრებინა, მეფე თავის „მოძმეს“ საზაგიეროდ ყმა-მამულს უბოძებდა, შესაწირავს უგზავნიდა [26. 40, 46—47]. მთიელთა და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთობა ვასალიტეტს, თავისუფალი მოლაშქრისა და სიუზერენის ურთიერთობას წარმოადგენდა.

ვ. ბარდაველიძემ აღწერა მთიელთა (ხევსურული თემის) ლაშქრის ორგანიზაცია. მოგვაქვს ეს აღწერილობა: „ხშირ ლაშქრობათა და ძლიერ განვითარებული სისხლის შუროსძიების გამო ხევსური მეთემე მუდამ შეიარაღებული იყო. ხევსური სიყრმიდანვე სწავლობდა სამხედრო ხელოვნებას და საგანგებოდ წნელისაგან მოწმული საყმაწვილო ფარებითა და ხის დაშნებით ვარჯიშობდა. შინაური წვრთნის გარდა, რომელიც, ბუნებრივია, ოფიციალურ ხასიათს არ ატარებდა, ხევსურებისა და სხვა ქართველი თემების საჯვარო ან სახატო დღეობათა წლიური ციკლის კალენდარში შედიოდა გარკვეული რიგის დღეობები, რომლის დროსაც 8—12 წლის ბავშვები (ბიჭები), ჭაბუკები და შუახანს მიღწეული მამაკა-

ცები ჯვარის ანუ ხატის მთავარი მსახურის უშუალო ხელმძღვანელობით აწყობდნენ დისტანციაზე სარბილს ღროშებით ან უდროშოდ, სიშორეზე ქვის სროლას, სიმაღლეებიდან გადახტომას, ცოცხალი ფრინველებისათვის თავის წაწყვეტას, მტერზე დაცემის, ხელჩართული ბრძოლისა და მტრის დატყვევების ინსცენირებას, ღოდს და სხვა მისთანათ, რაც თავდაპირველად, უეჭველია, მიზნად ისახავდა მეთემეთა მომზადებას საომარი მზადყოფნისათვის და სამხედრო ლაშქრობათათვის.

სამხედრო ოპერაციების დროს ხევესურების უმცირესი და მცირე თემების მამროვანი ერთიანდებოდნენ და სახევო და სახევთშორისო რაზმებს ადგენდნენ, რომლებსაც თავ-თავისი ღროშები ჰქონდათ. ხოლო სრულიად ხევესურეთის ლაშქარი (საღმართო გუდა-ნის ჯვარის ალმის (ჯვარის) წინამძღოლობით) ე. წ. სადროშოებისაგან დგებოდა, რომლებშიაც სახევო და სახევთშორისო რაზმები იყო გაერთიანებული. ხევესურების არც ერთი სამხედრო ოპერაცია ორაკულის გარეშე არ ტარდებოდა“ [29. 623].

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ შუა საუკუნეთა საქართველოში თანაარსებობდა სამხედრო ორგანიზაციის ორი ტიპი, ბარში — ფეოდალური, სენიორალურ-ვასალურ ურთიერთობაზე დამყარებული, რომელიც საფუძვლად ედო ფეოდალურ ლაშქარს. მთაში — გვაროვნულ-თემური წყობილებისათვის დამახასიათებელი, თეოკრატიულ წყობაზე დამყარებული, რომელიც საფუძვლად ედო სახალხო ლაშქარს. მთისა და ბარის ლაშქართა ერთიან ქართულ ლაშქარში გამაერთიანებელი იყო სამეფო ხელისუფლება, რომელსაც ფეოდალური და სახალხო ლაშქარი ექვემდებარებოდა როგორც უმაღლეს ხელისუფალს, სიუზერენს, მთიელი მოლაშქრე მეფესთან ურთიერთობაში „ყმის“ — ვასალის სტატუსით გამოდიოდა.

შუა საუკუნეების საქართველოში სხვადასხვა რანგის ფეოდალთა მოლაშქრეობას ჩვენ არ განვიხილავთ, ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად გაშუქებულია. როგორც ყოველ ფეოდალურ სახელმწიფოში, საქართველოშიც ფეოდალური კიბის ყოველ საფეხურზე მდგომ პირთა ძირითადი ვასალური მოვალეობა სიუზერენის, სენიორის წინაშე ლაშქრობა იყო, ფეოდალის ოჯახიდან ლაშქრად გადიოდა ყოველი ბრძოლისუნარიანი მამაკაცი, მაგრამ ფეოდალური ქვეყნის ლაშქარი მხოლოდ ფეოდალთაგან არ შედგებოდა, — ფეოდალები, მათი რიცხობრივი სიმციარის გამო, ლაშქრობის მხოლოდ ნაწილს, ზედაფენას შეადგენდნენ.

მათ გარდა ლაშქარში არაფეოდალი მოლაშქრეებიც იყვნენ: მინისტრიალები, დაქირავებულები და ა. შ.

ჩემოთ განვიხილეთ პრინციპული საკითხი — იყო თუ არა მოლაშქრე გლეხი — მებეგრე-მწარმოებელი, შეეხებოდა მთიელთა მოლაშქრეობასაც. ქვემოთ ვრცლად განვიხილავთ ბარის ფეოდალურ ლაშქარში სხვა არაფეოდალთა მონაწილეობას.

ლაშქრის ძირითად, ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან მასას საქართველოში მსახურები შეადგენდნენ. ჩვენთვის ანუამად საინტერესოა მსახური როგორც მოლაშქრე, მაგრამ რადგანაც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მსახურის სოციალური კატეგორია დავის საგანადაა ქცეული, ქვემოთ ვრცლად განვიხილავთ მსახურთან დაკავშირებულ იმ საკითხებს, რომელთა განხილვა-დახუტებაც აუცილებელია ქართული ფეოდალური ლაშქრის სოციალური შემადგენლობის დადგენისა და თვით ფეოდალურ ურთიერთობათა წარმოქმნა-განვითარების თავისებურებათა შესწავლისათვისაც. მსახურთა შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში სადღეისოდ ბევრია დაწერილი და მრავალი საყურადღებო აზრია გამოთქმული, ზოგჯერ ერთმანეთის დიამეტრალურად საპირისპირო, კერძოდ — მსახურთა სოციალური ვინაობის შესახებ. ახლა მოკლებული ვართ საშუალებას (ეს ჩვენი თემის მიზანსაც შორდება) მიმოვიხილოთ და შევაფასოთ ეს შეხედულებანი, მაგრამ ცალკეული საკითხების განხილვისას ქვემოთ ნაჩვენები იქნება ჩვენი დამოკიდებულება ამ შეხედულებებისადმი.

მომდევნო ნარკვევის ძირითადი თემაა მსახურის ადგილი და როლი ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასა და სამხედრო ორგანიზაციაში ამ ფორმაციის მთელ სიგრძეზე.

მსახურთა შესწავლისას გათვალისწინებულია, რომ საისტორიო წყაროებში ტერმინი „მსახური“ ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: 1) მსახური ეწოდებოდა ყველა მსახურეულ პირს — ფეოდალი იყო იგი, დაქირავებული უცხოელი, თავისუფალი მთიელი თუ მღაბიო. „ყველა ის პირი, რომელიც მსახურის კატეგორიაში არის მოხსენიებული, ერთ წოდებრივ წრეს, ან ჯგუფს კი არ წარმოადგენდა, არამედ სხვადასხვა წოდებრივი წრისაგან შემდგარ მომსახურეთა კიბეს და ეს მსახურნი ერთიანოვრესთან უფროს-უმცროსობით იყვნენ დაკავშირებული; მათ ერთნაირი არც უფლება ჰქონდათ, არც ღირსება და არც სისხლი. პირიქით, უფლებითაც, ღირსებითაც და სისხლითაც სხვადასხვა სოციალურ წრეს ეკუთვნ

აოდნენ, ზოგი მაღალს. ზოგი დაბალს“ [22. 207]. ასეთი ფართო გაგებით „მსახური“ ზოგადად მინისტერიალიტეტს აღნიშნავდა.

მსახურის ასეთი ზოგადი ცნება ფეოდალთა წარმომადგენლებს, მსახურობის მოვალე ვასალებსაც რომ სოციალურად, კარგად ჩანს საისტორიო წყაროთა მონაცემებიდან.

აღრეფეოდალური ხანის ძეგლებში ხშირად იხსენიებან დიდ ფეოდალთა („წარჩინებულთა“, „დიდ აზნაურთა“, „მთავართა“) „წინაშე მდებარე“ უფრო დაბალი რანგის ფეოდალები. ისინი დიდ ფეოდალთა მხარეები არიან. ასე გრძელდება შემდეგშიაც.

XIV საუკუნეში ცხრაშემის ერისთავ ქვენოუნვევლის ერთ-ერთი (საშუალო) ძმა იოვანე „მარად იყვის წინაშე მეოისა, რამეთუ იყო მკნე, გოლიათი, ბრძოლათა შინა უძლეველი, განმზრახი ქებული... საკეთრება და თანამზრახველობა მიისი, ვითარცა დიდი შესაძენელი შეერაცხა“ [138. 353]. იოვანე მეფის წინაშემდგომელია, მეფეს კარზე ემსახურება.

კარზე მომსახურე ფეოდალებს რომ მსახური ეწოდებოდათ, ამის დამადასტურებელი დოკუმენტები მრავალია. ერეკლე I განწესებაში შვილებსადმი 1791 წ. წერდა, რომ სამეფოს ნახევრიდან თავადები შეიძლება იახლონ მეფემ და დედოფალმა, ხოლო მეორე ნახევრიდან — უფლისწულებმა [125. II. 525]. დავით ბატონიშვილის სიტყვით. ნოურავი მოვალეა თვალყური ადევნოს. რათა „მეფის ძეთა არაღინ იახლოს სახასოთაგანი თავადი ან აზნაური და ანუ გლეხი მსახურად“ [114. 208]. ასევე იყო საეკლესიო სენიორიებშიაც. კახთა მეფე დავითის (იმამყულიხანის) 1722 წწ. სიგელში აღნიშნულია, რომ რუსთველ ეპისკოპოსს ჰყავს „მსახური აზნაური შვილები“. ეკლესიის მოხელეები [125. II. 391]. ზენონ ალავერდელს 1776 წ. სიგელში ნათქვამია: „... ყმათა დიდებულისა კიორგვისათა და ძველთაგან აზნაური იშვილად კმობილთა და ერთგულთა და თავდადებით მსახურებულთა ჩვენთა და მსახურთა ჩვენთა ბატონის თამაზას...“ [125. III. 905] დიდ ფეოდალთა კარზე შინაყმებად ანუ მსახურებად სუბეასალ ფეოდალთა ყოფნა მრავალი განოკვლევითაა დადასტურებული [191. 272].

2) მსახური ეწოდებოდა დაბალი წარმომობის არათავსუფალ პირს, რომელსაც ვეალებოდა პატრონის პირადი სამსახური. მოლაშქრეობა და მსუბუქი ნატურალური გამოსაღები. ასეთი მსახურები ქმნიდნენ ცალკე წოდებრივ ჯგუფს. როცა საკლთრივ მსახურთა წოდებაზეა საუბარი. ცხადია მხედველობაში არ მიიღება მსახურ-
3. კ. ჩხატარაიშვილი

რი-ფეოდალი, „ეს ელემენტი უნდა გამოვრიცხოთ ასე, ვთქვათ, წმინდა მსახურთა რიგებიდან, როგორც ძნეთი სოციალური წრიდან, რომელსაც მხოლოდ მსახურის ხარისხი და მოვალეობა აკონდა“ [22. 208].

ასეთი მსახური საისტორიო წყაროებში მეტწილად პირდაპირ მსახურად აწოდებული, ზოგჯერ სხვა სახელით, გვიანდელ ხანებში კი ხშირად გლეხად მოხსენიებულ პირთა შორის იგულისხმება.

მსახურთა როლი ფეოდალიზმის გენეზისა და განვითარებაში

მსახურთა წოდების წარმოშობა უშუალოდაა დაკავშირებული უკლასო, გვაროვნულ-თემური საზოგადოების კლასობრივ საზოგადოებად გარდაქმნასა და სახელმწიფოს წარმოშობასთან.

უკლასო საზოგადოებიდან კლასობრივზე გადასვლის პროცესი საგანგებოდ შეისწავლა ფრ. ენგელსმა თავის ნაშრომში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“. იგივე საკითხია განხილული, ნაწილობრივ, ფრ. ენგელსის ნაშრომში „ანტიდიუტრინგი“. გვაროვნულ-თემური წყობილებიდან ფეოდალურზე გადასვლის პროცესში საფუძველი ჩაეყარა ფეოდალურ სამხედრო ორგანიზაციას. სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესში განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი მსახურებმა, მსახურთა რაზმებმა შეასრულეს. ამ გარემოების გამო, ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციისა და ფეოდალური ლაშქრის სოციალური სტრუქტურის გაგება არასრულყოფილი იქნება, თუ არ განვიხილავთ სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესს.

ვ. ხმელისკის აზრით, უკლასო საზოგადოების ბოლო ეტაპი — ე. წ. «სამხედრო დემოკრატია» სტრუქტურულად გვაროვნულ-თემური საზოგადოებაა, ფუნქციებით კი, ენგელსის შეხედულებით, ესაა სახელმწიფო დემოკრატიული ფორმით («Государство в его естественно следующей за родовым самоуправлением демократической форме»), ანუ როგორც ვ. ლენინი ამბობდა, „ნახევრად-სახელმწიფო“ («Полугосударство»). ასეთ საზოგადოებაში უკვე განვითარებულია ეკონომიკური უთანასწორობა, მაგრამ არაა განვითარებული სოციალური დაყოფა, ხალხი შეიარაღებულია, არაა გამოყოფილი იძულების აპარატი. სამხედრო დემოკრატია ესაა სახელმწიფოს პირველი, ადრეული ფორმა, როცა სახელმწიფო ჯერ კიდევ არ

უპირისპირდება საზოგადოებას [241. 74]. სამხედრო ორგანიზაცია ამ დროს გვაროვნულია. ლაშქარულ გამოდიან ოჯახებისა და ნათესაური კავშირის მიხედვით შედგენილ რაზმებად.

სამხედრო დემოკრატიის პერიოდში საგვარეულო წყობილება უკვე კრიზისს განიცდიდა. გამოყოფილი იყო წარჩინებულები, ხელმძღვანელი ზედაფენა. ამავე პერიოდში არსებობდა პატრიარქალური მონობა. მონებს (ტყვეებს) დასამუშავებლად ეძლეოდათ მიწა და ძინი ვალდებული იყვნენ მოსაეღოს ნაწილი ბატონისთვის მიეცათ. გერმანული პატრიარქალური მონობა შემდეგდროინდელი ბატონყმური ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთ საფეხურადაა აღიარებული. ცხადია, ეს იყო ბატონყმობის წარმოქმნის მხოლოდ ერთ-ერთი გზა.

უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესში სამხედრო ორგანიზაციის, კერძოდ მსახურ-მოლაშქრეთა, როლი შემდეგნაირადაა დახასიათებული: გერმანელებში სამხედრო დემოკრატიის დროს ტომის საქმეებს განაგებდა სახალხო კრება, ტომის საბჭო (წარჩინებულები), ტომის მეთაური („მეფე“, rex) და სამხედრო ბელადი (dux). ხშირად ტომის მეთაური სამხედრო ბელადის მოვალეობასაც ასრულებდა. ტომის ზედაფენის სამეურნეო ძლიერების საფუძველი იყო გამოსაღებები (გადასახადები) — საკუთარი ტომის წევრთაგან და ხარკი — დაპყრობილ ტომთაგან [260. 523]. ტომის მეთაურის ხელისუფლება შეზღუდული იყო, მაგრამ მას მაინც დიდი პრივილეგიები ჰქონდა [260. 514], კერძოდ, ომის დროს მას ხელი მიუწვდებოდა ხელქვეითთა სიკვდილ-სიცოცხლეზე. დიდი გავლენის მქონე „სამეფო“ ხელისუფლება (Neerkönigtum) თანდათან სამემკვიდრეო გახდა და „მეფე“ ნამდვილ მეფედ იქცა.

გვაროვნული წყობილების დაშლისა და სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესში უდიდესი როლი შეასრულა მეფის „მოხელეთა“ და „მზღებელთა“ სამხედრო რაზმმა (Gefolgschaft), რომლის წევრებიც თავდაპირველად მეფის თანატომელები იყვნენ, მაგრამ რომელშიც ტომთა კავშირების წარმოქმნისას სხვადასხვა ტომისა და სოციალური ფენების წარმომადგენლებიც (მონებიც!) შედიოდნენ. მეფის რაზმელები ასაქისა და რანგის მიხედვით რამდენიმე ფენად იყოფოდნენ [260. 514]. ამ რაზმს მეფე პირველ ხანებში ლაშქრობებისა და ძარცვის (მეკობრეობის) საშუალებით, აგრეთვე თანამეტომეთაგან აკრეფილი გადასახადებითა და დაპყრობილ უცხოტომელთაგან აღებული ხარკით ინახავდა [260. 515]. მომდევ-

ნო ხანაში, ფეოდალიზმის გენეზისის პერიოდში რაზმის შენახვის საშუალებად იქცა რაზმელებისათვის ხარკის აკრეფა-წითვისების წყალობა, ხოლო შემდეგ თვით დახარკულ და გამოძღვებ მწარმოებელთა ბოძება.

წარმოშობით არათავისუფალთა და თავისუფალთაგან შემდგარი მეფის სამხედრო რაზმი ადრეფეოდალური სახელმწიფოს დამახასიათებელი ინსტიტუტი იყო («Дружинные отношения являлись неотъемлемой чертой раннефеодального государства») [205. 23]. პირადი სამხედრო რაზმი მეფის ხელისუფლების დასაყრდენი და მისი ძლიერების საფუძველი იყო. ამ რაზმმა საფუძველი ჩაუყარა მეფის ფეოდალურ არმიას, რომელმაც მალე საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში გადაწყვეტი როლი შეასრულა [260. 255. 525]. ანტრუსტიონები (მეფის რაზმელები) და მეფის სხვა არათავისუფალი მსახურები შეადგენდნენ სამეფო კარის ერთ მთლიან ორგანიზმს. მეფის სასახლე (Palatium, aula regia) და მეფის რაზმი ერთი და იმავე ტერმინით (comitatus) აღინიშნებოდა [263. II. 436]. რაზმელის პრივილეგირებულობა კანონმდებლობით იყო გაამტკიცებული: მისი მკვლელი სამმაგ ვერგელდს (სისხლის საფასურს) იხდიდა.

ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ „მშვიდობიან“ პერიოდში მეფესთან რჩებოდა ანტრუსტიონთა მხოლოდ ნაწილი, დანარჩენები კი გაუხატული იყვნენ სოფლებში, სადაც მათ სახლ-კარი, იჯახი და მიწა ჰქონდათ. საჭიროების შემთხვევაში ისინი მეფეს ეახლებოდნენ [286. 261].

მეფის რაზმმა დიდი როლი შეასრულა ფეოდალური საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებაში, იგი, თვითონ არათავისუფალი, გაბატონებული კლასის ჩანასახად იქცა და საფუძველი ჩაუყარა მსახურულ წარჩინებულთა ფენის წარმოქმნას [260. 515]; უკვე სამხედრო დემოკრატიის დროს წარჩინებულებსაც ჰქავდათ საკუთარი რაზმები და მათ რაზმელებსაც — მონებს სოციალური აღზევების საშუალება ეძლეოდათ (დამსახურების: ხელის, გმირობის, ფუნქციის... საშუალებით). ანტრუსტიონები წარმოებენ პროცესში პირადად აღარ მონაწილეობდნენ და საკუთარი ხალხისა და ნადავლის ხარჯზე ცხოვრობდნენ [260. 540].

მეფის «ბანაკის» სისტემამ დიდი როლი შეასრულა ფეოდალური სახელმწიფოს წყობილების ფორმირებაშიც: «Система военных дружин сыграла крупную роль в формировании сословной иерархии, основой развития которой являлась

в средневековом обществе. Дружинная система наложила свой отпечаток и непосредственно на структуру государственного аппарата, способствуя в ряде случаев замене публичноправовых принципов построения этого аппарата частноправовыми. Система военных дружин ускорила формирование политической власти феодалных вотчин» [207. 183].

ანტრუსტიონთა სათავეში იღვა მეფის კარის გამგებელი მოხელე — *major domus*, ანუ *comes palatii* (Hausmeier) [250. I. 594]. რადგანაც ანტრუსტიონები პირადად მეფეს ემსახურებოდნენ, მას ახლდნენ, ომის დროს როგორც შტაბი და ვეარდია, მშვიდობიანობის დროს კი — ამალა, სამეფო საბჭო და სახელმწიფო-ადმინისტრაციული აპარატი, მეფესა და მათ შორის ურთიერთობა ძალაინტიმური იყო და ნათესაურს წააგავდა: ანტრუსტიონები მეფეს გვერდით ცხოვრობდნენ და მისი თანამეინახენი იყვნენ, ხელმწიფე ანტრუსტიონისტვის, ანტრუსტიონი კი ხელმწიფისთვის შურს იძიებდა.

აღსანიშნავია, რომ ზოგ ქვეყანაში, მაგ., ვესტგოთათა სამეფოში ანტრუსტიონს შეეძლო სამსახური მეტოვებინა, ოღონდ ასეთ შემთხვევაში მას ბატონისათვის უნდა დაეპრეტებინა იარაღი და სამსახურის პერიოდში შეტენილი ქონების ნახევარი [224. 177].

კაროლინგების ეპოქაში ანტრუსტიონები ვასალებად იქცნენ [250. I. 594]. ისინი პალატინების რიგებში შედიოდნენ, ე. ი. მინისტერიალიტეტის (ფართო გაგებით) ძირითადად სამხედრო ფუნქციების მქონე ნაწილს შეადგენდნენ. საყურადღებოა, რომ საისტორიო წყაროებში მათ ეწოდებოთ *pueri* (ყრმები), *pueri regis*, *pueri aulici* (სასახლის ყრმები,) შედარებით გვიან აგრეთვე — *vassi*, *vas-salus* [223. 230].

კ. მარქსის სატყვეთ, ფეოდალურ ეპოქაში ანტრუსტიონთა შენახვა გლეხობას აწეა ზურგზე, ფეოდალური მეურნეობის სულეტი პროდუქტს ფეოდალები და მათი ანტრუსტიონები ჰპოვდნენ [2. III. 172].

ასეთია ისტორიული მონაცემები გვაროვნულ-თემურიდან ქლავობრივ წყობილებაზე გარდამავალი საზოგადოებისა და ადრე-ფეოდალური საზოგადოების სოციალური სტრუქტურისა და მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებაში მსახურთა როლს შესახებ.

ისტორიული მონაცემები ამ საკითხზე მეცნიერულად გაანალიზა ფრ. ენგელსმა. მისი სატყვეთ, „სახელმწიფო... განვითარდა მონათესავე ტომთა თემების ბუნებრივად აღმოცენებული ჯგუფები-

დან, თავდაპირველად მხოლოდ იმ მიზნით, რომ თავიანთი საერთო ინტერესები დაეკმაყოფილებინათ (მაგალითად, აღმოსავლეთში მორწყვა) და გარეშე მტრებისგან თავი დაეცვათ“ [5. 175]. ესაა სახელმწიფოს განვითარების პირველი, საწყისი პერიოდი. მომდევნო პერიოდში, როცა საზოგადოება კლასებად დაიყო, სახელმწიფო „ამიერიდან ახალ შიხანს ისახავს, სახელდობრ ძალმომრეობის საშუალებით დაიცვას მმართველი კლასის ცხოვრებისა და ბატონობის პირობები ჩაგრული კლასის წინააღმდეგ“ [5. 175].

„ანტიდიურინგშივე“ ენგელსი უფრო გაშლილად იძლევა ამ დებულებებს: აღამიანთა საზოგადოებაში, მისი განვითარების გარკვეულ, მაღალ საფეხურზე არსებობს საჭიროება გარკვეული ორგანიზაციისა; ისეთ საფეხურზე, როდესაც საზოგადოებისათვის დამახასიათებელია „საზოგადოებრივი კლასების უქონლობა“, „ნიწათმოქმედ თემებში... იმთავითვე გარკვეული საერთო ინტერესები არსებობს, რომელთა დაცვა ცალკე პირებს უნდა დაეკისროს, თუნდაც მთელი საზოგადოების მეთვალყურეობის ქვეშ; შუღლის დაცხრომა, რეპრესიული ზომების მიღება იმის წინააღმდეგ, რომ ცალკე პირმა არ გადააჭარბოს თავის უფლებებს, მორწყვის მეთვალყურეობა, განსაკუთრებით ცხელ ქვეყნებში. ბოლოს, პირველყოფილ, ველურ მდგომარეობაში, რელიგიური ფუნქციები ასეთი თანამდებობის პირები ყოველ ეპოქაში გვხვდებიან პირველყოფილ თემებში... ისინი, რასაკვირველია, ერთგვარად უფლებანოსილნი არიან და სახელმწიფო ხელი სუფლები ჩაინახოს წარმოადგენენ“ [5. 211], შემდეგ, ენგელსის სიტყვით, საწარმოო ძალების განვითარების კვალდაკვალ, ეს თანამდებობანი თანდათან დამოუკიდებელნი ხდებიან, ამას იწვევს ორი გარემოება: 1) თანამდებობათა მემკვიდრეობით გადაცემის წესად ქცევა, რაც ძალდაუტანებლად ხდება და 2) სხვადასხვა ჯგუფებს შორის კონფლიქტთა გახშირების გამო ამ თანამდებობათა მუდმივად არსებობის აუცილებლობა. „საზოგადოებრივი ფუნქციების დამოუკიდებლობა საზოგადოების მიმართ“ თანდათან ძლიერდება და მოხელე ხელშემწყობ პირობებში ბატონად იქცევა, იგი გვევლინება „ხან, როგორც აღმოსავლეთის დესპოტი ან სატრაპი, ხან როგორც ბერძნული ტომის მთავარი, ხან როგორც კელტების კლანის შეფი და სხვ.“ [5. 212]. პოლიტიკურ ბატონობას ყველგან საზოგადოებრივი თანამდებობის შესრულება ედო საფუძვლად“ [5. 212], თანდათან „ცალკე პირები, რომლებმაც ბატონობას მიაღწიეს, გაბატონებულ კლასად შედუღდნენ“ [5. 212].

უკლასო საზოგადოების მაღალ საფეხურზე, სამხედრო დემოკრატიის დროს, ფრ. ენგელსის სიტყვით, არის „მეფე“ და სატომო არისტოკრატია, მაგრამ ეს არ ცვლის წესწყობილების თავდაპირველ, ძირითად ხასიათს [7. 176], რადგანაც ამ პირებს, მათ ფუნქციებს კლასობრივი შინაარსი არ გააჩნიათ. სახელმწიფო ჩნდება, როცა საზოგადოების კლასებად დაყოფა ახალდაწყებულია [7. 147].

როგორც ვხედავთ, ენგელსის მიხედვით, სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორიულ გზაზე გამოიყოფა ორი ეტაპი: I. სახელმწიფოს პირველადი, მარტივი სახე, რომელიც იქმნება უკლასო საზოგადოების განვითარების მაღალ საფეხურზე, სოციალური უთანასწორობის ჩასახვის პირობებში, როცა საზოგადოებას ჯერ კიდევ საერთო ინტერესები აქვს: ამ ეტაპზე სახელმწიფოს აქვს ორი ფუნქცია: 1) სამეურნეო და 2) სამხედრო; II. სახელმწიფოს განვითარებული სახე კლასთა ჩამოყალიბებისა და კლასობრივ წინააღმდეგობათა გაჩენის ეპოქაში. ამ ეტაპზე სახელმწიფოს ზემოაღნიშნულ ფუნქციებს ემატება მესამე — საშინაო (ექსპლუატატორულ-დამორგუნველი).

კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს გაჩენის ზემომოტანილი ვრცელი მიმოხილვა, ცხადია, ჩვენი გამოკვლევის ძირითადი საკითხი არაა, მაგრამ იგი აუცილებელი იყო, როგორც ისტორიული ფონი ფეოდალურ საზოგადოებაში, მის წარმოქმნა-განვითარებაში მოლაშქრეთა როლის თვალნათლივ წარმოსადგენად. ჩვენთვის ამ შემთხვევაში ძირითადია ფრ. ენგელსის შეხედულება კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნაში მეფის რაზმის (trustis, Gefolgschaft) როლის შესახებ. ფრ. ენგელსი წერს: «ერთმა დაწესებულებამ შეუწყო ხელი მეფის ხელისუფლების წარმოშობას: ეს იყო «ბანაკი»* [7. 198]; სწორედ ეს საზოგადოება (მათ შორის «მონები» ყმები — Leibeigene და განთავისუფლებული მონები), რომელთაც მეფე სახალხო მიწებს ჯერ საჩუქრად, შემდეგ კი ბენეფიციუმებად უწყალობებს, ქმნიან ქვეყნის ცენტრალურ ადმინისტრაციას, წარჩინებულთა წრეს, მეფის ხელისუფლების დასაყრდენს [7. 208].

* გერმანულ ტექსტში — Die Gefolgschaften, რუსულ თარგმანში: дружина, ქართულში კი — ლაშქარი. რადგანაც ქართული თარგმანი არაზუსტია (ლაშქარს ამ მნიშვნელობით გვიან, X—XII სს-ში ვხვდებით, თანაც მაშინაც ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობა ზოგადად ქარიზია), ჩვენ იძულებული ვართ ვიხმაროთ ისტორი-

„იმ ხანაში, როცა ყოველი სრულასაკოვანი მამაკაცი ტომში მეომრად ითვლებოდა, ჯერ კიდევ არ არსებობდა ხალხისაგან გამოკალკეებული საჯარო ხელისუფლება, რომელიც შეიძლებოდა წას დაპირისპირებოდა“ [7. 143]. აქედან ცხადია, რომ სახელმწიფოს წარმოშობა უშუალო კავშირშია „ხალხი — ჯარის“ პრინციპით შედგენილი სახალხო ლაშქრის ქრობისა და მოლაშქრეთა ცალკე კასტის გამოყოფის დასაწყისთან. სწორედ ასეთ კასტას, ფეოდალური ლაშქრის ჩანასახს წარმოადგენდნენ მეფის რაზმელები (ანტირუსტიონები).

ფრ. ენგელსის მიერ აღწერილი საზოგადოებები წინაფეოდალური (გვაროვნულ-თემური წყობილებიდან ადრეფეოდალურზე გარდამავალი) საქართველოს თანადროულნი არ არიან (ბერძნები, რომაელები... უფრო ადრეულნი არიან, გერმანელები — უფრო გვიანდელნი), მაგრამ უკლასო საზოგადოებიდან კლასობრივისაგან განვითარების გზა, როგორც სათანადო მონაცემები, პირველ რიგში მეფის ხელისუფლების გაჩენისა და ფეოდალთა კლასის ჩასახვის ამსახველნი, გვიჩვენებს, საქართველოშიაც ისეთივე იყო და ჩვენშიც იმავე ტიპის პროცესს ჰქონდა ადგილი.

ისეთ რეგიონებში, სადაც კლასიკური მონობა არ იყო, ფეოდალიზმი ჩაისახა და განვითარდა სინთეზის გარეშე, „ფეოდალიზმი უალბდებოდა გვაროვნულ-თემური წყობილების ბაზაზე, მეფის ხელისუფლების აპარატის, მისი პალატისა და ბანაკის უძლიერესი ზედავლენით. სწორედ ხელისუფლების მქონე ეს სოციალური ჯგუფები გადადიოდნენ ხარკის აკრეფიდან ხარკისა და სხვა შემოსავალთა ბენეფიციალურ წყალობაზე, რათა შემდეგ თავიანთი პრივილეგირებული მდგომარეობა მიწების წყალობაზე დაეფუძნებინათ“ [236. 32].

ქართული საისტორიო წყაროების მონაცემები თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნა, ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარება ჩვენშიც მეფის სამხედრო რაზმისა და კარის („ბანაკი“, „პალატ-ბანაკი“, „სპა“) აქტიური მონაწილეობით, მისი მეშვეობით მომდინარეობ-

ულად შესაბამისი ქართული ტერმინი: ბანაკი (ან „პალატ-ბანაკი“). აღსანიშნავია, რომ გ. ქიქოძე Gefolgschaft-ის სინონიმურ გამოთქმას — «Ständige Umgebung des Königs» თარგმნის ტერმინით „დარბაზის ერი“ (ფრ. ენგელსი, ოჯახის..., გვ. 182, 1933 წლის გამოცემა), რაც ზუსტია, ოღონდ X და მომდევნო საუკუნეებისთვის და არა ადრინდელი, მეფის ხელისუფლების წარმოქმნის დროისათვის.

და. ს. ჯანაშია აღნიშნავდა, რომ უკვე სტრაბონის დროს „იბერიის მეფეს, აღწერილ სახალხო ლაშქარს გარდა, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იკრიბება, რა თქმა უნდა, ჰყავს სპეციალური რაზმი, უფრო მუდმივი ხასიათისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი უფლება ჰაერში იქნებოდა გამოკიდებული, ვისგან შედგებოდა ეს რაზმი? კონკრეტული ცნობა ამის შესახებ შენახული არ არის. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ნაწილობრივ მონებიც არიან“ [162. II. 191].

რ. არსენიძის დასკვნით „მსახურთა ინსტიტუტი უფრო ძველია, ვიდრე ყმებისა ან გლეხებისა“ [22. 203]. ყველა ის ცნობა, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება წინაფეოდალური და ადრეფეოდალური საქართველოს შესახებ (ადრეფეოდალური ხანის ქართული სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები წინაფეოდალური ხანიდანაა გადმოსული და განვითარებული), თვალაჩინოდ გვიჩვენებს, რომ მსახურთა, პირველ რიგში მეფის რაზმელთა (ანტრუსტიონთა), როგორც სამხედრო ძალის როლი საზოგადოებრივ პროცესში ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც ეს გერმანელთა მაგალითზე ფრ. ენგელსმა აჩვენა. ქართული წყაროების „პალატ-ბანაკი“, „სპა“, „მსახურები“, „მონები“, „ტაძრეულნი“ და ა. შ. თავიანთი ცხოვრობადობითა თუ სპასპეტით ქართული სახელმწიფოსა და ფეოდალური საზოგადოების სათავეებთან იღვწენ და მის ჩასახვა-განვითარებას განაპირობებდნენ, ხელს უწყობდნენ, აჩქარებდნენ.

მოლაშქრე-მსახური — „მონა“

წინაფეოდალური და ფეოდალური ეპოქების საქართველოს ისტორიის ამსახველ წყაროებში ხშირად მოიხსენიებიან მონები. ადრეული ხანისათვის ამ ტერმინის შინაარსი ყოველთვის ნათელი არაა, შუა საუკუნეების მთელ სივრცეზე კი მონა ვეტწილად (და ჩვეულებრივ) იხმარება არა კლასიკური მონის (servus), არამედ მსახურის, ვასალის და საერთოდ ხელქვეითის, მორჩილებაში მყოფის, დამოკიდებულებაში მყოფის მნიშვნელობით.

ქართული წყაროების „მონის“ საკითხმა მკვლევართა ყურადღება ადრევე მიიპყრო. ამ ინტერესს კიდევ უფრო აძლიერებდა სტრაბონის ცნობა იბერიის სამეფოში მოსახლეობის ყველაზე დაბალი ფენის — „სამეფო მონების“ შესახებ. აღსანიშნავია, რომ

დღეისათვის ყველაზე უფრო არგუმენტირებული შეხედულებით, „სამეფო მონები“ გლ ე ხ ე ბ ი ა, შესაძლოა ყ მ ა გ ლ ე ხ ე ბ ი ც (ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი) და, როგორც ჩანს, ისინი „ჩამოშორებული იყვნენ სალაშქრო საქმეს“ [გ. მელიქიშვილი, 115. I. 490]. ეს გარემოება განსაკუთრებით საჭიროს ხდის ქართული „მონის“ რეალური შინაარსის დადგენას.

მ. ბროსემ «ძველი ერისთავთას» ფრაზა «სამოცდაათითა კეთილითა მონითა» ასე თარგმნა: «avec soixante-dix bons serviteurs» [251. 372-3], ე. ი. მონა მს ა ხ უ რ ი ს მნიშვნელობით გაიგო.

ს. კაკაბაძეს ტერმინი „მონა“ ძველსპარსულ „მანია“-დან („სახლი“) წარმოშობილად მიაჩნდა. მან აღნიშნა, რომ „ძველ სპარსულს manya-ს შესატყვისი ადგილობრივი ტერმინი უნდა ყოფილიყო შინა-ური და სახ-ური (მ-ს ახ-ური) ... შინა-ურთა და მსახურთა ინსტიტუტი საგვარეულო წყობილებების ნიადაგზე უნდა იყოს იგანვითარებული თვით სახლის შიგნით“ [77.88—89]. ს. კაკაბაძის აზრით სტრაბონის „ლაოი“ იყვნენ მსახურები, სამეფო „მონები“ [77. 93]. მიუთითებდა რა იმ ფაქტზე, რომ მეზობელ სომხეთში მთავრებს, ნახარარებს და ტანუტერებსაც კი მეფესთან („ტერ“— უფალი) მიმართებაში წარაი ანუ მონა ერქვათ, ს. კაკაბაძე აღნიშნავდა, რომ „მონობა როგორც სომხეთში, ისე ქართლშიც იყო იგივე, რაც დასავლეთ ევროპული servitium, ანუ ვასალის თავის ბატონისადმი დამოკიდებულების გამომხატველი ცნება და ისიც ფართო გაგებით“ [77. 111]. ს. კაკაბაძის შეხედულებით სტრაბონის დროს იბერიაში იყო „ერთიანი მონა-მსახურის კლასი“, ახ. წ. V საუკუნისათვის ეს კლასი დიფერენცირებულია და მსახური ამ კლასის „უფრო პრივილეგიურ მდგომარეობაში მყოფ ჯგუფების“ აღმნიშვნელ ტერმინად ქცეულა [77. 111]. მსახურის პრივილეგირებულობა, ს. კაკაბაძის აზრით, ფეოდალიზაციის პროცესს შედეგია. ამ დროს ჩნდება არაპრივილეგირებული მდამიოც — გლეხი, რომელიც მებეგრეა, და სწორედ ეს გლეხი უდრის ძველ სპარსულ მონას [77. 112]. ამრიგად ფეოდალურ საზოგადოებაში თავიდანვე არათავისუფალ მწარმოებელთა კლასის ორი ფენაა — პრივილეგირებული (დაუბეგრავი) — მსახური და დაბეგრული — გლეხი.

ს. კაკაბაძის დებულება ფეოდალიზაციის პროცესში ძველ დამოკიდებულ მწარმოებელთა კლასისგან („მეფის მონა“) მსა-

ხურთა და გლეხთა წოდებების წარმოშობის შესახებ, როგორც დავინახავთ, ძირითადად სწორად ასახავს ისტორიული პროცესის მიმდინარეობას.

ივ. ჯაფარიძემ, როგორც ჩანს, „მონა“ ამ სიტყვის კლასიკური მნიშვნელობით ესმოდა [160. I. 196—7].

იბერიის სამეფოს IV გენეს („ლაოი“) შესახებ ს. ჯანაშია 1932 წ. წერდა, რომ სტრაბონისეული დახასიათებიდან გამომდინარე, მოსახლეობის ამ ჯგუფის წევრი „უცვე ყმა და არა მონა“ [162. II. 144]. 1933 წ. ს. ჯანაშია წერდა, რომ გარდა სახალხო ლაშქრისა (III გენე), იბერიის მეფეს უნდა ჰყოლოდა „სპეციალური რაზმი“, „რომელშიაც, საფიქრებელია, მონებიც უნდა ყოფილიყვნენ“, როგორც ეს პართიაში იყო [162. II. 191]. აქ შევნიშნავთ, რომ ი. მანანდიანმა დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ პართიის ჯარში მყოფი 10 000 „დულოი“ იყვნენ არა მონები, არამედ „ვასალები ან სერვები ამ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით, როგორც ისინი იხმარებოდნენ ფეოდალური ტიპის სახელმწიფოებში“ [212. 5].

1937 წ. ს. ჯანაშია კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს და აღნიშნა, რომ „ვინც იცნობს ანტიკურ საწყაროსა და მის შეხედულებებს, მისთვის აბსოლუტურად გამორიცხულია შესაძლებლობა, რომ სტრაბონის, თუ მისი წყაროს მეოთხე გენეში ნამდვილი მონები იგულისხმება“ [162. I. 151], „სტრაბონის ცნობაში „ლაოი“ დამოკიდებული ექსპლოატირებული სოფლის „მდაბიო ხალხია“ და არა მონები“ [162. I. 154], ისინი კოლონები [162. I. 150]. ს. ჯანაშიას აზრით „დულოს ძველ ბერძნულში ნიშნავდა არა მარტო მონას, არამედ მსახურსაც, ფეოდალურ ეპოქაში კი დულოს აღნიშნავდა ვასალს, ხოლო დუღეია ფეოდალურ სამსახურს, ვასალის სათანადო ვალდებულებას“ [162. I. 150].

ამავე დროს, სათანადო არგუმენტაციის გარეშე, ს. ჯანაშია აღნიშნავდა, რომ წინაფეოდალური ხანის საქართველოში იყო მონობა, მაგ., იყვნენ სატაძრო მონები [162. I. 155], ასევე მონად (ამ სიტყვის კლასიკური გაგებით) მიაჩნდა მას „სპარსნი ვინმე“, „მონა“, „მონაყოფილი“ ვახტანგ გორგასალისა, რომელმაც ბრძოლაში ისრით დაჭრა ვახტანგი [162. I. 292-3].

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: ს. ჯანაშიას აღრიხედელი (ძირითადი) ნაშრომების დედააზრი საქართველოში მონათმფლობელური ფორმაციის არსებობის უარყოფაა. მომდევნო ხანებში მისი შეხედულებ-

ბის ტრანსფორმაციის მიზეზის გაგებისათვის საყურადღებოა მისივე ჩანაწერი ნაშრომის „საქართველო აღრიხველი ფეოდალიზმის გზაზე“ შესწორების მიზნით: „ფორმაციები, რა უსწრებს ფეოდალიზმს საქართველოში. მონათმფლობელობა. მოკლე კურსი“ [162. I. 303].

გ. მელიქიშვილს შეხედულებით სტრაბონის დროინდელ (და უფრო ადრინდელ) იბერიაში მიწათმოქმედები, უშუალო მწარმოებლები სახელმწიფოს მიმართ მათი ვალდებულებათა მიხედვით ორ ძირითად ჯგუფად იყოფოდნენ: 1) ნატურალური გამოსაღებების გადამხდელნი — „ლაოი“ ანუ გლეხნი და 2) თავისუფალი მიწათმოქმედნი — მოლაშქრენი ანუ ერი [217. 315]. ბოლო დროს გამოქვეყნებულ ნაშრომში გ. მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ ლაოი უფრო ყმა გლეხია [216. 193].

ნ. ბერძენიშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითზე შესანიშნავად დასაბუთა, რომ განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქის საქართველოში მეფის „მონები“ ესაა „შინაური დარბაზის ერი“ [31. VII, 257, 266]: „არიან მონები, რომელთაც საქანდარმო სანცველო საქმე ეკისრებათ და... არიან „მონები“ — მეფის ლაშქარი. მონათაგან ზოგნი ფრიალ დაწინაურებულნი არიან, პატრონის თუ უფლის „გაზრდილნი“ არიან, მისი მისანდონი არიან. მონები ყმებადაც იწოდებიან. ასე რომ მონა სრულიად გარკვეული კატეგორიაა, მაგრამ ფეოდალურ ქვეყანაში იგი პატრონ-ყმური იერითაა შეფერილი [31. VII. 357]. „მონის საქმე იმ თავში იყო სამსახური. ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებისას მსახური, სამსხედროვალდებულებად დაწინაურდა, შვილი და ყმა გახდა (ასე რომ XIII ს-ში მისი სისხელი ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე გლეხისა. მონასაც ამავე სამსახურის საფუძველზე ყმა ეწოდა, თუმცა მონება და მონა ყმობისა და ყმისაგან განსხვავებული, მაინც შერჩა (არჩილმა რომ ტაძრეულები (მსახურები) გაანთავისუფლა, კახეთი უბოძა)“ [31. VII. 259].

ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, „ვეფხისტყაოსნიდან“ ცხადია, რომ „მონა-სპა“ „მეფის კარის ლაშქარია და არა ქვეყნით მოწვეული საპატრონყმო ლაშქარი... მუდმივი ჯარია მეფის კარზე, მეფისა და მისი კარის მცველია, მეფეს ახლავს ნაღირობაში თუ ომში... ეს მონა-სპა მეკობრეობს, ქარავანს ლეწავს“ [31. VII. 263]. ამავედროს „მონა“ სხვა მნიშვნელობითაც იხმარება, — „სოციალურად უმდაბლეს პირსაც ნიშნავს“ [31. VII. 268].

გ. სოსელიამ სპეციალურად განიხილა ძველ ქართულ ძეგლებ-

ში ტერმინ „მონა“ მნიშვნელობა. მან აღნიშნა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ადრეულ ნაწილებში და „ვეფხისტყაოსანშიც“, ასევე XII ს. სხვა ძეგლებში მონა ვასალის მნიშვნელობით იხმარება. ხალხურ შემოქმედებაში მონა მსახურს ეწოდება. მონა ყოველთვის მეომარია [235. 128-130].

ამავე დროს გ. სოსელიას მაჩინდა, რომ „XI—XIII სს. საქართველოს ისტორიულ წყაროებში, და კერძოდ ვეფხისტყაოსანში მონა — შინამსახურნი სწორედ ეგვიპის და ოღისეის სხვა საყვარელ სახლეულებს გვაგონებს. ასეთი მონები შემდეგშიაც იყვნენ, მაგ., XIX საუკუნის მეგრელი „დოღმახორე“ [117. 51]; „ქართული მონა — შინა-მსახური, სახლეული წარმოადგენს შინაური პატრიარქალური მონობის ნაშთს, მონობის ისეთ სახეს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ყველა ხალხში გვაროვნული წყობილებას, პირველყოფილი თემის დაშლისა და კლასობრივი საზოგადოებას ჩამოყალიბების ხანაში“ [117. 50].

გ. სოსელიას შეხედულებებში სწორ დებულებებთან ერთად (მონა-მსახური — მეომარი, მისი წარმოშობის დრო...) არის განვიტარების გაუთვალისწინებლობით გამოწვეული არასწორი დებულებანიც (XII ს-ის ქართველი „მონა“ — მსახური პომეროსის დრონდელი ისტიტუტის ნაშთი). გ. სოსელიამ არ გაითვალისწინა, რომ წინაკლასობრივი ეპოქის ტერმინები კლასობრივ საზოგადოებაში შეცვლილი შინაარსით ცოცხლობენ, ხოლო „მონა“ — მსახური ფეოდალურ ხანაში პატრიარქალური მონა კი არაა (მას თავისი სახელი აქვს, თუნდაც „დოღმახორე“), არამედ არათავისუფალი ვასალია, მინისტერიალია, პრივილეგირებულია და მისი პრივილეგირებულობა ზოგჯერ ისე დიდია, რომ ზოგ მკვლევარს იგი ფეოდალიც კი ჰგონია!

„მონის“ მნიშვნელობის შესახებ არსებობს სხვა აზრიც: „ფეოდალურ ერობაში მონა ეწოდებოდა აგრეთვე ვასალის კარზე მსახურ ვასალს და ისინი მონები არ იყვნენ. ვეფხისტყაოსნის მსახურნი მონანი არიან აგრეთვე თავისუფალნი კაცნი, რომელთა მომსახურეობა ჰქონდათ დაკისრებული და მონად იწოდებოდნენ ერთგულობის აღსანიშნავად“. ...ვეფხისტყაოსანში მონა ხშირად არ არის ნამდვილი მონა, არამედ „ყმა“ ანუ რიცარი, უმთავრესად, როცა საქმე მსახურთ და მოლაშქრეთ შეეხება. სიტყვას მონა ფართო მნიშვნელობა ჰქონდა და მით წარტო მონა ვით მონა კი არ აღინიშნებოდა, არამედ ყმაც“. როგორც ვხე-

დავთ, აქ არ არის გათვალისწინებული მსახურის — არათავისუფალი ვაჟალის არსებობა.

საფუძვლიანი დებულება წამოაყენა ქართულ ტერმინ „მონის“ შესახებ ა. ნოვოსელცევიმ. განიხილა რა „მონის“ აღმნიშვნელი ტერმინები ირანულ ენებსა და სომხურ ენაში, მან აღნიშნა, რომ ეს ტერმინები ეტიმოლოგიურად აღნიშნავენ დაკავშირებულს, დამოკიდებულს, და როგორც ჩანს, გაჩნდნენ უძველეს დროს, კლასობრივ ურთიერთობათა განვითარების პერიოდში, როცა თავისუფალი ადამიანი დაუპირისპირდა თავის ანტიპოდს — არათავისუფალს. ეს ტერმინები არადიფერენცირებულია, აღმნიშვნელი ყოველგვარი დამოკიდებულებისა — მონის დამოკიდებულებაა, თუ თავისუფალი ადამიანისა. აქედან ა. ნოვოსელცევიმ გააჩეთა მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა: „დამოკიდებულების ეს დაუნაწევრებელი ფორმა ძალიან არქაულ მოვლენას წარმოადგენს და შემდგომში ვითარდება ფეოდალურ, ან საკუთრივ მონურ დამოკიდებულებად“ [221. 83], იმისდა მიხედვით თუ რა მიმართულებით ვითარდებოდა აღრეკლასობრივი საზოგადოება.

ა. ნოვოსელცევის აზრით, იგივე შეიძლება ითქვას ქართულ „მონის“ შესახებაც: «*мона древнегрузинских памятников — это зависимое лицо разных типов, та самая архаичекская нерасчлененная форма зависимости, которая существовала в долгий период формирования классового общества, для которого еще не было ясно, по какому пути оно пойдет дальше*» [221. 92].

ვახუშტის სიტყვით როქის-სპაში, რომელსაც ჯამაგირი ეძლეოდა, მონები შედიოდნენ [30, 21], ცხადია, აქ მონა კლასიკური გაგებით არაა ნახმარი.

«ვეფხისტყაოსანში» მონა ეწოდება იმასაც, ვინც არის «მსახური სრისა» მეფისა (სტროფი 1505); ნათარგმნ ძეგლებშიც «მონა» და «მსახური» ერთი და იმავე მნიშვნელობითაა, მაგ. ბასილი დიდის «ექუსთა დღეთა»-ს ქართულ თარგმანში იხმარება ბერძნული *μισοσ* და *δ:α:η:θ* ან *ἄμοινοσ*-ს (შინაური მონა, *famulus*) ნაცვლად. თუ გავიხსენებთ, რომ, ვახტანგ VI-ის სიტყვით, გიორგი VIII-ის ტაძრეული იოთამ ზედგენიძე იყო «მონა», ხოლო იოსებ თბილელი გიორგი სააკაძის თანამებრძოლ მსახურებსაც «მონებს» უწოდებს, ცხადი ვახდება, რომ წინაფეოდალური და ფეოდალური ხანის მთელ სივრცეზე «მონა» ნიშნავდა მოლაშქრეს, მსახურს, არათავისუფალს, დამოკიდებულს.

ფეოდალურ ეპოქაში, „მონის“ შინაარსის გაგებისთვის (ანალოგიის, შედარებითი შესწავლის თვალსაზრისით) საყურადღებოა, რომ ევროპული „ვასალი“ კელტური წარმოშობის ტერმინი, მონის აღმნიშვნელი სიტყვიდან მომდინარეობს. დიუკანჟის ლათინურის ლექსიკონის სტატიების servus, serviens, servitium, famulus. დოკუმენტაცია ცხადად გვიჩვენებს, რომ შუა საუკუნეთა ევროპაში მონისა და მსახურის ერთი და იგივე ტერმინით აღნიშვნა ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ამრიგად „მონა“, სახლელის, შინაურის, მსახურის — პატრიარქალური საოჯახო მონის მნიშვნელობით, — ესაა გვაროვნულ-თემური წყობილების ადრეული საფეხურის მოვლენა. წინაფეოდალურ ხანაში მონა — მსახურია, არათავისუფალთა კლასის ზედათენაა, რომელსაც პირადი სამსახური და ლაშქრობა ევალება. ეს სრულიადაც არ გამოირიცხავს, პირიქით გულისხმობს მის კავშირს მიწათმოქმედ მასასთან, გლეხობასთან. ფეოდალურ ეპოქაში მონა მინისტერიალს, მსახურს ეწოდება. არათავისუფალი მოლაშქრეების — მონების რეზერვი გლეხობაა; ადრეფეოდალური უფლის სახლის ხარისხობრივი დაწინაურების, მეფის ტაძრად ქცევასთან დაკავშირებით (ს. ჭანაშია) ჩნდება სახლელის, მსახურის ახალი სახელწოდება — ტაძრელი, მაგრამ შუა საუკუნეთა მთელ სივრცეზე მსახურთა წოდებას კვლავ რჩება „მონის“ სახელი, რაც მის წარმოშობაზე მიუთითებს და ფეოდალებისგან განასხვავებს.

მოლაშქრე-მსახური — „ტაძრელი“

წინაფეოდალურ და ფეოდალურ საქართველოში მსახურთა სამყოფელი, დასაქმების ძირითადი ადგილი იყო მეფის (ფეოდალურ ეპოქაში — ფეოდალებისაც) რეზიდენციები და სადგომები — დომენისა და ფეოდალური მამულების ცენტრები, რომელთაც ადრე ეზო, ტაძარი ან პალატი ერქვა, უფრო გვიან — დარბაზი და სასახლე.

V—X სს. ძეგლებში სიტყვა „ტაძარს“ შემდეგი მნიშვნელობა ჰქონდა: 1) სასახლე, 2) „სახლი სამეუფო“, ანუ სამლოცველო სახლი (ეკლესია) [18. 411]. „აბო თბილელის წამებაში“ (VIII ს.) თბილელი ამირას სამყოფელია „ტაძარი“, რომელსაც აქვს ეზო [140. 13]. როგორც ვარსკენ პიტიაშვის, ისე ამირას ტაძარში მსახურები საქმიანობენ.

„ტაძრის“ მნიშვნელობით შუა საუკუნეთა მთელ სივრცეზე იხმარებოდა „პალატი“. ჯუანშერის თხზულებაში (XI ს.) აღწერილია, რომ როცა ვახტანგ გორგასალი თავს დაესხა კახეთში შეჭრილ სპარსელებს, „შევლო ვიდრე პალატამდე მეფისა. შევიდა კარავსა შინა მეფისასა“ [22.I. 202]. აქ პალატი აღნიშნავს მეფის სადგომს ბრძოლის ველზე, პალატოზა მეფის კარავი. ცხადია, რომ პალატი ამ შემთხვევაში ნიშნავს მეფის რეზიდენციას, თუნდაც აქ რაიმე მყარი ნაგებობა არც იდგეს.

ადრეფეოდალური ხანის ვითარების ამსახველ ძეგლებში საპეფო სადგომს პალატი ეწოდება, მაგრამ იმავე დროს იხსენიება „პალატ-ბანაკი“, როგორც აღაპიანთა გარკვეული კოლექტივი, მეფესთან უშუალოდ დაკავშირებულ მსახურეულ პირთა წრე. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით კონსტანტინე კეისარს აქვს პალატი [139. I. 114], მან ნათელ ილო „ბანაკითურთ“ (ვარ.: „პალატ-ბანაკითურთ“ [139. I. 83]. იმავე ძეგლით, ქართლის მეფე-ღვთოფალთან ერთად „ნათელ-ილეს... ყოველმან პალატ-ბანაკ-პან მათმან“ [139. I. 86].

„პალატ-ბანაკი“ ნინოს ცხოვრებაშიაც (X ს.) იხსენიება: „სიძრავლე წყალობისა გარემოს ბანაკსა და შინაგან პალატსა და ყოველსა ერთა თქუენსა ზედა იყავნ“. ს. ჯანაშიამ ამ ტექსტის მიხედვით დაასკვნა, რომ „პალატისა ქვეშ იფულისხმებიან, ცხადია, მისი პალატის, კარის ხალხი, კარისკაცები, რომელნიც მეფის უახლოესი თანამშრომელნი, მრჩეველნი არიან. ბანაკი კი უნდა აღემატებოდეს სამხედრო პირთ უნდა აღნიშნავდეს, რომელთაც აგრეთვე განსაკუთრებით ახლო აღვილი უჭირავთ მეფესთან ამ სფეროში“ [162. I. 217]. „ბანაკი“ რომ სამხედრო წრეა, ეს კარგად ჩანს სხვა ძეგლებიდანაც. V—X სს. ძეგლებში „ბანაკის“ მნიშვნელობაა: მხედრობა, რაზმი, გუნდი [18. 29], მაგრამ, ვფიქრობთ, ეს მართლ უმალღესი სამხედრო წრე არაა, ესაა ზოგადად მეფის რაზმი. ნინოს ცხოვრების მეტაფორასში „პალატ-ბანაკს“ შეესაბამება „პალატ-მხედრები“, რაც ნათელს ჰფენს „ბანაკის“ შინაარსს [139.III. 35].

ფრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში (X ს.) პალატი და ტაძარი სინონიმებია: „პირ-რა-იწია პალატად..., მივიდა კარსა ტაძრისასა მათისასა“ [124. 251]; „ამირანდარეჯანიანში“ (XII ს.) ნათქვამია: „მოვიდა ხანთა მეფე და დადგა პალატითა“, ხოლო მისი ხელ-ქვეითნი კარვებით დადგნენ [153. 317]. აქ პალატი მეფის დროებით სადგომია (სამეფო კარავი?). თამარის ისტორიკოსთა ნაშ-

რომებში „პალატი“ მეფის სასახლეა [122. II. 124, 140], სადაც იმყოფება „ერი პალატისა“ [122. II. 147]. თამარის დროს, მემკვიდრის სიტყვით, წესიერებით გამოირჩეოდნენ „რომელნიც პალატისა შინა იყვნენ, გინა კარსა ზედა მსახურებად“ [122. II. 149]. „წესი და განგება მეფის კურთხევისა“ (XIII ს.) იუწყება, რომ პალატაში მეფის კურთხევის დროს იმყოფება ლაშქარი, აქაა მეფის ტახტი. როცა მეფეს აკურთხებენ, მას „პირველად დედოფალმან თაყუანი სცეს. მერე-ლა კათალიკოზმან, ჭყონდიდელმან, ათაბაგმან, მანდატურთუხუცესმან, მცქურჭლეუთუხუცესმან და შემდგომად კელოსანთა და უკვლოთა დარბაზის ერთა სრულიად“ [125. II. 53]. „ველმწიფის კარის გარიგებაში“ (XIV ს.) იხსენიება „შინაური დარბაზის ერი“ და „საპატიო დარბაზისელი“ [125. II. 90], რაც იგივე „პალატის ერია“, ე. ი. სხვადასხვა რანგის მინისტერიალიტეტი.

პალატი ერქვა მეფის სასახლეს გვიან შუა საუკუნეებშიც. „ღვთაების გუჯარში“ (1722 წ., კახეთი) ნათქვამია: „პალატთა ჩვენთა“, „საუფლო პალატისა“. „ერისთავნი ანუ დარბაზის ერნი, გინა მთავარნი ანუ მოსაქმენი და მოურნე-გამგენი პალატისა ჩვენისანი თანაგამზრახნი“ [125. II. 375-6]. ერეკლე II-ს „სამეფო პალატი“ ჰქონდა თბილისსა და თელავში [125. II. 400; 297, საბ. 41].

X საუკუნიდან ქართულ წყაროებში სასახლის აღსანიშნავად შემოდის სხვა ტერმინიც — „დარბაზი“. ვახტანგ VI-ის განმარტებით, „დარბაზი მეფის პალატისა ჰქვიან... დარბაზი სამეფოსახლია“ [110. ტიგ და ტლგ]. ამ სიტყვიდანაა, ვახტანგის განმარტებით, ტერმინი „დარბაზობა“, რაც „ბატონის სახლებლად წასვლას“ ნიშნავს [110. ტიგ].

XI ს-ში თბილისის ამირას „სამირაო დარბაზში“ მოსაქმეობდნენ „დარბაზის ყმანი“ [122. I. 299].

„დარბაზის“ როგორც სასახლის აღმნიშვნელი ტერმინის შესახებ XI—XII სს. ცნობები თავმოყრილი და გაანალიზებულია ილ. ანთელავას ნაშრომში [21].

ტაძარში (პალატში, დარბაზში...) მეფესთან მუდმივად მყოფ მსახურეულ პირებს «ტაძრეულნი» ან «ტაძროპილნი» ერქვათ. ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით ტაძრეულნი იგივე «დარბაზის ერია» [30, 22], ანუ «ერი პალატისა». ცხადია, რომ «ტაძრეული» ტაძრის კუთვნილს, ე. ი. სამეფოს, დომენიალურს კი არ ნიშნავს ისევე, როგორც მსახური არ ნიშნავს «სახლის კუთვნილს», არამედ ტაძარში, 4. ქ. ჩხ. რაიშვილი

სასახლის კარზე მყოფს («придворные» და არა «дворцовые»). ტაძრეულნი იყვნენ «ხელისუფალნი (და უჭელონიც, ქ. ჩ.) ტაძრისა და საყდრისა სამეუფოსა წინაშე მდგომელები» [122. II 34], რომელთა ნაწილი, მაღალი სოციალური რანგის და გელის მქონენი, «ტაძრეული აზნაურები» [122. II. 252] იყვნენ, და «უჭელონი», ილ. ანთელავას სამართლიანი განმარტებით, «სამეფო დომენის წვრილი აზნაურები და მსახურები» [21. 157]. აქვე შევნიშნავთ, რომ «გელის» ფლობა პრივილეგირებულობის ერთ-ერთი საფუძველი იყო, მაგრამ მეფის კარზე უხელოდ ყოფნაც, რიგითი ტაძრეულობა დაბალ მდგომარეობას არ ნიშნავდა.

ტაძრეულები როგორც მეფის კარის, მეფესთან მუდმივად მყოფი მსახურეულ პირთა წრე, იხსენიებიან არჩილ მეფის დროს (VII ს.) [122. I. 237], დავით აღმაშენებლის დროს (ნაჭარმაგვეში, სადაც იყო „სადგომო სამეფო“) [122. I. 324], XIII ს. სამცხეში [122. II. 213. 252], XV ს-ში გიორგი VIII-ის კარზე [30. 286], ქართლის მეფის დავით V-ის კარზე (XVI ს.) [30. 286], ქართლის მეფე გიორგი XI-სთან, მისი ირანში ყოფნის დროს, XVIII ს. შიშურულს [30. 483]; ყველა ამ შემთხვევაში ტაძრეულები მოღალატეობის არიან, მეფესთან ერთად იბრძვიან, ისინი არიან „ჩხეულნი ჭაბუკნი, რომელნი სამარადისოდ თანა ყვებოდეს მეფეთა“ [122. II. 450].

ტაძრეულნი თავიდან მხოლოდ არაწარჩინებულნი, არათავისუფალნი იყვნენ. უკვე აღრეფეოდალურ ხანაში ტაძრეულთა რიგებში შევიდნენ არისტოკრატიული წრეების წარმომადგენლებიც. ამის შემდეგ, როგორც დავინახეთ, „ტაძრეულნი“ არაერთგვაროვანი წრეა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, როცა მოკვდებოდა ერისთავი, მთავარი, ხელისუფალი ან ჩინებული აზნაური, ე. ი. უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენელი, „კრმალსა მოარტყმიდა წინაშე მეფისა მსახურთუხუცესი ძესა მის მომკვდრისაჲსა, და დაწერიან ტაძრეულად ანუ სხვა სამეფოთა მსახურებათა შინა ღირსებისაებრ“ [30, 32]. ამრიგად, ტაძრეულთა რიგებს ავსებდნენ როგორც ფეოდალთა, ისე მსახურთა ობლები (აქედან — შათი „გაზრდილობა“). ტაძრეულები შეადგენდნენ მეფის მსახურთა (ფართო მნიშვნელობით) უმაღლეს ფენას [160, II. 35 162. I. 279]. ტაძრეულთა (მსახურთა) პერიოდული მასობრივი აღზევება-გაზნაურება (არჩილის, დავით აღმაშენებლისა და მისი მომდევნო მეფეების, XV—XVI სს-თა მიჯნის მეფე-მთავართა მიერ) ტაძრეულთა საერთო სახეს არ ცვლიდა, ამ წრის არაფეოდალური ელე-

მენტი არ ქრებოდა, გააზნაურებულთა ადგილს გლახთაგან გამო-
სული მსახურები იჭერდნენ.

ტაძრულთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადა-
სხვა შეხედულებებია გამოქმული. ს. კაკაბაძეს მსახურები (ტაძ-
რეულები) მონებიდან წარმოშობილად მიაჩნდა. ს. ჭანაშიას აზრით
„მსახურნი ანუ ტაძრეულნი... არიან პირნი, წარმოშობით, ალბათ,
უმეტეს წილ შემთხვევაში წვრილი ერისაგან (ზოგჯერ ისინი, შე-
საძლებელია, გააზატებული მონებიც ყოფილიყვნენ), რომელნიც
მეფესთან ან დიდ აზნაურის კარზე რაიმე სამსახურს ასრულებდ-
ნენ“ [162. I. 278].

ნ. ბერძენიშვილის შეხედულებით „ტაძრეული“ იგივე იყო,
რაც „დარბაზისერი — დარბაისელი“ და თავდაპირველად
„სრულიად უმაღლეს ფეოდალურ სასოგადო-
ებას არ აღნიშნავდა“ [31. VII. 110]. ნ. ბერძენიშვილი
განსაკუთრებით აღნიშნავდა ტაძრეულს მოლაშქრობას [31. VI.
42—3]. მისი სიტყვით ძველ ქართლში მეფეს ჰყავდა „მო-
ნათა“ ლაშქარი — ტაძრეულნი [31. VII. 51]; დავით აღმაშენებელ-
მა აღადგინა ტაძრეულთა ინსტიტუტი, ძირითადად არაქართ-
ველთაგან [31. VII. 50-51].

ნ. ბერძენიშვილი ფიქრობდა, რომ ტაძრეულებს „კავშირი
გაწყვეტილი ჰქონდათ სასოფლო მეურნეობასთან“ [31. VII. 50-
51], „ტაძრეულნი მართლაც მსახურნი, ე. ი. სასახლისანი არიან,
მაგრამ არა რაღაც მოსამსახურენი, არამედ სამხედრო პირ-
ნი, რომელნიც სასახლეში (ტაძარში) სხვადასხვა საქმეს ასრუ-
ლებდნენ: იყვნენ მეფის ტალანი, გუშაგნი, მესაწოლენი და სხვა
საყანდარმო დავალებათა შემსრულებელნი“ [31. VII. 42-3].

ნ. ბერძენიშვილის მითითება ტაძრეულთა (დარბაზისერთა)
ფუნქციებზე სავსებით ზუსტი არაა (მათ ხელში უნდა ყოფილიყო
არასამხედრო ფუნქციებიც), მაგრამ ძირითადად სწორია: მსახუ-
რულ პირთაგან (მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანნი ---
მღაბიო, წოდებით მსახურები!) იქმნებოდა „მულმივი ჯარი მეფის
კარზე“. ეს იყო შინაური რეაქციისა და ყოველგვარი მოულოდ-
ნელობისაგან თავის დაცვის ერთადერთი საშუალება, სამეფო
ხელისუფლების უსაფრთხოების საიმედო გარანტია. აქედან ცხა-
ლია, რა დიდი უნდა ყოფილიყო ამ სამსახურის სამაგიერო წყალო-
ბა და ტაძრეულთა როლი ქვეყნის ცხოვრებაში. ასეთ შემთხვევა-
ში აუცილებელი ჩანს მსახურულ პირთა, ძირითადად სწორედ
„წინდა“ მსახურთა დაპირისპირება ფეოდალურ არისტოკრატის-

თან. თამარის გამეფების დროს მომხდარი ამბები ამ დაპირისპირების უმაღლესი გამოხატულებაა.

გ. მელიქიშვილის შეხედულებით, ტაძრეულები „თავისუფალი მიწათმოქმედნი იყვნენ და სამეფო მიწაზე ცხოვრობდნენ... სამეფო მიწაზე წაკვეთები მიცემული ჰქონდათ პირობით მეგვიდრეულ მფლობელობაში..., სამეფო მიწების პირობითი მფლობელები იყვნენ... რომლებიც მიწათსარგებლობის სანაცვლოდ ასრულებდნენ რიგ ვალდებულებებს, უმთავრესად სამხედროს“ [115. II. 606-9].

საყურადღებო აზრი გამოთქვა ტაძრეულთა შესახებ რ. არსენიძემ. მისი სიტყვით, ტაძრეულები მსახურები იყვნენ. „ეს მსახურნი პიროვნულ დამოკიდებულებაში იყვნენ თავის პატრონიან, მის კაცებად ითვლებოდნენ და მისადმი განსაზღვრულ სამსახურის გაწევა ევალდებოდათ; ხოლო შამულის მხრივაც იყვნენ თუ არა ფეოდალური ურთიერთობის ფარგალში ჩაყენებული“, არ ჩანს.

„ისინი სხვადასხვა წრიდან შეიძლება ყოფილიყვნენ გამოსულნი, ესე იგი: როგორც თავისუფალი, ისე არათავისუფალი და თვით მონათა წრიდან [22. 205-6]. ტაძრეულის, პალატის ერის, დარბაზის ერის მნიშვნელობით იხმარებოდა სხვა ტერმინიც — „შინაური“, „შინაური მსახური“ [18. 505], რომელიც, შესაძლოა, ამ ტერმინთაგან უძველესიც იყოს, რადგანაც სიტყვა „შინა“, „შინა“ („ოჯახი“ ? ქ. ჩ.) „უძველეს ქართულში, როგორც ეტყობა დაკავშირებული იყო „სახლის“ მცნებასთან, აქედან — შინა-ური. შეიძლება ამიტომ ვიფიქროთ, რომ შინაური არის მონა-ს უძველესი ქართული ექვივალენტი“ [77. 86]. „შინაურნი“ ტაძრეულთა მნიშვნელობით გვიან ხანებშიაც იხმარებოდა. მაგ., თამარის დროს თბილისთან აღლუწზე ქართულ და უცხოელ (დაქირავებულ) მოლაშქრეებთან ერთად იდგნენ „თვთ კარვის კარსა ჯელისუფალნი და შინაურნი“ [122. II. 54]; გიორგი რუსის დამარცხებულმა მომხრეებმა მეფისგან უშიშროების გარანტიად ითხოვეს თამარის მამიდა, კათალიკოსი, მანდატურაუხუცესი და ეპისკოპოსები „შინაური თურთ სახელდებულიო“ [122. II. 54]. ცხადია, რომ „შინაურთა“ შორის რანგობრივი განსხვავება იყო: იყვნენ „სახელდებულნი“ და არასახელდებულნი; როცა დავით VIII-ს მთიულეებში მონღოლები დაესხნენ თავს, „კეთილად ბრძოდეს შინაურნი მეფისანი“ და ხადისა და ხევის მცხოვრებნი

[122. II. 306]. აქედან „შინაურის“ მნიშვნელობა, მისი მოლაშქრეობა ეკვს აღარ იწვევს.

ტაძრეულნი, ფუნქციათა მიხედვით, დასებად იყოფოდნენ. ერთ-ერთ ასეთ დასს, როგორც ნ. ბერძენიშვილმა შენიშნა, მესაწოლენი შეადგენდნენ, მესაწოლენი იყვნენ მეფის სასახლის უშინაგანესი ნაწილის — საწოლის მსახურნი და მცველნი. ფეოდალურ ქვეყნებში „საწოლი“ სახელმწიფო გამგებლობის მნიშვნელოვანი უჯრედი იყო. როგორც სწორად შენიშნა აბ. კიკვიძემ, საწოლი მეფის კაბინეტი იყო [78. 87], იქ მეფე უახლოეს პირებთან ერთად თათბირობდა და უმნიშვნელოვანეს საკითხებს წყვეტდა. საწოლის შტატი სახელმწიფოს გამგებლობაში დიდ როლს ასრულებდა [160. II₁. 185-8]. საყურადღებოა, რომ საწოლის შტატი მსახურთუხუცესის განსაგებელი იყო [160. II₁. 183. 185]. ე. ი. „მსახურთაგან“ შედგებოდა. XIV საუკუნეში მეფის საწოლს ემსახურებოდა მესაწოლეთა 700 სახლი, რომელთაგან რვა გლეხი (მსახური) იყო, დანარჩენები კი აზნაურები [125. II. 84]. საწოლი, კაბინეტის გაგებით, დიდ ფეოდალთა პალატებშიაც ყოფილა. 1669 წ. ერთ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არაგვის ერისთავის მამულში მისულ წილკნელ ეპისკოპოსს „არაგვის ერისთავი და მეუღლე მათი საწოლის კარსა მიეგებნენ... ზელი მოჰკიდონ ცოლქმართა, დორსა და ქეჩაზედ შუა დაიწვიონ, დიდს პატივით დახვდნენ“ [125. III. 548].

ევროპის ფეოდალურ სახელმწიფოებში მეფის საწოლი (camera), რომლის შტატშიაც, სხვათა შორის, მესაწოლენიც (milites camerarii) შედიოდნენ, ფუნქციებითა და აგებულებით ქართული «საწოლის» მსგავსი იყო [263. II. 45. 48—9].

შუა საუკუნეთა საქართველოსთვის დამახასიათებელი იყო მეფის კარის მობილურობა, მისი მუდმივი გადაადგილება, ადგილცვლა სამეფოს ტერიტორიაზე. ამ მოვლენას თავისი ახსნა, პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები ჰქონდა: ჯერ ერთი, მეფე ასეთ პირობებში ახლო იყო სამეფოს ადგილობრივ საქმეებთან, პირადად აკონტროლებდა ხელქვეითთა საქმიანობას, მეორე — ფეოდალური ქვეყნის ეკონომიკური ვითარება (ნატურალური მეურნეობის ბატონობა), გზებისა და ტრანსპორტის განუვითარებლობა და სამეფო კარის სიდიდე, რაც მის მომარაგებას რთულ პრობლემად აქცევდა, უფრო მოსახერხებელს ხდიდა ამ კარის შენახვას სამეფო მამულების ადგილობრივ ცენტრებში ჩადგომის გზით.

ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა სამეფო სასახლეებთან არსებული გეურნეობის დიდ მნიშვნელობას კარის შენახვისათვის: „სრულად წარმოუდგენელია, რომ ამოდენა სახასო ქვეყნებიდან მოსავალი ერთ ცენტრში ეზიდათ. იმისთვის იყო სასახლეები, სადაც მეფე თავისი კარით მიდიოდა“ [31. VII. 114]. XII—XIV სს. სანდო ისტორიული ცნობები სასახლეების მეურნეობათა დიდი ნაშთების შესახებ ნ. ბერძენიშვილს საფუძველს აძლევდა გაეკეთებინა მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა: „აი, ასეთი მეურნეობა, სასაქონლო მეურნეობის პირს მისული, იყო საფუძველი საქართველოს დიდი შემოსავლიანობისა და არა ათი-თხუთმეტი წარმატებული ომი ასი წლის მანძილზე“ [31. VII. 114].

მეფის კარის ასეთი მოძრაობა სასახლიდან სასახლეში (თბილისიდან დიდგორში, გეგუთში, ცხუმში, ანაკოფიაში...) ნათლად აჩვენებს საისტორიო წყაროებში. ამის გათვალისწინებით, ზალხუარი გადმოცემები თამარ მეფის საქართველოს სხვადასხვა მხარეში ყოფნის შესახებ ხალხის ფანტაზიის ნაყოფად აღარ ჩანს.

შუა საუკუნეთა საქართველოში მეფეს ჰქონდა ძირითადი და ღრობითი (სეზონური) რეზიდენციები. ძირითად რეზიდენციას ერქვა „სახლი“. დაჩიბ თბილისი შექმნა „სახლად სამეფოდ“ [122. I. 205]; არაბმა დამპყრობლებმა თბილისი „შექმნეს სახლად საყოფლად თვსად“ [122. I. 250]; ბაგრატ IV „მოიწია... სახლად მათდა ქუთაისის“ [122. I. 290], ქუთაისი იყო მისი „სახლი სამკუთხედელი“ [116. II. 2]; ანისი „ძველ ოდესჲე ბერძენ მეფეთა სახლი და საჯდომი“ იყო [122. II. 6]; დავით აღმაშენებელმა თბილისი „დაუმკვიდრა შვილთა თვსთა... სახლად თვსად“ [122. I. 342]; გულისტანი „იყო სახლი თავადი შარვანისა“ და ა. შ.

სხვა, ღრობით რეზიდენციებს ერქვა „სადგომი“. როცა აღმ. საქართველოს ბარში სელჯუკები ბატონობდნენ და დედაქალაქად ქუთაისი იყო, „იყო... სადგომი მეფისა წალულისთავი“ [122. I. 324]. XII საუკუნეში მეფეთა სადგომები იყო აგრეთვე: გეგუთი (სანადირო სასახლე), მუხრანი (საზამთრო), ნაჭარბაგევი (სანადირო), დიდგორი (საზაფხულო), აგარანი (ტაბახმელა, კოჯორი... — საზაფხულო) და სხვა. ნ. ბერძენიშვილმა XII საუკუნისათვის ქართლში მეფის 16 სასახლე აღწერა [31. VII. 115-6]. თითქმის ყოველ მათგანს ეს ფუნქცია შემორჩა გვიან ზანებაშვილმა. 1634 წ. ერთ საბუთში აღნიშნულია, რომ წელიწადში ერთჯერ მახლობელი სოფლების მაცხოვრებლებს მეფისათვის სამასპინძლო

უნდა მიერთობიათ დიდგორზე [125. II. 214]. სახეცვლილი (დაკნ-
ნებული) სახით ეს სადგომები XVIII საუკუნეშიაც არსებობდნენ.

სავარაუდებელია, რომ ერთიანი სამეფოს არსებობის პერიოდ-
ში მეფის სადგომი იყო ყოველ საერისთაოში. დიდ ფეოდალებს,
ჩვეულებრივ, ორი რეზიდენცია მაინც ჰქონდათ: „ეკავს საჯდომი“
ანუ სასახლე [125. I. 436] — მშვიდობიანობის დროისთვის და
„ციხე“ (ჩვეულებრივ მაღალ ადგილზე — გორაკზე, მთაზე) —
ომიანობის პერიოდისათვის.

სამწუხაროდ, შუა საუკუნეების ქართულ მეფე-ფეოდალთა
სასახლეები (მეურნეობა, აღმინისტრაცია, ნაგებობანი...) ჯერ-
ჯერობით სპეციალურად არავის შეუსწავლია. სწორედ ესაა ერთ-
ერთი მიზეზი იმისა, რომ ფეოდალური საქართველოს ეკონომიკუ-
რი განვითარების დონე, მისი სამეურნეო პოტენციალი დღეისათვის
სათანადოდ შეფასებული არაა. ეს განსაკუთრებით X—XIII სს.
საქართველოზე ითქმის. გვიანი შუა საუკუნეების სასახლეების ნა-
წილი (ბიჭვინტის საკათალიკოსოსი, ე. ი. საეკლესიო), როგორც ფე-
ოდალური სამეურნეო ცენტრები სპეციალურად შეისწავლა ბ. ლო-
მინაძემ [84]. ბ. ლომინაძის ნარკვევი მნიშვნელოვანი წვლილია
ფეოდალური საქართველოს კვლევის საქმეში, იგი შესანიშნავ მა-
სალას იძლევა საერთოდ ფეოდალური ხანის სასახლეების რაო-
ბისა და როლის დასადგენად და რაც ახლა ჩვენთვის მთავარია,
გვიჩვენებს სასახლეს, როგორც მსახურთა დასაქმების ძირ-
თადი ადგილს, მნიშვნელობას.

ბ. ლომინაძის ნაშრომის ძირითადი დებულებები ასეთია: სა-
სახლე ყოველი დიდი ფეოდალის, მისი მეურნეობის აუცილებელი
ატრიბუტია. ფუნქციის მიხედვით სასახლეთა შორის განირჩევა
მთავარი რეზიდენცია ანუ „სამკვიდრო სახლი“ და სხვა სასახლეე-
ბი: საზამთრო, საზაფხულო, სანადირო, „სათამაშო“ და ა. შ. [84.
101]. სასახლე იყო ფეოდალის თითქმის ყოველ მამულში. ამა თუ
იმ მამულში დასაქმებული გლეხები ამ მამულში არსებულ სასახ-
ლეზე იყვნენ მიწერილნი, მის „შემავალს“, „მიმდგამს“ შეადგენდ-
ნენ. სამშემოსავლო დავთრებში ყმა-მამული და შემოსავალი სასახ-
ლეების მიხედვით აღირიცხებოდა, ჩვენამდე მოღწეული დას.
საქართველოს საკათალიკოსო ყმების საბეგრო ნუსხები ამ პრინ-
ციპითაა შედგენილი [84. 102-103]. ეს სხვა დოკუმენტებიდანაც
ჩანს: ლევან I დადიანმა (XVI ს.) წაჩხურის ეკლესიას შესწირა ორი
აზნაური და „ორმოცდათორმეტი მოსახლე კაცი ორ სასახლეთ“
[116. II. 7-9].

სასახლე ფეოდალური მეურნეობის ცენტრი იყო, ფეოდალი ხან ერთ სასახლეში ჩადგებოდა, ხან მეორეში. ამ დროს ხდებოდა სასახლეში დაგროვილი შემოსავლის რეალიზაცია [84. 104; 31. VII. 114]. ყოველი სასახლე იყო ცენტრი მრავალდარგოვანი მეურნეობისა (ყანები, ვენახები, ბალ-ბოსტნები, ჯოგები, სახანძრო სათევზაოები...). ყოველგვარ სამუშაოს ამ სასახლეებში მათი „მიმდგამი“ გლეხები ასრულებდნენ. სასახლის მეურნეობას განაგებდა მოხელეთა შტატი სასახლის მოურავის მეთაურობით [84. 111-21].

განსაკუთრებით საყურადღებო ცნობებია შემონახული XVII—XVIII სს. საერო ფეოდალთა სასახლეების შესახებ. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ლევან II დადიანმა (1611—1657), „სიმდიდრით აღზევებულმან, ჰყო სასახლე იბ(12) ოდიშსა შინა ყოველთა მოწყობილობითა, რამეთუ არა წარიღოს ერთიდამ მეორესა შინა არარამდე საკმარნი ანუ ცხენნი“ [30. 830]. არქ. ლამბერტი აღწერს, თუ როგორ გადადიოდა ლევან II დადიანი ერთი სასახლიდან მეორეში. მისივე მოწმობით, ოდიშში „შემდეგ მთავრისა ყველა დიდებულთ შეტნაკლებ რამდენიმე სასახლე აქეთ და ერთიდან მეორეში გადადიან“ [83. 32].

ასევე გადადიდონენ სასახლიდან სასახლეში წლის განმავლობაში სხვა მეფე-მთავრებიც: „იმერეთის მეფეები, ისევე როგორც გურიისა და სამეგრელოს მთავრები მუდმივ მგზავრობაში იყვნენ“ [222. 485]; ათამდე სასახლე ჰქონდა გურიელს. მისი „მთავარი სასახლე“, „ციხე-დარბაზი“ იყო ოზურგეთი [168. 192]. გარდა ამისა, მას ჰქონდა სასახლეები ბათომში, ჩაქვში, ალამბარში, ჩხენდენას, უჩხობს, ლეხოუჯრში, ნაგოქმარში, ბაილეთში...

მეფე-მთავართა კარის მოძრაობას კარგად გვიჩვენებს თვით სასახლეთა სახელწოდებანი („საზამთრო“, „საზაფხულო“, „სანადირო“...).

იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ მსახურთა (მცველი და სამეურნეო-ადმინისტრაციული მოხელე) რა დიდი რაოდენობა იყო თავმოყრილი და დასაქმებული სასახლეებში; საჭიროა მოკლედ მაინც აღვწეროთ ეს სასახლეები: სასახლეში, გარდა მასზე მიწერილი ყმა-მამულისა, შედიოდა ციხე ან ჭიხური, დარბაზი „ტახტით“, ეკლესია, სხვადასხვა დანიშნულების დიდი და პატარა ნაგებობანი, ბელლები, მარნები, საჯინბო და ა. შ. სასახლეს, ჩვეულებრივ, ერთყა ვალავანი ჭიშკრით (ჭიშკარი თავისთავად საინტერესო გამაგრებული ნაგებობა იყო).

იმერეთის მეფის ერთ-ერთი საზაფხულო სასახლე, ქვეთკირის-შენობა, იდგა ს. ჭალატყეში, მდ. ჩოლაბურის ქვეთკირითვე გამოგრებული ნაპირზე. იქვე იყო „მაღალი სეფა მეფის საგრილობლად“. ჯიხური, საყარაულო კოშკი და სხვ. [88. 18].

XIX ს. დასაწყისში გურიის ერისთავთა ერთ-ერთი სახლის-შვილის — სვიმონის სასახლის კომპლექსი შემდეგი სახისა იყო: ციხე სახლებით, საზაფხულო სასახლე, დიდი ოდა ორად გაყოფილი — მასზედ მიდგმული „სალაროთი“, მოაჯირებითა და ბუხრებით, სხვა ოდები, სასტუმრო სახლი, მოხელეთა სახლი, მოსამსახურეთა სახლი, სამზარეულო, სახაბაზო, საჯინბო, მეღვინისა და ხელოსნების სახლი, ხორბლის შესანახავი ხულა, სხვა ხულა, მარანი კუბრებით, ბელელი, სასიძინდე სახლი, წყლის წისქვილი, 60 ბუკი „სკა“, პურის ყანა, კამეჩები, ძროხები, ღორები და სხვ. [298].

იონა მეუნარგიამ აღწერა დათა გურიელის (ვახტანგ III ვურიელის ვაჟის) სასახლე სოფ. ლესაში: სასახლესთან იდგა სასახლის ეკლესია, იქვე იყო დიდი სასტუმრო „სააზნაურო სახლი“, ძალიან დიდი ზომისა, და მრავალი სხვა შენობა, რომელთაგან სიდიდით გამოირჩეოდა საჯინბო. „სასახლეს განაგებდა კაცი. რომელსაც, რუსთველის თქმისა არ იყოს, მართ ოდენ სახლთუხუცესობა აკლდა. ამის ხელქვეით იყვნენ: მსახურთ უფროსი, ფარემთ-უფროსი, მესტუმრე, მეწდე, მოლარე, მეჯინბე, ბაზიერი, კურძულები, ქეშიკები, მოახლეები, გამდელეები, სხვადასხვა მოსამსახურენი და ერთიც — სასახლის დალაქი.

...დარბაზის ერს შეადგენდნენ თავადნი გუგუნავეები და თავდგირიძეები, დავითის კარის კაცნი და აზნაურნი: ჭყონიები, გიგინეიშვილები, თავართქილაძეები, კომახიძეები — მისნი შინაყმანა.

...დღეში ორი ძროხა იკვლებოდა და ძლიევს ყოფნიდა, იმდენი ხალხი ტრიალებდა სასახლეში“ [93. 341-342].

ზემოთ მოტანილ აღწერაში ერთი რამ იპყრობს ყურადღებას: „დარბაზის ერი“ კარის მსახურეულ პირთა ზედაფენას ეწოდება. ეს დამახასიათებელია გვიანი შუა საუკუნეებისათვისაც.

ათეულობით სასახლე ჰქონდათ მფევე-მთავრებსა და კათალიკოსებს, რამდენიმე სასახლე ჰქონდათ ეპისკოპოსებსა და დიდ ფეოდალებს. ყოველ სასახლეში იყო უამრავი გამგებელი, მოხელე და მცველი (მოურავი, მანდატური, მოხელე, ქეშიკი, „მეციხოვნე“ და ა. შ.). სასახლეში მყოფთა აბსოლუტური უპრავლესობა წოდებით მსახური იყო. სასახლეებში (eu palais) მსახურთა დიდი რაოდენობით ყოფნა აღნიშნა მ. ბროსემ [252. LXXX].

სასახლის მსახურთა („ტაძრეულთა“) ეს დიდი მასა მეფის პირადი სამხედრო რაზმი იყო. საფრთხის შემთხვევაში ყველა — მოურავიდან დაწყებული მეჯინებემდე, ქვემოცემცხოვნიებზე რომ არაფერი ვთქვათ, აწხედრებული და შეიარაღებული, მეფეს მხარში ედგა და ლაშქრად მიჰყვებოდა. სწორედ ეს პირნი წარმოადგენდნენ მეფის „ლაიბგვარდიას“. ყველაზე უფრო ერთგულთა და მისანდობელთა გუნდს. აღსანიშნავია, რომ ეს გუნდი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. ტაძრეულთა სიმრავლეს კარგად გვიჩვენებს შემდეგი ფაქტი: 1100 წ. თურქები მოულოდნელად შემოესიენ ქართლს. დავით აღმაშენებელი „იღგა ნაჭარმაგევს ტაძრეულითა“ [122. I. 232]. (გაიხსენოთ, რომ ნაჭარმაგევი „მეფეთა სადგომი“ იყო ადრეც, მაგ., ბაგრატ III-ის დროს, და გვიანაც, გიორგი III-ის დროს). თურქთა შემოსევა დავითმა „მიწწურის“ (გვიან სალამოს) გაიგო და, ცხადია, ჯარის მოწვევა არ შეეძლო, იგი სასწრაფოდ, „ღამე ყოველ წარვიდა“ მასთან ბყოფი 1500 კაცით [122. I.232]. ცხადია, რომ მეთესთან 1500-ზე მეტი ტაძრეული იყო.

სასახლეთა შემდეგ მსახურ-მოლაშქრეთა საქმიანობის ძირითად ასპარეზს ციხე წარმოადგენდა. ციხის გარნიზონის ძირითად ნაწილს სწორედ მსახურნი შეადგენდნენ („მსახურთუხუცესის კელისა იყვნენ... ციხე-ქალაქთა მცველნი სპანი მეფისანი“) [30. 20]. ამავე დროს ყოველი ციხე, სასახლის მსგავსად, ფეოდალური მეურნეობის ცენტრიც იყო: ციხეზე მიწერილი იყო ახლომდებარე სოფლების მოსახლეობა, „ციხის შემავალი“, რომელიც მეციხოვნეებს სურათით ამარაგებდა და ციხის სამუშაოებს ასრულებდა. ციხის სამეურნეო მოხელეებიც მსახურნი იყვნენ.

თუ ყოველივე ზემოთქმულს შევადარებთ შუა საუკუნეების დას. ევროპის ვითარებას, ჩვენს თვალწინ გაღაიშლება მეტად საინტერესო სურათი, რომელიც საოცრად ემსგავსება ქართულ ისტორიულ სინამდვილეს:

დას. ევროპის ფეოდალურ სახელმწიფოებში მმართველობის ცენტრი იყო მეფის სასახლე: Palatium, domus, curtis regia, aula regia [223. 243] ან მეფის სადგომი: sedes «საჯდომი», villa regia, curtis regia [249. 16]. ამავე დროს curtis განმარტებულია როგორც «familia et domus Prinzevis [263. II. 589]. ზოგჯერ სასახლეს ეწოდებოდა sala, curtis salica, გერმ. Saalhof («ღარბაზი», «ღარბაზის კარი». «ეზო») [223. 243].

ფრანკთა ადრეფეოდალურ სახელმწიფოში მეფის კარი მეფესთან ერთად მუდამ იცვლდა ადგილს, ერთი სამეფო მამულიდან (villa) მეორეში გადადიოდა [261. 24]. კარის მრავალრიცხოვანი შტატი სოციალურად ჰრელი შემადგენლობისა იყო. კარზე იყვნენ როგორც სასახლისა და სახელმწიფო მმართველობის მოხელენი («გელოსანნი»). ისე გარკვეული «ხელის» უქონელი პირები, მეფის მრჩეველნი— «თანაგანმზრახნი», რომლებთან ერთადაც მეფე უმნიშვნელოვანეს საქმეებს წყვეტდა და სამეფო სამსჯავროს სხდომებს მართავდა [223. 229]. კარზე მყოფთა (aulici, palatini) უმაღლესი ფენის წევრთა (seniores, optimates—«წარჩინებულნი», «შინაური სახელდებულნი») შორის იყვნენ მეფის ს ა მ ხ ე დ რ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ი, მეფის მხლებლები, მეფესთან ერთგულების კავშირით შეკრულნი [223. 230]. მეფის კარისა და სამხედრო რაზმის „სოციალურ მასალას მაშინ შეადგენდნენ ფრანკთა საზოგადოებას ა რ ა თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი . . . არათავისუფალი მსახურები . . . მინისტერიალები . . . vassi, pueri («отроки») («ყრმანი») და კომენდაციის გზით სასახლეში შესული («შეწყალებულნი») თავისუფალნიც“ [223. 253].

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში გერმანიის იმპერატორებს არ ჰქონიათ მყარი რეზიდენცია, უფრო სწორად, მათ რამდენიმე რეზიდენცია ჰქონიათ. ძირითად რეზიდენციას ერქვა Hūs — «სახლი», სხვებს კი Pfalz («სადგომი», «სასახლე», სიტყვიდან Palatium). იმპერატორი წლის განმავლობაში სულ მგზავრობაში იყო, ერთი სასახლიდან მეორე სასახლეში, ე. ი. ერთი მამულიდან მეორეში გადადიოდა [261. 24]. როცა მეფე სასახლეში (Pfalz) დგებოდა, მისთვის ვასალებს უნდა ემასპინძლათ (შდრ. «სამასპინძლო»).

რეზიდენციის ზოგადი სახელი იყო Hof («ეზო», «კარი»); რეზიდენციაში შედიოდა გალავნიანი ციხე (Burg), რომელშიაც იმყოფებოდა შენობა საზეიმო მიღებისათვის — Saal («დარბაზი»). აღსანიშნავია, რომ Hof ერქვა მეფის კარზე მყოფ მოხელე-მსახურთა ერთობლიობასაც [261. 34-35]. თუ თავიდან მეფის კარი არათავისუფალთა და მონათავან წარმოიქმნა, რადგანაც ადრეულ ხანებში ს ა მ ს ა ხ უ რ ი თავისუფალი კაცისთვის შეუფერებლად ითვლებოდა, შემდეგ, როცა ვითარება შეიცვალა და მეფის კარის როლი გაიზარდა, კარზე სამსახური ს ა პ ა ტ ი ო საქმედ იქცა [261. 35]. განვითარებული ფეოდალიზმის დროს კარზე წარჩინებულთაგანნიც არიან.

კარზე მყოფ სხვადასხვა რანგის მსახურეულ პირებს ევალებოდათ კარის გამგებლობა, მოხელოება და ც ხ ე ნ ი თ ს ა მ ხ ე დ-

როსამსახური (ზოლაშქრობა). საპატიო სამსახური მსახურს სხვა არათავისუფლებზე მალა აყენებდა. ასეთივე მდგომარეობაში იყო მეციხოვნეც (Burgmann).

ევროპაში სამეფო სადგომები თანდათან სამეფო ქალაქებად იქცნენ [250. XIV, 461]. შუა საუკუნეების ევროპაში მეფის «პალატი» და «ბანაკი» (Königliche Hoflager, Königliche Palast) სინონიმები იყო. ვასალის ერთ-ერთი მოვალეობა იყო სიუზერენს კარზე სწევოდა. ამას Hoffahrt («დარბაზობა») ერქვა [261. 56.] «დარბაზობა» შეიძლებოდა ყველგან, სადაც იყო მეფის სამყოფელი, Hoflager («პალატ-ბანაკი») [250. VIII].

შუა საუკუნეებში სამეფო კარის გადაადგილება ისტორიოგრაფიაში კარგადაა შესწავლილი. ვ. სამარკინის სიტყვით, იმ დროს ცნება „დედაქალაქი“ წეფარდებითი უნაარსის იყო. რომელიმე პუნქტი დედაქალაქად განიღოდა მხოლოდ მეფის კურთხევის დროს. ამ თვალსაზრისით ეს პუნქტები მართლაც სიმყარეს იჩენდნენ, სხვა დროს კი ისინი სხვა რეზიდენციებიდან არაფრით განირჩეოდნენ [229. 61], «სხვა დროს კარი მოძრაობდა იმპერატორთან ერთად, რიგრიგობით ჩერდებოდა მის მრავალრიცხოვან მამულებში» [229. 57—8]. ვ. სამარკინის მიერ შედგენილ რუკაზე «კარლოს დიდის კარის ადგილგადანაცვლება» 70-ზე მეტი «სამეფო სადგომია» ნაჩვენები [229. 62]. ამიტომ, რომ გერმანიის იმპერიის მკვლევრები ამ ქვეყნის გამგებლობას «მოგზაურ მეფობას» (Wanderkönigtum) უწოდებენ [249. 1]. ვ. ბერგესის ნაშრომს, გერმანიის იმპერიას რომ შეეხება, დამახასიათებელი სახელწოდება აქვს — «Das Reich ohne Hauptstadt» — უდედაქალაქო იმპერია.

ძირითად სადგომად მიიწეოდა საზამთრო სადგომი (Winterpfalz) ითვლებოდა [255. 75], როგორც უფრო გამაგრებული და მომარაგებული. მეფის მამულებში მდებარე გამაგრებული სადგომები — „სასახლეები“ ამ მამულების სამეურნეო-ადმინისტრაციულ ცენტრებს წარმოადგენდნენ. სასახლე („პალატი“) დიდი სამეურნეო კომპლექსის ცენტრი იყო, რომელშიც, გარდა მეფის სადგომისა, შედიოდა სასახლის ირგვლივ მდებარე სამეფო მამულები იქ მკხოვრები ნოსახლეობითურთ, ყანები, ბაღ-ბოსტნები, ჯოგები, წიკქვილები, „დაცული“ ტყეები და „სამხეცე“, სათევზაო წყლები და ა. შ. სასახლე იყო მთელი სამეურნეო-სამხედრო და ადმინისტრაციული კომპლექსი, მსახურეულ პირთა და გლეხთა შტატი. სასახლეში იყრიდა თავს მისი ოლქის მთელი სახელმწიფო შემოსავალი.

ეს იყო მეფის უზარმაზარი კარის შენახვის ერთადერთი საშუალება. მთელი სამეფო დომენი ასეთი „სასახლეებისაგან“ შედგებოდა.

სასახლის მსახურთა საერთო, ზოგადი სახელწოდება იყო პალატინი («Palatini-qui in Palatio militant 263. IV. 107). ისინი, როგორც მეფის პირად სამსახურში მყოფნი, მისი უახლოესი პირები, განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ, ხელმწიფე საქმეებს მათთან მოთათბირებით წყვეტდა «Cum Palatinis nostris consilium», [263, IV, 107]. «პალატის ერი», პალატინები (resp. პალადინები) ხელმწიფეს მუდამ თან ახლდნენ, სადაც მეფე იდგა (თუნდაც ნადირობაში ან ბრძოლის ველზე), იქ იყო მისი კარი, იქ იყო ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი.

შედარებითი შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ XI ს. ძეგლში „ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი“ „პალატინის“ მნიშვნელობით იხმარება „პალატისა“ [მრ. რიცხვი — „პალატისანი“, 140. 185].

საყურადღებოა შემდეგი გარემოებაც: ტერმინი „პალატინი“ შუა საუკუნეთა ფეოდალურ ქვეყნებში რომის იმპერიის დროიდან მომდინარეობდა, რომში, დიოკლეთიანესა და კონსტანტინეს რეფორმების შემდეგ „პალატინი“ ერქვა არა მარტო კარის მოხელე-მსახურთა შტატს, არამედ სასახლის სამხედრო რაზმებსაც. სამხედრო ფუნქცია შუა საუკუნეთა პალატინებისათვის იყო.

როგორც ვხედავთ, ფეოდალური საქართველოს ტაძრეულ ელემენტსა და ევროპულ პალატინებს შორის თითქმის სრული იგივეობა იყო. ტაძრეულები — წინაფეოდალურ ხანაში მეფის „ეზოს“, „ტაძრის“ არათავისუფალი მსახურნი, ფეოდალურ ხანაში სახეს იცვლიან, რანგებად იყოფიან. მათ ზედაფენაში წარჩინებულთა (თავისუფალთა, „აზნაურთა“) წარმომადგენლებიც შედიან, ძირითადი მასა კი არათავისუფალი ვასალები, მსახურები იყვნენ. ტაძრეულთა სამხედრო-მსახურული (ადმინისტრაციული) წრე მეფის ხელისუფლების დასაყრდენი იყო, ტაძრეულნი იყვნენ „მოურნე-განჰევი პალატისა მეფისანი, თანაგამზრახნი“ [125. II. 360].

როგორც ივ. ჯავახიშვილმა და ნ. ბერძენიშვილმა აჩვენეს, შუა საუკუნეების საქართველოში ზოგჯერ ტაძრეულთა მნიშვნელობით იხმარებოდა „სპა“ და „ლაშქარი“ (ამავე დროს ამ ტერმინებს სხვა, უფრო ვრცელი და ზოგადი მნიშვნელობაც — „ჯარი“ — ჰქონდათ).

დავით აღმაშენებლის დროიდან ტაძრეულთა ცენტრით მეფის

კარზე იდგა მცველი ჯარის — „მონა-სპის“ 5000-იანი კორპუსი. „მონა-სპაში“ შემავალ მოლაშქრეთა უმრავლესობა წარმოშობით არაქართველი იყო: ზემოტიანის სიტყვით „მონანი... ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი“ იყვნენ [122. I. 337]. მონათა კორპუსის მხედრები იყვნენ „რჩეულნი და განსწავლულნი... მისანდონი და გამოცდილნი სიმხნითა“ [122. I. 337].

„მონა-სპა“ მეფის მცველი კორპუსი იყო. „მონები“ მეფესთან ახლო ურთიერთობაში იყვნენ. როგორც ჩანს, ისინი სწორედ დავითის მიერ იყვნენ „რჩეულნი და განსწავლულნი“. თუ როგორ აფასებდა ამ მონებს დავითი, კარგად ჩანს შემდეგი ფაქტიდან: ერთხელ, როცა დავითის 15 რჩეული მონა საფრთხეში ჩავარდა, 100 თურქის წინაშე მარტო აღმოჩნდა, მეფე თავის მხედრებს („სპას“) არ დაელოდა და მარტო გაეშურა მონათა საშველად. მემბტიანე ამბობს, დავითი „აშორვიდა სპათა თვსთა და უკეთუმცა მათდა ცნობად წასულიყო, მონათა და უჯოცდეს“-ო [122. I. 350]*.

ზემოთ უკვე ნაჩვენები იყო, თუ ვინ არიან (მთელი შუა საუკუნეების სიგარძეზე) ტაძრეულები. ცხადია, რომ მონა-სპის ტაძრეულად გამოცხადება [31. VII. 49-52] მართებული არაა. დავითის დროს შექმნილი „მონა-სპა“ თაპარის დროს გაქრა, ტაძრეულები კი არ გამჭრალან.

მსახურთა სოციალური (კლასობრივი) სტატუსი

მსახურთა წოდება იმდენად რთული ბუნებისა იყო, ისე მრავალფეროვანი იყო მისი შემადგენლობა და იმდენად თავისებური — სოციალური ფუნქცია, რომ საკითხი, თუ რომელ სოციალურ ჯგუფს, რომელ საზოგადოებრივ კლასს მიეკუთვნებოდნენ მსახურები, სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე სადავოდ რჩება. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი სხვა სოციალური ჯგუფის რაობის განსაზღვრას არ გამოუწვევია აზრთა ასეთი სხვადასხვაობა. არსებული შეხედულებანი ძირითადად სამია: 1. მსახური გლეხთა კლასის პრივილეგირებული ნაწილია, 2. მსახური გარდამავალი ფენაა, საშუალო ადგილზე მდგომ გლეხსა და ფეოდალს შორის

* „მონა-სპის“ შესახებ დაწერილებით იხ. სტატია „უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში“, ვვ. 163—165 (კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, 1966).

და 3. მსახური გაბატონებული კლასის ნაწილია, ფეოდალია. სამივე ამ შეხედულებას ჰყავდა და ჰყავს თავისი დამცველები.

XVII საუკუნეზე უფრო ადრინდელ ქართულ თუ უცხოურ წყაროებში მსახურის კლასობრივი კეთნილების შესახებ კატეგორიულად გამოთქმულ აზრს ვერ ვხვდებით (თუმცა უამრავი ცნობაა, რომელთა გაანალიზება სათანადო დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა), მომდევნო პერიოდში კი ამაზე პირდაპირი მითითებები გვაქვს. განსაკუთრებით საყურადღებოა ი. თბილელის ცნობები გიორგი სააკაძის მსახურთა შესახებ. სააკაძეს მუდამ თან ახლდა მის უერთგულეს ვასალთა მცირე, მაგრამ სახლო და ძლიერი რაზმი, რომელშიც აზნაურები და მსახურები შედიოდნენ. გიორგი თავის ერთგულ პირებს აწინაურებდა, ერთგულების სტიქულს აძლევდა. სწორედ ასეთ პირებზე ააქმევენებს ი. თბილელი გ. სააკაძეს:

„ვისაც რომ კარგი შეეძუვი, კ ა ც ო ბ ი ს ქონდა ხალისი,
ცხენ-იარალით შევამკვი, ძველი ქმნას მან ახალისი,
დღეს ერთი აღმოვაჩინი, მოვქაზში, მერმე ხვალ ისი.
კაცობის სწავლას ეტრფოდის, ვით ოქრო დაეხალისი“ (სტრ. 347).

ი. თბილელი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ გიორგი სააკაძის მხლებელნი არ იყვნენ დიდგვარნი (სტრ. 256). „გიორგის ყმები“ (მსახურები) მისი „ზრდილნი“ („გაზრდილნი“) იყვნენ (სტრ. 117). გიორგი მათ აძლევდა ცხენ-იარალს, ასწავლიდა სამხედრო საქმეს, აქცევდა მათ „კ ა ც ე ბ ა დ“ (ეს ტერმინი შუა საუკუნეთა ქართულ ძეგლებში ვასალის აღმნიშვნელად ჩანს უ პ ი რ ა ტ ე ს ა დ, ზოგადად კი ზელქეითს, დამოკიდებულს აღნიშნავდა; ეკონომიკურად და სოციალურად დაწინაურებაც „კაცად ქცევად“ იწოდებოდა). მსახურები პატრონის სამსახურით იძენდნენ ქონებას, მიწას, გლეხებს, სახელს და სახელოს, სამაგიეროდ ისინი მწყალობელი პატრონისათვის იყვნენ „თავდადებულნი“, „თავწამებულნი“, „თანახლებულნი“ და „განუყრელნი“. მსახურები გ. სააკაძეს ძირითადად მოლაშქრეობით უწყევდნენ სამსახურს; ისინი იყვნენ „მარჯვენი“, „მტრის კარგა მცემელნი“, ომში პატრონის „წინგამძღოლნი“ და ამავე დროს „კეკუის მქონენი“, რომელთაც პატრონი გასაჭირის დროს რჩევას ეკითხებოდა, ეთათბირებოდა; ირანს მიმავალი გ. სააკაძე მსახურებს მოეთათბირა, თუ რომელი გზით წასულიყვნენ (სტრ. 121). თუ რა მნიშვნელობა ჰქონდათ გიორგის „ყმებს“, როგორც სამხედრო ძალას, კარგად ჩანს არჩილის სიტყვებიდან, რომ მარტყოფის ბრძოლაში მტრის ბანაკში სააკაძესთან მყოფმა მისმა ოთხმა „ყმამ“ ქართულთა გამარჯვებაში უდიდესი როლი შეასრუ-

ლა: გიორგიმ ამ „ოთხით კაცი თა ესე ქნა, რას ვეჭვ, იქ მოდა ასითა“ [23. II. 69].

„დიდმოურავიანში“ შესანიშნავადაა ნაჩვენები გიორგი სააკაძის ყმების, როგორც პროფესიონალი მეომრების, მნიშვნელობა პატრონისთვის. როცა გიორგის წავყვიდან გაქცევა მოუხდა, იგი უიარალო, შეუკანძავი და უქონელი იყო, ნოსტედან მან მხოლოდ ცოლშვილის წაყვანა მოასწრო, მაგრამ გზაში გამოიჩვენა, რომ „ცოტა რამ ყმათ წამოელო ოქრო თვალმურასიანი“ (სტრ. 113). გაქცევისას მსახურ პაპუნა ჩივამდეს ემარჯვა, ჯაჭვის ჩაცმა მოესწრო და ერთი სხვა ჯაჭვი და შუბიც გაეტაცა; იგი გზაში დაეწია უაბჯროდ გაქცეულ პატრონს და ჯაჭვ-იარაღი გადასცა (სტრ. 119). როცა სააკაძე იმერეთიდან დაბრუნდა, მსახურმა ინაშვილმა მას ნახშირგორის ციხე გადასცა (სტრ. 248); სააკაძის მსახურთა დიდი ნაწილი პატრონის სამსახურს შეეწირა.

ყოველივე ზემოთქმულიდან კარგად ჩანს, თუ რას წარმოადგენდა მსახურთა წოდება: ესენი იყვნენ საგანგებოდ აღზრდილი და გაწვრთნილი პროფესიონალი მეომრები, რომლებიც რჩევითა და საქმით ემსახურებოდნენ პატრონს და ამ საპატიო სამსახურის საშავიეროდ მისგან წყალობას (მიწა, ქონება, სოციალური აღზევება...) ლებულობდნენ. და აი, ასეთ პირებს ი. თბილელი „მონებს“ უწოდებს. „ექვსი ყმა შემომეყარა, მარჯვე და ჩემი ზრდილია“, აღნიშნავს გიორგი (სტრ. 117) და როცა აღწერს ამ ყმათა სადილობას, „მონათა ჰამეს პურია“-ო,—განმარტავს იგი (სტრ. 127). რომ ეს „ყმები“ იგივე „მონები“ — მსახურებია, ეს გარკვევითაა ნათქვამი გ. სააკაძისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის განჩინებაში [116. II. 55-7. 61]. საყურადღებოა, რომ ვახტანგ VI იოთამ ზედგინიძეს, რომელიც, როგორც ჩანს მეფის მესაწოლე ან ქეშიცი იყო და პატრონს თავი შესწირა, „ერთგულ მონას“ უწოდებს [117. 21]. შესაძლოა ეს იოთამის სოციალურ წარმოშობაზე მიუთითებდეს.

მსახური გლეხია არჩილის სიტყვითაც. იგი თეიმურაზ I-ს ათქმევინებს, რომ მალაროსთან ბრძოლის დროს (როცა თეიმურაზი როსტომს ებრძოდა)

„ორი ქისიყელი კაცი, მსახურები რომ იქ იყვნენ,
გონასა მანგოსაშვილი, ერთად მსროლნი არ გაიყვნეს.
გლეხნი იყვნეს, მაგრამ იმ დღეს დარბაისლადც კმა იყვეს,
იმ დღეს იმდენს მეომართა პირი მართ იმ ორთ დაუყვეს“ [23. II. 90].

ამავე დროს მსახურს, არჩილისავე ცნობით, პრივილეგიებულობის, ვასალობის ნიშნებიც აქვს: მარაბდის ომის წინ გამართულ

სამხედრო რჩევას მსახურებიც ესწრებოდნენ. ისინი ამ სამხედრო თათბირში მონაწილეობდნენ (ეს ვასალის ნიშანია!) და ომის დაწყებას მოითხოვდნენ (ეს მსახურთა გავლენის მაჩვენებელია) [23. II. 73]. მსახურები თითქოს ყოველთვის პატრონის შეინახებად ჩანან, პატრონის სუფრას უსხედან. მსახურთა თანამშინახეობა, რომელიც ჯერ კიდევ წინაფეოდალურ ხანაში იყო გავრცელებული, როგორც დამოკიდებულობის გარკვეული ფორმა, [239. 39-46], შუა საუკუნეებშიც განაგრძობდა არსებობას. სიუზერენის კარზე მყოფი ტაძრეული ან „სადარბაზოდ“ მისული ვასალი მეფის სუფრას უჯდა [205. 22]. ასე იყო ფეოდალიზმის მთელ სივრცეზე.

მსახურთა გლეხობა აშკარაა თეიმურაზ II-ის სიტყვებიდანაც: როცა ერეკლე ბატონიშვილი (II) შაჰმა ირანს დაიბარა, მას გაჰყვნენ თავადები, მღვდელი, დიკაჯანი...

„კიდევ ახლდნენ მდაბალთაგან მონანი. მსახურები ა.“

პატარკაცი და იოთამ ხანხაძე, გლეხკაცები ა

მგელია ერთი ქართლიდამ, ისიც ამათთან მზღებია“ [56. 103].

ირანს წასულ თეიმურაზ II-საც, მისივე სიტყვით, ეპისკოპოსსა და თავადებთან ერთად, ჰსღებია მსახური გლეხკაცი შათირი შიო ჯანგირაშვილი [56. 102].

საქართველოში დიდხანს მცხოვრები უცხოელის არქ. ლამბერტის სიტყვითაც XVII ს. პირველი ნახევრის სამეგრელოში „გლეხთა წოდებას შეადგენდნენ მსახურები და მოინალები“ (ე. ი. მებეგრე გლეხები) [83. 27].

ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით, როგორც მეფის, ისე „ჩინებულთა“ მსახურები იყვნენ „გლეხთა ძენი“ [30. 18].

გლეხთა კლასის წევრია მსახური ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 204-ე მუხლის მიხედვითაც.

XIX ს. დასაწყისში დავით ბატონიშვილი ასე ახასიათებდა მსახურებს: „იყვნენ გლეხთაგანნი თარხანნი და მსახურნი. თარხანთა გამოემსახურებინათ გვაროვნებითი გათარხნება ხარკისაგან, გარნა არ გამოაკლდებოდნენ ლაშქარ-ნადირობაჲსა, ხოლო ზემოხსენებულნი მსახურნი შთამოძველობით იყვიან მსახურად ქართა ზედა და სასლი მათი არა აძლევდა ხარკსა“ [114. 222].

მუხლში „გლეხთა გაყრისათვის“ [114. 23] დავით ბატონიშვილი მსახურის წილზე ლაპარაკობს. აშკარაა, რომ დ. ბა-

ტონიშვილი მსახურს გლახთაგანად შიიხნევს. აქ მოხსენიებული თარხანი მსახურები სწორედ ისინი იყვნენ, რომლებიც 1803 წ. ცნობით ქართლ-კახეთში 600 კაცამდე იყვნენ და რომელთაც მხოლოდ ლაშქარ-ნადირობა ევალებოდათ [165. II. 288]. მ. დუმბაძის სიტყვით „ესენი იყვნენ გააზატებული და მიწებით დაჯილდოებული გლახები — თავისუფალი მოლაშქრეები“ [50. 394]. თარხან-მსახურთა გარდა ერეკლეს ჰყავდა 400-მდე თოფჩი (არტილერისტი), მაგრამ მათი ნაწილი გლახთაგანი არ იყო.

მსახურის „სიმდაბლე“ კარგად ჩანს დოკუმენტური მონაცემებითაც. მსახური შეიძლებოდა გაეყიდათ [166. 13], გაემზითვით, ფიზიკურად დაესაჯათ. 1795 წ. აზნაურ ქავთარაძის ცოლის ნაწილთვი მსახური სხვა ბატონთან გაიქცა; ახალმა ბატონმა ძველს სათანადო საზღაურს გადაუხადა და მსახური დაიტოვა [181. 106]. 1661 წ. შაჰნავაზმა თბილისის მელიქს უბოძა მელიქის „ნასყიდ ალაგზედ მოსახლე ნასყიდი მსახური და მოახლე“ [297. ს. 114]; 1696 წ. ქართლში შანშე აფხაზმა სულხან ორბელიანს ნასყიდად მიართვა მსახური შიოშაშვილი, რომელსაც ბრალად დაედო ყიზილბაშ ვაჭართა ქარავენის გაძარცვა [116. II. 168]. 1720 წ. ვახტანგ VI-მ დაადგინა, რომ სამუხრანბატონოში „თუ მსახური ბატონს რამეს დაუკარგავს, ის დანაჯარგი აზღვევინონ, მეტს ნუ წაართმევენ, თუ სხვა რამე აწყენინოს მსახურმა ბატონს, სცემონ, დააბან, დარბევით ნუ დაარბევენ“ [296. III. ს. 37]; 1793—1795 წწ-ში ვახტანგ, ზაალ და ლუარსაბ ყაფლანიშვილები უჩივიან ყაფლანიშვილთა სახლის ბატონს ქაიხოსროს. საჩივარში, სხვათაშორის, საყურადღებო ფაქტია აღწერილი მსახურის მდგომარეობის დახასიათებისათვის: „ერთი მსახური იყო, ჩვენი წისქვილში თურმე იყო, სამი ლეკი მიხდომოდა, იმას თოფი ესროლა, ერთი კი წაექცია და ორნი გაქცეულიყვნენ. იმ ლეკის თოფ-იარაღი და თავი რევანს სარდალს მიართვა დმანისს“. რევანს უტყვამს მსახურისათვის — იმ ლეკს ოქროები ექნებოდა და მომიტანეო. მსახურმა შეპტიცა — ლეკს სხვა არაფერი ჰქონიაო. რევანმა „არ დაუჯერა, ჯერ ისე უწყალოდ სცა მრავალი, მერე დაჰკიდა და ისე აცემინა, მერე წნელის ჩრჩოლი გაუკეთა, თავზედ ჩამოაცვა და სოლებით გაუჭედა. ვინ იყო მშველელი და გამკითხველი?“ [116. II. 540-541]; დავით ბატონიშვილის სამართლის (პროექტის) მიხედვით მსახურის სამსახურში დროულად გამოუცხადებლობისათვის („ჟამის წარწყმედისათვის“) დადგენილია: „ვინცა მიცემული ჟამი და დრო, რომელიცა დანიშნენისთ მსახურთა მსა-

ხუბრებისათვის, წარწყმიდოს, მაშინ მალაღნი პატრიარქობითა, ხოლო მდებალნი ჯოხითა განიპატოენენ, ხოლო ხშირად ქმნიდათვის სამსახურიდან აღისპობიან“ [114. 80]; აქ გარკვევით ჩანს განსხვავება მალაღ მსახურთა („სამართალში“ აქ ლაპარაკია მსახურებზე: თავადზე, აზნაურზე და გლეხზე, ე. ი. ნამდვილ მსახურზე) და „მდებალთა“ განსხვავებაზე, — მსახური გლეხთაგანი ფიზიკური სასჯელით ისჯება (რაც ფეოდალისათვის შეუფერებელია). აქვე საყურადღებოა მითითება იმაზე, რომ მსახურობა სპატიოა, მსახურთა რიგებიდან განდევნა სასჯელია. მუხლში „გლეხის აყრისათვის“ ნათქვამია: „იქნებისცა, რომელ გაქცეულჲან მსახურჲან წარუხუნას ნივთი რამმე მებატონესა“, ასეთ შემთხვევაში „ვისთანაც ეს მსახური მივა, ის მებატონე ვალდებულია გაქცეული მსახური წაღებული ნივთით თავის ბატონს მიუბრუნოს“ [114. 23]. მსგავსი ცნობები მრავალია.

მსახურის სოციალური სტატუსის დასახასიათებლად საყურადღებოა შემდეგი ფაქტები:

მსახურის მოვალეობათა ერთობლიობას „მსახურის რიგი“ ეწოდებოდა; მასში შედიოდა: ლაშქრობა, ხადილი ან სამასპინძლო, პირადი სამსახური — თანხლება და შინაყმობა. „რაც მსახურის რიგი იყოს, შინაყმაც ისე მოგაბაროს“-ო, აღნიშნულია XVIII ს. ერთ დოკუმენტში [125. III.936]. გვიან შუა საუკუნეებში მსახური მებეგრე გლეხისაგან განსხვავდებოდა შემდეგი ნიშნებით: 1) მსახური მსუბუქ ნატურალურ და ფულად გამოსაღებს იხდიდა (2 ან 3 წელიწადში ერთჯერ), 2) შრომითი ბეგარის ნაცვლად მსახური მებატონეს პირად სამსახურს უსრულებდა და 3) მსახური ლაშქრობდა. სავარაუდებელია, რომ ადრეულ ხანაშიც მსახურს იგივე ევალდებოდა.

„მსახურის რიგი“ გლეხური, ბატონყმური რიგი იყო. ერეკლე II-ის 1783 წ. ერთ ბრძანებაში ნათქვამია: „ავალაშვილის გივისა იოანეს ყმანი ფოცხვერაშვილები რომ არიან, ... რომელიც ბატონყმობის რიგი არის, ისე მართებულათ უნდა ემსახურონ, დაემორჩილონ. მსახური ზღვებით, მსახურიც უნდა აახლონ, ორთავ განაყოფებს ამსახურონ“ [296. III. ს. 113].

მსახურის მდგომარეობისათვის დამახასიათებელია ის ფაქტიც, რომ ზოგჯერ მისი და მებეგრე გლეხის საბატონო გამოსაღები ერთი ტერმინით აღინიშნება: „რაც გამოსაღები ედოს იმ მამულს, მსახური იყოს თუ მოყალნე, იმგვარი ყალანი

განოართვას მოხელემ“-ო, ნათქვამია 1749 წ. ერთ საბუთში [296. IV. ს. 24].

1777 წ. თირის მონასტრის (ზემო ქართლი) გლეხებსა და თავად თავთაქიშვილებს შორის დავაზე ასეთი განჩინება იქნა დადებული: „რომელიც მეფე სვიმონის (I ?) გუჯარით ორს დღეს წვანა, ორ დღეს მკა და ერთს დღეს, ბარვა თირის მონასტრის სდებიათ. იმ გზით თავთაქიშვილებს უმუშაონ და მსახურიც აახლონ“ [125. V. 25].

1749 წ. მდივნისშვილი მანუჩარ სთხოვდა ერეკლე II-ს: „ჩვენ ორნი ძმანი თქვენს სამსახურში ვიმყოფებით და რაც თქვენი წყალობა ყმა გვყავს „იმათში ძმიანი და სახლკაცნი კომლი გლეხი არავინ იახლავთ, რომ მსახურათ გამოვართვათ... აქ თელავს ერთს ჩვენს ყმის სამი ობოლი იახლავან. წყალობა ვითხოვ... ერთი ოქმი მებოძოს, რომ ერთ-ერთი ძმა მსახურათ გამოვიყვანო“ [296. V. ს. 47]. აშკარაა: მსახური გაჰყავთ გლეხის ისეთი კომლიდან, რომელშიაც, მსახურის გაყვანის შემდეგ, „მუშაკად“ სხვა პიროვნება რჩება.

„ღვთაების გუჯარში“ (კახეთი 1722 წ.) ნათქვამია, რომ რუსთაველის სამწყსოს გლეხებში არიან „კომლნი უმსახურონი“ (ანუ მოყალნენი) და „მსახურნი“ (ე. ი. მსახურის გამომყვანნი) [125. II. 364].

XVIII ს. დასაწყისის საბუთში (ქართლი) ნათქვამია: „ვინც მსახური იახლოს ბატონმა, თავისი გამოსაღები აპატიოს. სათემოს საქმეზე სოფელს ნუ გაეყრები მსახური; მამასაქლისს და თარხანს და მსახურს დალას ნუ სთხოვს“ [295 ა. III ფურც. 155]. სხვა ცნობით, როცა ბატონს გლეხი მსახურად გაჰყავს, ბატონმა მას „უნდა ჩააცვას, დაახუროს, აჭამოს, ასუას“ [295. III. ფურც. 85]. ამ ცნობიდან სავსებით ნათლად ჩანს რომ მსახური სოფლის სხვა მცხოვრებთა რიგში დგას, როგორც მდაბო, ოღონდ პრივილეგირებული.

მრავალი ცნობაა მსახურთა სოციალური კუთვნილების შესახებ XIX ს. შუა წლებში საგლეხო რეფორმის მომზადება-გატარებასთან დაკავშირებით შექმნილ დოკუმენტებში. 1641 წ. შეკრებილი ცნობებით იმერეთსა და გურიაში მსახური გლეხთა კლასში შედიოდა, ოღონდ იდგა «აზნაურებს ქვემოთ და გლეხებს ზემოთ» [113. IV. 358]. 60-იანი წლების ოფიციალური დოკუმენტი გურიაში მსახური პრივილეგირებული გლეხი იყო [299, ფურც. 104-5]; აკაკი წერეთლის სიტყვითაც აზატი გლეხის კომლს მსახურის გამოყვანა ევალებოდა

[141]. 1863 წ. ცნობით მსახური გლეხთა კატეგორია (разряд) იყო; მის შესახებ ნათქვამია: «Мсахური что-то среднее между княжеским азнауром, т. е. дворянином и крестьянином» [113. IV. 382]. იმავე დროს სხვა ცნობით მსახურები ყმა-გლეხთა რიცხვს (крепостное состояние) ეკუთვნოდნენ [133. IV. 94]; 1885 წ. ოფიციალური ცნობით იმერეთსა და გურიაში მსახურები შეადგენდნენ «საბატონო გლეხების განსაკუთრებულ, პრივილეგირებულ კატეგორიას» [230. II. 385]. ასევეა 1866 წლის სადადიანო სვანეთში, ლეჩხუმსა [230. II. 489] და სამეგრელოში [190^ა. 349]; სხვა ცნობით, ქუთაისის გუბერნიაში მსახური არის «высший разряд крестьян» [190^ა. 406]. რაფ. ერისთავის მოწმობით (1865 წ.) სამეგრელოში აზატი «პრივილეგირებული წოდებაა». «азат уже вышел из этого (მებეგრეთა — ქ. ჩ.) разряда и отчасти начинает приближаться к сословию азнаурскому (дворянскому)» [37. 41]. კ. ბოროზდინის სიტყვითაც სამეგრელოში მსახური პრივილეგირებული გლეხი იყო [37. 41]. დიმ. ფურცელაძე 1864 წ. აღმოსავლეთ საქართველოს მსახურთა შესახებ წერდა: «Мсахури, или служители, составляли нечто среднее между дворянством и простым народом. Это по нашему мнению, поселяне, призванные на господскую службу [225]; მისივე სიტყვით «მსახური . . . то же, что азати Азаты (свободный) или служитель (мოსამსახуре), это особый вид крестьянства в западной Грузии» [225]. აქ ყურადღებას იქცევს მსახურის თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ზ ე მითითება — ესაა გ ლ ე ხ უ რ ი გ ა მ ო ს ა ლ ე ბ ი დ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა .

უ. მურიეს სიტყვით სამეგრელოში აზატი (მსახური) «თავისუფალი გლეხი» იყო, ზოგი ვადასახადისგან გათავისუფლებული, ფარეშის გამომყვანი და ბატონის მხლებელი [37. 126—127]; გ. ქალანთაროვის სიტყვით «Служители или мсахури были высший класс крепостных; их можно назвать привилегированными крепостными» [202. 218—219]. ვ. გნილოსაროვის ცნობით (1859 წ.) მსახურები იყვნენ «особый класс крестьян», რომელთაც ლაშქრობა ევალეზობდათ [176. 437]. დიმ. ყიფიანის ცნობით, 1847 წ. გურიაში, სამთავროს არსებობის პერიოდში, გ ლ ე ხ თ ა ნ ა წ ი ლ ი განირჩეოდა «მდაბალი კლასისაგან ქ ო ნ ე ბ რ ი ვ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი თ, დამსახურებით ან მთავრის მეურნეობასთან სიახლოვით, რის გამოც მთავარი საგანგებო დოკუმენტით მათ ათავისუფლებდა ფულადი და ნატურალური გამოსაღებებისაგან. ღებულობდნენ რა მსახუ-

რის წოდებას, ეს პირები წინ იდგნენ გამომღებ გლეხებზე, მაგრამ ვერ აღწევდნენ აზნაურის უპირატესობას. მსახურებს იყენებდნენ შათირებად, მცველებად, ნიშნავდნენ სოფლის ხელოსნებად, სურსათ-სანოვაგის გამგებლებად და ა. შ. ფიზიკური სამუშაო კი მათ არავითარ შემთხვევაში არ მოეთხოვებოდათ» [113. IV. 94]. XIX ს.

60-იანი წლების ოფიციალური ცნობით «Разряд мсахури или дворовые вообще, стоя выше кма, т. е. крестьян и приобретая привилегию эту прямо от своих помещиков, за особенные заслуги или за приметное улучшение своего состояния, обязан давать господину от каждого семейства по одному человеку для прислуги и через год или два платить некоторую подать и угощать помещика» [113. IV. 105].

ყველა შემომოტანილი ცნობა იმ დროსაა შექმნილი, როცა მსახურთა წოდება ჯერ კიდევ არსებობდა და მისი სოციალური არსის, კლასობრივი კუთვნილების დადგენა პრობლემატს არ წარმოადგენდა. ყველა ამ ცნობით XVI—XIX საუკუნეებში მსახურები, ანუ აზატები (ასე ეწოდებოდათ მათ საქართველოს ზოგ მხარეში) ყმა გლეხთა ზედა, პრივილეგირებულ ფენას შეადგენდნენ. მათ შორის საერთო იყო მებეგრე გლეხთაგან განმასხვავებელი ნიშნები — მოლაშქრობა, ბატონის კარზე სამსახური და გლეხურ (ფიზიკურ შრომასთან დაკავშირებულ) ბეგარა-ვალდებულებებიდან გათავისუფლება. საყურადღებოა, რომ არცერთ ცნობაში არაა ნათქვამი, რომ მსახურები როგორც წოდება, ამ დროს, ადრინდელ პერიოდებთან შედარებით სოციალურად დაქვეითებულია. პირიქით, ყოველთვის ხაზგასმულია, რომ ესაა პრივილეგირებული წოდება, რომელიც მებეგრე გლეხთა და აზნაურებს შორის დგას და აზნაურობის აკენ მიისწრაფვის.

მსახურთა წოდების შესახებ ასეთივე აზრისა იყვნენ გვიანდელი ხანის მეკლევრებიც. ილ. ბახტაძის მტკიცებით, აზატი ანუ მსახური იყო «თავისუფალი» გლეხი, რომლის თავისუფლება ზოგი ვადასახადიდან გათავისუფლებაში გამოიხატებოდა: «он был нечто среднее между крестьянином и дворянином, и в этом именно и заключалась привилегированность его положения» [230. I. 230—1]. ალ. ხახანაშვილის მიხედვით მსახური გლეხთა რიცხვს ეკუთვნოდა. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანელ ხალხებში არსებულ

მინისტერიალთა მსგავსად; მსახური გლეხთა სხვა ჯგუფებიდან განი-
რჩეოდა, მაგრამ «ვანსხვაებულნი ეკონომიური ყოფის» უქონლობის
გამო გლეხთა მასას ეკუთვნოდა [150. 20—21]. ამავე დროს ა. ხა-
ხანაშვილს მიაჩნდა, რომ მსახური შედიოდა ვასალი-
ტეტის სისტემაში, «მემაჟულეთა ჯაქვეში» [150.
10]; მისივე სიტყვით «გლეხი» ზოგადი სახელია, რომელიც მსახურსაც
აღნიშნავს [150. 29, 124].

ა. ხახანაშვილის შეხედულებებს არ დაეთანხმა ნ. ურბნელი,
რომელმაც ორიგინალური აზრი გამოთქვა მსახურთა შესახებ. იგი
წერდა: „მსახური, ერთი მხრით, აზნაურზე მცირეა, მეორის —
გლეხს აღემატება. იგი იმათ შუა დგას და თუ აზნაური არ ეთქმის,
არც გლეხოზა შეეფერება (ხახანაშვილი გლეხებში თვლის მსახურს,
გვ. 14) (ბატონყმობა), მაგრამ მე-15 გვერდზე რასაც ამბობს ამის
საწინააღმდეგოა (ნ. ურბნელის შენიშვნა — ქ. ჩ.)სა-
ზოგადოდ სამსახური იყო წოდების შემქმნელი ძალა. მსახურ-
ნიც ცალკე წოდებას შეადგენდნენ და საკუთარი ხე-
ლისუფალნი ჰყავდათ... თუმცა ეს კარგად იცის „ბატონყმობის“
ავტორმა, მაგრამ მაინც მსახურნი საკუთარ წოდებად არ მიაჩნია
და გლეხოზასთან აერთებს, არ ვიცი რად. თუ იმიტომ, რომ
მსახურს გლეხთაგან ირჩევდნენ, ვერაფერი სა-
ბუთია: საქართველოში წოდება კასტას არ ნიშნავდა და გუშინ-
დელი გლეხი შეიძლებოდა ხვალ ან ზეგ აზნაური შექმნილი-
ყო“ [121. 97. 99—100]. როგორც ვხედავთ, ნ. ურბნელის აზრით,
გლეხთაგან განოყვანილი მსახურები ცალკე წოდებას შეად-
გენდნენ.

ივანენკოს აზრით «Ниже младших азнауров, но выше про-
стых крестьян, стояло сословие так называемых служителей
мсахури» [237. 7].

ს. ავალიანმა 1912 წ. ასე დაახასიათა მსახურები: «Верхний,
высший слой крестьянского населения составляют мсахури
(serviteur, ministerial); мсахури среди несвободного низшего
населения занимают привилегированное положение» [164. 60].
ივ. ჯავახიშვილს მსახურთა სოციალური კუთვნილების შესახებ თა-
ვისი აზრი არ გამოუთქვამს. რაკი მისი «ქართული სამართლის ისტო-
რიის» II წიგნის I ნაკვეთი («სახელმწიფო სამართალი») ასახავდა
IX—XIV სს. ვითარებას, მონღოლთა ბატონობის შედეგად მომხდარი
ცვლილებების გაუთვალისწინებლად [160. I, V], ივ. ჯავახიშვილ-

მაღნიშნა, რომ ამ პერიოდის საქართველოს სამეფოში «ცალკე წოდებრივ ჯგუფს შეადგენენ მსახურნი, რომელნიც ერთგვარს და თანასწორუფლებიან გუნდს არ შეადგენდნენ» [160. I. 35]. მსახურებს აზნაურთა შემდეგ და ვაქართა წინ განიხილავდა ივ. ჯავახიშვილი სხვა ნაშრომებშიც, მაგ., საქართველოს X—XV სს. ისტორიის მოკლე მიმოხილვაში [159. 26]. ასევეა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს ივ. ჯავახიშვილისეულ ნაწილშიც. დახასიათება მსახურთა წოდებისა ივ. ჯავახიშვილს არ მოუცია.

ქრ. რაჭველიშვილს მიაჩნდა, რომ ქართულ ფეოდალურ მონარქიაში „მსახურნი — აზნაურებზე დაბლა მდგარი წრე იყო“ [107. 77]; ასევე იყო გვიან, XVIII საუკუნეშიც [107. 106]. მსახური გლეხთაგან განსხვავებული სოციალური ჯგუფია, რომელიც ზოგჯერ აზნაურობამდე აღზევდება, ზოგჯერ კი „საქართველოს საგარეო და შინაური კრიზისის გამო“, განსაკუთრებით მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, ისირად ყმა გლეხის მდგომარეობაში ვარდება, სავსებით გლეხს უთანასწორდება [107. 106].

გრ. გიორგაძის აზრით, „მსახურნი იგივე ყმები იყვნენ“, ოღონდ პრივილეგიებულები, „მათ საშუალო ადგილი ეჭირათ ყმებსა და აზნაურებს შორის“ [42. 76].

ს. კაკაბაძეს მიაჩნდა, რომ მსახურები იყვნენ „პრივილეგიური ყმანი“, „უფრო შემძლებელ გლეხთაგანი“ [70, 12, 15].

ს. ჯანაშიას აზრით, მსახურები ადრეფეოდალური საქართველოში წვრილი ერისაგან, ნაწილობრივ კი ჰონებიდან გამოსული სოციალური კატეგორია იყო [162. II. 229]. „მსახურობა გარდამავალი საფეხური იყო წვრილ ერსა და წარჩინებულთა ანუ აზნაურთა შორის“ [162. II. 230]. ცახუშტი ბაგრატიონის ცნობების განხილვისას ს. ჯანაშია აღნიშნავდა, რომ „მეფის რაზმი იკრიბება სახასო აზნაურებისა და გლეხებიდან, რომელნიც დაკავშირებული არიან უშუალო ფეოდალური და არა მხოლოდ ზოგად ქვეშევრდომის დამოკიდებულებით“ [162. II. 457]. აქ ს. ჯანაშია ამკარად მიუთითებს მსახურის ისეთ სტატუსზე, რაც არათავისუფალ ვასალთა დას შეესაბამება; მაგრამ მსახურს არათავისუფალ ვასალს არ უწოდებს.

მსახურთა შესახებ ზოგადი დებულება აქვს გამოთქმული ნ. ბერძენიშვილს. მისი სიტყვით, „ფეოდალური ურთიერთობის ხანაში საერთოდ მსახურები გარდამავალი საზოგადოებრივ ფენას შეადგენენ. ისინი მიწის-

ნოქმედნი არიან და ამით გლეხებსა ჰკვანან, ხოლო მათი წოდებრივი ფუნქცია აზნაურულია — ლაშქრობა და სამსახური“ [31. II. 54]. მსახურები ესაა „მწარმოებელი კლასის ფენა“, ე. ი. კლასობრივად გლეხი, ოღონდ ცალკე წოდება (Сословие) [169. 2-3, 21].

ვ. ალენის სიტყვით, მსახურები უ ა ზ ნ ო ე ბ შ ი შედიოდნენ. მსახურთა სოციალური ჯგუფი შეიცავდა უფლებრივად და საზოგადოებაში ადგილის მიხედვით დოქტრინარულ კატეგორიებს [245. 327-8]. მსახური, როგორც არ უნდა დაქინაურებულიყო, უ ა ზ ნ ო დ ა ნ უ უ გ ვ ა რ ო დ რ ჩ ე ბ ო დ ა, რ ა ც მ ა ს გ ა ნ ა ს ხ ე ა ვ ე ბ დ ა მსახურული გვარიშვილისაგან [245. 329].

ფ. ჰოლდაკს ქართველი მსახურები (XII საუკუნისა) მიაჩნდა თავისუფალთა კლასად, რომელიც მეფეს უშუალოდ და არა ფეოდალთა (Lehensherren) საშუალებით ემორჩილებოდა [271. 60]. ქართველი მსახურები, ჰოლდაკის სიტყვით, ისეთივე სოციალურ წარმონაქმნს (Bildung) წარმოადგენდნენ, როგორც ე. წ. Gemeinfreie — (თავისუფალი მოლაშქრე, დაახლ. ის, რასაც ნ. ბერძენიშვილი «მდაბიო-მოლაშქრეს» უწოდებდა — ქ. ჩ.). ჰოლდაკის აზრით, XII საუკუნის საქართველოში ფეოდალიზმი განვითარების უმაღლეს სტადიაზე იყო, სახელმწიფო ქონება მსხვილ ფეოდალთა ქონებად იყო ქცეული [271. 65], მეფე არის მხოლოდ «პირველი თანასწორთა შორის». საქართველო ცალკე საფეოდალოთა ჯამია, ლენი მემკვიდრეობითია და ვასალის სიკვდილის შემთხვევაში მეფეს იშვიათად უბრუნდება. ლენი ხელთანაა გაერთიანებული და განვითარებულია იმუნიტეტი [271. 66]. ყუთლუ-არსლანის გამოსვლა ესაა მსახურთა გამოსვლა, დაპირისპირებული ფეოდალთა მძლავრობისადმი (Allmacht) [271. 61].

მეტად საყურადღებო და ორიგინალური აზრია, ლოგიკური დამაჯერებლობა რომ ახლდეს: გამოდის, რომ ფეოდალური განვითარების უმაღლეს საფეხურზე ადრეფეოდალური (და წინაფეოდალურიც!) მძლავრი სოციალური ფენა თავისუფალი მოლაშქრეებისა ისევე არსებობს! თუ ამას დავემატებთ იმ ფაქტს, რომ ე. წ. Gemeinfreie დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ლ უ რ ა დ ა რ ა ა დ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ უ ლ ი (შდრ. «მდაბიო-რ-მო-ლა-შქრე!») და ფეოდალური საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მისთვის ადგილი არცაა [248. I. 180], იგი სამართლის ისტორიკოსთა მიერ ხელოვნურად შექმნილი (გამოგონილი) სოციალური კატეგორიაა [248. II. 212] და განვითარებულ ფეოდალურ საზოგადოებაში მთელი მოსახლეობა ფე-

ოდართა Familia-ს წარმოადგენდა [248. I. 180], ცხადი გახლება, რომ ჰოლდაის დებულება ქართველ მსახურთა თავისუფლების შესახებ ხელოვნური და გაუმართლებელია.

მსახურთა ფენა, ეკონომიკურად და უფლებრივად ქრელი, გლეხთა კლასის ნაწილად მიაჩნია მ. დუმბაძესაც [49. 99-100]. დ. გერტიშვილის სიტყვით „მსახური, უეჭველია, გლეხთა კატეგორიებში თავსდება“ [41. 50]. მ. ბერძენიშვილი იმეორებს ნ. ბერძენიშვილის შეხედულებას მსახურის „გარდამავალ საზოგადოებრივ ფენისადმი“ კუთვნილების შესახებ [35. 94-104]. ა. ბოგვერაძე მსახურთა შესახებ (ადრეფეოდალურ ხანაში) ს. ჯანაშიას აზრს ეთანხმება. მისი სიტყვით, მსახურები შეადგენდნენ „სოციალურ ფენას“, რომელიც განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში დაიშალა, ნაწილი გაგლეხდა, უმეტესობა — გააზნაურდა. გვიანფეოდალური ხანისათვის (ბატონყმობის ხანა) მსახური პრივილეგირებული გლეხია, მსახურები გლეხებიდან გამოდიან, მათ აქვთ როგორც საპატიო, აზნაურული მოვალეობანი — ლაშქრობა და სამსახური, ისევე გლეხურიც — მიწის მუშაობა და ბეგრის გამოღება. მისივე სიტყვით, ადრეფეოდალურ ეპოქაში მსახურები იყვნენ „საზოგადოების ფეოდალური ფენის ერთი გარკვეული, გარდამავალი ნაწილი“ [36. 109]. უფრო გვიან დაწერილ ნარკვევში ა. ბოგვერაძე მსახურის ფეოდალობის შესახებ აღწერს ამბობს [115. II. 150].

მსგავსი დებულება მსახურის ფეოდალობის შესახებ (XIII—XIV საუკუნეებისათვის) წამოაყენა ზ. რატიანმა. მან პირდაპირ დასვა საკითხი — „რას წარმოადგენდა მსახური სოციალურად?“ [106. 107] და სცადა ამ კითხვაზე „ამომწურავი პასუხის გაცემა“; მისი სიტყვით, „ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ ბეჭააღბულას სამართლის წიგნის დეტალური ანალიზის გზით“ [106. 107]. ზ. რატიანის მიხედვით, მსახურები ცალკე წოდებაა, ოღონდ ფეოდალთა კლასისა. მისი სიტყვით, „განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში... მსახური ისეთივე სრულუფლებიანი პატრონია ყმისა, როგორც დიდებული ან აზნაური, ანუ მსახური ეკუთვნის გაბატონებულ კლასს“ [106, 115]. მსახურთა წოდებაში სამი ფენაა და „მსახურთა წოდების სამივე ფენა გაბატონებულ კლასს მიეკუთვნება“ [106. 117].

მსახურები ფეოდალთა კლასის უმდაბლეს ფენადაა გამოცხადებული 1975 წ. გამოქვეყნებულ წიგნში „სსრკ ისტორია უძვე-

ლესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე“ [198. 84]. ნ. ასათიანის მტკიცებით, XVI—XVII საუკუნეების კახეთის სამეფოში მსახურები გლეხთა კლასში შედიან. [116- 13].

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ IV ტომში (1974 წ.) გ. ჯაბურია აღნიშნავს, რომ XVI—XVII სს. ქართლში „მსახურები მწარმოებელთა კლასში შემავალ პრივილეგიებულ ფენას ქმნიან“ [115. 191], მსახური გლეხთა კლასის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა [115. 190].

მსახურთა სოციალური კუთვნილების საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ მის გადასაჭრელად, ჩვენი აზრით, საისტორიო ძეგლთა მონაცემები სავსებით საკმარისია, — გერჯერობით, როგორც დავინახეთ, კვლავ დავის საგნად რჩება. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ მკვლევართა შორის მსახურის საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის არსი იმაში მდგომარეობს — მსახური გაბატონებულ კლასს ეკუთვნოდა, თუ გლეხობას [210. 27]. მისი სიტყვით „მსახურის მოვალეობათა მრავალგვარობა აძნელებს ამ საკითხის გადაჭრას“ [210. 27]. ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე საკითხს, რომელსაც ამ პრობლემასთან უშუალო კავშირი აქვს.

მსახურთა სოციალური სტატუსის ცვლა

მსახურთა წოდება მუდმივ ცვლას, განახლებას განიცდიდა, კერძოდ, შესაძლებელი იყო მსახურის აღზევება, სოციალური დაწინაურება. მსახურის დაწინაურების მთავარი პირობა იყო მისი დამსახურება სანხედრო სარბიელზე, ლაშქარში თავის გამოჩენა. ფეოდალურ საზოგადოებაში, რომელიც მეომრულ ხასიათს ატარებდა, დაწინაურების ძირითადი გზა ყველასთვის — დიდგვაროვანი ფეოდალი იყო იგი თუ რიგითი მოლაშქრე, სამხედრო სამსახური იყო. გრ. ხანძთელის სიტყვით, „მკვდარი ვიდრე წყობასა არა შესულ არნ, ძღვევაჲ მისი სიმრავლესა შინა ლაშქართასა არა საცნაურ არნ, არცა მეფეთაგან ნიჭი შიოლის, ხოლო ვინაითგან ახოვნად გამოჩნდის ძალი ბრძოლისა მისინა ყოველითა ზედა, საცნაურ იქმნას (შდრ. „საცნაური აზნაურის ყმა“) და ნიჭი დიდძალი მინიჭოს სამართლად მეფემან“ [89. 177].

მსახურთა ნაწილის დაწინაურება-აღზევება საქართველოში უკვე ადრეფეოდალურ ხანაში შეინიშნება. ს. ჯანაშიას სიტყვით, მსახურს, რომელიც მეფის ან წარჩინებულის კარზე იმყოფებოდა, „თვითონ ჰქონდა გააზნაურების შესაძლებლობა“ [162. II. 230].

ამის დასადასტურებლად ს. ჯანაშიას მოაქვს ჯუანშერის ცნობა. რომ ვახტანგ გორგასალმა „წარჩინებულ ქმნა მზედარნი, მსახურნი გამოცდილნი წყობასა... შინა“ და მისივე ცნობა, რომ არჩილმა მსახურებს ანუ „ტაძრეულთა მისთა მიღობა კახეთი და აზნაურ ყენა იგინი“ [162. II. 230].

განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქა საქართველოში მსახურთა უდიდესი წარმატების, მათი სოციალური და ეკონომიკური აღმავლობის დროა. ამ ეპოქაში გრძელდება მსახურთა ზედა ფენის გადასვლა ფეოდალთა კლასში, მათი ცდა არისტოკრატიის რიგებში შესვლისა, რაც ძირძველ ფეოდალთა გაათრებულ კოლექტიურ წინააღმდეგობას აწყდება. ყველაზე ხელსაყრელი მოპინტი ასეთი პროცესისათვის იყო დავით აღმაშენებლის ეპოქა, როცა ცენტრალური ხელისუფლება სწორედ ფეოდალთა ზედაფენას დაუპირისპირდა. ამ დროს, როგორც ჩანს, დაწინაურების გზაზე იდგა მეფის ტაძრეულთა და „მონა-სპის“ ერთი ნაწილი. შესაძლოა ერთი ასეთი პირი იყოს მეფისათვის „დიდად ნამსახური“ ნიანია მახორცელისშვილი, რომელიც არაშინის საგამგებლოში (სამთავრო“) ცხოვრობს, მაგრამ არიშინის ყმა არაა, მისი მამული მეფის განსაგებელია [35. 68]. სწორედ ასევე დავითისა და მის ნემკვიდრეთა დროს უნდა იყვნენ დაწინაურებულნი მეფის მსახურთა წრიდან მხარგრძელები, მსახურთუხუცესი აფრიდონი, ამირსპასალარი ყუბასარი და სხვ. მსახურთა დიდი დაწინაურების საუკეთესო მაგალითია აფრიდონი, „უგვარო“, ყოფილი „აზნაურის ყმა“, რომელიც პირადი ღირსება-დანსახურებით „კაც იქმნა“ და მსახურთუხუცესობამდე მიადწია [122. II. 25. 30]. ცხადია, აფრიდონი არ იყო „ყმა“ „გლეხის“ გაგებით.

„ყმა“ შუა საუკუნეთა ქართულ ძეგლებში ჩვეულებრივ ვასალის მნიშვნელობით იხმარებოდა. განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს ე. წ. „ბაგრატ-დავითის სამართალში“. სამართალი აწესებს (§ 148): „თუ უსამართლოდ პატრონმა ყმა გაძარცოს, თორმეტი გლეხი დაუურვოს“;

§ 149: „თუ უსამართლოდ პატრონსა ყმა წაუგადეს, თორმეტი გლეხი შეეკაზმოს“ [125. I. 468].

ცხადია, რომ ის „ყმა“, რომელმაც პატრონს თორმეტი გლეხი უნდა გადაუხადოს (ზოგჯერ ერთ სოფელში ამდენი გლეხი არც იყო!), მებევარე გლეხი („ყმა გლეხი“) არაა, არც ის „ყმა“ გლეხი, რომელმაც პატრონი უხდის 12 გლეხს, იგი ამკარად დიდი ეკონომიკური შეძლების მქონე ვასალია.

ამავე მნიშვნელობით იხმარება „ყმა“ ბექას სამართალშიც. ამავე დროს, ამ სამართლის § 11-დან ცხადია, რომ „ყმა“ შეიძლება დაეწოდებინათ დაწინაურებული გლეხისთვისაც, რომელსაც „პატრონნი იცნობდნენ სიკეთეზედა“. ასეთი „კეთილი“ გლეხის ფასი 1000 თეთრია, ისევე როგორც დამცრობილი მახურისა [125. I. 429]. § 7-ის: „ვისაც ერთმანეთის ყმა ჰყვეს, ან მკვიდრი გლეხი“, ამ ყმისა და გლეხის თანასწორობას არ ნიშნავს, აქ მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ ფეოდალი ფეოდალს თავის (მოდავოს) კუთვნილს ვერც ყმას და ვერც გლეხს ვერ დაუჭერს. დებულება, რომ ამ დროს „განსხვავება გლეხსა და ყმას შორის უკვე გამჭარალა“ [31. II. 49], ზუსტი არაა.

როგორც „ბაგრატ-დავითის სამართალში“. ისე „ბექა-აღბუღას სამართალშიც“ ისეთი შემთხვევებია განხილული, როცა ყმა პატრონს წაუყვა. აქვე ნათქვამია, რომ ეს წასვლა არ შეიძლება მოხდეს უსამართლოდ. ცნობილია, რომ „სამართლით“ ბატონისგან წასვლა გლეხსაც შეეძლო, თუ ბატონი გლეხის მიმართ დანაშაულს ჩაიდენდა, სათანადო მუხლი (95-ე) არც ვახტანგის სამართალში, თუმცა სამართლით გლეხი მიწაზეა მიმაგრებული და პირადად არათავისუფალია. ყმაც თავიდანვე მოკლებული უნდა ყოფილიყო. პატრონისგან წასვლის უფლებაა. ამაში იყო სწორედ მისი არათავისუფლება, არა აზნაურით. ასე რომ ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებში ყმის (არათავისუფალი ვასალის) წასვლის უფლება კი არაა აღნიშნული, არამედ ასეთი პირის წასვლის შესაძლებელი შემთხვევებია განხილული.

გარკვეული სოციალური შინაარსის მქონე ტერმინია „აზნაურის ყმა“. იგი ზოგადად ვასალს არ ნიშნავს. გიორგი III-ის დროის ერთ-ერთი ომის აღწერისას ზემოთაღნიშნავს, რომ „არა დიდებული, არა აზნაური, არა კარგი და საცნაური აზნაურის ყმაცა დაკლებულ იქნა მათ (ქართველთა, ქ. ჩ.) ლაშქართა შინა“, გარდა ორი კაცისაო [122. II. 14]. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „კარგი და საცნაური აზნაურის ყმა“ ესაა დაწინაურებული ყმა გლეხი [160. II. 40]. ლაშა გიორგის დროინდელი მემკვიდრის სიტყვით, თამარის დროს „აზნაურთა ყმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდდეს“ [122. II. 369]. თუ რას ნიშნავდა „აზნაურის ყმა“, ეს კარგად ჩანს ერთი საჩივრის წიგნიდან, რომელიც ს. კაკაბაძის მიერ XIII საუკუნითაა დათარიღებული, მაგრამ ფაქტიურად XIV—XV საუკუნეებისა უნდა იყოს.

ერთი ფეოდალი უჩივის მეორეს, რომ მან (მოპასუხემ) ხელთ

შეიპყრო მოსარჩლის ყმა, რომელიც პატრონთან სამსახურად იყო მოსული. ამას გარდა ეს ფეოდალი, მაჩაბელი (სახელია!), ჩივის: „აზნაურსა ყმა უბოძევი, აზნაურისა ყმები (აქ დოკუმენტი ნაკლულია, ქ. ჩ.)... ყმანი ჩუენი, ერთი — სიძისა ჩუენისა... სდია დასაპყრობლად. ჩუენ ყმანი წამოუვიდეს და ჩუენისა სიძისა შეიპყრა და ცხენისაგან გარდააგდო. მერმე წავიდეშ ამისათუის, თო იგი ჩუენი ცხენი კიდე წამოვიყვანოთ. მერმე რაი ჩუენსა მამულსა შიგან სხუაი აღარ იპოვნებოდა, კაცებს დაუწყო პყრობა, თავსა ასყიდვინებდა. ესრეთი არც ყმა და არც გლეხი არ იპოვების, თომც ყუელაი თავნასყიდი იყო“ [71. 98]. შემდეგ მოსარჩლე აცხადებს, თომ ერთხელ დედამ იგი თავის ძმებთან წაიყვანა. მტრებმა მათი წასვლა გაიგეს და შესაპყრობლად დაედევნენ, ხოვლეძდე სდიეს. მდევერებს განეზრახათ: „დედაი მისი მივსცეთ ჩუენთა ყმათა, უპატიოდ გავახდევინოთო. მაჩაბელი და მსახურნი და ცხენნი ტყუედ წავასხნეთო“. მდევერები მაჩაბელს ვერ დაეწივნენ, მაგრამ „მერმე დადგეს ხუელეს და შემოქცეულთა ყმათა უმზირა. დაიპყრა სამნი ყმანი, ერთი მომართებული გაძარცვა და გოშაურნი თანა წაპოტანნა, ერთი გაეპარა და მათ თავი ასყიდინა, აღარ მოკლა“ [71. 99].

ამ საბუთში „ყმა“ და „მსახური“ სინონიმური ტერმინებია. ყმა არათავისუფალია — მაჩაბელმა თავის აზნაურს ყმა უბოძა. ყმები ფეოდალის ცხენოსანი მხლებლებია, შეიარაღებული ამაღაა.

„ყმის“ მნიშვნელობის დადგენის თვალსაზრისით ეს საბუთი საფუძვლიანად განიხილა მამისა ბერძნიშვილმა. მან აღნიშნა, რომ „გამოთქმა „არც ყმა და არც გლეხი“ თავისთავად მაჩვენებელია გლეხსა და ყმას შორის სხვაობის არსებობისა. გლეხი მებეგრეა, ყმის ვალდებულება პატრონის წინაშე კი სხვა სახისაა“ [35. 84]. ამავე დროს, მ. ბერძნიშვილის სიტყვით „ყმა ამავე საბუთში თითქოს და მსახურია“. „აქედან, თითქოს და იმის დასკვნა შეგვიძლია, რომ ეს ყმები მსახურები არიან“ [35. 85]. ნ. ბერძნიშვილის აზრით, „აზნაურის ყმის“ მნიშვნელობითაა ნახმარი „ისტორიანი და აზნანის“ ტექსტში „ქუეყნის მოქმედნი“, რომელნიც თამარის დროს „გააზნაურდეს“. ეს „ქუეყნის მოქმედი“ ყმა-მოლაშქრეა, იმავე დროს „ის შწარმოებელია, გლეხს უდგას გვერდში... ხოლო იმით, რომ ის მებეგრე არაა და პირადად თაღისუფალია, ყმაა, — ამით აზნაურს უახლოვდება“ [31. VII. 79].

როგორც ვხედავთ, მ. ბერძნიშვილის აზრით „აზნაურის ყმას“ შეუძლია დაწინაურდეს, გააზნაურდეს, მაგრამ იგი პირა-

დად თავისუფალია. ეს თვალსაზრისი ემთხვევა ნ. ბერძენიშვილის შეხედულებას „გლახსა და აზნაურს შორის საშუალო“ [31, II. 54] ფენის, ყმების, თავისუფალ „მდაბიო-მოლაშქრეთა“ არსებობის შესახებ, რომელთა ნაწილი აზნაურდება. ამრიგად მკვლევარს სოციალური დაწინაურების წინაპირობად პირადი თავისუფლება მიაჩნია.

ორიგინალური მოსაზრება შესახებ სოციალური დაწინაურების შესახებ წამოაყენა რ. არსენიძემ. მისი აზრით განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში შესახებ, განსაკუთრებით კი დიდი ხელის მქონეს, ჰქონდა გააზნაურების საშუალება. თანამდებობა და სამხედრო სამსახური გაკეთილშობილების საფუძველი იყო და ხელის მქონე ან გამოჩენილი მეომარი მსახური შესაძლო იყო გააზნაურებულიყო [22. 209-210]. რ. არსენიძის შეხედულებით XIV საუკუნიდან საქართველოში ხელისუფლებამ საკანონმდებლო აქტით (ბექა-აღბულას სამართალი) მსახურს მოუსპო გააზნაურების საშუალება. ბექას კანონმდებლობით სიუზერენი თავის მსახურს აძლევს გამაზნაურებელ ხელს (თანამდებობას) გააზნაურების გარეშე, „უფლების მიუცემლად, უფლებას კი თავისთვის იტოვებს, თანამდებობის მატარებელი თვითონ რჩება, ან კეთილშობილ აზნაურს აძლევს, ხოლო მსახური მის მოადგილედ, შემცვლელად იწინებს“, რის გამოც ასეთი „აზნაურად მსახური“ კეთილშობილებაზე პრეტენზიას ვეღარ აცხადებს, და მსახურად რჩება. ამ აქტივით, აცხადებს რ. არსენიძე, „მსახურთა წოდების ჩამოყალიბება, როგორც პირადად დაბალი და მდგომარეობით საკმაოდ გარკვეული ჯგუფისა, იწყება სწორედ მაშინ, როცა შესაძლებელი გახდა მათთვის მოვალეობის დაკისრება სათანადო სოციალური ხარისხისა და ღირსების მიუცემლად“ [22. 211-212]. ამის შემდეგ მსახურთა გააზნაურების შემთხვევები მეტად იშვიათი გახდა, ამავე დროს მსახურთა წოდებაში (მინისტერიალიტიტში) აზნაურთაგანი აღარ შეიძლება მოხვდეს, — ესაა მხოლოდ არაკეთილშობილთა წოდება.

საისტორიო წყაროებით რ. არსენიძის ეს მოსაზრება არ დასტურდება: 1) „მოვალეობის დაკისრება სათანადო სოციალური ხარისხისა და ღირსების მიუცემლად“ მსახურს ახასიათებდა წარმოშობიდანვე, მისი არსებობის დასასრულამდე, 2) გვიანდელ დოკუმენტებში მსახურთა რიგებში (ზოგადი ვაგებით) იხსენიებიან აზნაურები და თავადებიც და 3) XV—XVIII საუკუნეებშიც არის მსახურთა სოციალური აღზევების შემთხვევები.

საყურადღებოა პლ. იოსელიანის შეხედულება გიორგი სააკაძის მსახურთა სოციალურ დაწინაურებაზე. მიუთითებს რა იმაზე, რომ გ. სააკაძე «ყაცთა ფურჩვნიდა» და ძალებს იმრავლებდა [30. 421], პლ. იოსელიანი აღნიშნავს: «Словом фурчвнѣд, употребленном в грамотах многих жалованных царями князям, определялось право умножения лиц при особе, укреплявшем их за собою даровавшим их (!) земель, угодьев и званья. Этот класс народа стоял наравне с бывшими дворянами помещичьиими с тем только различием, что последних возводил в звание сам царь, а первым жаловалось право свободного состояния от князя вассала.

Они избирались большею частью из людей свободных, беглых из дальних мест, из плена искупленных, сирот, безпринятных, незаконнорожденных, выходцев из гор кавказских, из иноверцев, принявших веру и из тех крестьян, которые, не имея оседлости, изыскивали желанье находиться при дворе какого либо князя вассала» [196. 11].

გ. ლეონიძემ საესებით სამართლიანად შენიშნა, რომ მართლაც „ასეთი უნდა ყოფილიყო სოციალური წრე გიორგი სააკაძისა, მის მიერ შეკრეფილი დაბალი ხალხის ღონიერი ბანაკი“ [64. XLI].

მსახურთა წოდებას თავისი სოციალური სახე შენარჩუნებული აქვს გვიანდელ ხანაშიც XVI—XIX საუკუნეებში, რა დროიდანაც ჩვენამდე მსახურთა შესახებ საისტორიო წყაროთა დიდმა რაოდენობამ მოაღწია. ამ პერიოდშიც აშკარაა მსახურთა აღზევება-დაწინაურება, მათი ეკონომიკური ძლიერება. მოვიტანოთ რამდენიმე ტიპური მაგალითი საქართველოს სხვადასხვა მხარეთა სინამდვილიდან.

1742 წ. წინა ხანებში მარტყოფში ახალჩასული იყო ხურო მისურაძე, გლეხი [296. VII. ს. 23]. 1742 წ. თეიმურაზ II-მ და ერეკლე ბატონიშვილმა მას ბეითალმანი მამული უბოძეს და, როგორც ჩანს, ამ დროიდან ეს გლეხი მკვიდრ მოსახლეობას მოეკიდა [296. VII. ს. 24]. 1747 წ. ნადირ-შაჰმა თეიმურაზი ირანს გაიწვია. მეფემ მსახურად გაიყოლა ხუროს ვაჟი დათუნა. 1747—1748 წლებში ირანში გაჩაღებულ შინაომში თეიმურაზს თავისი მსახურებთან ერთად მრავალი ხიფათი გადახდა. განსაკუთრებით ერთგულად სამსახურის სამაგიეროდ საქართველოში დაბრუნებულმა თეიმურაზმა (და ერეკლემ) დათუნა. მისი შვილი და ძმები გაააზატა, ლაშქარ-ნადირობის მეტი მათ აღარაფერი ეთხოვებოდათ [296. VII. ს.

23]. ამრიგად დათუნას ოჯახი მსახურის კომლად იქცა. დათუნა ერეკლე II-ის თუშმალი, ე. ი. მთავარი მხარეული გახდა და, ცხადია, მეფის კარზე იმყოფებოდა. იმ ხანებში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ დათუნა თუშმალი თავის მსახულს მტრის შიშით სამღვთაოდ ველარ მიუდგა და ერეკლემ მას 1762 წ. დროებით, ვითარების გაუმჯობესებამდე, 5 დღის მიწა უბოძა [296. VII. ს. 28]. 1773 წელს ზეფემ დათუნას და მის სახლს წყალობა განუახლა, „ყოვლის ხარჯისა, ბეჭრისა და სათხოვრისაგან გაააზატა, ლაშქარ-ნადირობისა და მსახურის გარდა“. თუშმალის ოჯახი მარტყოფის დაფორიდან (საბეგარო ნუსხიდან) ამოიღეს, მარტყოფს მისი „ხარჯი“ აღარ ეთხოვებოდა [296. VII. ს. 29]. 1775 წ. ერეკლემ მას კვლავ განუახლა „მამულისა და ახატობის წიგნი“, თავის „ერთგულსა და თავდადებულს, მამა-პაპათა ჩუენთა დიდულ ნამსახურს“ დათუნას დამატებით უბოძა „სავენახედ ერთი დღის მიწა და შიჯიკაშვილის ნაოხარი მამული“ [296. VII. ს. 25]. 1783 წ. დათუნას შეიღმა გაბრიელ თუშმალმა მეფისგან კიდევ ერთი დღის მიწა მიიღო [296. VII. ს. 30]. 1791 წ. გაბრიელი გარდაიცვალა და მის ოჯახში შვიოთი ჩამოვარდა. დიდი ხნის დავის შემდეგ თუშმალთან კოვლი გაიყო — გაბრიელის ვაჟს — სოლომონს ბიძაშვილები გამოეყენენ. გაყრასთან დაკავშირებით წარმოქმნილი საბუთიდან ჩანს, თუ რა დიდი ეკონომიკური შეძლებისა იყო მსახურის ოჯახი. გაყოფამდე თუშმალის კოვლის მიწების საერთო რაოდენობა არ ჩანს, მაგრამ ცნობილია, რომ მის ბიძაბიძაშვილებს, თითოეულს, ჰქონია 4—5 საკომლო (სახნავი და ვენახები). გაყოფამდე თუშმალის ოჯახს ჰყოლია 500 ცხვარი, ძროხები და ღორები. დიდი საკუთარი (ნამზითვი) ქონება ჰქონია გაბრიელის ცოლსაც. გაბრიელს გარდა ამ ოჯახიდან კიდევ ერთი სხვაც ყოფილა მსახურად — ერთ-ერთ ბატონიშვილს მსახურად ჰხლებია გაბრიელის ბიძაშვილი გლახა. თვით გაბრიელს ჰყოლია 5—6 მოჯამავირე. მას დიდი გავლენა ჰქონია, გარდა მარტყოფისა, მანავსა და საგარეჯოშიაც. „მისი წყალობით“ ე. ი. მისი დამსახურების შედეგად ეკონომიკურად ძალიან დაწინაურებულან მისი ბიძაშვილებიც, ისინი „გაბრიელის წყალობით ჩავარდნილან კაცის ანგარიშში“. ოჯახის საერთო საქმიანობაში გაბრიელის მონაწილეობა ასეა შეფასებული: გაბრიელი — 20—30 წილი, მისი სამი ბიძაშვილი — 3 წილი [296. VII. ს. 16]. გაბრიელის შეხლებზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ იგი დაასაფლავეს მარტყოფის მთავარანგელოზის ეკლესიაში, აბიონის წინ, და მის საფლავს დაადეს მარმარილოს ქვა ვრცელი

ეპიტაფიით, რომელშიც ნათქვამია, რომ გაბრიელს აუგოა ეკლესია, კოშკი, სახლი, შეუძენია აგარაკები (მიწები) [296. VII. ს. 31].

იოანე ბატონიშვილის სიტყვით (XIX ს. დასაწყისში) მარტყოფელი თუშმალიშვილი კახეთის სამეფო აზნაურთა შორის ირიცხებოდა. იგი იყო „მოხელე მზარეთელთა, შემდეგი ნაზირისა და მეფემან თეიმურაზ გაუგვარა სახელო ესე თუშმალიშვილობა და ირიცხებიან აზნაურთ რიცხვში“ [301. 110 რ].

თუშმალიშვილთა გვარის ისტორია კლასიკური მხარეთმცოდნეობის სახელობის სოციალური დაწინაურებისა. ამ მხარეთმცოდნეობით კარგად ჩანს, რა ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა მსახურის მსახურობის პრივილეგია ეკონომიკური დაწინაურებისათვის, რაც, სამსახურთან ერთად, სოციალური დაწინაურების პირობა იყო. ეს მხარეთმცოდნეობით ერთი მეტად მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: მსახური არათავისთავად, თუნდაც იგი სამსახურში შეესვლა, თავისთავად იყო სხურობის მისაღწევი, როგორც ჩანს, რაჭოდანაა გამოხიზნული და მარტყოფს მოსვლისას თავისუფალია, მოსული კაცი სამსახურის პირობით ეყმობა („გ.ლ.ე.ს.ი.ს“ ვაგებით) ბატონს და შემდეგ ხდება მისი გააზატება, ე. ი. პრივილეგიურ კატეგორიაში აყვანა, მსახურის წოდებაში ამალგება. მსახური ჯერ კეთვნილებათა ბატონისა, შემდეგ კი პრივილეგიურებული პირი.

მსახურთა ნაწილის აღზევება დადასტურებულია ქართლის სამეფოშიც. ამის სატყუთესო მხარეთმცოდნეობითა გიორგი სააკაძის მსახურთა ბედი. გიორგის, რამდენიმე აზნაურთან ერთად, „განუყრელად ახლდნენ“ მსახურები: ხოსიტა გედევანის ძე, მათარსი შიხაიდრის ძე (ჯაჯანაშვილი), პაპუნა ვაშაყაშვილი, თამაზ ქარსიძე, პაპუნა და მახარებელ ჩივაძეები, მათია ქვლივიძე, ინაშვილი, ადოლა და სხვები [64, 21, 35, 37; 23. II, 69; 125. IV, 56, 59, 64]. მათი მსახურობა საგანგებოდაა აღნიშნული სასამართლო განჩინების ოქმში [125. IV. 59].

გ. სააკაძის მსახურები მომდევნო ხანებში, გიორგის მემკვიდრეების დროს, აღზევებულნი ჩანან; თარხნიშვილთა აზნაურებს შორის იყვნენ ჯაჯანაშვილი [20. 167] და ჩივაძეები [20, 167]. ქვლივიძეები XVIII ს-ში უყმო აზნაურიშვილებად ჩანან [20. 92].

სამეფოში მსახურთა სოციალური დაწინაურების ტენდენციის საჩვენებლად მოვიტანთ შემდეგ ფაქტს: XVIII ს. პირველ ნახევარში გაბრიელ ჭყონდიდელმა აზატობის წიგნი უბოძა მიქელა და იესელა მახარობელას ძე გეგეპკორებს (პირადი სახელები

კნინობით ფორმაშია!); მომდევნო წლებში ეს წიგნი განაახლა გრიგოლ ჭყონდიდელმა. მან გეგეჰკორს „შეაწია“ (ე. ი. „გადაუწერა“) „ნაღობა, ყოველისფერი ბეგარა და ტვირთობა“, ე. ი. მებეგრე გლეხისათვის დამახასიათებელი ვალდებულებანი. გეგეჰკორებს დაეყარათ ლაშქრობა და ბატონის ქარზე სასახური (შინაყმობა) [300. ს. 8738]. ე. ი. გეგეჰკორები „აზატობის წიგნით“ მსახურის წოდებაში გადავიდნენ. XIX ს-ში გეგეჰკორები აზნაურები იყვნენ, XVIII ს. პირველი ნახევრიდან მათ გიიარეს გზა მებეგრე გლეხიდან აზნაურობამდე. ამ გზის შუა ეტაპი იყო მსახურის წოდებაში შესვლა, ხოლო აღზევების პირობა — განსაკუთრებული სამსახური.

იგივე ტენდენცია და პროცესი ჩანს გურიის სამთავროშიც. 1722 წ. ერთი დოკუმენტით ს. ოცხანაში 7 საკათალიკოსო მსახური იყო: თიფაქთილაძეები, გოგიბერიძეები და ქალანდაძეები. მათ ლაშქრობა მართებდათ [125. III. 435-6]. XVIII—XIX საუკუნეებში ოცხანელი გოგიბერიძეები აზნაურებად იხსენიებიან. ასევე აზნაურებად ჩანან თავართქილაძეები (გვარის გაკეთილშობიანება გაკეთილშობილებასთანაა დაკავშირებული!). გურიის თავად-აზნაურთა სიაში, რომელიც 1850 წელსაა დამტკიცებული, გოგიბერიძეები და თავართქილაძეები აზნაურებად არიან შეტანილი [სკსა, ფ. 214, ს. 3336]. ამ სიაში კი მხოლოდ ისინია შეტანილი, რომელთა აზნაურობა ექვემოტანლად იყო დამტკიცებული სათანადო დოკუმენტებით.

ისტორიული წყაროები იძლევა საფუძველს იმის სამტკიცებლად, რომ ე. წ. სათავადო აზნაურები, რომელთა რიცხვი კვიანდელ შუა საუკუნეებში დიდი იყო, მსახურთაგან იყვნენ აღზევებულნი. ამას ადასტურებს პ. ბუტკოვის მიერ შეკრებილ მასალებში დაცული ცნობაც საქართველოში სათავადო აზნაურთა წარმოშობის შესახებ.

«В княжеские дворяне могли поступить из их домовых служителей, называемых мсахури, те, которые заслугами приобрели благоволение своего князя и прежде утверждения их царем в этом достоинстве, должны получить от князя своего имяние, приличное дворянину т. е. замок и деревню» [174. II. 126—127]. ამასვე აღნიშნავდნენ ა. ხახანაშვილი და ს. ავალიანიც [164. 61].

ამასთანავე უნდა იყოს დაკავშირებული XIX საუკუნეში ე. წ. „აზნაურობის მაძიებელთა“ სიმრავლე, ისინი, ჩანს, ძირითადად მსახურთა ზედაფენის — „აზნაურად მყოფთა“ რიგებიდან იყვნენ.

იმ ფაქტს, რომ მსახურთა წოდებამ შუა საუკუნეთა სიგრძეზე შეინარჩუნა თავისი პრივილეგიებული მდგომარეობა, ნათლად ადასტურებს ამ პრივილეგიათა ასახვა XIV—XVIII სს. ნოქმედ სამართლის ძეგლებში.

ბექას სანართლით (XIV ს. მსახურის სისხლი გლეხის სისხლის ფასზე 2,5-ჯერ მეტადაა შეფასებული, „აზნაურად მსახურისა“ კი 30-ჯერ. ამავდროულად თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ე. წ. „სასისხლო სიგელთა“ მონაცემები, რომელთაც ვახტანგ VI „სასხლის განაჩენებს“ უწოდებს. მკვლევართა ნაწილი ამ სიგელებს ნაყალბევად მიიჩნევს, სხვები მათ ნაყალბევობას უარყოფენ. ამავე დროს თითქმის ყველა, მათ შორის უარმყოფელნიც, მაგ., ივ. ჯავახიშვილი და ნ. ბერძენიშვილი, იმ აზრისაა, რომ ამ სიგელთა მონაცემები (ფაქტები, ტერმინები...) ისტორიული სინამდვილიდანაა აღებული (არარეალურად მხოლოდ წყალობის ფაქტი და სასხლის საფასურია მიჩნეული). ამ სიგელებს იყენებენ ცალკეული საკითხების კვლევისას და შედეგიც ყოველთვის ღირებულია. ს. კაკაბაძემ ყურადღება მიექცია იმას, რომ ვახტანგ VI „სასისხლო სიგელებს“, შეეცვლილი ისტორიული ვითარების გამო, მოძველებულად თვლიდა, მაგრამ მათი ნამდვილობა სადავოდ არ გაუხდია. ვახტანგს მიაჩნდა, რომ ეს სიგელები „ძველ ჯელმწიფეთაგან“ არის გაცემული იმ დროს, როცა საქართველოს მეფენი ძლიერნი იყვნენ: „მაშინ ქართველი ბატონიც დიდი ჯელმწიფე ყოფილა, დიდი ალავი სჭერია“, მის ვაჟალებსაც დიდი მამულები ჰქონიათ და ამ „ძველ განაჩენებში“ სისხლის ფასის სიდიდე ამით აიხსნებაო [125. I. 487; 74. 50].

ჩვენი აზრით, სასისხლო სიგელებში სისხლის საფასური, შესაძლოა, მართლაც არარეალური იყოს და მას სიმბოლური (პროფილაქტიკური?) მნიშვნელობა ჰქონდეს ან წყალობის სიდიდის მაჩვენებელი იყოს მხოლოდ (სისხლის დიდი ფასის პროფილაქტიკური მნიშვნელობა აღნიშნულია გამოკვლევებში დას. ევროპის შავი-სი ტაბის დოკუმენტების შესახებ. ამის დამამტკიცებლად მიგვაჩინია ერთი გამოუქვეყნებელი სასისხლო სიგელი (Hd—1537, ეტრატის), რომელსაც თავიც აკლია და ბოლოც, — ვისგან ვის და როდის ეძლევა, არ ჩანს: „ძველნი სასისხლონი სიგელნიცა ჰქონოდა და აწ კვალად შევიწყალეთ, განუახლეთ და მიუბოძენით სიგელნი ესე ძალად, პატივად და სიმაგრედ თავისა და სახლისა და მათისა ერთბამად... გაუჩინეთ სამართალი სისხლისა“. აქედან აშკა-

რაა, რომ სასიხლო სიგელის, სისხლის განაჩენის მიზანდასახულობა იყო შეწყალებულის კანონით დაცვის გარანტირება: რაც მეტი იყო სისხლის ფასი, მით უფრო დიდი იყო უსაყრატობების გარანტია.

ამასთან დაკავშირებით მექად საყურადღებოა ერთი გარემოება, რაც თავის დროზე აღნიშნა ს. კაქაბაძემ და რისთვისაც სხვა მკვლევარებს სათანადო ყურადღება არ მოუქცევიათ: სასიხლო სიგელები გაცემულია არა მარტო თავადებსა და აზნაურებზე, არამედ მსახურებზე და ც. შემონახულია მსახურ ნიქაბაძეთა, კალანაძეთა, თოდოძე-თოდუას, ცირლილაძეთა, ბაქრაძეთა, ქეროხიძის, ბერიძისა და გორგაძის სასიხლო სიგელები, დათარიღებული XIII—XVI საუკუნეებით [74. 46, 105, 134-5]. ამ სიგელების მიმღებთა წოდებრივი კუთვნილება ტექსტში პირდაპირაა ნაჩვენები, მაგ., ვარდან თოდოძე (თოდუა) „ერთობ წმინდა და ქებული მსახური კაცი“ ყოფილა, თავად ფარიჯანიანის ყმა; სათანადოდ შეიარაღებული (აბჯრითა და „ყოვლის იარაღითა“) იგი მეფის ბრძანებით „სამართალსა ზედა“ შეზნა ყაენის კაცს — თათარს და გაუმარჯვია, სამხედრო სარბიელზე თავი გამოუჩენია. 1545 წლით დათარიღებული სიგელის მიმღები ივანე ცირლილაძე კათალიკოსის მიერ გაზარდილი საყდრის ყმაა, საყდრის შვილი. საყდრის შვილად შეწყალებისას მას ებოძა შამგლი, სასაფლაო და ორ ფუტეზე მსხდომი 4 კომლი გლეხი [74, 134-5]. საყდრის შვილია ნიქაბაძეც, სიგელში მას ეწოდება „გელათის წინამდებელი და ყმა“ [74, 3], „წინამდებელი“ ცხადია, იგუვ „წინაშემდგომელი“. სოციალური ისტორიის თვალსაზრისით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ცირლილაძეებს „ძველი სასიხლო სიგელი... დაუწყეს კურსებთა“ ე. ი. სოფ. კურსების გლეხებმა.

„სასიხლო სიგელების“ მიმღები მსახურები „აწინაურად მყოფი“ მსახურებია. „სისხლის განაჩენი“ ერთ-ერთი ის ნიშანია, რაც მსახურს აზნაურთან აახლოებს, მაგრამ იგი („განაჩენი“) ხელთანაა დაკავშირებული და არა კეთილშობილებასთან. „სასიხლო სიგელის“ მიმღები ნიქაბაძე მეაბჯრეთუხუცეს გოგატი ჩხეტიძის „მკუიღრი ყმაა“, მაშინ, როცა აზნაურთა სასიხლო სიგელებში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ სიგელის მიმღები „ხასი აზნაური შვილია“ [74. 61], „წმინდა აზნაური შვილია“ [74: 20].

მსახურთა წოდებას ჰქონდა კიდევ ერთი სხვა ნიშანი, რაც მას ფეოდალთა კლასთან აახლოებდა, მის პრივილეგიურობას ადასტურებდა. ეს იყო ამ წოდების სიმბოლო, მსახურთა სოციალური

სტატუსის მათი ეკონომიკური შეძლებიდან ნაკლებად დამოკიდებუ-
ლება.

ფეოდალურ საზოგადოებაში მკვეთრად იყო განსაზღვრული
გაბატონებული კლასის — ფეოდალების ადგილი საზოგადოებაში,
მისი უფლებრივი სტატუსი. ფეოდალთა კლასი არისტოკრატიულ
კლასს წარმოადგენდა, მისი სტატუსის ძირითადი განმსაზღვრელი
ნიშანი იყო არა ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ წარმოშობა,
კეთილშობილება, ძირძველობა. უგლებო, უხელო და ზოგჯერ
უმამულო აზნაური თავის წოდებასა და პრივილეგიებს არ
კარგავდა. ასე იყო ევროპაში [170. 63-4, 69-70]. ასე იყო
საქართველოშიც: „მაგრატი-დავითის სამართალში“ „უ გ ლ ე ხ ო
ა ზ ნ ა უ რ ი“ ჩვეულებრივ მოვლენადაა ჩათვლილი (§ 153).
ფეოდალთა დამცრობა ხდებოდა, მაგრამ ამავე კლასის
ფარგლებში, რანგის დაქვეითებით. ფეოდალურ საზოგადოებაში,
სადაც წესად იყო მიღებული, რომ „დაუნაშავებლად წართმევა
არასოდეს ყოფილიყო“, წოდებიდან დამცრობა მხოლოდ მძიმე
დანაშაულის ჩადენასთან იყო დაკავშირებული. რანგში დაქვეითების
საფუძველი შეიძლება ყოფილიყო ეკონომიკური დაცემა, სა-
ზოგადოებრივი ფუნქციის შესრულების შეუძლებლობა, მაგრამ
ყოველივე ეს არ იყო წოდებიდან გაშთიშვის საკმაო საფუძველი.

ფეოდალთა დამცრობა საქართველოში ძირითადად მხოლოდ
ისეთ შემთხვევებში ხდებოდა, როცა ფეოდალი მტრის შემოსევის
გამო მთელ თავის ქონებასა და მამულს კარგავდა, როგორც მო-
უვიდათ, მაგ., XVI ს. მიწურულს სამცხე-საათაბაგოს დიდ ფეო-
დალებს: შალიკაშვილს, გოგიბაშვილს, სუმბატისშვილს, გოგორის-
შვილს, თუხარელს, ლაღანიძეს და სხვებს, მათ შორის ჯაყელთა
ნაწილსაც [30. 35-36]. არჩილის სიტყვით, ძველი თავადი ლაღანიძე
სიღარიბის გამო იძულებული გახდა ქვეშევი კილოში დაეგო [23. I.
36]. შეტარებით იშვიათი იყო დამცრობა ფეოდალური სახლის
გაყრის შედეგად, მაგრამ ესეც რაშდენიმე თაობის განმავლობაში
ხდებოდა.

მსახურთა წოდებაც ასეთივე ნიშნით ხასიათდებოდა. ბექას
სამართალში არის მითითება მსახურის დამცრობის, მაღალი კატე-
გორიიდან (აზნაურად მყოფი) უფრო დაბალ კატეგორიაში (მსახუ-
რი, „დაბალი მსახური“) დაქვეითების შესახებ. ამავე დროს არც
ამ ძეგლში და არც რომელიმე სხვა საისტორიო წყაროში არ მოიხ-
სენიება მსახურის მეხეგრე გლეხად ჩამოშვება. XIX საუკუნე-
შიაც კი, როცა მემამულეებისთვის გლეხურ შრომას მეტი ფასი

ჰქონდა, ვიდრე მსახურის ვასალურ სამსახურს, ფეოდალებმა მსახურებს მებეგრის ვალდებულებანი ვერ დააკისრეს. ლიტერატურაში აღწერილია კომიკური სიტუაციები, როცა შინაყმები, „ხელოსნები“ თუ სხვა მსახურები კარზე უსაქმოდ იყვნენ, მაშინ როცა ბატონის მამული ზუშახელის ნაკლებობით ზარალს განიცდიდა.

XIX საუკუნეში მებატონისათვის მსახურის ძირითადმა წოდებრივმა ფუნქციამ — მოლაშქრეობამ მნიშვნელობა დაკარგა. ერთ ოფიციალურ დოკუმენტში, რომელიც XIX ს. შუაწლებშია შედგენილი, მსახურებზე ნათქვამია: «Весьма полезные для помещика во время постоянных войн, крестьяне эти, по умиротворению края потеряли всю свою цену» [190 ა. 349].

მიუხედავად ამისა, მსახურთა წოდება ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდარა (მსახური მებეგრედ არ ქცეულა), იგი ახალმა პოლიტიკურმა სიტუაციამ იმსხვერპლა. რუსულმა კანონდებლობამ მსახურის კატეგორია არ სცნო, იგი მებეგრე გლეხს გაუთანაბრა, ჯერ — სახელმწიფო მსახურები, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ კი სხვებიც.

როგორც აღვნიშნეთ, ფეოდალურ ეპოქაში მსახურის სოციალური სტატუსისათვის დამახასიათებელი იყო მისი არაკეთილშობილება, რაც მას ფეოდალისაგან განასხვავებდა და „გაზრდილობა“, რაც მას ფეოდალებთან აახლოებდა. მსახურის სოციალურ რაობაზე მსჯელობის სისრულისთვის ქვემოთ მოკლედ შევეხებით ამ საკითხებსაც.

ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით, „აზნაურთა აქუნდა გვარი და ჩამომავლობა და სიმაგრე რამე მათთა ანუ ბართა, და დაბნევი, და ძალ-ედევა გამოსვლა მარქაფითა, კარვითა და მათითა განწყობილებითა და თვნიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად“ [30. 17-18].

ბექას სამართლის მიხედვით, ზოგ მსახურს „აზნაურული სქირდა“ — ბატონთან „საჩინო კელი“ ჰქონდა და პატრონსაც იგი „აზნაურიშვილად ჰყავდა“. ასეთი მსახურები ეკონომიკურად შეძლებულნი იყვნენ — აზნაურთა მსგავსად ქოთლოსან-კარვოსან-აბჯროსნობა შეეძლოთ. მიუხედავად ამისა, მსახურსა და ფეოდალს შორის ძირეული განსხვავება იყო, მსახური დროებით აღწევდა აზნაურულ პატივს (ხელი ეკავა აზნაურული), მას არ ჰქონდა არც გვარი (ეთილშობილება), არც ფეოდალური მამული, ე. ი. აზნაურის ძირითადი ატრიბუტი. ამიტომ მეფის ან დიდი ფეოდალის უმადლესი — წარჩინებული მსა-

ხტრებრიც კი კლასობრივად „მდაბალთაგანნი“, „უგვარონი“, „მონანი“ იყვნენ.

ზ. რატიანმა სავსებით სწორად შენიშნა, რომ მსახურთა უმალ-
ლესი კატეგორიის — „აზნაურად მყოფთა“ სოციალური სტატუსი
არ იყო მემკვიდრეობითი; „აზნაურად მსახურთა პირველი
დამკრობილი მემკვიდრე აღარ არის აზნაურად მსახური, იგი მსა-
ხურად მსახურია“ [105. 122], ე. ი. ჩვეულებრივი მსახური.

შესადარებლად მოვიტანოთ აზნაურის მდგომარეობის აღწე-
რა იმავე ძეგლის მიხედვით: „აზნაურად მსახურის პირველი მემ-
კვიდრე აზნაურად მსახურად რომ დარჩეს... იგი ვალდებულია
ისეთივე მსახურობას ეწეოდეს პატრონთან, როგორსაც მისი უშუა-
ლო წინაპარი ეწეოდა; ხოლო ჩამომკრობილი აზნაუ-
რის... მემკვიდრეებისათვის სულაც არ არის
აუციელებელი ანალოგიური რამ აზნაურობის
შესანარჩუნებლად.

აი, რა განსხვავება ყოფილა აზნაურად მსახურსა და აზნაურს
შორის მაშინაც კი, როცა მათი ზისხლი თანაბრად — 12 000 თეთ-
რად ფასობდა“ [105. 121].

როგორც ვხედავთ, ნამდვილ აზნაურსა და აზნაურული მოვალე-
ბის ღრობებით შემსრულებელ მსახურს შორის პრინციპული ხასი-
ათის განსხვავება იყო: აზნაური წარმოშობით („შობით“) იყო
კეთილშობილი, მსახურისათვის კი აზნაურული მდგომარეობა მის
გვარზე კი არ ეკიდა, არამედ ხელზე, ე. ი. მისი წოდებისთვის
არაძირითადი, ღრობებითი იყო.

ამის შექდეგ, მტკიცება იმისა, რომ „მსახურთა წოდების საპი-
ვე ფენა გაბატონებულ კლასს (ფეოდალებს, ქ. ჩ.) მიეკუთვნება“
[105. 123], ცხადია, საფუძველს მოკლებულია.

ბატონთან „აზნაურიშვილად ყოფნა“ ანუ „კელით აზნაურშვი-
ლობა“ მსახურს თავისუფლებას („აზნაურობას“) რომ არ აძლევ-
და და იგი ფეოდალთა კლასში რომ არ შეჰყავდა, კარგად ჩანს
არჩილის სიტყვებიდან:

„ვინ კელით აზნაურიშვილობ, გამეცალე, წადი იქით,
რად გგონია უგუნურო, ბრძნის ვისგანმე მაგით იქით?“

თუ არ დაშლით, მოწურთნა გიჯობს, ჯოხითა და გინდა ბაქით,
მანებლად ვინცა ხუმრობ მო, დაბრძანდი, ზეით, აქით“ [23- I. 9].
არჩილის ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს შემდეგი: ნამდ-
ვილ აზნაურებს გარდა არსებობენ „ხელით აზნაურშვილე-
ბი“ (ბექას სამართლით ისინი წარჩინებულნი მსახურე-

ბ ი ა). ასეთ მსახურებს პატრონთან საპატიო, აზნაურული ხელი უკავიათ. ნეფე-პოეტი „ხელით აზნაურშვილებს“ არისტოკრატია რიგებში არ ათავსებს, უგუნურობად მიჩნევს ანეთ პირთა პრეტენზიას აზნაურთა მსგავსად მეფესთან სავსლოვეზე. მეფის განცხადებით, ისეთი „ხელით აზნაურიშვილი“. რომელიც ფეოდალთა რიგებში გარევეს მოინდომებს, უნდა დაისაჯოს. „გაიწურთნას“ როგორც სიტყვიერი გაკიცხვით („ბაქით“), ისე ფიზიკურადაც („ჯოხით“), რაც ფეოდალისთვის შეუფერებელი იყო. მეფეს დასაშვებად მიაჩნია, რომ „ხელით აზნაურიშვილმა“ მხოლოდ „მაამებლად ზუმრობა“ იკადროს მეფესთან, ე. ი. მდაბიოს, კარის ზუმარას უწყინარ და უპრეტენზიო როლში გამოედიეს.

აი, როგორ უცქერდა ფეოდალური არისტოკრატია, ოფიციალური სახელმწიფო იდეოლოგია ფეოდალურ საქართველოში მსახურთა წოდებას, კეთილშობილ ფეოდალურ საზოგადოებასთან დაახლოების მის ცდას.

მ. ბროსემ აღნიშნა, რომ მსახური არ იყო კეთილშობილი [252. LXXXI].

მეტად საყურადღებო აზრი გამოთქვა მსახურთა შესახებ, ბეჟა-აღბულას სამართლის მიხედვით, აბ. კიკვიძე. მისი შეხედულებით, „მსახურს შესაძლებელია აზნაურის პატივი ჰქონოდა, მაგრამ იგი აზნაური მაინც ვერ გახდებოდა, რომ აზნაურად ქცეულ მსახურს გვარი ყოფილიყო პირობა მის პატივისა და სისხლის ოდენობისა“ [78. 86]. მსახური აზნაურის პატივით და პრივილეგიით („სისხლი!“) სარგებლობდა მხოლოდ პირადად და ისიც „შეუწყვეტლად მიმდინარე მსახურის“ პეროდში [78. 86], მაშინ როცა აზნაურს ასეთი პრივილეგიები ჰქონდა ყოველთვის, მისი გვარის გამო. აბ. კიკვიძის სიტყვით, მსახური არ იყო გაბატონებული კლასის წევრი, რადგანაც ფეოდალიზმის დროს წოდებათა შორის „დიდი ზღვარი იყო. ამ ზღვართან მემამულეობა და გვარიანობა ეყოფოდა უმამულეობას და უგვაროებას“, „მსახურის რეზერვი გლახობაა“ [78. 86].

რ. არსენიძემაც შენიშნა, რომ მსახურის ფეოდალთაგან განიასხვავებელი ნიშანი მისი (მსახურის) არაკეთილშობილება იყო [22. 199, 202, 217].

მსახურისთვის დამახასიათებელია მისი „გაზრდილობა“.

„გაზრდილობის“ ინსტიტუტი საქართველოში ფეოდალიზმის მთელ სიგრძეზე დასტურდება. როგორც ჩანს, იგი წინაფეოდალური, არქაული ეპოქიდან უნდა მომდინარეობდეს, კერძოდ „გაზრ-

დიღებად“ უნდა ვიგულისხმოთ წინაფეოდალური ხანის მეფეების „შინაურთა“ („მსახურთა“, „ტაძრეულთა“) დიდი ნაწილი.

უძველესი ტექსტი, რომელშიც „მთავრის“ სახლში „გაზრდილი“ მსახური იხსენიება, V საუკუნისაა — „შუშანიკის წაშება“. ვარსკენ პიტიასშმა შუშანიკი სასახლის ერთ პატარა ოთახში ჩაკეტა და მცველად მსახური დაუყენა [139. I. 17]. ეს მსახური ვარსკენის მეუღლის „გაზრდილი“ ყოფილა [139. I. 18]. იაკობ ხუცესის სიტყვით, „გაზრდილი“ მსახური მზად უნდა იყოს თავის „გაზრდილისათვის“ თავის გასაწირავად [139. I. 18].

დედოფალ-მსახურის „გამზრდელ-გაზრდილობა“, ცხადია, გარკვეულ სოციალურ შინაარსს, პირადი დამოკიდებულების სპეციფიკურ ფორმას შეიცავს.

„გაზრდილთა“ ინსტიტუტთან უშუალო კავშირში იყო, ემკვს გარეშეა, დავით აღმაშენებლის არათავისუფალ ვასალთა სპეციალური სამხედრო კორპუსის — „მონა-სპის“ შექმნა [135. 163-4]. „რ ჩ ე უ ლ ნ ი და გ ა ნ ს წ ა ვ ლ უ ლ ნ ი“ „მონები“ დავითთან სწორედ უახლოესი პირადი კავშირით — „გამზრდელ-გაზრდილობით“ უნდა ყოფილიყვნენ დაკავშირებულნი. დავითის ისტორიკოსის თხზულებაში მრავალი დეტალია ამაზე მიმანიშნებელი.

ნ. ბერძენიშვილი საგანგებოდ სწავლობდა გაზრდილობის ფეოდალურ ინსტიტუტს ფეოდალურ ურთიერთობათა კლასიკური პერიოდის ძეგლების, ძირითადად „ვეფხისტყაოსნისა“ და თამარის ისტორიკოსთა ნაწარმოებების მიხედვით. ის, რაც ამ საკითხზე ნ. ბერძენიშვილის მეცნიერულ მეშვეობაში აღმოჩნდა, უაღრესად ფასეულია როგორც ფეოდალიზმის ისტორიისათვის საერთოდ, ისე კერძოდ, მსახურთა წოდების ისტორიისათვის.

ნ. ბერძენიშვილს ვიანდა, რომ ყუთლუ-არსლანის აჯანყების მონაწილე დიდგვაროვანი დაუპირისპირდნენ სასახლეში მეფის „გაზრდილებს“, მეფის დასაყრდენ ძალას. „გაზრდილთა“ ინსტიტუტი შესანიშნავადაა წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსანში“. აქ „გაზრდილი“ იხმარება როგორც ზოგადი მნიშვნელობით, სოციალური შინაარსის გარეშე, ისე სპეციალური, სოციალური შინაარსითაც — ვასალის მნიშვნელობით [31. VII. 160—161];

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით „გაზრდილი“ სხვადასხვა რანგისაა, პატრონთაგან სხვადასხვაგვარად დამოკიდებული: ტარიელი ფარსადანის გაზრდილია, ავთანდილი — როსტევანის. აქ გამზრდელ-გაზრდილნი ფეოდალური საზოგადოების უმაღლესი ფენის წარმომადგენლები არიან. ამავე დროს „გაზრდილები“ შეიძლება იყვნენ

ამ საზოგადოების უდაბლესი ფენებიდანაც — „მონები“ („იმ დროს გაგებით, რა თქმა უნდა“ — შენიშნავს ნ. ბერძენიშვილი) [31. VII. 283]. შერმადინი (არაკეთილშობილი) ავთანდილის „მონა“, მაგრამ მისი გაზრდილია „ერთა ძმა და ვითა შვილი“ [31. VII. 285]. აქ აშკარად იგულისხმება „ინსტიტუტი გაზრდილ-გაზრდილისა“ [31. VII. 283].

„ფეოდალს — მეფეს, მთავარს, დიდბნაურს ჰყავთ გაზრდილები ფეოდალთა კარზე მყოფი ახალგაზრდობიდან, სადაც ისინი მართლაც იღებენ ყოველგვარ სწავლას, ყოველგვარ კელს. ეს გაზრდილები ამ ფეოდალის სახლის გაზრდილები არიან და ამ სახლის უფროსის (თავადის) ერთგულ-მისანდობელნი, ამ თავადის გაზრდილებად ითვლებიან“ [31. VII. 283]. განსხვავებით მაღალი რანგის „გაზრდილებისაგან“, „გაზრდილი“ „მონები“ (არათავისუფალნი) ამ აღზრდის მიუხედავად სოციალურად მაინც დაბალ დონეზე რჩებიან, „გაზრდილობა“ მათ თავისუფლებას („აზნაურობას“) არ აძლევს [31. VII. 286]. ნ. ბერძენიშვილის განმარტებით „მონის საქმე იმ თავში იყო სამსახური..., მონა იგივე მსახური იყო“ [31. VII. 259].

„გაზრდილთა“ შესახებ აზრი გამოთქვა შ. ბაღრიძემაც. იგი წერს: „ჩვენი აზრით მამა-შვილობის (უფროს-უმცროსის) ცნებებს შეიცავს აგრეთვე „გაზრდილიც“, რომელიც განსაკუთრებით შუა ფეოდალური ხანიდანაა ცნობილი. ამ დროს „გაზრდილში“ თითქოს ვასალურ-სუზერენული შინაარსი თავსდება“. ასეთ „გაზრდილებად“ მიაჩნია შ. ბაღრიძეს ყუბასარი, ჭიაბერი, დავით სოსლანი [25. 143].

ნ. ბერძენიშვილის მართებული დასკვნით „აღზრდილ-შეზრდილები მთელი ფეოდალური ურთიერთობის სივრცეზე ჩანან (გვიან ხანაში)“ [31. VII. 86]. მოვიტანოთ სათანადო მაგალითები: 1548 წ. ველქისედეკ გენათელმა დავით აღმაშენებლისა და ბაგრატ (იმერთა?) მეფის წყალობა დაუმტკიცა გელათის საყდრის შვილს, მისგან „შვილულე ბ-გაზრდილსა“ ივანე ცირლილადეს [125. III, 260-261]. 1612 წ. ქართლიდან ირანს გაქცეულ გიორგი სააკაძეს გზაში თავისი მსახურები შეეგებნენ და თან გაჰყენენ: „ექვსი ყმა შემომეყარა, მარჯვე და ჩემი ზრდილია“-ო, — ათქმევინებს პოეტი გიორგი სააკაძეს [64. 20]. ცნობილია, რომ ამ მსახურთაგან მხოლოდ ერთი იყო აზნაური, სხვანი წოდებით მსახურნი იყვნენ. გიორგი სააკაძე აღნიშნავს, რომ იგი მდაბიოთაგან შერჩეულ ერთგულ პირებს „კაცობას“ ასწავლიდა, ე. ი.

„წიგნი“ [64. 49]. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდი, რომ „გაზრდილობა ძველი ინსტიტუტია და არა მარტო მეფის კარზე, ის დიდი ფეოდალის კარზეც უნდა ყოფილიყო“ [31. VII. 86], დასტურდება როგორც ამ, ისე ქვემოთ მოტანილი სხვა მაგალითებითაც, 1778 წ. აზნაურმა დავით მუსხელიშვილმა განთავისუფლების წიგნი მისცა მისი ყმის შვილს ეფთვიმე შალიკაშვილს. წიგნში ნათქვამია: „მაჲა შენი პეტრე მე მსახურათ მახლდა და შეძლებისამებრ თვისისა დიდად ერთგულად მემსახურა და ჩემთან მოკუდა. შენ პატარაობოლი დარჩი. შენც მე გაგზარდე და შენის შეძლებით შენც დიდად ერთგული იყავ ჩემი და მმსახურებდი.... ჩემი დიდად ნამსახურნი იყავით და შრავალს უცხოს ქვეყანაში გარდაყოლილნი და ერთგულად ნამსახურნი შენცა და მამაშენაც... ჩემს სიცოცხლეში მე უნდა მსახურო და ჩემს სიკუდილს უკან თავის უფალი იყო, რომ არას კაცს შენთან საბატონყმოდ კელი არავის ჰქონდეს“ [297. ს. 69].

ამ საბუთიდან გარკვევით ჩანს როგორც „გაზრდილი“ მსახურის სოციალურ-უფლებრივი მდგომარეობა (გლახთა კლასში ყოფნა), ისე მისი ფუნქციებიც.

1779 წ. თავადი გიორგი ციციშვილი ერეკლე II-ს მიმართავს: „მე თქვენთან შეზრდილი მონა გახლავართ“—ო იმავე დოკუმენტში ნათქვამია, რომ გ. ციციშვილს თვით პყლია მისი „გაზრდილი აზნაურიშვილები და მსახურები“ [125. V. 85].

1798 წ. თავად ამილახვრის სახლი გაიყარა. სახლიკაცებს შორის დავა იყო. ერეკლე II-მ თთარ ამილახვარს უბრძანა: „რომელიც ამილახვარს ამირინდოსა და რევანსა და იასეს დროს ამთა აზნაურიშვილები და მსახურები ხელეჭიან და ამათი დასდილები არიან, ისინი თქვენს გაყრამდინ ამათვე უნდა ახლდეს... ახლავ უნდა თავეთი დასდილი აზნაურაშვილნი და მსახურნი ამათვე დაანებო“ [296. XIV. ს. 149]. კიდევ უფრო თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი გაზრდილობის ინსტიტუტი იოანე მუხრანბატონის ქვრივის ხვარაშანის თხოვნაში ერეკლე II-ისადმი (1795 წ.?). ხვარაშანი მიმართავს მეფეს — როცა გავთხოვდი, ქმრის სახლში დამხვდნენო: „...ჩემის მამამთილის დასდილნი აზნაურიშვილნი, მოხუცებულნი აზნაურშვილთა ცოლები, ჩემის მამამთილის ნახლი მსახურნი, თქვენი ყმისა (იოანეს) და ჩემის შავლის გამზღედლნი და მოხუცებულნი ლაღები“ [296. XIV. 55]. ამრიგად, დიდი ფეოდალის კარზე არიან

მისი გაზრდილი აზნაურშვილები, მხლებელი მსახურები, აზნაურშივილთა ცოლები (მოახლე-გამდელნი, ქ. ჩ), ამ ფეოდალის შვილების გამზრდელნი და ლალები. ცხადია, ყველა ეპენი მსახურები არიან სხვადასხვა რანგისანი: მსახური აზნაურები და მსახურნი გლეხთაგანნი (საკუთრიე მსახურნი). ფეოდალის გაზრდილთა შორის ეს უკანასკნელიც უნდა იგულისხმებოდნენ.

ამრიგად „გაზრდილთა“ ფეოდალური ინსტიტუტი დიდი ადგილი ეკავათ მსახურებსაც. ერთდროული მითითება იმაზე, რომ მსახური „გაზრდილია“ და ამავე დროს ყმა გლეხია, ნათლად გვიჩვენებს მის არათავისუფალ ვასალობას, მის სიახლოვეს ფეოდალურ არისტოკრატიასთან.

გარდა ამისა ზემოთ დადგენილ ფაქტს ფეოდალური საქართველოს სოციალური განვითარების ისტორიისათვის სხვა მნიშვნელობაც აქვს:

I. „გაზრდილობის“ ინსტიტუტი უძველესი ფეოდალური ინსტიტუტი ჩანს, უკვე წინაფეოდალურ ეპოქაში ჩაასახული და განვითარებული. სწორედ ამ ფორმით — „გაზრდილ-გამზრდელობის“ სახით შეიქმნა, როგორც ჩანს, უძველესი ფორმა ვასალიტეტისა; „გაზრდილთაგან“ შეიქმნა მომავალ ფეოდალთა კლასობრივი ბატონობის დასაყრდენი და პირობა — „შინაურთა“ („ტაძრეულთა“) წრე და ამ „შინაურებში“ თავდაპირველად მხოლოდ „მსახურნი“ შედიოდნენ, „აზნაურთა“ ამ წრეში შესვლა ფეოდალიზმის შემდგომი განვითარების შედეგია (რ. არაქანიძე).

II. ის ფაქტი, რომ გამზრდელ-გაზრდილობის ფეოდალურმა ინსტიტუტმა, რომელიც ფეოდალურ ურთიერთობათა ჩაასახვითანავე გაჩნდა, თითქმის უცვლელი სახით მიაღწია რუსეთთან შეერთებამდე, აშკარა მაჩვენებელია ფეოდალურ ურთიერთობათა სტაგნაციისა გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში, ფეოდალიზმის კლასიკური სახით შემორჩენისა XVIII—XIX სს. მიჯნამდე.

დასასრულს ერთი შენიშვნა: „გაზრდა“ მცირეწლოვანის აღზრდას გულისხმობს. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ფეოდალს აღსაზრდელად აკყავდა მსახურის ობლად დაჩენილი მცირეწლოვანი ვაჟი ან საჭირო შემთხვევაში მსახურად „აღსაზრდელად“ გაკყავდა ბავშვი გლეხის (მსახურის!) ოჯახიდან. ბატონი მას ფეოდალური წესით ზრდიდა („ვითა შვილსა“, როგორც ტარიელს ფარსადანი); ასე ეყრებოდა საფუძველი „მსახურის“ — „მონის“ „ერთგულებას“. ასე აღზრდილი გლეხთაგანი, ცხადია, უპირისპირ-

დებოდა მის თანამოძმეთა მასას და ბატონყმობის სიმტკიცის საი-
მელო გარანტს წარმოადგენდა.

მსახურთა ეკონომიკური მფროგარეობა

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ფეოდალურ საქართველო-
ში ყოველ წოდებას, რომელსაც სახელმწიფოს წინაშე თავისი სამ-
სახური ჰქონდა სამხედრო ბეგარის სახით, სათანადო ქონებრივი
სახსარიც უნდა ჰქონოდა, რომ თავისი მოვალეობა შეესრულებინა
[159. 27].

ქართველ მსახურთა წოდება ქონებრივად იმ დონეზე იდგა,
რაც მისი ძირითადი ფუნქციის — მოლაშქრეობის შესასრულებ-
ლად იყო საჭირო. ამ დონეს განაპირობებდა მსახურის პირადი
ქონების (საკომლო, პირუტყვი, სხვა საქონებელი) და სასამსახურო
ლენის — „მსახურის მამულის“ ერთიანობა. მსახური („მხედარი“) უკვე აღრეფეოდალურ ხანაში ფლობდა „მსახურის მამულს“ [36.
105]. მომდევნო ხანებში მსახურის მფლობელობაში ჩანს ორი სა-
ხის მიწა: „სამკვიდრო მამული“ („საგლეზო ფუძე“) და „მსახურის
მამული“ — პატრონის წყალობა სამსახურის გაზო [116. I. 195],
რომელსაც, როგორც ჩანს, ერქვა აგრეთვე „სასამსახურო მამული“:
კათალიკოსმა მიქელმა (XIII ს. პირველი ნახევარი) თავის მსახურთ-
უხუცესს ვაჩე გუარამასძეს, რომლის მამული — „საყდრისა სა-
სამსახუროდ სოფელნი“ — ხვარაზმელთა და თათართა (მონღოლ-
თა) მიერ „მოოხრებულ“ და „ამოწყუედილიყო, უბოძა „ეკლესიისა
სასამსახურო სოფელი“ „სამამულოდ“ [73. 3]. ამ შემთხვევაში საქ-
მე ეხება არარაივით მსახურს, მაგრამ მაინც ცხადია, რომ გუარა-
მასძეს არ შეუძლია ეკლესიას ემსახუროს, თუ მას „სასამსახურო
მამული“ არ ექნება.

„მსახურის მამული“ თვისებრივად, პრინციპულად განსხვავდებ-
ოდა ფეოდალის მამულისაგან: „მსახურის მამული“ მის მფლო-
ბელს არ აკეთილშობილებდა, ეს იყო სასამსახურო არათავი-
სუფალი ლენი. ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელი იყო მი-
წის პოეტიზაცია (Boden—Poesie): თავისუფალი ლენი, მამული
სამფლობელო, მისი განკარგულების უფლებით ფეოდალის ნიშანი
იყო, არაფეოდალს ფეოდალური მამულის ფლობის უფლება არ
ჰქონდა [14. 200]. მსახურის მამული კი საკარგავის მსგავსი იყო,
მსახურს მასზე უფლება ჰქონდა მხოლოდ დროებით, მსახურის

მოვალეობის შესრულების პერიოდში, ამ მოვალეობის შესრულების პირობით. მსახურის მამულზე მისი მკერის უფლება შეზღუდული იყო: ბატონის ნებართვის გარეშე ამ მამულს მსახური ვერ ვაასხვისებდა [116. I. 195].

სავარაუდებელია მხოლოდ მსახურის „მამლის“ მქონე მსახურთა არსებობაც. მსახურთა ნაწილი განსაკუთრებული დასახურების შემთხვევაში თარხნდებოდა, ე. ი. ლაშქარ-ნადირობის გარდა ყველა ვალდებულებისაგან თავისუფლდებოდა. აღრიხდელ ქონებრივ შეძლებულობასთან ერთად თარხნობა ანუ აზატობა მსახურის ეკონომიკურად კიდევ უფრო დაწინაურების პირობა იყო: «И то и другое вело за собою увеличение земельного удовольствия, которое у большей части из них превышает высшие нормы надела» (საქმე ეხება საგლეხო ნადელს ბატონყმობის გაუქმების შემდეგ), აღნიშნულია მსახურთა შესახებ ერთ ოფიციალურ დოკუმენტში [230. II. 385]. ზემოთ, თუშმალიშვილთა მაგალითზე, ნაჩვენებია იყო, თუ რა დონეზე იდგა ქონებრივად მსახურთა ერთი ნაწილი, საერთოდ კი მსახურის ქონება მებეგრე გლეხისას გაცილებით სკარბობდა. კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელია ყმა-გლეხთა ბეგარა-ვალდებულებების ზომის სიმყარე დაუწერელი წესის, ჩვეულების გარანტიით (საქართველოში ამას ერქვა „დებულება“, —ქ. ჩ.), რაც გლეხობას მუყათობისა და მეურნეობის წარმოების გაუმჯობესების პირობებში ეკონომიკური დაწინაურების საშუალებას აძლევდა [2. III². 414—415]. მეურნეობის წარმოების გაუმჯობესების საშუალება უპირველესად სწორედ მსახურს ჰქონდა და მისი შეძლებულობის ზრდის ერთი პირობა სწორედ ეს იყო.

გვიან ზანებში, როცა მსახურის პრივილეგიებულობა გაქრა, მათ მებეგრე გლეხებზე იმდენად მეტი მიწა ჰქონდათ, რომ საგლეხო რეფორმის გატარების პერიოდში ეს სარეფორმო კომისიების საგანგებო მსჯელობის საგნად იქცა. მეფის მოხელეები აღნიშნავდნენ, რომ რეფორმა განსაკუთრებით დაზარალებდა მსახურებს, რაკი ნადელის ზომა გლეხთა კლასის ყოველი წარმომადგენლისათვის ერთნაირი იყო, მსახურთა მიწებიდან ჩამონაჭრების ზომა მეტად დიდი იქნებოდა [190³ 149-350].

XIX ს. დოკუმენტური მონაცემებით (გურია) „მსახური ქონებრივად მებეგრეზე მნიშვნელოვნად მაღლა იდგა“. ამ დროს „მსახურებს მებეგრეზე სამჯერ მეტი მიწა აქვთ, ცხენები და ჯორები

თითქმის მხოლოდ მსახურებს ჰყავთ, მეაბრეშუმეობას მსახურები ეწევიან, პირუტყვი (ძროხა, ცხვარი...) მსახურებს სამჯერ მეტი ჰყავთ, ღვინო ორჯერ მეტი შემოუღიოთ. მსახურთა ეზოები მებეგრეთა კარმიდამოზე ბევრად დიდია“ [134. 86-87].

მსახურთა ნაწილს ბატონისაგან ნატურალური ან ფულადი ბენეფიცი (წყალობა) ეძლეოდა. მსახურები, ჩვეულებრივ, იღებდნენ მათი სამოხელეო უწყების (სახელოს) შემოსავლის, მაგ., ბაჟის, გლეხთაგან აკრეფილი ბეგრის, ტყის ბაჟის და ა. შ. ნაწილს, სარგოს [134. 86-87]. უკვე აღრეფოდალური ხანიდან მსახურთა ნაწილს ჯამაგირი („როჟიცი“) ეძლეოდა [36. 102]. ასე იყო ფეოდალიზმის მთელ სივრცეზე. „ხელაწიფის კარის გარიგებაში“ აღნიშნულია, რომ მეფის კარზე მყოფი მონადირეები (მსახურები!) „გაშვების ჟამს“ მეფის სალაროდან იღებდნენ „სამ-სამ თეთრს“. აწორედ ეს იყო, სხვა ნატურალურ სარგოსთან ერთად, „მსახურის ჯამაგირი“ [87. 81]. აღბუღას სამართლის 79-ე მუხლში, რომელიც „მუშის დაქირავებას“ ეხება, ცხადია, მსახური არ იგულისხმება, „იმავე წესითა საქედრისა იყოს“-ო, ნათქვამია ამ ნუშის დაქირავებაზე. ანასთანავე მსახური არც დაქირავებულ იყო და არც „მუშა“, იგი თავის ვალდებულებას ასრულებდა.

1638 წლის ერთ დოკუმენტში იხსენიება „მსახურის ჯამაგირი“, რაც მეფის მსახურებზე სამეფო სალაროდან გაიკემოდა [125. III. 215], მსახურებს, ჩვეულებრივ, ჰყავდათ საკუთარი ყმა გლეხები. მსახურის გლეხი იხსენიება ბექა-აღბუღას სამართალში (XIV ს.) და მომდევნო ხანის დოკუმენტებში, მრავლად ჩანან ისინი XIX საუკუნის დოკუმენტებშიაც. 1828 წლის ცნობით გურიის სამთავროში 30 სახელმწიფო მსახურს 39 მებეგრე გლეხი ჰყავდა [134. 86]. ე. მურიეს ცნობით საწეგრელოს სამთავროში ზოგ მსახურს ჰყავდა „თავისი ყმა-გლეხები“ [87. 127]. ბატონყმობის გაუქმების დროს მეფის მოხელეებმა მრავალჯერ დაადასტურეს საქართველოში „გლეხის გლეხის“ არსებობა. ჩვეულებრივ ისინი მსახურთა ყმები იყვნენ.

მსახურის გლეხის არსებობა მსახურის ფეოდალობას არ ნიშნავს, როგორც ეს ზოგ მკვლევარს ჰგონია. კ. მარქსის სიტყვიერ შუა საუკუნეების დას. ევროპაში „გლეხის გლეხის“ არსებობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო [2. III. 421]. ამასვე აღნიშნავენ ისტორიკოსებიც (სკაზინი, ბესსმერტინი...). ფეოდალურ ევროპასა და რუსეთშიაც შუა საუკუნეებში შეძლებულ გლეხებს ხშირად სა-

კუთარი ყმები რომ ჰყავდათ, ისტორიოგრაფიაში ეს ფართოდ ცნობილი ფაქტია [231. 296, 298], თუმცა არსად ეს ოფიციალურად არ იყო დაკანონებული.

მსახურის ქონებრივი შეძლებულობის მაჩვენებელია მისი აღკურვილობა, ნხედრობა და ცხენის მდიდრული აჯახულობა („ცხენის იარაღი“). მაღალი რანგის მსახურები ლაშქარად გადიოდნენ კარვით, ჯაჭვით, მუზარადით, შუბით, ხმლით.... გვიან საუკუნეებშიაც, როცა მოლაშქრობა გლეხებსაც დაევალებათ (მაგ., „ნორიგე ლაშქარში“), მსახურები გლეხებზე უკეთ იყვნენ შეიარაღებულნი, მეტწილად მათ ჰქონდათ თოფი და ფარ-ხმალი. თუ რა უჯდებოდა მსახურს ეს შეიარაღება, ამის საჩვენებლად მოვიტანთ რამდენიმე ცნობას იარაღის ფასის შესახებ: „ნიკორწმინდის დაწერილით“ (XI ს.) ერთი ჯაჭვის ღირებულება ერთი გლეხის ფასს უდრიდა [34. 33]. XVI ს. დასაწყისში სვანებმა ჯაფარიძეებს თითო ტყვის სახსრად თითო აბჯარი გადაუხადეს [133. 297-8]. როგორც ვხედავთ ხუთი საუკუნის განმავლობაში აბჯრის ფასი არ შეცვლილა. XIV—XV სს-ში ერთმა ფეოდალმა, მონასტერში დაქირავებული ჯაჭვი და მუზარადი რომ გამოეხსნა, მონასტერს ვენახი მისცა [54. 62]; 1783 წ. კახეთში 1 ხვალი 8 ძროხად გაიყიდა [46. 401]; ხევსურეთში სხვადასხვა სახის ჯაჭვი ჩვენს საუკუნეშიაც 3—5 ძროხად ფასობდა [133. 284].

მსახურის ეკონომიკური შეძლებისა და პრივილეგირებულობის მაჩვენებელი იყო მისი საბრძოლო ცხენი (და არა „საკვიდარი ცხენი“, „ულაყი“, „სატალახე ცხენი“, „არაკეთილი ცხენი“...). უკვე აღრევეოდალური ხანის საქართველოში საშეფო მამულებიდან გამოდიოდა ცხენოსანი ლაშქარი, რომელსაც შეადგენდნენ „მკედარნი, მსახურნი მხნედ და გამოცდილნი წყობათა შინა“ [36. 102].

ცხენი ფეოდალურ საზოგადოებაში წარჩინებულობის, პრივილეგირებულობის მაჩვენებელი იყო. შუა საუკუნეთა ევროპაში ამბობდნენ: «Omnis nobilitas ab equo» — ყოველგვარი წარჩინებულობა ცხენისგანაა, ე. ი. მხედრობაზე ჰკიდიაო [246. 18]. თ. გრანოვსკის სიტყვით, ფეოდალურ ევროპაში ფეოდალებმა მიითვისეს მხედრობის განსაკუთრებული უფლება («Исключительное право на коня», — იგულისხმება, ცხადია. საბრძოლო ცხენი) [209. 231]. ერთი მკვლევრის თქმით, ფეოდალიზმიდან საერთოდ აღარაფერი დარჩება, თუ მას ცხენის გარეშე განვიხილავთ [246. 18].

მსახური თავის პატრონს თავიდანვე, ჩვეულებრივ, ცხენით ენსახურებოდა, მსახურს „ცხენით სამსახური“ ევალეებოდა. „შუშანიკის წამებაში“ იხსენიება მსახური „სადიასპანო“, ე. ი. სწრაფ-მავალი ცხენით. ს. კაკაბაძე სამართლიანად მიუთითებდა, რომ გორგასალის დროინდელი „სიმრავლე მხედართა“ აზნაურთა და მსახურთაგან შედგებოდა [68. 9]. XIII—XV საუკუნეებში მსახურები პატრონს ცხენით ახლდნენ, ნადავლს შოვნისას უპირველესად ცხენს ეპატრონებოდნენ [71. 88-89]. ასეა ბექა-აღბუღას სამართალში, უფრო ადრე, „ვეფხისტყაოსანში“ და ა. შ. მაღალი რანგის მსახურები, აზნაურთა მსგავსად, ქოთლოსანნი იყვნენ, ე. ი. მარქაფა (სათადარიგო ცხენით გამოდიოდნენ).

ყველა მსახურს, ცხადია, ცხენი არ ჰყავდა. არქ. ლამბერტის სიტყვით, „ლაშქრობასა და მგზავრობაში მსახური პატრონს თან უნდა იახლოს ცხენით, თუ ცხენი ჰყავს, ან ფეხით, თუ ცხენი არა ჰყავს“; მხედრობა მსახურის პრივილეგიაა, შონილვე (მებეგრე გლეხი) ბატონს ცხენით ვერ ეახლება [83. 28].

ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნის“ მიხედვით გლეხის (მსახურის) ოჯახის გაყრისას ცხენი, ხმალი, თოფი და (ცხენის) იარაღი მსახურს ერგებოდა [§ 204].

მხედრობა რომ მსახურის წოდებრივი ნიშანი იყო და იმავე დროს მისი ეკონომიკური შეძლებულობის მაჩვენებელი, ეს აისახა მსახურის ეკლესიასთან ურთიერთობაშიც. მსახურის სიკვდილის შემთხვევაში მისი კომლი ეკლესიას საწირავს — შეკაზმულ ცხენს აძლევდა. ასეთსავე შემთხვევაში ფეოდალის სახლი ეკლესიას აძლევდა ნიშანს, გლეხი კი, იშვიათად, საწირავად ხარს იხდიდა.

მსახურთა ფუნქციები

ფეოდალურ საზოგადოებაში მსახურებს მრავალგვარი და სპეციფიკური ფუნქციები ჰქონდათ. მათ შესახებ მრავალმა მკვლევარმა გამოთქვა აზრი. ეს აზრები ძირითადად ერთმანეთს ემთხვევიან, მაგრამ ზოგჯერ განსხვავებულ დებულებებსაც შეიცავენ. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

მ. ბროსეს დასკვნით მსახური მოლაშქრეა და სამოქალაქო ფუნქციების აღმასრულებელი მოხელე სასახლეში ან ადგილობრივ ადმინისტრაციაში, მაგ., მოურავი... [252. LXXX—LXXXI]. მსგავს აზრს გამოთქვამენ ფ. ჰოლდაკი და ე. კარსტიც.

ს. კაკაბაძე წერდა, რომ X—XII საუკუნეებში «Военные, хозяйственные, управленческие нужды феодального владения обслуживались как аспаурами (дворянами) . так и мсахурами (слугами феодалов)» [201.20].

ს. ჯანაშიას სიტყვით, ადრეფეოდალურ ხანაში „მსახურნი“, ანუ „ტაძრეულნი“ მეფესთან ან დიდი ფეოდალის კარზე მსახურობდნენ. მათ ევალებოდათ „ადმინისტრაციულ-პოლიციური მოვალეობანი“. პატრონის სასახლეში წესრიგის დაცვა და ლ ა შ ქ რ ო ბ ა [162. I. 278-9]. ს. ჯანაშიამ დაადგინა მეფის კარზე მსახურ მამაკაცთა და ქალთა აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები ადრეფეოდალური ხანისათვის „სეფე-კაცი“ და „სეფე-ქალი“ [162. I. 160].

ა. ბოგვერაძის აზრით, ადრეული ფეოდალიზმის დროს მსახურები ძირითადად სამეურნეო-ადმინისტრაციულ უბანზე იყვნენ დასაქმებულნი, „სანამ ყმა-მოლაშქრეთა სოციალური ფენა არსებობდა, ლაშქრობა მსახურის უმთავრესი მოვალეობა არ ყოფილა“ [36. 109], მოლაშქრობდნენ გაბატონებულ კლასში შემავალი მხედრები [36. 101-107].

მხედრებს, რომელთაც ა. ბოგვერაძე „სამხედრო-მსახურულ წრეს“ უწოდებს, ჩვენი აზრით, მსახურთაგან განმასხვავებელი რაიმე ნიშანი არ გააჩნიათ, „მხედარი“ იგივე მსახურია.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, ნ. ბერძენიშვილის შეხედულებით, მსახურის წოდებრივი ფუნქცია არ ა გ ლ ე ხ უ რ ი ა : ლ ა შ ქ რ ო ბ ა , სამსახური და გამასპინძლება [169].

ნ. ასათიანმა კახეთის სამეფოს მასალების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ ფუნქციათა მიხედვით იყვნენ მსახურები: 1) მხლებელ-მოლაშქრენი, 2) მოხლეები, 3) კარზე მოსამსახურენი და 4) ხელოსნები (რაიმე ხელობის მცოდნენი) [166. 14].

ზ. რატიანის დასკვნით მსახურთა წოდების ძირითად მოვალეობებს შეადგენდა ლ ა შ ქ რ ო ბ ა , ნ ა დ ი რ ო ბ ა , სხვადასხვა ადმინისტრაციული სამსახური. ქალი მსახურებისას — სეფექალობა, ანუ მოახლეობა [104. 151].

როგორც ვხედავთ, მკვლევართა საერთო აზრით, მსახურთა ფუნქციები იყო: მოლაშქრობა, კარზე სამსახური, საკვეყნოდ გამრიგეობა (მოხლეობა). ეს ფუნქციები მსახურებს რუსეთთან შეერთებამდე, ნაწილობრივ კი ბატონყმობის გაუქმებამდე შემორჩათ.

რუსი მოხელე ნ. ოკოლნიჩის ცნობით 1857 წ. ქუთაისის გუ-

„ბერნის გლეხობა რამდენიმე კატეგორიად იყოფოდა: „Один из них обязывались сопровождать своего помещика на войну или в его поездках по краю в качестве оруженосцев и уже, кроме этой обязанности, от них ничего другого нельзя было требовать“ [222. 484]; ცხადია, აქ მსახურებზეა ლაპარაკი.

ქუთაისის გუბერნატორი ოგოლანი 1866 წ. წერდა: «Азати, мсахури или пареши... в домах богатых князей составляют высшую прислугу, сопровождая их в дороге и в поход» [190². 349]. მისივე სიტყვით მსახურს სხვადასხვა საქმეზე დავალებებით აგზავნიდნენ («в командировках») [230. II. 385]. აღრეფეოდალურ ხანაში ასეთ მსახურს «დიასპანი» ერქვა, განვითარებული ფეოდალიზმის დროს შათირი.

დ. ფურცელაძის სიტყვით მსახურები ანუ აზატები იყვნენ ფეოდალთა მცველები (телохранители) როგორც სახლში, ისე ლაშქრობაში. მათვე ევალებოდათ შინაყმობაც [225].

გ. ქალანთაროვის სიტყვით ბატონის სამსახურში მსახურთა როლი დიდმნიშვნელოვანი იყო: «Они исправляли обязанности полицейских, собеседников, конвоя, и вообще свиты» [202. 219].

ს. ავალიანის დასკვნით, XV—XIX საუკუნეებში მსახურები პრივილეგირებული არათავისუფალი იყვნენ, რომლებიც მეფეს, ფეოდალებს და ეკლესიას ემსახურებოდნენ როგორც ადმინისტრაციის მოხელეები, მოლაშქრეები და მცველები [164. 61]. ამასვე აღნიშნავს პ. ივანენკოც [237. 8].

დუბროვინმა, დაახასიათა, რა მსახურის სამხედრო ფუნქცია ომში— იგი ბატონის მცველი და მებაჯრეა—აღნიშნა, რომ ომში მსახურს სხვა ერთი განსაკუთრებული სახის ფუნქციაც ჰქონდა,— იგი მემარქაფე იყო. მისი სიტყვით, რადგან აზნაური ცხენით ლაშქრობდა, მას მოეთხოვებოდა სათადარიგო, მარჩაფა ცხენის გამოყვანაც თავისი მემარჩაფე მსახურითურთ («заводная лошадь с прислугой») [191. 183]. მართლაც, დოკუმენტებით დადასტურებულია, რომ მარჩაფა ცხენი მემარჩაფე მსახურს მიჰყავდა. ბრძოლაში შესულ მემარჩაფე მსახურს ბატონის მარჩაფა მარცხენა მხარეს ტახტაზე ჰყავდა გამობმული, მარცხენა ხელით საკუთარი ცხენის სადავე და მარჩაფის «ვაზიდვა» ეპყრა, მარჯვენა ხელი კი თავისუფალი ჰქონდა და იარაღს ხმარობდა [S. 225, გვ. 16].

მადალი რანგის მსახურს თვით ჰყავდა საკუთარი მარჩაფა.

ანეთ მსახურს ქოთლოსანი მსახური ერქვა („ბეჭა-აღზღუდს სამართალი“, § 9).

მსახურთა წოდებას ჰქონდა ერთი განსაკუთრებული ფუნქცია, რომელიც სამხედრო სამსახურთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ძალისა და იარაღის გამოყენების ასპარეზს ამ შემთხვევაში ბრძოლის ველი არ წარმოადგენდა. ეს იყო მსახურის საპოლიციო, ნ. ბერძენიშვილის თქმით — საყანდარმო სამსახური.

ცნობები მსახურის საპოლიციო სამსახურის შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებში მრავლადაა და მათი მეტი ნაწილი ამ თეასახრიან ისტორიოგრაფიაშიცაა მითითებული. ამის გამო ჩვენ ნხოლოდ რამდენიმე მაგალითის მოტანით დავკმაყოფილდებით.

„შუშანიცის წამების“ (V ს.) ცნობა: ირანიდან მომავალი რკულს მოლაღატე ვარსქენ პიტიახშმა, რა „მოიწია საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას პერეთისასა, ზრახვა ყო, რაათა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისი ძენი და მსახურნი მისნი, რაათა მათ გამო, ვითარცა ერთგული, სოფლად შევიდეს“, და ამ მიზნით ცურტავს ერთი მონა გაგზავნა [139. I. 12]. სტრათი ნათელია: რენეგატ ვარსქენს ეშინოდა, რომ ხელქვეით ქრძატიან მოსახლეობათან კონფლიქტი არ მოსვლოდა და საზღვართან შესაგებებლად აზნაურები და მსახურები (ლაშქარი!) გაიწვია, „რაათა მათ გამო“, ე. ი. მათი საშუალებით, მათი ძალის იმედით, თავის ეანსაგებელ ქვეყანაში უშინრად შესულიყო. მსახურები, აზნაურებთან ერთად, მთავრის (ფეოდალის) სამხედრო ძალა იყო, მისი ბატონობის გარანტია იყო, ეს ძალა შეიძლებოდა საკუთარ ქვეყანაში ხელქვეითთა წინააღმდეგ გამოეყენებინა. ამავე ძეგლის მონაცემებით ვარსქენი „წარავლენა“ მსახურებს, რომლებიც შუშანიცს „თრევით წარიყვანენ“ [139. I. 15]. ნაცეში შუშანიცი სენაეში რომ წაიყვანეს, ვარსქენმა ბრძანა „ქრძალულად დაცვა მისი ერთითა მსახურითა“ [139. I. 17], ეს მსახური დედოფალს კარ ემსახურება, იგი მისი მცველია [139. I. 18]; ვარსქენი უბრძანებს სენაეპანს („შინაურ მსახურს“) — ციხეში წაიყვანოს შუშანიცი [139. I. 20]. მსგავსი ფუნქციები, ზოგჯერ უშუალოდ სასჯელის სისრულეში მოყვანა, აკისრიათ მსახურებს „ეესტათი მცხეთელის მარტვილობის“ (VII ს.), აბო თბილელის წამების (VIII ს.) და სხვა ძეგლთა მიხედვითაც. V—X სს. ძეგლების მიხედვით კარის მსახურს ევალდებოდა: კარზე გაწვევა, დაპატიმრება, ავაზაკთა ძებნა, დამნაშავეს დასჯა, ე. ი. საპოლიციო სამსახური [18. 387].

მსახურის ასეთი ფუნქცია კარგად ჩანს განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაშიც. დავით აღმაშენებლის სიტყვით „ღღესა შინა სასაჯელისასა... მსაჯულ წართლ სჯიდეს, მსახურთა რისხეა ქროდის“ [140. 376].

მსახურის ასეთ ფუნქციებზე შესანიშნავი ცნობა აქვს უამთა-ალმწერელს (XIV ს.); როცა ზესტურმე ჯიქური მეფეს დაასმინეს, ღამე იყო, ულუ-დავითმა „წარავლინა მსწრაფლ წინაშემდგომელნი და ბრძანა წინაშე მოყვანება მისი და სახლისა მისისა იავეარ-ყოფად, დავითარ აღასრულეს მსახურთა მეფისათა... (მეფემ) განუკითხაუად ბრძანა შთაგდებად წყალსა“ [122. II. 238].

მსახურთა საპოლიციო ფუნქციები აღნიშნულია სპეციალურ გამოკვლევებშიც. ზემოთ უკვე მივუთითეთ, რომ ს. ჯანაშია აღნიშნავდა მსახურთა მიერ «საპოლიციო მოვალეობების» შესრულებას. დ. ფურცელაძის სიტყვით, მსახურები ჰკრეფდნენ გლეხთა საბატონო ბეგარას და შრომით ბეგარაზე გამოჰყავდათ გლეხები [181. 106]. გ. ქალანთაროვის სიტყვით, XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოში მსახურები «ასრულებდნენ პოლიციელთა მოვალეობას... მსახურები წარმოადგენდნენ ყმა-გლეხთა მასის ჩაგვრის ყველაზე საიმედო ელემენტს» [202. 119]. ამასვე აღნიშნავს ა. ივანენკოც. «(Мсахури) помогали господину, как это требовалось, выжимать сок из крестьян» [237. 8].

ნ. ასათიანმა აღნიშნა მსახურთა საპოლიციო ფუნქცია გვიან შუა საუკუნეებში და მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მსახურთა წოდების არსებობა გლეხთა მასაზე ფეოდალთა ბატონობის ერთ-ერთი პირობა იყო: „გლეხთა ექსპლოატირებული მასის კლასობრივი წინააღმდეგობის შესასუსტებლად ფეოდალები იძულებული იყვნენ შეენარჩუნებინათ უფლებრივად ერთმანეთისგან განსხვავებული გლეხთა ჯგუფები და ხელი შეეწყოთ მათი ერთმანეთისგან კიდევ უფრო მეტად გაიჭვნისათვის“. თავისი მეურნეობის მართვისა და მასში დისციპლინის დაცვისათვის ფეოდალს სჭირდებოდა ერთგული პირები თვით გლეხთაგან. სათანადო ფუნქციებს. სწორედ მსახურები ასრულებდნენ [166. 13]. ასეთ ვითარებაში მსახურთა დამცრობა-ქრობაზე მსჯელობა, ცხადია, გაუმართლებელია და დოკუმენტებითაც არ დასტურდება.

მსახურთა საპოლიციო ფუნქციებზე მიუთითა გ. ჯანბურიაძეც:

„ფეოდალები მსახურებს იყენებდნენ ურჩი გლეხების დასარბევად, დასაპყრად, ასაყრელად და სხვა მისთანა საქმეებისათვის“ [115. IV. 191].

გ. ჯამბურია მ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ფეოდალები არ იყვნენ დაინტერესებულნი მსახურთა გაქრობით, მათი მებეგრე-ებთან შერწყმით, რადგანაც მსახურთა სამხედრო ძალა მათთვის აუცილებელი იყო. ეს გარემოება განპირობებდა მსახურთა ფენის გამძლეობას გვიანი შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე [187. 32]. მსახური რომ „პრივილეგირებული კლასის ინტერესების დამცველი“ იყო, ეს აღნიშნულია დ. მეგრელაძის ნარკვევშიც [86. 162].

მსახურთა განსაკუთრებული სოციალური ფუნქცია და როლი საგანგებოდ აღნიშნა რ. არსენიძემაც: „მსახურნი... არა იშვ-ათად მოძვეთა შევიწროებით, გლეხების დაჩაგვრით ცდილობდნენ ბატონის გული მოეგოთ... ისინი ხშირად თავის პირად სასარგებლო-დაც იყენებდნენ ბატონის ნდობას და გლეხებს ერთი ორად ახდე-ვინებდნენ საბატონო გადაახადს, რომ ნამეტნავად აღებული თვითონ ჩაეჯობათ“ [22. 218-219]. რ. არსენიძის სიტყვით, ფეოდა-ლები მოხერხებულად იყენებდნენ მსახურთა და მებეგრე გლეხთა დაპირისპირებას, რაც მსახურთა ფუნქციებით იყო გაპირობებული და შლიდნენ გლეხთა ერთიანობას, უზრუნველყოფდნენ თავიანთი ბატონობის უშიშროებას. „ბატონი არჩევანს ახდენდა გლეხობაში: უფრო გაბედულ, ფხიზელ, მარჯვე ელემენტებს იყვანდა კარზე. ამ საუკეთესო პირთა გამოყოფით და ხშირად გლეხებზე დაპირის-პირებით, ამ უკანასკნელთა ძალა და უნარი შესუსტებული იყო“ [22. 220].

კლასობრივ საზოგადოებაში გაბატონებული კლასის ასეთი ვე-რაგული პოლიტიკის შედეგები კ. მარქსმა ასე შეაფასა: „რაც უფრო მეტ უნარს იჩენს გაბატონებული კლასი თავის წრეში მიი-ზიდოს უფრო გამოჩენილი ადამიანები დაჩაგრული კლასებიდან, მით უფრო მტკიცე და საშიშია მისი ბატონობა“ [2. III(2). 177].

სოციალურ ურთიერთობებში მსახურთა წოდების როლს შე-სახებ მეტად საყურადღებოა ფრ. ენგელსის შეხედულება. მისი სიტყვით, გვიანი შუა საუკუნეების გერმანიაში საზოგადოება არ იყო ისე მკვეთრად დაყოფილი ორ დაპირისპირებულ კლასად, რო-გორც მაგალითად, საფრანგეთში დიდი ბურჟუაზიული რევოლუ-ციის წინ ან უფრო გვიან, მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. გერმანიის საზოგადოება იყოფოდა მრავალ წოდებად: მთავრებად, წარჩინებულად, მაღალ სამღვდელეობებად, პატრი-

ციებად, მოქალაქეებად, პლებეებად, გლეხებად.... ყველა ამ წოდებას საყუთარი, განსხვავებული ინტერესები ჰქონდა, ეს წოდებები ერთმანეთს მტრობდნენ. ამას ემატებოდა ქვეყნის დეცენტრალიზაცია, პროვინციათა და ცალკეულ მხარეთა დამოუკიდებლობა, კონფინაციათა განუვითარებლობა და სხვა, რაც საზოგადოების ორ ძირითად კლასად დაყოფას უშლიდა ხელს. წოდებათა ინტერესების სხვადასხვაობა, კუთხური კარჩაკეტილობა და „კუთხურობა“ შეუძლებელს ხდიდა ჩაგრულ წოდებათა გაერთიანებას, მათ ერთიან გამოსვლას, ასუსტებდა კლასობრივ ბრძოლას [6. 37].

ფეოდალური ქვეყნის ერთ-ერთი წოდებათაგანი იყო მინისტერიალიტეტი—არათავისუფალ ვასალთაგან შემდგარი ადმინისტრაციული აპარატი და სამხედრო ძალა, რომელიც აუცილებელი იყო მისი ბატონობისათვის, როგორც თავისუფალ ვასალთა დასაპირისპირებლად გამოსაყენებელი ძალა (противовес) [220. 344]. ასევე უპირისპირდებოდა მინისტერიალი თავის თანამოძმეებსაც, — რომელთაგანაც იგი სამსახურით განსხვავდებოდა, — გლეხობას. აქედან ცხადია, თუ რამდენად რეაქციული იყო მინისტერიალთა როლი საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში.

ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა, შეიძლება უცვლელად მიუყუენოთ ქართველ მსახურთა წოდებასაც, ვით უმეტეს, რომ საშინაო-პოლიტიკური სიტუაცია გვიანი შუა საუკუნეების გერმანიასა და საქართველოში საოცრად მსგავსი იყო.

ფეოდალიზმის ეპოქაში ფეოდალი უპირისპირდებოდა არა მარტო მეფესა და სხვა ფეოდალებს (შინაკლასობრივი ბრძოლა!), არამედ ცალკეულ გლეხებსა თუ სასოფლო თემებს (კლასობრივი ბრძოლა!). სასოფლო თემი საქართველოში (ბარში) ფეოდალიზმის მთელ სიგრძეზე არსებობდა როგორც „შუა საუკუნეების უმკაცრესი ბატონყმობის პირობებში ტერიტორიული შეკავშირებისა და წინააღმდეგობის საშუალება“ [7. 215]. თემი გლეხთა ინტერესების დაცვის ძლიერ საშუალებას წარმოადგენდა. მსახური თემიდან გამოთიშული არ იყო, იგი „სათემო საქმეზე“ სხვებთან ერთად უნდა გამოსულიყო: „სათემოს საქმეზე სოფელს ნუ გაეყრებინს მსახური“ [295 ა. III, ფურც. 155]. ამავე დროს, როგორც ბატონის „განმზრახნი“, „წინაშემდგომელი“ და თანამეინახე, მსახური თემს უპირისპირდებოდა, თემისა და ბატონის ურთიერთდაპირისპირების დროს მსახური ბატონის მხარეზე იდგა, თანამოძმეებს ებრძოდა.

როგორც დავინახეთ, მსახურთა სოციალური როლი ფეოდალურ საზოგადოებაში მეტად კოლორიტული და რეაქციული იყო.

ფეოდალიზმი მკარებიცხოვანი უქმი და მფლანგველი კლასის ბატონობა იყო მშრომელთა უზარმაზარ მასაზე, ეს ბატონობა ფეოდალთა დიქტატურას წარმოადგენდა და შესაბამის წესებს აწყობდა. თავისი ბატონობა რომ უზრუნველყო და თავი უშიშრად ეგრძნო, გაბატონებული ფენა ვერაგულ პოლიტიკას მიმართავდა, მშრომელთა მასისაგან გამოჰყოფდა ელიტას მსახურთა სახით, უზრუნველყოფდა მას, აიარალებდა, აწინაურებდა, წარჩინებულს ჰხდიდა, სთიშავდა თანამომემთაგან და ამით ასუსტებდა დამორჩილებული მასის ძალას. ასეთი პოლიტიკა მსახურთა ფსიქოლოგიაში სათანადო რეაქციას იწვევდა: დაწინაურებული პირი, მშრომელთაგან გამოსული მსახური. თავისი პრივილეგიების შესანარჩუნებლად მზად იყო — თუ ხელმწიფე (ბატონი) უბრძანებდა, დაეთრგუნა თავისი თანამომე, ეცემა, ხაროში ჩაეგდო, ბორკილები დაედო, თვალები დაეზნელებინა, ხელი მოეკვეთა, მოეკლა. ცხადია, სავესებით მართალი იყო ნ. ბერძენიშვილი, როცა მსახურთა „საყენდარმო“ ფუნქციაზე წერდა. ამაში შეკლავდებოდა არა მარტო მსახურთა წოდების, არამედ თვით იმდროინდელი საზოგადოებრივი წყობილების რეაქციული, ანტიხალხური არსიც.

რაკი სათანადო ისტორიული მონაცემები არსებობს, ინტერესს მოკლებული არ იქნება აქვე ამ ცნობათა მიხედვით მსახურთა სოციალური ფსიქოლოგიის მოკლედ მიმოხილვა.

მსახურთა წოდებას მისი პრივილეგირებულობის, „ართავისუფალი წარჩინებულობის“ შესაფერი სოციალური ფსიქოლოგია ჰქონდა. მდაბიოდან აღზევებული, „კაცად ქცეული“ მსახური, რომელიც უკვე თავის ძველ თანამომემთა მალა იდგა და თვით მონაწილეობდა ექსპლუატაციაში — როგორც მოხელე და მოლაშქრე, ზემოდან, ქედმალღურად დაჰყურებდა მებეგრე (მოყალნე) თუ უფრო დაბალი კატეგორიის გლეხებს. ეს დოკუმენტებითაა დადასტურებული.

1791 წ. ერეკლე II-მ წესად დაუდო ბატონიშვილებს, რომ მათ თბილისიდან მსახურად 10—15 კაცზე მეტი არ გამოეყვანათ, ისინიც მხოლოდ აზატთაგან (გადასახადის არაგადამხდელთაგან) უნდა ყოფილიყვნენ. ასეთ განწესებას მეფე იმით ასაბუთებდა, რომ მსახურად გაყვანილი კაცი «ხარჯს დააკლდება», ე. ი. სახელმწიფო გადასახადებისაგან უნდა განთავისუფლდეს და ხაზინა დაზარალდებოდეს. გარდა ამისა, — აღნიშნავდა მეფე, — ვისაც მსახურად გაიყვანთ, «თითონ იმისი ოჯახი აეჩვეულე ბასა და დიდგულობას და აეჩვევა და თავის აღებ-მიცემობაზე აღარ იქნება და წახ-

დება, არ უჯობს საბრალოს“-ო [125. II. 525], მსახურის თავისებური ქცევა შშვენივრადაა ნაჩვენები იოანე ბატონიშვილის «კალმასობაში»: მსახური ზურაბა თავის ბატონთან ისე თამამადაა, როგორც, ცხადია, ვერც ერთი მებეგრე ვერ იქნებოდა. მსახურებს ასეთი ფსიქოლოგია ბოლომდე შემორჩათ. რ. ერისთავი 1866 წელს აღნიშნავდა სამეგრელოს სამთავროს აზატთა კასტურ მედაღურობას (спесы): «Азат гнушается разряда мебегре, из которого только что вышел» [190ა. 406]. გ. ქალანთაროვი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ბატონყმური ურთიერთობანი XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოში, აღნიშნავდა, რომ მსახურის ასეთი ფსიქოლოგია ორი ფაქტორით იყო განპირობებული: 1) მსახურს თავისი წოდებრივი მდგომარეობა ბევრად უკეთეს ეკონომიკურ პირობებში აყენებდა, 2) ბატონის მხარეზე სხვა გლეხთა წინააღმდეგ აქტიურად დგომა მსახურს გზას უხსნიდა აზნაურობისკენ [202. 219]; გააზნაურებული მსახური, როგორც ეს საქეთათლო გლეხთა ნუსხების შესწავლის საფუძველზე შენიშნა ს. კაკაბაძემ, ცდილობდა საბოლოოდ წაეშალა თავისი ძველი სოციალური წარსულის კვალი და, არათავისუფალი წარმოშობის დაფარვის მიზნით, «ცდილობდა გვარის ოდნავ შეცვლით თავისი თანამოგვარეებისაგან განსხვავებას» [112. III.28.]

ზემოთ მოტანილი ფაქტები ძირითადად იმ პერიოდისაა, როცა მსახურთა წოდება უკვე სულს დაფავდა და ძველი ინერციით არსებობდა. ცხადია, მსახურთა სოციალური ფსიქოლოგია უფრო რელიეფურად მაშინ იქნებოდა გამოხატული, როცა მსახური მდრულად შეკაზმულ საომარ ცხენზე იჯდა და ლაშქრობდა, აბჯარში ჩამჯდარი ბრძოლის ველზე აზნაურთა მსგავსად კარავს შლიდა, ან პატრონის კარზე საქმეებს განაგებდა და მებეგრე გლეხებს საბატონო სამუშაოზე ერეკებოდა.

ფეოდალური არისტოკრატია თავის მხრივ მუდამ მრისხანებით უყურებდა „გაზოჩენილ „მსახურთა „დიდგულობას“, „ავჩვეულებას“, ზედმეტ სითამამეს და „ხელით აზნაურიშვილებს“ ყოველთვის აგრძნობინებდა მათ „მდაბიობას“ და „მონობას“.

მსახურის ძირითადმა ფუნქციებმა — მოლაშქრეობამ და საპოლიციო სამსახურმა მნიშვნელობა დაკარგა რუსეთთან შეერთების შემდეგ. მაშინვე მნიშვნელოვნად შეიკვეცა მსახურის სხვა ფუნქციაც — მოხელეობა. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთთან შეერთებით გამოწვეულ ცვლილებებს არც ერთი საზოგადოებრივი წოდება ისე არ დაუზიანებია, როგორც მსახურთა წოდება: მას პრივილეგიები წაერთვა, ვალდებულებები კი გაუმრავლდა. რაკ:

რუსული კანონი მსახურის სოციალურ კატეგორიას არ ცნობდა, კანონმა იგი რიგით გლეხს, მებეგრეს გაუტოლა. ერთადერთი, ისიც შეზღუდული ასპარეზი, სადაც ჯერ კიდევ ჩანდა მსახურის საჭიროება, როგორც პროფესიონალი მოლაშქრისა, იყო სამსახური ქართულ „მილიციაში“ (სახალხო ლაშქარში), რომელიც დრო-დადრო, კავკასიაში ომების დროს იჭრიებოდა.

რუსეთთან შეერთების გამო მსახურთა დამცრობით მათი უკმაყოფილების გამოხატულებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ანტირუსულ გამოსვლებში ყველაზე აქტიურად სწორედ მსახურები მონაწილეობდნენ აჯანყებულთა მოწინააღმდეგე, ხელმძღვანელ რიგებში იდგნენ.

ივრით წოდებულ „მლაბიორ-მოლაშქრითა“ შესახებ

ცნობილ ნაშრომში «Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии XIII—XVI вв.», რომელიც 1938 წ. გამოიცა, ნ. ბერძენიშვილი წერდა: «По мере нарастания в феодальном обществе крепостных отношений слой мсахуров испытывает все большее экономическое и социальное притеснение. Война, служение и достойное его положения угощения патрона оказываются слишком тяжелым для этого слоя проиэводителъного класса и, все более и более разоряя, гонит его в лагерь глехи [169. 2—3]. მოლაშქრეთა, მსახურთა დამცრობა-გაგლეხება ნ. ბერძენიშვილს ამ ნაშრომში X—XIII საუკუნეებში მიმდინარე პროცესად მიაჩნდა, რომელიც XIV საუკუნეში, ბეჟა-აღბულას სამართლის შექმნის დროს, უკვე დამთავრებული იყო.

თავიდანვე შევნიშნავთ, რომ ყველაფერი ის, რაც დღეისათვის ცნობილია მსახურთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ XIII—XIV საუკუნეებში, გადაჭრით ეწინააღმდეგება დასკვნას ბატონყმობის განვითარების პროცესის ფალსუმიტის პარალელურად მსახურთა დამცრობა-ქრობის შესახებ. პირიქით, მსახურთა როლი თანდათან იზრდება სწორედ ბატონყმობის განვითარებასთან ერთად. როგორც სამხედრო, ისე საპოლიციო-ადმინისტრაციული ფუნქციების მნიშვნელობის ზრდის თვალსაზრისით. როგორც ჩანს, ამ გარემოების გათვალისწინებით, მომდევნო ხანებში (50-იან წლებში) ნ. ბერძენიშვილმა შეწოილო ხ ე ლ ო ვ-

ნური ტერმინი „მდაბიორ-მოლაშქრე“ (ამასთანავე იგი ხმარობდა ამავე მნიშვნელობით ტერმინებს — „ყმა-მოლაშქრე“, „თავისუფალი მოლაშქრე“).

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ნ. ბერძენიშვილის „დასახურება ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის „ყმათა“ გარდამავალი კლასის აღმოჩენა“ [36. 117].

ტერმინიდან ჩანს, რომ მასში იგულისხმება არაფეოდალი მოლაშქრე. „აზნაურის ყმა პატრონყმობის კიბის უმდაბლეს საფეხურზე მდგომი კაცის სახელია ფეოდალურ ურთიერთობათა გარკვეულ ხანაში. აქედნ. ბერძენიშვილმა ამ მნიშვნელობით შემოიღო „მდაბიორ-მოლაშქრე“, — „ყმა-მოლაშქრე“. „აზნაურის ყმები“ ლაშქრობა-სამსახურის მოვალე მწარმოებლები იყვნენ, ბეგარის გამოძღვებულ გლეხებისაგან განსხვავებით“ [36. 35]. ამრიგად, მდაბიორ-მოლაშქრე მსახურისგან განსხვავებული სოციალური ჯგუფი ყოფილა.

ნ. ბერძენიშვილმა ეს აზრი კატეგორიული ფორმით გამოთქვა 1958 წ. გამოცემულ სახელმძღვანელოში, მისი სიტყვით „მდაბიორ-მოლაშქრეს მძიმე სახელმწიფო და კერძო საპატრიო მოვალეობა აწვა: ლაშქრობა და პატრონის წინაშე საპატიო სამსახური. ეს კი საკმაო მატერიალურ სახსარს მოითხოვდა“ [33. 177]. ამის გამო, ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, მდაბიორ-მოლაშქრეთა ნაწილი საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში საშოვარზე დადის და სარჩოს ქირაზე მუშაობით ეძებს, მუშაობს „მოსარეწლად რამსაჲმე ღონედ სიგლახაკისა თვისისა“ [33. 178]. მდაბიორ-მოლაშქრენი საკმაო სახსარს მაინც ვერ შოულობდნენ, სუსტდებოდნენ, ღარიბდებოდნენ, ვალებში ცვივდებოდნენ, მიწა-ადგილს ჰყიდდნენ, ქვეყნისა და პატრონის მძიმე საპატრიო სამსახურს ვერ ასრულებდნენ და გლეხებად იქცეოდნენ, გლეხდებოდნენ“ [33. 179], ე. ი. აქ ფრანკთა სახელმწიფოში VI—VII საუკუნეებში მიმდინარე პროცესის მსგავს პროცესთან გვაქვს საქმე.

ამავე სახელმძღვანელოში ნ. ბერძენიშვილი წერდა: „გლეხობაში გადადიოდა მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენის დიდი უმრავლესობა. მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენის გაქრობა, მისი გლეხობაში გადასვლა იყო ყველაზე უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი სოციალური პროცესი, რომელიც საქართველოში ფეოდალურმა ურთიერ-

თობამ კლასთა ბრძოლის გაღრმავება-განვითარების გზით განიცადა. XII საუკუნის მიწურულისათვის ეს პროცესი ძირითადად უკვე დამთავრებული იყო.

ასე რომ მდებარე-მოლაშქრეთა ფენა, რომელიც ადრე-ფეოდალური ხანის სოციალური ურთიერთობის — პატრონყმობის საფუძველს წარმოადგენდა, იმუამად უკვე გაქრა ძირითადად და ქართული ფეოდალური საზოგადოება ორ მთავარ ანტიგონისტურ კლასად — აზნაურებად და გლეხებად დაიყო. ბატონყმობა შემოვიდა“ [33. 179-180].

ამრიგად, ნ. ბერძენიშვილს ნიაჩნდა, რომ პატრონყმობა ესაა ადრეფეოდალური ხანა. ამ ხანას პატრონყმობა ინიტომ ეწოდება, რომ ურთიერთობა მდებარე-მოლაშქრესა და ფეოდალს შორის პატრონისა და ყმის, ე. ი. სენიორ-ვასალის ურთიერთობაა. რადგანაც მდებარე-მოლაშქრისა და ფეოდალის ასეთი ურთიერთობის გაქრობა ახალი ურთიერთობის — ბატონყმობის შემოსვლას ნიშნავს, ცხადია, რომ ბატონყმობის შენოსვლაში (ე. ი. გამარჯვებაში) ესაა გადაწყვეტი და არა საზოგადოების სხვა ფენების ურთიერთობა, მაგ., ურთიერთობა სხვადასხვა რანგის ფეოდალებს შორის, ან ურთიერთობა გლეხებსა და ფეოდალებს შორის.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა არადამაჯერებელია მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებას: (აღმოსავლეთ) საქართველოში უკვე სტრაბონის დროს არსებობდა მატერიალური დოვლათის მწარმოებელი დამოკიდებული ფენა — სამეფო „მონები“, რომლებიც „არასგზით არ იყვნენ ნამდვილი ზონები, არამედ კოლონები“ (ს. კაკაბაძე; ს. ჯანაშია). გ. მელიქიშვილი ვარაუდობს, რომ უკვე IV—V სს-ში აღმ. საქართველოში (ქართლი—იბერია) იმდენად განვითარებული იყო ფეოდალური წყობილება, რომ უეჭველია ამ წყობილების ფორმირება აქამდე საუკუნეთა განმავლობაში ხდებოდა [216. 191]; მისივე სიტყვით, უკვე ჩვ. წ. ა. დასაწყისისათვის ქართლში იყვნენ „გლეხნი“, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა [115. I. 597], ისინი ჩამოშორებული იყვნენ სალაშქრო საქმეს. იურიდიული სტატუსის სტრაბონის „სამეფო მონების“, ალბათ, მონებისას უახლოვდებოდა. ეკონომიკური ნიშნით კი ისინი უნდა განხილულნი იქნან, როგორც „გლეხები“ (крепостные) [216. 193]. სტრაბონისეულ IV გენედან და III გენეს დაშლის შემდეგად ვი-

თარღებოდა გლეხოზა — დაბეგრილი, მიწაზე მიმაგრებული მწარმოებელი მასა. ახ. წ. ა. საუკუნეებში სწრაფად ვითარდებოდა ფეოდალური იერარქია. ამ მხრივ აშკარა და თვალსაჩინო განსხვავებაა V—VIII საუკუნეებისათვის. განვითარებული, პრავალაფეხურიანი ვასალიტეტი, რომელც ნათლად ჩანს VI—VIII საუკუნეთა საქართველოში, მხოლოდ ყმა გლეხთა ექსპლოატაციას შეიძლებოდა დაყრდნობოდა. ასეთ ვითარებაში წარმოუდევნელია ბატონყმობის ისეთი ნელი განვითარება, განსაკუთრებით მაშინ, როცა არსებობდა მსახურთა მრავალიცხოვანი ფენა, რომ ამ განვითარების დაბოლოებად XII ს. მიწურული იქნას მიჩნეული. ის ფაქტი, რომ წყაროებში ტერმინი „გლეხი“ IX საუკუნემდე არ ჩანს, ამის საწინააღმდეგო არგუმენტად ვერ გამოდგება, ნარატიული წყაროები მომდევნო ხანებშიაც მეტად იშვიათად იხსენიებენ „გლეხს“, აღრინდელი დოკუმენტები კი არ შემონახულა. ასეთი ვითარებაა ევროპაშიც: „გლეხი“ დოკუმენტებში ხშირადაა ნახსენები, ნარატიულ წყაროებში კი თითქმის არ ჩანს. „მდაბიორი“ ზოგადი ტერმინია (იხევე როგორც „უზნონი“), მასში ყველა არააზნაური იგულისხმება და არა მაინცდამაინც თავისუფალი გლეხი. „მდაბიორ-მოლაშქრენი“, — როგორც „თავისუფალ“ (დამოკიდებულ) მწარმოებლებს ნ. ბერძენიშვილმა უწოდა, არ შეიძლებოდა რაიმე სპეციალური ტერმინით არ მოეხსენებინათ, მათი რიცხვი სათანადო საისტორიო წყაროთა შექმნის დროს მნიშვნელოვანი, საზოგადოების ტიპის განმსაზღვრელი რომ ყოფილიყო. ნ. ბერძენიშვილს „მდაბიორ-მოლაშქრე“ მსახურიან განსხვავებულ კატეგორიად მიაჩნდა. არც ერთი წყარო ასეთ ფენას საქართველოს ბარში X—XII საუკუნეებისათვის არ იცნობს.

საქართველოს ისტორიის დაწმარე სახელმძღვანელოს VIII თავში, რომელშიც ნ. ბერძენიშვილი VII—X სს. საზოგადოებრივ კლასებს განიხილავს, დასახელებული არიან მსახურები, რომლებიც აზნაურებზე დაბლა და გლეხებზე მაღლა იდგნენ (გვ. 127); შემდეგ, XI—XII სს. საქართველოში სოციალურ ურთიერთობათა განხილვისას, ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ XIII ს. დასაწყისისათვის „გლეხთა ფენაში გაერთიანდა ქვეყნის მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა მიწათმოქმედი ნაწილი... ყველა გლეხი მებეგრე იყო“ (გვ. 181). შემდეგ ნ. ბერძენიშვილი ჩამოთვლის მიწათმოქმედ მწარმოებელთა, ე. ი. გლეხთა სახეებს (კატეგორი-

ებს) სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. შენდევ დასახელებულია საზოგადოების ვაჭრულ-ხელოსნური ფენები (გვ. 183-184) და „ვაჭარბონებული კლასი — აზნაურები“ (გვ. 185—186). სოციალური წყობის ამ სურათში არ ჩანან მსახურები. აქვე გავიხსენოთ, რომ ნ. ბერძენიშვილის აზრით გლეხი არამოლაშქრეა (გვ. 128), ხოლო ე. წ. „მდაბიორ-მოლაშქრეთა“ ფენა უკვე ვაჭრალია. XIII თავში ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ 1254 წლის მონღოლური აღწერის შემდეგ „საქართველოს გლეხოზა იძულებული შეიქნა საქართველოს ფეოდალურ წრეებთან ერთად შებმულიყო მონღოლური მოლაშქრეობის მძიმე უღელში, პირადი მონაწილეობით იქნებოდა ეს თუ ამის სანაგებრო საზღაურით“ (გვ. 231).

იმავე ნაშრომის იმ ნაწილში, რომელსაც ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაცია ეწოდება, XII—XIII სს. საქართველოს ლაშქრის შემადგენლობა ასეა აღწერილი: „1. საქვეყნო ლაშქარი, რომელიც ქვეყნის სხვადასხვა მხარეებიდან — საერისთავთერისთავობისაგან თუ საკუთრივ სამეფო სახალისაგან — გამოდიოდა; 2. დარბაზის ერი ანუ იგივე ტაძრეულები — ტახტის აზნაურ-მოსაკარგავეთა თუ მდაბიორ-მოლაშქრეთა მუდმივი ჯარი მეფის კარზე, შედარებით მცირერიცხოვანი, რჩეულ მეომართაგან შემდგარი; 3. მეფის კარზე სამსახურად მყოფი რაზმები ყვადნაფიცი ქვეყნებიდან“ (გვ. 221).

აქ თავისთავად ჩნდება კითხვები: თუ „მდაბიორ-მოლაშქრეთა“ ფენა გაქრა, მაშინ იგი როგორღა იქნებოდა „ტაძრეულთა“ რიგებში? ან რა ვუყოთ მსახურებს, რომელთა ძირითადი ფუნქცია მოლაშქრეობა იყო და რომელნიც მთელი ფეოდალური ეპოქის მანძილზე არსებობდნენ? რა კატეგორიას მივაკლთვნოთ მთიელი მოლაშქრეები, რომლებიც ბატონყმობის უღელში არასოდეს შებმულან და ყოველთვის საქართველოს ლაშქრის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ? თუ ეს მთიელები იგივე „მდაბიორ-მოლაშქრეებია“, ბარის მხარეთა ლაშქარში მხოლოდ ფეოდალები გამოდიოდნენ?

როგორც ვხედავთ, „თავისუფალ“ მოლაშქრეთა („მდაბიორ-მოლაშქრენი“) გაქრობისა და ბატონყმობის განარჩევების XII—XIII სს. მიჯნით დათარიღება, ასევე ამ ორი მოვლენის ურთიერთგანპირობებულობის მტკიცება გარკვეულ წინააღმდეგობებს აწუდება.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, VIII ს. შუა წლებში ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზაცია საბოლოოდ მოეწყო ფეოდალური ურთი-

ერთობის საფუძველზე [33. 121]. იმავე დროს დამთავრდა „აღრე-
ფეოდალური ურთიერთობის“ პირველი (პოლიტიკური დაშლილ-
ობის) საფეხური“ [33. 121]; „X საუკუნის მიწურულისათვის სა-
ქართველოში აღრეფეოდალური საზოგადოებრი-
ვი ურთიერთობა დამთავრდა და ქვეყანა ფეოდალუ-
რი განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე შედგა“ [33.
137]. ამავე დროს ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ „მდაბიორ-
ნოლაშქრეთა ფენა, რომელიც აღრე-ფეოდალური ხანის სოცია-
ლური ურთიერთობის — პატრონჟიმობის საფუძველს წარმოადგენ-
და“, XII ს. მიწურულისათვის გაქრა [33. 183]. აქედან აშკარაა,
რომ ნ. ბერძენიშვილის შეხედულებით: 1) აღრეფეოდალური ანუ
პატრონჟიმობის ხანის სოციალურ ურთიერთობათა საფუძველია
„მდაბიორ-ნოლაშქრეთა“ და ფეოდალთა ურთიერთობა, 2) აღრე-
ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში დამთავრდა X ს. მი-
წურულს, მაგრამ აღრეფეოდალური ხანის სოციალური ურთი-
ერთობის საფუძველი — „მდაბიორ-ნოლაშქრეთა“ ფენა არსე-
ბობდა XII ს. მიწურულამდე.

შეუსაბამობა აქაც აშკარაა: საზოგადოებრივი ურთიერთ-
ობის ერთი სახე არსებობას ამთავრებს, ხოლო მისი საფუძველი
ქრება ორი საუკუნის შეზღვევ!

„მდაბიორ-ნოლაშქრეთა“. ანუ არაფეოდალ მოლაშქრეთა
გაქრობის აღიარება ისეთი საზოგადოების სურათს ქნის, რომელ-
შიც მონახლეობის უაღრესად მცირე, გაბატონებულმა ნაწილმა
ქვეყნის გარეშე მტრისაგან დაცვა უნდა უზრუნველყოს და სა-
კუთარი კლასობრივი ბატონობაც. მთიელი მოლაშქრე იმავე დროს
შეუზრუნეა და მუდმივად მეფესთან ვერ იქნება (მასობრივად მა-
ინც), უცხოელი დაქირავებული თუ სხვა მოლაშქრე, საიშედო სა-
ყრდენად არ გამოდგება. აი, სად ჩნდება საჭიროება იმისა, რომ
მოინახოს ისეთი მოლაშქრე, რომელიც გლეხური ბეგარა-გამოსა-
ლებებით წელმოწყვეტილი არ იქნება და არც ფეოდალთა კლასის
ბატონობას შეუქმნის საფრთხეს, რანგით მისი თანაბარი არ
იქნება. ასეთი მოლაშქრეების მონახვა მარტო მკვლევარის მიერ
დადგენილი წყობის სურათის შესაჯავებად კი არაა საჭირო (ნ. ბერ-
ძენიშვილმა სავსებით ლოგიკურად და კანონზომიერად ეძება ასე-
თი მოლაშქრე და ამას „მდაბიორ-ნოლაშქრის“ „აღმოჩენა“ (ა. ბო-
გვერაძე) მოჰყვა), არამედ იგი საჭირო იყო თვით იმდროინდელ
საზოგადოებაშიც. ასეთი მოლაშქრე მართლაც არსებობდა, ევრო-
პაში მას მინისტერი აღი ერქვა, საქართველოში კი — მსა-

ხ უ რ ი. კინც ქართველ მსახურში მინისტერიალის ბუნებას დაინახავს, მისთვის ფეოდალურ ეპოქაში (ამ ეპოქის საწყისი ფაზის შემდეგ) სხვა „მდაბიორ-მოლაშქრე“ საძიებელი აღარ იქნება.

ჩვენი აზრით, მსახურთა წოდების, მისი არსისა და ისტორიული გზის გაცნობა აშკარად გვიჩვენებს, რომ სწორედ ეს წოდებაა ის „მდაბიორ-მოლაშქრენი“, რომელთა არსებობაშიც საესებით საფუძვლიანად იყო დარწმუნებული ნ. ბერძენიშვილი. ამავე დროს უდავოა ისიც, რომ „მდაბიორ-მოლაშქრეთა“, ე. ი. არაფეოდალ, არათავისუფალ მოლაშქრეთა არსებობა ფეოდალურ საზოგადოებაში მხოლოდ მსახურის სტატუსით შეიძლებოდა. მსახურთა წოდება საქართველოში არსებობდა ფეოდალური ეპოქის მთელ სიგრძეზე, მისი ჩასახვიდან აღსასრულამდე და ბატონყმობის განარჯევებს ამ წოდების ბედთან კავშირი არ ჰქონია. ბატონყმობის გამარჯვება მხოლოდ იმ თავისუფალ მეთემე-მოლაშქრეთა ბედს უკავშირდება, რომლებიც წინაფეოდალურ საზოგადოებაში მწარმოებელ მასას წარმოადგენდნენ. ეს მასა კი, როგორც უკვე სათანადოდ არის ნაჩვენები (ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი), უკვე ანტიკურ ხანაში გაგლებების გზაზე იდგა და ეს პროცესი სწრაფად ვითარდებოდა. როგორც ჩანს ეს პროცესი დიდად დააჩქარა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ. ქრისტიანობის წინა ხანებში ცალკეულ თემებსა და ქალაქებს, ცალკეულ გვარებსაც კი საკუთარი კულტები („ხატი“, „ჯვარი“...) გააჩნდათ, რაც თემის, თუ გვარის კოლექტივის ერთიანობის, სიმტკიცისა და მეთემეთა თავისუფლების საწინდარი იყო: ქრისტიანობის მიღების შემდეგ (ბარში) თემის სამტკიცეს საფუძვლილი გამოეცალა. ახლადგაჩენილ ფეოდალს ახლა ერთიანი თემი, ძლიერი კოლექტივი კი აღარ უპირისპირდებოდა, არამედ ცალკეული კომლები, ცალკეული პირები. ლაშქრის ძველი, თეოკრატიული ორგანიზაცია (სარდალი — „ჯვარი“, ხევისბერში პერსონიფიკირებული...) მოიშალა და ლაშქარი ფეოდალურ საფუძველზე მოეწყო. თემი მხოლოდ ადმინისტრაციულ ერთეულად დარჩა. ასეთ ვითარებაში თავისუფალი მეთემის გაგლებება საძნელო არ იყო და ბატონყმური ურთიერთობების (რაც ფეოდალურ საზოგადოებაში წარმოების საფუძველია) გამარჯვებაც უკვე აღრეფეოდალური პერიოდის ბოლოსთვის (VI—VIII სს.) შეიძლება ვივარაუდოთ, მაშინ როდესაც სახელმწიფო ხარკი ფეოდალთა დამოკიდებულებაში მყოფ გლეხებს საბატონო ბეგრად ექცათ. ყველაზე უფრო ზელსაყრელი სიტუაცია ამისთვის ე. წ. უმეფობის ხანაში იყო.

აქვე უნდა შევეხეთ ერთ საკითხსაც, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ჩვენს საკვლევ თეზისთან. ესაა XI—XIII სს-ში მწარმოებელთა ნაწილის თავისუფლების საკითხი.

ი. ჯავახიშვილიდან და ნ. ბერძენიშვილიდან დაწყებული, ყველა ვინც კი XI—XIII სს. საქართველოს ბარში თავისუფალ მწარმოებლებზე ან „მდაბიორ-მოლაშქრეთა“ ფენის არსებობაზე წერს, — ან იმ მენაშენე გლეხებზე (მიწათმოქმედებზე) მიუთითებს, XIII ს-ის შიომღვიმის ცნობილ საბუთში რომ იხსენიებიან [125. III. 165], ან იმ აქარლებზე, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა მხარეში დადიოდნენ „მოსარეწელად რაჟსამე ღონედ სიგლახაცისა თვისისა“ [19. 64].

არც ერთი ამ ცნობათაგანი იმ დროს თავისუფალ მწარმოებელთა, მით უფრო თავისუფალ მოლაშქრეთა (ბარში!) არსებობის დამამტკიცებელ არგუმენტად არ გამოდგება. ბოლოკ-ბასილი ისეთის მხარის მიცხოვრებია, საიდანაც მოსახლეობა ყოველთვის მასობრივად გადიოდა (და ახლაც გადის) სეზონურ ქირით სამუშაოზე, ისევე, როგორც საქართველოს სხვა მთიანი მხარეების (ჭანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი...) მიცხოვრებლები, მიუხედავად იმისა, თავისუფალნი იყვნენ ისინი თუ შებეგრენი (მაგ., რაჭველები). მ. ლორთქიფანიძის აზრი, რომ „მოსარეწელად“ წასული გლეხი შეიძლება მებეგრე ყოფილიყო და „მორეწილიდან“ ნაწილს ბატონს უხდოდა [87. 55], უსაფუძვლო არაა, — მთას რომ თავი დავანებოთ, ბატონყმობის უღელში შებმული გლეხის ქირაზე სიარული ფეოდალურ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული.

ასევე ითქმის შიომღვიმის მიწაზე ვენახის გამშენებელ გლეხებზეც. შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე და გვიან, რევოლუციამდე ზანაშიც, „მენაშენეთა“ მიერ „მიწის იჯაშენება“ (ვენახის გაშენება) ფართოდ იყო გავრცელებული. მენაშენებელად, ჩვეულებრივ ყმა გლეხები გამოდიოდნენ. მ. ბერძენიშვილი სავსებით სწორია, როცა აღნიშნავს, რომ რუეთს ვენახის „ამშენებლების“ თავისუფალი მწარმოებლობა „ნაკლებ სავარაუდებელია“ [35. 31].

რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ პირთა (მენაშენე, ქირაზე მოსიარულე) მოლაშქრობას, ეს გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს. მოლაშქრობა კლასობრივ საზოგადოებაში უძველესი დროიდანვე ქონებრივ შეძლებასთან იყო დაკავშირებული (მხედრები რომში, საბერძნეთში, სრული ფუძის მქონენი გარდამავალ და აღრეფეოდალურ ხანაში, სამი საკომლოსი — გან-

ვითარებული ფეოდალიზმის დროს...), ასე რომ წარმოედგინელია (ბარში) მოლაშქრე ყოფილიყო სილატაცის გამო გუდა-ნაბად აცილებული და საშოვარზე წასული გლეხი, რომელიც თვეებისა და წლების განმავლობაში („მიწის გაშენებას“ 4—5 წელი სჭირდება) სახლში არ იყო. მოლაშქრობა პროფესიონალურ მეომრობას, სთანადო პერიოდულ წვრთნას და სალაშქროდ მუდამ მზაობას გულისხმობს და სხვა რომ არა იყოს რა, როგორ უნდა შეესრულებინა საჭირო შემთხვევაში თავისი სალაშქრო ვოვალეობა ქირაზე სამუშაოდ სხვა მხარეში წასულ კაცს.

ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ „კანონით მ და ბ ი ო რ-მ ო ლ ა შ ქ რ ე ნ ი პ ი რ ა დ ა დ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ნ ი ი ყ ვ ნ ე ნ, თუმცა მათ ჰყავდათ „პატრონები“, „მფარველები“ (მეფე, ეპლესია-პონასტერი, დიდი თუ მცირე აზნაური), რომელთაც დიდი ხანია, ამ მ და ბ ი ო რ-მ ო ლ ა შ ქ რ ე თ ა ნ ი წ ა ზ ე ბ ე ლ ი დ ა ე დ ო თ“ [33. 177].

„თავისუფლების“ ცნების შინაარსი ფეოდალური ეპოქისათვის საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით საგანგებოდ არავის შეუხსწავლია. ფეოდალიზმის დროს ამ ცნების თავისებურებებში, მისი დიფერენცირებულობის გათვალისწინება კი ბევრ ფაქტს და მოვლენას ახლებურად წარმოგვიდგენს. თუ რაჟღენად მნიშვნელოვანია ამ თეორიული (თავის დროზე უაღრესად პრაქტიკული) საკითხის შესწავლა შუა საუკუნეთა საზოგადოების სოციალური შინაარსის გაგებისათვის, ამაზე ნათლად მეტყველებენ კ. ბოლასი [248. I] და სხვა მკვლევართა სპეციალური გამოკვლევები.

თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი, ამ სიტყვის აბსოლუტური მნიშვნელობით, ფეოდალურ საზოგადოებაში, ფეოდალურ სახელმწიფოში, იყო მხოლოდ სუვერენი ხელმწიფე; „ქართულ ისტორიულ წყაროებში უმაღლესი სუვერენი, მეფე, რომელიც არავის არ ცნობს თავის მალა მდგომად ე. ი. დამოუკიდებელი იყო სხვა მეფეთაგან, ასე იწოდებოდა: „მქონებელი დაუმონებელისა თავისუფლებისა“ [118. 29; 160. II₂, 117].

ხელმწიფის ქვემოთ, ვასალური კიბის ყოველ საფეხურზე მდგომ ფეოდალთა თავისუფლება შეზღუდული, „დამონებული თავისუფლება“ იყო. ეს დებულება მით უფრო რეალური და ზუსტია, რაც უფრო დაბალი კატეგორიისაა „ყმა“ (ვასალი). „მდაბიორ-მოლაშქრე“ ფეოდალიზმის მხოლოდ საწყის საფეხურზე შეიძლება იყოს მეტწილად თავისუფალი, როცა მეთემეთა დიდი ნაწილი მეფის ყმაა, ე. ი. „თავისუფალია“, ხოლო ფეოდალი-

ზაციის გაღრმავების პროცესში, ეასალიტეტის განვითარების კვალდაკვალ, როცა სუბვანსალებიც (არიერვანსალებიც) ჩნდებიან (ასეთი პროცესი ჩვენში VI—VIII სს-ში საკმაოდ შორსწასული ჩანს), მეფის ყმა-მოლაშქრეთა რიცხვი მცირდება, თანდათან დომენის მცხოვრებლებით იფარგლება, ხოლო ფეოდალთა ყმა-მოლაშქრეთა რაოდენობა ძზრდება. აქედან ყმა-მოლაშქრეთა გაგლეხებამდე ერთი ნაბიჯი და ეს პროცესიც ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. ამის პირობაა ფეოდალთა გაძლიერება, ყმა-მოლაშქრეთა მასივიან მსახურთა გამოყოფა, ფეოდალის პირადი სამხედრო ძალის შექმნა.

ბატონყმობის გენეზისი ფეოდალიზმის გენეზისს თანხლები და თანადროული მოვლენაა. ბატონყმობა ფეოდალურ წყობილებას თავიდანვე, გაჩენის დღიდანვე ახასიათებდა, როგორც მისი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი, მისი ძირითადი შინაარსი, ფეოდალური ექსპლუატაციის ძირითადი ფორმა. კ. მარქსის სიტყვით ფეოდალიზმი წარმოების ბატონყმურ სისტემას (Leibeignensisten) გულისხმობს [2. III(2). 217]. საზოგადოების ფეოდალური ფორმის დროს საზოგადოებრივი წარმოების ბაზისს ბატონყმობა წარმოადგენს [2. III₂. 445].

კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ ფეოდალიზმის დროს გლეხები მიწის მესაკუთრენი იყვნენ [2. I.902]. ამიტომ უშუალო მწარმოებელთა ექსპლუატაცია ფეოდალს მხოლოდ მაშინ შეეძლო, თუ იგი (მწარმოებელი) პირადად არათავისუფალი და მიწაზე მიმაგრებული იქნებოდა. კ. მარქსის სიტყვით „ყველა იმ ფორმაში, სადაც უშუალო მუშა იმ წარმოების საშუალებათა და შრომის პირობების მფლობელად რჩება, რომელნიც მის საარსებო საშუალებათა წარმოებისათვის აუცილებელნი არიან, საკუთრების ურთიერთობა იმავე დროს ბატონობისა და დამონების უშუალო ურთიერთობად უნდა გვევლინებოდეს, მაშასადამე უშუალო მწარმოებელი წარმოადგება როგორც არათავისუფალი: ეს კი ისეთი არათავისუფლებაა, რომელიც ბატონყმობიდან საბატონო-საბეგრო შრომითურთ შეიძლება შერბილებულ და დაყვანილ იქნას უბრალო სახარკო ვალდებულებამდე. უშუალო მწარმოებელი აქ, ნაგულისხმევის თანახმად, ფლობს საკუთარი წარმოების საშუალებებს და შრომის იმ ზოგიერთ პირობებს, რომელნიც აუცილებელნი არიან მისი შრომის განაა-

ხორციელებლად და მის საარსებო საშუალებათა საწარმოებლად; ოგი დამოუკიდებლად ეწევა მიწათმოქმედებას და მასთან დაკავშირებულ სასოფლო შინაარსწველობას. ეს დამოკიდებულება არ ისპობა იმით, რომ, მაგალითად, როგორც ინდოეთში, ეს წვრილი გლეხები ერთმანეთს უკავშირდებიან ბევრად ან ცოტად ბუნებრივად აღმოცენებულ საწარმოო თემებში, რადგან აქ ლაპარაკია დამოკიდებულებაზე მხოლოდ ნომინალური მიწისმფლობელის მიმართ. ასეთ პირობებში ზედმეტი შრომა ნომინალური მიწის მესაკუთრისათვის შეიძლება მათგან გამოწოვილ იქნას მხოლოდ გარეეკონომიკური იძულებით, სულ ერთია, რა ფორმასაც არ უნდა ლებულობდეს ეს იძულება. ეს ფორმა მით განსხვავდება მონური და პლანტატორული მეურნეობისაგან, რომ აქ მონა სხვისი წარმოების პირობების საშუალებით მუშაობს და არა დამოუკიდებლად. ამრიგად, აუცილებელია პირადი დამოკიდებულების ურთიერთობა, პირადი არათავისუფლება ამათუ იმ ზომით და მიჯაჭვა მიწაზე უკანასკნელისავე დანართის სახით, ბატონყმური დამოკიდებულება /Ehörigkeit/ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით“ [2. III₂. 410]. კ. მარქსის ამ დებულებაზე მითითებით ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ფეოდალური მეურნეობისათვის საჭიროა, რომ უშუალო მწარმოებელი „მამაგრებული იყოს მიწაზე“, „იმემაჟლეს რომ არ ჰქონოდა პირდაპირი ძალაუფლება გლეხის პიროვნების მიმართ, ის ვერ შესძლებდა თავის სასარგებლოდ ემუშაებინა ადამიანი, რომელსაც მიწა მოუღია და რომელიც საკუთარ მეურნეობას ეწევა. საჭიროა, მასადაამე, გარეეკონომიური იძულება, როგორც ამბობს მარქსი“ [7 ა. III. 208].

როდის მოხდა ბატონყმობის გაპარჯება? ლ. მილსკიამ შენიშნა, რომ, მარქსისა და ენგელსის აზრით, გლეხთა ძირითადი მასა უკვე კარლოს დიდის დროს იქნა დაყმევებული [219. 33]. მართლაც კ. მარქსი ორჯერ აღნიშნავს ამას [2. I. 913; 2. III(გ). 175]. ფრ. ენგელსის სიტყვით, მეროვინგების დროს დაიწყო და კარლოს დიდის დროს ძირითადად დამთავრდა გადატრიალება აგრარულ ურთიერთობებში, რომლის შედეგიც იყო თავისუფალი გლეხობის თიქმის მთლიანი გაქრობა [219. 34]. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი აღნიშნავდნენ, რომ უკვე ადრე ფეოდალურ ხა-

ნ ა შ ი ფეოდალურ საკუთრებას დაუპირისპირდა „როგორც უზღ-
ალო მწარმოებელი კლასი, წვერილი ყმა გლეხობა“ [1.
22 ფრ. ენგელსი აღნიშნავს, რომ ბატონყმობის განვი-
თარების პროცესი სწრაფად მიმდინარეობს.
ომებითა და ძარცვა-გლეჯით გაჩანაგებული თავისუფალი ფრანკი
გლეხები „იძულებულნი იყვნენ მფარველობისათვის ახლად-
წარმოშობილი დიდკაცობისათვის ან ეკლესიისათვის მიემართნათ...
ეს მფარველობა მათ ძვირად უჯდებოდათ. ისინი იძულებული იყ-
ვნენ... თავიანთი მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლება თავიანთი
მფარველისათვის გადაეცათ და ამ მიწის ნაკვეთს უკანვე ლებუ-
ლობდნენ იჯარით სხვადასხვა და ცვალებად ფორმებში, მაგრამ
მუდამ მხოლოდ იმ პირობით, რომ სამაგიეროდ გარკვეული სამ-
სახური უნდა შეესრულებინათ და ხარკი ეხადათ, რაკი გლეხები
ერთხელვე ასე დამოკიდებულნი გახდებოდნენ, ისინი თანდათან
კარგავდნენ თავიანთ პირად თავისუფლებასაც; რამდენიმე თაობის
შემდეგ ისინი მეტწილად უკვე ყმები (Leibeigene) იყვნენ“
[7. 211]. ფრ. ენგელსს მოაქვს მაგალითები IX საუკუნიდან, მაჩ-
ვენებელი იმისა, თუ „რა სწრაფად ქრებოდა თავისუფალ გლეხთა
წოდება“ ფეოდალიზაციის პროცესის დაწყების შემდეგ [7. 211].

ზოგჯერ მცვლევრები, იმის საჩვენებლად, რომ ამა თუ იმ პე-
რიოდში უნდა არსებელიყვნენ თავისუფალი მწარმოებლები, აღ-
ნიშნავენ იმ ფაქტს, რომ გლეხის (ყმის) ხსენება დოკუმენტებში
იშვიათია. ლ. მილსკიამ აღნიშნა, რომ რადგანაც მშრომელთა და-
ყმეება რთული პროცესი იყო და სხვადასხვა გზით ხდებოდა, იგი
ყოველთვის არ იყო იურიდიულად გაფორმებული და დამოწმე-
ბული წერილობით წყაროებში [219. 204].

ყოველივე ზამოთქმული, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ბატონ-
ყმობის ეპოქა გლეხთა ნაწილის მიწაზე მიმაგრებითა და დაბეგვ-
რით დაიწყო: როცა გაჩნდა ყმა გლეხი და ბატონყმური ექსპლუა-
ტაცია, და იწყო ბატონყმობის ხანა. ადრეფეოდალური ეპოქა
ბატონყმური წყობილებს ჩამოყალიბების პროცესია, განვითარე-
ბული ფეოდალიზმი კი გამარჯვებული ბატონყმობაა, მაგრამ ბა-
ტონყმობის გამარჯვება არ შეიძლება დავუკავშიროთ „თავისუფა-
ლი“ მწარმოებლის სრულ გაქრობას: ბატონყმობა გამარ-
ჯვებულია მაშინ, როცა მიწაზე მიმაგრებულ და დაბეგრულ გლეხთა
რაოდენობა „თავისუფალ“ მეთევითა რაოდენობას დიდად აჭარ-
ბებს, ე. ი. ბატონყმური ექსპლუატაცია საზოგადოების ეკონომი-
კურ საფუძვლად, წარმოების გაბატონებულ წესად იქცევა. ამ

მომენტიდან „თავისუფალ“ მწარმოებელთა გაქრობამდე კი სულ მცირე დროა დარჩენილი.

განვითარებული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი განვითარებული ვასალიტეტი («ფეოდალური კიბე», პატრონჟიმობა) მხოლოდ ბატონყმური ექსპლუატაციის საფუძველზე შეიძლება არსებობდეს. «Иерархическая структура землевладения и связанная с ней система вооруженных дружин давали дворянству власть над крепостными» [11. 26]. აზნაურთა შეიარაღებული რაზმები მსახურთაგან შედგებოდა: მსახურთა წოდება იყო ის ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობდა, აჩქარებდა ბატონყმობის გამარჯვებას, შიგნიდან არღვევდა სასოფლო თემს: სწორედ იგი იყო გარეეკონომიკური იძულების ძირითადი იარაღი.

როდის დამთავრდა ჩვენში ადრეფეოდალური ხანა, ე. ი. როდის გაიმარჯვა ჩვენში ფეოდალური წარმოების წესმა ანუ ბატონყმობამ და გაფორმდა ვასალური იერარქია, ამაზე ჩვენს ისტორიოგრაფიაში აზრთა დიდი სხვადასხვაობაა. ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მისაღებია ნ. ბერძენიშვილის დებულება, რომ უკვე VIII საუკუნისათვის ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზაცია ფეოდალური ურთიერთობის საფუძველზე მოეწყო. VIII საუკუნეში წარმოქმნილი სამეფო-სამთავროები განვითარებული ფეოდალური წყობის სახელმწიფოებია, ხოლო ერთიანი ქართული მონარქია შეიქმნა, როგორც კლასიკური, სავსებით ჩამოყალიბებული ფეოდალური წყობის სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს სამხედრო დასაყრდენი იყო ფეოდალური ლაშქარი, რომელმაც შედიოდნენ ფეოდალები და არათავისუფალი ვასალები — მსახურები მეფის ყმებთან — თავისუფალ მთიელ მეომრებთან ერთად.

მოლაშქრა-მეკობრე

ფეოდალურ საქართველოში მოლაშქრე ხშირად მეკობრეობდა. მეკობრეობა, როგორც სოციალური მოვლენა, ქართულ ისტორიოგრაფიაში შეაწავლილი არაა, თუმცა ამ მოვლენის სოციალური შინაარსი შემჩნეულია და მის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული, ზოგჯერ ერთმანეთის დიამეტრალურად საწინააღმდეგო.

უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა თვით ტერმინი — მეკობრე. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „მეკობრე — მტაცებელია“. ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონ-

ში“, რომელშიაც V—X სს. ძეგლთა სიტყვიერი ფონდია ასახული, მეკობრე ასევეა განმარტებული. ასევე განმარტავენ ამ სიტყვას სხვა ლექსიკოგრაფიული ნაშრომებიც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ მეკობრე განმარტებულია როგორც „ზღვის ყაჩაღი, პირატი“. როგორც უკვე აღინიშნა, ეს განმარტება ცალმხრივია, მეკობრეა ყველა, ვინც ძარცვავს, მიუხედავად იმისა, ზღვას მეკობრის ქმედების ასპარეზი თუ ხმელეთი [129 ა. 103].

ინტერესს იწვევს „მეკობრის“ ეტიმოლოგია. ამ სიტყვის ფუძეა „კობარ“ (შეკვეცილი ფორმით „კობრა“). აქედანაა მეკობრე მეკობარ-ი ან ფშაური, ხევსურული და თუშური კილოების მეკობარი [147. 177].

დავით ბატონიშვილის „სამართალში“, რომელიც XIX ს. დასაწყისშია შექმნილი, არის მუხლი, რომელშიც იხსენიება „კობარი“ [§ 87]: „ნუთა კელეწიფების ჟამ რაოდენმე დგომითა ყმათა მის თანა, დაატრონებად ურთიერთარს მისულთა მეზობელთა ყმათასა, მით რომე უხამ არს საზოგადოებისა ურთიერთისა მეზობლობისა კობართა (კობართა? ქ. ჩ) შეკრულთა შორის ესევეთარი საქმე“ [114. 54]

დ. ფურცელაძე ამ ძეგლის ლექსიკონში განმარტავს: „კობარი — კავშირი“ [114. 265] და არ მიუთითებს, რას ემყარება ეს განმარტება. დ. ფურცელაძისეული განმარტება ზუსტად გადმოსცემს „კობარის“ მნიშვნელობას, დ. ბატონიშვილის სამართალში სწორედ მეზობლობითი კავშირით შეკრულებზეა საუბარი. აქედან: მეკობრე (მეკობარ-ი) ისაა, ვინცა შეკავშირებულია, შეკრულია, გაერთიანებულია ჰხვებთან რაიმე კავშირში.

უ. კარსტი «ბაგრატ-დავითის სამართლის» §113-ში მოხსენიებულ მეკობრეს თარგმნის «le bandit» და განმარტავს: «mecobre — corsair, pirat, brigant [274. 31]. სიტყვა «ბანდიტი» იტალიური Banda-დან (კავშირი, ჯგუფი, გუნდი, ბრბო) წარმოდგება. ბანდიტი — ესაა მძარცველი, შარავზის ყაჩაღი, განდევნილი, კავშირით შეკრული, ბანდის წევრი. როგორც ჩანს კობარის უძველესი მნიშვნელობა ქართულში (სხვა ენებში მსგავსი ფუძე არ ჩანს), იყო შეკერა, კავშირი, შესაკვრელი; კობარი, კობარი“ ერთი და იგივე ფუძეა, «პ-ს «ბ»-ით შენაცვლება ჩვეულებრივია (ჭაპუკი—ჭაბუკი, საპყარი—საბყარი, დაიპყრა — დაიბყრა . . .). ძველ ქართულ ძეგლებში მეკობარი/მეკობრე ყოველთვის განსხვავდება «ავაზაკისა» და «მპარავისაგან» [18. 230].

ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში მეკობრეობა და მასთან ბრძოლა უკვე XI საუკუნიდან აისახა. ამ დროისად ითვლება ე. წ. „ბაგრატ-დავითის სამართალე“ (ი. ჭავჭავაძის მიერ. ე. კარსტი, ი. დოლიძე გ. გამბურია).

ბაგრატ-დავითის სამართლით „თუ ეკლესია მეკობრეთა გატეხონ პატრონისა უკითხავად და ესე დასწამონ (პატრონს); შენ ოცოდო, პატრონმან მის მეკობრესამან უცოდნელობა ფიცოს ოცდაოთხისა კაცითა და დაეჭერების, მეკობრე კელთა მისცეს, რაჲ გინდა უყონ, ნუ დაემდურების, ალაფიცა უკლებლად შეიქციონ გინდა მათ გამოიღონ.

თუ მტრისა კაცმან გატეხოს პატრონისა უკითხავად, მეკობრე კელთა მისცეს, რა გინდა უყონ. ნუ ემდურის. მეკობრის პატრონმან უცოდნელობა ფიცოს თორმეტითა კაცითა.

და თუ არ მისცეს მეკობრე, მეკობრე მან ხუთოათასი თეთრი ზღოს და ალაფიცა უკლებლივ შეიქციოს.

თუ ეკლესიასა დაესხნენ, ხუთი ათასი თეთრი დაუურვოს საუპატიოდ.

თუ ქუთრი ჯოგი წაასხან შორს, თორმეტი გლეხი დაუურვოს მართლისა სახსრითა — პატიემან და სისხლმან ჰმატა — და ჯოგიცა შეექცეს“ [125. I. 466].

სამართლის ეს მუხლები შემდეგი დასკვნების საფუძველს იძლევა: 1) მეკობრე ვასალია, მას პატრონი ჰყავს, 2) მეკობრობა მძიმე დანაშაულია, მეფის ხელისუფლება მას ებრძვის; მეკობრე შეიძლება სიკვდილით დაისაჯოს („რაჲ გინდა უყონ“), 3) მეკობრე შეიარაღებული მხედარია, მას ეკლესიის გატეხა და ჯოგის წასხმა შეუძლია, 4) მეკობრე ქონებრივად შეძლებულია, ჯარიმად დიდ თანხას იხდის, 5) მეკობრე გლეხებს ფლობს: ცხენის ჯოგის წამახმელმა მეკობრემ დაზარალებულს 12 გლეხი უნდა მისცეს.

მეკობრეობა აისახა XI ს. ქართულ საისტორიო მწერლობაშიც. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობით, XI ს. შუა ხანებში „განდიდნა ფადლონ, ამირა განძისა, იწყო კირთებად ერისთავთა ჰერეთისა და კახეთისათა, ეამითი-ეამად მეკობრობით და პარვით რბევად და ტყუენვად ადგილითი-ადგილად“ [122. I. 279].

შემდეგი ცნობა XII საუკუნისაა. სომეხი ისტორიკოსის ვარდანის სიტყვით, 1180 წ. გიორგი III-მ მკაცრი ზომები მიიღო მეკობრეთა წინააღმდეგ. მეფის ბრძანებით მეკობრეებს ჩამოხრჩობას უსჯიდნენ და მეკობრეობისათვის იმ დროს მრავალი წარჩი-

ნებუღი ჩამოახრჩვეს [175 ა. 161]. ვარდანის სიტყვით გიორგი III-მ მეკობრეობა მოსპო და ქვეყანაში მშვიდობიანობა დამყარა. ქართველი მემბტიანე აღნიშნავს, რომ მეკობრეობა აღკვეთილი იყო თამარის დროსაც [161. 244].

საისტორიო და ლიტერატურულ ძეგლთა მონაცემებით განვითარებული ფეოდალიზმის ხანა მეკობრეობის კლასიკური ხანაა. მეკობრეობა იმ დროის დამახასიათებელი მოვლენაა, ყოველდღიური და ჩვეულებრივი ამბავი. განსაკუთრებით კარგად აჩვენებს მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში.

„ამირანდარეჯანიანის“ მიხედვით მეკობრეობა ფეოდალურ საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენაა. მეკობრეობდნენ „ჭაბუკები“ (ჩაინდები) და რიგითი მოლაშქრეები. ჩვეულებრივ ისინი ვაჭართა ქარავენებს ძარცვავდნენ. აი, ამის დამადასტურებელი სათანადო ადგილები: ინდოეთიდან ბაღდადს მისულ ვაჭრებს ცნობა მიუვიდათ, რომ, „მეკობრეები წინა გიმზირანო“ და ისინი მთელ თვეს „მეკობრეთა წიშითა“ ბაღდადიდან ვერ გავიდნენ [153. 286]; მეკობრეულაშქარი სხვა ქვეყანაშია გასული და იქ მგზავრად მიმავალ უცხოელებს „ესხმის“ [153. 336]; სამეკობროდ გამოსული ლაშქარი მრავალრიცხოვანია: 500, 1000 კაცი [153. 350], სამი „ლომი ჭაბუკი“ 3000 ცხენოსანითაა გამოსული სამეკობროდ [153. 353]. ინდო ჭაბუკი იამანთა ქვეყანაში მეკობრობს [153. 352]. როცა მეკობრეები ვაჭართა ქარავანს „მზირად უდგანან“ (ჩააფრებულნი ელოდებიან), „ჭაბუკები“ ვაჭრებს დახმარებას სთავაზობენ, სამაგიეროდ გასამრჯელოს — საბადროს სთხოვენ და მეკობრეებს ებრძვიან [153. 374]; ჭაბუკებს ქარავანთა მძარცველ მეკობრეებთან ბრძოლა თავიანთ მოვალეობად მიაჩნდათ [153. 386]. საყურადღებოა ერთი მეკობრის ნაამბობი: „რაიბ მქვიან... ცოტა ყმა ტყვედ წამიყვანეს არაბთა... რა მოვიწიფე და შუღლი შემეძლო, მეკობრობა დავიწყე. ჩემგვარი კაცი მე ჭაბუკად ვერ მჯობდა (სამი არაბი ჭაბუკი მყავდაო ძმასავით, სამი ათასი კაცი), მათთან მიველ, ყმად შევეწყენ არაჲ, ვმეკობრობდი თ... ...დღესა ერთსა კაცი ვინმე მომივიდა და ეგრე გვარქვა: მოვა ქარავანი დიდი, ინდოეთსა და სპარსეთს მიდიან. მალვით მოვლენ... ბადრაგა ჰყავს ოთხასი ცხენოსანი“ (ჭაბუკები ლაშქრით თავს დაესხნენ ქარავანს და გაძარცვეს) [153. 406-7]. საყურადღებოა მეკობრის განცხადება — კაცნი კი არ გვინდოდა, არამედ მათი ცხენები, მეტად კარგ ცხენებზე ისხდ-

ნენო. მისივე სიტყვით, მეკობრენი დაჰხარბებიან „ცხენთა სოკეთეს და რეჰათა სიდიდეს“.

ამრიგად, „ამირანდარეჯანიანის“ შიხედვით, მეკობრენი ჭაბუკნი და მოლაშქრენი არიან, ე. ი. არამწარმოებელი. მალალი ფენების წარმომადგენლნი. მათი საქმიანობაა ქარავენების „გატეხა“ და ცხენების ჰოტაცება. მეკობრეობა ისეა გავრცელებული, რომ ქარავენები ან მალულად დადიან ან ბადრაგას (დამცველ რაზმს) ქირაობენ. ჭაბუკებს ზოგჯერ თავიანთ მოვალეობად მიაჩნით სხვა მეკობრეთაგან დაიცვან ქარავენები და მათ შევლიან, ბადრაგად მიჰყვებიან.

„ვეფხისტყაოსნითაც“ მეკობრეობა, როგორც ხველეთზე, ისე ზღვაზე, გავრცელებული მოვლენაა. ზღვის მეკობრეები სავაჭრო გემებს ესხმიან თავს. „გამოჩნდა ნავი მეკობრე დროშითა მეტად გრძელითა, მას ნავსა ნავთ საღეწელად სახნისი ჰგია ძელითა“ (სტრ. 1037). მეკობრე ლარს ხვეტავს, საჭურჭლეს ალაფობს, არაბულ ტაიპებს იტაცებს (სტრ. 55 და 56). მეკობრეები ფეოდალური საზოგადოების მალალი ფენების წარმომადგენლები არიან. აეთანდილს შეხვდა ექვსი ცხენოსანი, სამ მათგანს ხატეთს ციხე-ქალაქი ჰქონია და „უთვალავი ლაშქარი“ ჰყოლია. თითოეულ მათგანს თითო მეაბჯრე ახლავს. აეთანდილს, სანამ მათ ამბავს გაიგებდეს, ისინი მეკობრეები ჰგონია (სტრ. 196, 198, 199, 200, 203). მეკობრენი რომ საზოგადოების უმაღლესი წრის წევრები შეიძლება იყვნენ, ამის დამამტკიცებელია შემდეგი ადგილი: ტარიელმა და აეთანდილმა „საკვირველი აბჯარი“ იპოვეს: „ჯაჭვი, ხმალი. მუზარადი, საბარკული მათი გვანი, ზურღუხტისა ბუდებითა იყვნეს ვითა ლუსკუმანი“ (სტრ. 1370). „ყოვლად ქვეყნად“ ღირებული აბჯრით შემოსილმა აეთანდილმა და ტარიელმა ფრიდონთან გახუმრება გადაწყვიტეს, ფრიდონის ჯოგს დაეხსენ და „დაიწყეს პერობა ტაიჭთა“ (სტრ. 1371), ე. ი. ის, რასაც ჩვეულებრივ, მეკობრეები აკეთებდნენ. მეჯოგეებმა ასე მდიდრულად ჩაცმული თავდამსხმელნი მეკობრეებად მიიღეს (სტრ 1378) „ალაფით ავებოს“ მიზნით თავისუფალ დროს მეკობრეობდა ქაჩეთის ხელმწიფის მონა-სპის სარდალი რომაქ (სტრ. 1222 და 1223), იგი ასი რჩეული მონის თანხლებით „დღისითი მზისით“ მეკობრეობდა, ქარავენებს „ლეწავდა“ და ლარს შოულობდა (სტრ. 1224 და 1225). აეთანდილ ბადრაგად გაჰყვა ეგვიპტიდან წამოსულ ვაჭრებს და მათზე მომავალი მეკობრე ლაშქარი დაამარცხა (სტრ. 1033,

1037, 1038, 1042-4, 1053). სურათი ზუსტად ისეთივეა, როგორც „ამირანდარეჯანიანი“.

მეკობრეობა განაკუთრებით გავრცელდა XIII ს. 50-იანი წლებიდან, როცა ხვარაზმელთა შემოსევებმა და მონღოლთა ბატონობამ საქართველოს სამეფო ხელისუფლების ქვედიტუნარიანობა შინამუშამდე დაიყვანა. მონღოლებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს აღმ. საქართველოში ლაშქრის გაწვევის წესი. როცა აჯანყებული ულუ-დავითი იმერეთს გადავიდა, „მაშინ უმეფო იყო ამიერი საქართველო სამეფო და დაიშალა ლაშქარი და მსახურება თათართა“ [122. II. 243]. საქართველოს ლაშქარს სალაშქრო და სარბევი მოაკლდა, ეს კი მეკობრეობისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. მით უმეტეს, რომ გამკიოხავი აღარავინ იყო. მეკობრეობდნენ, ალბათ, ის მოლაშქრეებიც, რომლებიც მონღოლთა გაწვევით უცხოეთში ლაშქრობებს გაუბრუნდნენ.

მეკობრეობისაღმი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დამოცილებულებისათვის დამაზასიათებელია სამეფო ხელისუფლების იდეური მოკავშირის — ქამთააღმწერლის პოზიცია. მისი სიტყვით, მონღოლები ჩინგის ხანის განწესებით დაუნდობლად ებრძოდნენ მეკობრეობას, მეკობრეებს განუკითხავად ჰკლავდნენ. ეს „კეთილი წესია“-ო, აცხადებს ქამთააღმწერელი [122. II. 190].

როგორც კი საქართველოს საგარეო და საშინაო მდგომარეობა გაუმჯობესდა, — მონღოლთა უღელი გადავარდა და ქვეყანა კვლავ გაერთიანდა, ხელისუფლება მაშინვე შეუდგა ქვეყნის საშინაო საქმეების მოწესრიგებას. დაახლ. 1335 წ. გიორგი ბრწყინვალემ აღწოხაველეთ საქართველოს მთიანი მხარეებისათვის შეადგინა სამართლის წიგნი, ე. წ. „ძეგლის დადება“ ანუ „ძეგლი-განაჩენი“, რომელშიაც, სხვათა შორის, ყურადღება მიექცა ფართოდ გავრცელებულ მეკობრეობასაც.

„განაჩენში“ „სამეკობრო საქმეებზე“ ნათქვამია: § 44. „ვინცა რა ვინ მოიპაროს, ცხენი, ცხუარი, ძროხა ანუ სასაქონლო რამე და უკან წარუდგენ და მიეწივნენ და მეკობრენი შეპოებნენ და მეკობრე რაზომცა მოკლან, სისხლი გაცუდდეს ყველასი“, მეკობრემ ნაპარევი სამმაგად უნდა ზლოს.

§ 45-ში განხილულია ნაპარავის გადახდის საკითხი, „ქუეყანა იყოს მეკობრე თუ ერთი კაცი“ [125. I. 419-420].

განაჩენის მოპლევნო ნაწილიდან აშკარად ჩანს როგორც მეკობრეობის დიდად გავრცელება, ისე მასთან ბრძოლის სიძნელე,

რადგანაც მეკობრეობდა ზოგჯერ მთელი „ქვეყანა“ ან ისეთი გავლენიანი პიროვნება (თავისი „ასაბიით“), რომელსაც ძალა შესწევს არ დაემორჩილოს არც გამგებელს (მეფის მოხელეს), არც ხევისბერს და არც ერისთავს.

მეკობრეობასთან ბრძოლას აქტიურად შეუდგა შეღარებით უკეთეს პირობებში მყოფი მხარის — სამცხის სანთავროს ზელისუფლება. ათაბაგ აღბულას სამართალში (XIV ს. 80-იანი წლები), აღნიშნულია ამ სამართლის წიგნის შედგენის ერთ-ერთი მიზეზი: „ლაშქართა ცხენთა პარვა შექმნილიყო... საპატიოთა კაცთა მას წინაშე სხდომითა და ბჭობითა საპარო-საინჯუთა და მეკობრის საპატიუოს განაჩენნი ძველისავე მიიყოლეს“ [125. I. 450].

სამართლის მიხედვით მეკობრეობა უმძიმესი დანაშაული იყო: მეკობრეობის უბრალოდ „შეწაიება“ ისეთივე დანაშაულად ითვლებოდა, როგორც მეკობრეობა. მეკობრეს მძიმე სასჯელი ედებოდა, — იგი უნდა „განპატიებულ“ იქნას — ჩამოერთვას ნაალაფვეი ცხენი და ერთი სხვა ცხენიც (ან მისი საფასური), შემდეგ კი გაძევებულ იქნას [125. I. 450]. მეკობრის გაძევებაში, როგორც ჩანს, მამულის ჩამორთმევა იგულისხმებოდა, „მამულისაგან გაიძიოს“... ასეთი იყო ფორმულა სასჯელისა რიგ შემთხვევაში გიორგი V-ის ძეგლის დადებით, ხოლო „მამულისაგან გაძევება“ იმავე დროს „ლაშქართა შიგან არ შეშვებასაც გულისხმობდა.

როგორც ვხედავთ, აღბულას სამართლის მიხედვით მეკობრედ იგულისხმება მოლაშქრე — მხედარი.

მეკობრეობას ებრძოდა კანონმდებლობა მომდევნო საუკუნეებშიაც. „მცნება სასჯულოს“ მიხედვით (1470—1474 წწ.) დადგენილია მეკობრე ხუტეისის „მოშობა“ (ჩამოხრჩობა) [72. 7]. მეკობრე იხსენიება ინასარიძეთა სასისხლო სიგელშიც (XIV—XV სს.), ამ სიგელში მეკობრე ეწოდება საააფლავოს გამტეხს ან წისკვილს გამძარცველს [103. II. 194]. XVI საუკუნეში ჩანს მეკობრეებთან საბრძოლო სახელმწიფო უწყება — არიან სამეკობრო საქმეთა გამომძიებელი საგანგებო მოხელეები — მეკობრისმძებნელნი და არსებობს სახელმწიფო გადასახადი — სამეკობრისმძებნელო [125. II. 203].

მეკობრეობა გავრცელებული ჩანს XVI ს. დას. საქართველოშიც. „ბიჭვინტის იადგარი“ (XVI ს. შუაწლები) ვინც ტყარს ტეხს (ძარცვავს), ტაძრის პირუტყვს იტაცებს („კათალიკოზის ჯო-

გი გატეხოს“, „საყდრისშვილთა და მოხელეთა ჯოგი გატეხოს“), ეკლესიის მოხელეს ძარცვავს, ეკლესიის სოფლებსა და გლეხებს არბევს..., — ყველა მეკობრეა [125. II. 176-181]. „იადგართ“ მეკობრე მკაცრად ისჯება: საყდრის გამტეხი მეკობრე და მისი ბატონი უნდა ჩამოახრჩონ — თუ მეკობრის ბატონმა მეკობრის ქმედება წინასწარ იცოდა, ხოლო თუ არ იცოდა, მაშინ „გამტეხი მისითა მამულთა და განაყოფითა საყდარს მოახსენოს“ [125. II. 180]; სხვა შემთხვევებში, დანაშაულისდა მიხედვით, საზღაურად დაწესებულია: სამი თავადის სისხლი, ორი თავადის სისხლი, 603 ათასი ძველი კირმანაული თეთრი, 600 ათასი ძველი თეთრი, ოთხი სისხლის საფასური, 10 ათასი თეთრი და ა. შ. „იადგართ“ მეკობრედ იგულისხმება მოლაშქრე — „დიდებულთა, ანუ თავადთა, ანუ აზნაურთა ყმა“, ე. ი. მსახური [125. II. 180], დიდი ეკონომიკური შეძლების პირი.

მეკობრეობას ენერგიულად ებრძოდა ქართლის მეფე სიმონ I. მან 1590 წ. „დიდმის ზედათ, მტკუარ გამოღმართ ვიდრე ჳევეამდე“ ორი მეკობართმძებნელი დანიშნა. როგორც ჩანს, ქვეყანაში რამდენიმე მეკობართმძებნელი იყო [125. II. 204].

XVII ს. საქართველოში მეკობრეობის გავრცელებას აღნიშნავს არჩილი [23. I. 46]. მისი სიტყვით მეკობრეს მეკობრისმძებნელნი აპატივრებდნენ. მეკობრემ ნაძარცვი შეიღწილად უნდა ზღოს [23. I. 42].

განსაკუთრებით საყურადღებოა 1696 წ. ერთი დოკუმენტის ცნობა მეკობრის საქმიანობისა და ვინაობის შესახებ. სულხან ორბელიანის ყმას, ჩხიკვეთელ (ქვემო ქართლშია) მსახურს ივანე შიოშაშვალს ყიზილბაშებმა ბრალად დასდეს „ნატაცები და ნაძარცვი აქლემი და საქონელი“, რის გამოც იგი მძიმედ დაისაჯა — მსახურობიდან ნასყიდი ყმის კატეგორიაში იქნა გადაყვანილი [116. II. 168]. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ნასყიდი ყმა მონის მდგომარეობაში იყო („მონა — ნასყიდი ან ნაშვითევი“).

XVII ს. საქართველოში მეკობრეობის გავრცელებაზე მრავალი ცნობაა შემონახული. ამ საუკუნის მთელ სიგრძეზე ქართლის მოსახლეობას ელო სამეფო გამოსაღები „სამეკობრისმძებნელო“ [165. I. 19].

მეკობრეობა გრძელდებოდა XVIII საუკუნეშიაც. კახთა მეფე კონსტანტინეს 1722 წ. გუჯარში იხსენიება „მეკობრეთა ჩაქურდალთა საშვიდეულო საზღაური“ [125. II. 363]. იმავე მეფის 1724

წ. წყალობის სიგელში იხსენიება მეკობრისმძებნელი [125. II. 391]. ამ საბუთიდან ჩანს, რომ საკუთარი მეკობრისმძებნელი ჰყოლია ეკლესიას, კერძოდ ალავერდელს.

„ახალი ქართლის ცხოვრების“ ავტორთა სიტყვით ოსმალთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ოსმანმა „იწყო მეკობრეობა, განიმრავლა მრავალი საქონელი მეკობრითა და მით შემოიყარა მრავალი კაცი“ [122. II. 339]. როგორც ვხედავთ აქ მეკობრეობა ისეთ საქმიანობად ჩანს, რომლის საშუალებითაც კაცმა შეიძლება „ხელმწიფობას“ მიაღწიოს.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, მეკობრე არის „კორსალ“ (იტალ.) და „ჯალალი“ (თურქულად). მეკობრეს შეიძლება „სამზირალს ალაგს“ ციხე ჰქონდეს [101. 115]. საბას სიტყვით, მეკობრეებთან ბრძოლა მეფეთა მოვალეობაა [100. I. 42].

ფეოდალურ საქართველოში მეკობრეობის ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ქართულ საწესო (მაგიურ) ტექსტებში, კერძოდ ბარში გავრცელებულ შელოცვებში მეკობრეს გარკვეული ადგილი უკავია. არის მეკობრისაგან პირუტყვის დასაცავი შელოცვები (მეკობრე პირუტყვის მტაცებელი!). ე. ხელაძის 1873 წ. ცნობით გურიაში (ს. მამათი) გავრცელებული იყო ძველი შელოცვა ღმერთს გარეთ დარჩენილი პირუტყვის დასაცავად. შემლოცველი ღმერთს შესთხოვს:

„მგელსა პირი შეუკარი,
მეკობრესა ხელფეხი“ [47]

აქ წერეთლის ცნობით „ნადირის პირის შეკერის შელოცვა“ არსებობდა იმერეთშიაც. „როდესაც შინაური პირუტყვი დარჩება გარეთ“, მაშინ მისი პატრონი ასე შეულოცავს:

„ეკენია, ბეკენია, ბერსა ხაჟი სვენებია,
მეუფეო ჩამოაგდე ხიზორკალი რკინისო,
ნადირს პირი შეუკარი,
მეკობრესა ხელფეხი“ [142.90].

თუ ბარის მხარეებში მეკობრეობა მძიმე დანაშაულად ითვლებოდა და მისი გავრცელება გარკვეულ პერიოდებში შეზღუდული იყო, მთის მოსახლეობისათვის მეკობრეობა ჩვეულებრივ ყოფაცხოვრებით მოვლენას წარმოადგენდა, ვახუშტი ბაგრატიონი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მეკობრეობა მთიელთათვისაა დამახასიათებელი [30. 788].

მთიელთა მეკობრეობა უკვე XII ს. ძეგლებშია ასახული.

ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრის სიტყვით, თამარის დროს საქართველოში „მპარავი, ავის მოჭმედი აღარ იყო... ო ვ ს მ ა ნ, მ თ ი უ ლ მ ა ნ და ყიფჩაყმან, და ს უ ა ნ მ ა ნ ვერ იკადრიან პარვა“ [122. I. 369]. სხვა ცნობითაც, თამარის დროს „არა იყო... არცა მტაცებელი, არცა მეკობრე და მპარავი“ [122. II. 81]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გიორგი V-ის „შეგლის დადებაში“ აღნიშულია აღმ. საქართველოს მთიან მხარეებში მეკობრეობის ფართოდ გავრცელება. აქ მეკობრეობენ როგორც ერთეული პირები, ისე მთელი თემი ან ხევი და მთელი „ქუეყანა“. მთიელთა მეკობრეობას აღნიშნავენ არჩილიც. მისი სიტყვით, თეიზურაზ I-ის დროს „დიდონი, თუშნი, ხევსურნი, ფშაველნი ვერ მეკობრობდა“ [23. II. 41]. ახალ მხატვრულ ლიტერატურაში მთიელი მეკობრის ტიპი ასახა ვაჟა-ფშაველამ პოემა „გოგოთურ და აფშინაში“ აფშინას სახით.

საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის მეკობრეობა ფართოდაა ასახული ხალხურ პოეზიაში. ფშაურ ლექსებში აღნიშნულია დაღესტანის მცხოვრებთა „სამეკობროდ წამოსვლა“ [149. 44]. „მეკობრეები“ საძოვრებზე გადმოდიან, მწყემსებს ზოცავენ და პირუტყვს იტაცებენ [149. 53]. მეკობრე ზოგჯერ მარტო მიდის [149. 28]. „მეკობრეობა“ ერთ-ერთი ძირითადი თემაა ხევსურული პოეზიისა. ამ თემაზე შექმნილი ნაწარმოებების ნაწილი განხილულია ნ. შამანაძის ნაშრომში „მეკობრეობის ასახვა მწყემსულ პოეზიაში“ [129 ა]. მეკობრეობის ამსახველი მრავალი ტექსტია გამოქვეყნებული აკ. შანიძის მიერ გამოქვეყნებულ კრებულში „ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული“ (1931 წ.).

ქართველ მთიელთა პოეტური ნაწარმოებების მიხედვით მეკობრეობა ეწოდება როგორც ამ მთიელთა თავდასხმას მეზობელ არაქართველ თუ თანამომემ, ქართველ ტომებზე, ისე ქისტებისა და სხვა კავკასიელი ტომების თავდასხმას საქართველოს ტერიტორიაზე. ამ ლექსების მიხედვით მეკობრეობის მიზანი ორგვარია: 1) სხვა მთიელი თემების დაბეგრვა, ე. ი. ხარკის დადება და 2) ცხენის და ცხვარ-ძროხის მოტაცება. მთიელთა მეკობრეობა ჩვეულებრივი საქმიანობაა რელიგიურ საბურველშია გახვეული, მთიელი მეკობრის რწმენით მას ღვთაება, „ხატი“ მფარველობს [27. 545-550].

მეკობრეობა დას. საქართველოს მთავიაც იყო გავრცელებული. მეკობრეობდნენ სვანები [30. 788], აქარლები, აფხაზები. სვან-

თა მეკობრეობის მიზანი იყო ხარკის დადება და ნაღველს შოვნა [27. 568].

მთიელთა მეკობრეობამ უკვე XIX ს-ში მიიქცია მეკლევართა ყურადღება. რაფიელ ერისთავმა 1855 წ. აღწერა თუშეთში გავრცელებული „წასულა სამეკობროთ“ — დაღესტნელ მეკობრეთა თავდასხმების აღსაკვეთად თუშეთში შემოღებული საგანგებო ღონისძიება [244. 144]. თუშ-ფშავ-ხე-სურთა მეკობრეობას შეეხო ა. ზისერმანი (იგი აღწერს 1846—1852 წწ. ამბებს). მისი დასკვნით მთიელთა მეკობრეობას განაპირობებდა მკაცრი ზღნება (ეკონომიკური საფუძველი!), პოლიტიკური გარემოებანი (ცენტრიდან დაშორება და მეზობელ ტომებთან მუდმივი შუღლი) [193. 5]. ა. ზისერმანმა აღწერა მეკობრეობის რელიგიურ-სათემო ორგანიზაცია. მისი სიტყვით, სამეკობროდ წასულ ქართველ მთიელებს წინ უძღოდნენ დეკანოზები (ქურუმები) და დროშები. სამეკობროდ წასულა ქადაგის (проризатель) რჩევით ზღებოდა [193. 127]. ა. ზისერმანის სიტყვით თუშთა მეკობრეობის მიზანი იყო მეზობელი თემების დახარკვა [193. 237].

ხევსურთა მეკობრეობა აღწერა გ. თედორაძემ. მისი სიტყვით, ხევსური მეკობრეობს ფშავლების, მოხვევებისა და ქისტების ადგილებში, „ხევსური თავის ახლო-მახლო მეზობლებში არაფერს არ მოიპარავს, თუ მოიპარავს, მას ამისთვის შავი ღღე მოეღის“. მეკობრეობა ხევსურებს გამირობად და სასახელოდ მიაჩნდათ [55. 48].

ბ. კოვალევსკის სიტყვით უკვე XIII ს-დან, როცა საქართველოს სამეფოს დაცემა დაიწყო, გახშირდა სვანთა მეკობრეობა, რაც ქონების შეძენის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა [204. 98].

ხევსურთა მეკობრეობის შესახებ ვრცელად ნსჯელობა ნ. ხიზანიშვილი. იგი აღნიშნავს, რომ ხევსურეთში მეკობრეებს თავიანთი მფარველი ხატი ჰყავთ — „თეთრი სანება ცროლის გორისა. სოფ. უკანა ხანლოში — მონადირეთა და მეკობრეთა ხატია: ამ ხატს... მეკობრეები წინათ დავლიდან ნაწილს სწირავდნენ“ [152. 70]. ხევსურეთში მეკობრეობა გამირობად ითვლებოდა, ხევსური „მეკობარს იმავე ღირსებას და პატიუს აკუთვნებს, რომელიც უნდა ექიროს ნამდიელ გმირს“ [152. 70], მაგ., ასპინძის ომში „ახელგანთქმულ ხევსურებს. „მეკობრობა დედაძარღვია ხევსურთა პოეზიისა“ [152. 113-114]. სხვა ნაშრომშიაც ნ. ხიზანიშვილი აღნიშნავს, რომ ხევსურებს სახელოვანი მეკობრეები თავის „საერო

გმირებად“ მიაჩნიათ, ხოლო მეკობრეობას საღვთო საქმედ თვლიან [121. 374]. ს. ხიზანიშვილს მეკობრეობის არსებობის მიზეზად მუდმივი საგარეო საფრთხის არსებობა მიაჩნდა [152. 113-114].

მთიელთა მეკობრეობის არსი, მისი გამოპყვევი პირობები სწორად დაახასიათა აკ. შანიძემ. მისი სიტყვით „ბევრ ლაშქრობას, რომელზედაც ჩინებული სიმღერებია... სწორედ უმიწა-წყლობით გამოწვეული მდგომარეობა უძევს საფუძვლად. ლაშქრობამ შემოსავალი უნდა მიატოს, ქონება შეჰმატოს, ეკონომიურად გააძლიეროს, შეუვისოს ის ნაკლი, რომელსაც მესაქონლეობა და ხენათესვა არ აძლევს“ [130 ა. 041].

საესებით სწორადაა ახსნილი მთიელთა მეკობრეობის საფუძვლები შ. ჩართოლანისა და ვ. ითონიშვილის გამოკვლევებში. შ. ჩართოლანის სიტყვით „სვანები მრავალ თავდასხმას და სამხედრო შეხლა-შემოხლას აწარმოებდნენ მეზობელ ტომებთან. ეს ბრძოლები, როგორც ჩანს, წარმოებდას ერთ-ერთ დარგად იყო ქცეული, მით უმეტეს რომ გეოგრაფიულ--ბუნებრივი პირობები სვანეთისა ყველგან და ყოველთვის არ იძლეოდა მიწათმოქმედებისა თუ მესაქონლეობის მძლავრად განვითარების საშუალებას. ეს ფაქტორი კიდევ უფრო უზიძვებდა ამ სამხედრო დემოკრატიისა და წესწყობილების საკმაოდ დიდხანს შენარჩუნებას განსაკუთრებით ზემო სვანეთის რეგიონში“ [132. 35-36]: მეკობრეობა შ. ჩართოლანის დასკვნით, „გამომდინარეობდა ჯერ ერთი, თვით სამხედრო დემოკრატიის წყობილების შინაგანი ბუნებიდან და მეორეც, განპირობებული იყო სამეურნეო ცხოვრების თავისებურებებით, რამდენადაც ომებით უმტაცებლური თავდასხმებით შეადგენდნენ აქაური წარმოების წესის შემადგენელ ნაწილს, მატერიალური შემოსავლის წყაროს“ [132. 37].

ვ. ითონიშვილის დასკვნით, „მეკობრეობა თუშეთში მათი ყოფის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა და მათ ეკონომიკაში სათანადო როლს ასრულებდა“ [59. 456].

სწორად შეაფასა მთიელთა მეკობრეობა ნ. შამანაძემაც: „მეკობრეობას წიადაგს უქმნიდა ის მძიმე პირობები, რომელშიაც მთიელები ცხოვრობდნენ. ეს იყო უმიწობა, მოუსავლიანობა, სიღარიბე და პოლიტიკური სისტემა, რომელშიაც ისინი იმყოფებოდნენ. მე-

კობრეობის გამოვლენას ხელს უწყობს მთაში ჯერ კიდევ შემორჩენილი გვაროვნული წყობილების ნაშთები“ [129 ა. 117].

თუ რა ადგილი ეკავა მეკობრეობას მთიელთა ცხოვრებაში, შესანიშნავად ჩანს მთიელთა, დალესტნის მცხოვრებთა სიტყვებიდან, რომლითაც მათ უპასუხეს რუსეთის მთავრობის წინადადებაზე — მეკობრეობას თავი დაანებეთ: «Воровство их наших и соха; Сими жили их предки... Всё, чем они владеют, есть воровством собранное именно и так должно будет им в российском подданстве с голоду умереть; Пусть с ними делают что хотят. Они будут себя защищать до последней капли крови, и лучше им умереть честными людьми, нежели с голоду» [242. 502].

მთიელთა მეკობრეობის შესახებ ქართველ მეცნიერთა ზემოთ მოტანილი შეხედულებანი სწორად ასახავენ ამ მოვლენის სოციალურ საფუძვლებს. მეკობრეობა დამახასიათებელი და აუცილებელი მოვლენა იყო გვაროვნულ-თემური წყობილების ეტაპზე მდგომი ყველა ხალხისათვის. კ. მარჭისის სიტყვით, გვაროვნულ-თემური წყობილების დროს მიწაზე თემის საკუთრებას წინ არაფერი ელობება, „დაბრკოლებანი, რომელთაც თემი შეხვდება, შეიძლება გამომდინარეობდნენ მხოლოდ სხვა თემებიდან, რომელთაც ან ადრე დაუპყრიათ მიწა-წყალი, ანდა მოსვენებას არ აძლევენ თემს მის მიერ დაპყრობილ ადგილზე. ამიტომ ომი არის დიდი საერთო ამოცანა, ის დიდი საზოგადო საშუალო, რომელიც ან იმისთვისაა საჭირო, რომ დაიპყრონ არსებობის ობიექტური პირობები, ან იმისათვის, რომ შეინარჩუნონ ეს დაპყრობა და უკვდავყონ იგი. ამიტომაც არის, რომ ოჯახებისაგან შემდგარი თემი პირველ ხანებში სამხედრო ყაიდაზეა მოწყობილი, როგორც სამხედრო და სულაშქრო ორგანიზაცია, და ეს ორგანიზაცია წარმოადგენს თემის — როგორც მესაკუთრის — არსებობის ერთ-ერთ პირობას“ [3. 12-13]. თუ გავიხსენებთ ფრ. ენგელსის სიტყვებს, რომ შუა საუკუნეებშიაც კი „ძარცვა იყო თავის უფალი მამაკაცის შესაფერისი ერთადერთი საქმიანობა“ [17. 411], ცხადი გახდება, რომ მთაში, თემური წყობილების უმაღლეს საფეხურზედაც კი, მეკობრეობა „წარმოების“ წესის ორგანული ნაწილი და ადგილობრივი საზოგადოების თვალსაზრისით, საძრახისი კი არა, სასახელო საქმე იყო.

როგორც დავინახეთ, ფეოდალური ეპოქის მთელ სიგრძეზე მეკობრეობა საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული. ამ

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უცვლელი იყო როგორც ამ ნო-
ვლენის არსი, ისე სათანადო ტერმინოლოგია (მეკობრე, მეკობარი,
მეკობრეობა, მზირობა, ნამეკობრევეი, ალაფი...) და სახელმწიფოს
დამოკიდებულება ამ ნოვლენისადმი: ცენტრალური ხელისუფ-
ლება მეკობრეობას დაუნდობლად ებრძვის, ებრძვის ეკლესიაც
(შეჩვენებით). მეკობრის სისხლი კანონით „გაცუდებულია“, შეპ-
ყრობილი მეკობრე „ძელს უნდა მიეცეს“, „მომთობილ იქნას“.

მთიან რეგიონებში როგორც პოლიტიკური, ისე სოციალურ-
ეკონომიკური თვალსაზრისითაც, მდგომარეობა სხვაგვარი იყო.
ის რაც ბარში უკანონობად, ხელისუფლების უგულვებელყოფად,
საძრახად ითვლებოდა, მთაში ვაუკაცობის მაჩვენებელი მამაკაცო-
ბის იდეალი, რელიგიით კურთხეული იყო. მეკობრეობა აქ საარ-
სებო საშუალებათა ერთ-ერთი გზა იყო და ასე რჩებოდა თვით
XX საუკუნემდე.

ივ. ჯავახიშვილმა სავსებით სამართლიანად დაუკავშირა ბარ-
ში მეკობრეობის ანტისაზოგადოებრივ მოვლენად გამოცხადება
გეაროვნულ-თემური წყობილებიდან ფეოდალურ წყობილებაზე,
გადასვლის დროს [160. II(2). 307].

რა ადგილი ეკავა მეკობრეს, როგორც პიროვნებას საზოგა-
დოებაში, რას წარმოადგენდა იგი სოციალური თვალსაზ-
რისით?

საისტორიო წყაროთა ერთსულოვანი ჩვენებით, მთაში მეკობ-
რე რაიმე ცალკე სოციალურ ჯგუფს არ ქმნიდა, მეკობრეობდა
ყველა: ხვეისბერი, ჰეროვანი თუ დეკანოზი, ბარის მხარეებში კი
მეკობრეებად ჩანან ყველანი — საერონი თუ სასულიერონი —
გარდა გლეხებისა, ეს სავსებით ლოგიკური და მოსალოდნელია:
არათავისუფალი, მიწაზე მიმაგრებული, დაბეგრული და საომარ
ცხენსა და იარაღს მოკლებული მწარმოებელი მეკობრეობას, ცხა-
დია, ვერ შეძლებდა. წყაროები პირდაპირ მიუთითებენ, რომ მე-
კობრე ზოგჯერ დიდი თუ მცირე ფეოდალიცაა, მაგრამ მეკობრე-
თა მასა ბარში ესაა „თავადის ან აზნაურის ყმა“, ე. ი. არათავი-
სუფალი, მოლაშქრე, მსახური.

მეკობრეთა სოციალურ ვინაობაზე თავისი აზრი რამდენი-
მეჯერ გამოთქვა ნ. ბერძენიშვილმა. მას მიაჩნდა, რომ (ბარის) მე-
კობრეები იყვნენ კლასობრივ ბრძოლაში დამარცხებული თავისუ-
ფალი მწარმოებლები (აღრე პირადად თავისუფალი მდაბიორ-
მოლაშქრეები), რომლებიც მეკობრეობით გამოხატავდნენ თავიანთ
პროტესტს [33. 178-179]. საისტორიო წყაროთა მონაცემები ამ

დებულებას არ ადატურებენ. უფრო ზუსტია ნ. ბერძენიშვილის მეორე დებულება, რომ მეკობრეობა „ჭაბუკთა ხელობაა“, „ჭაბუკთა სტილია“ და სახელმწიფო ხელისუფლების ბრძოლა მეკობრეობის წინააღმდეგ „ეს იყო სახელმწიფოებრივი ბრძოლა ფეოდალური ანარქიის (ვისი ქაბუკობის) წინააღმდეგ“ [31. VIII. 645]. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა, რომ მეკობრეა რომაე, მონასპოს უფროსი, და გუზანი (დიდებული) [31. VII. 321].

იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ შუა საუკუნეების ქართულ დეოდალურ საზოგადოებაში მეკობრეობის არსი, მოვიტანთ რამდენიმე ანალოგიურ მონაცემებს სხვა ქვეყნების ისტორიიდან: ბიზანტიურ წყაროებში ხშირად იხსენიებიან ე. წ. აპელატები /*απαλατάι*/ — ბირუტყვის გამტაცებლები, რომელთაც სახელმწიფო ხელისუფლება სასტიკად ებრძოდა (ეს ასახულია საკანონმდებლო ძეგლებში). ამავე დროს აპელატების ის ნაწილი, რომლებიც საზღვრისპირა ოლქებში ცხოვრობენ და მენაპირეობენ, „კეთილშობილებად“ იწოდებიან, პოეტი მათ ქება-დიდებათ იხსენიებს [236 ა. 153-4], როგორც ჩანს იმიტომ, რომ ისინი მტრის მიწებს არბევენ. კონსტანტინე პორფიროგენტი აპელატებს უწოდებს იმ მსუბუქად შეიარაღებულ მეომრებს, რომელთაც სწორედ მტრის მიწების რბევა ევალებოდათ [236 ა. 154]. მკვლევრები (ა. სირკინი, ა. პეტრუზი) კატეგორიულად უარყოფენ ა. კაჟდანიის აზრს აპელატთა უსაქმიანობის ანტიფეოდალური ხასიათის შესახებ [282. 53].

დას. ევროპაშიც მეკობრეობას ძირითადად მოლაშქრეთა, რაინდთა დაბალი ფენა მისდევდა. ეს ფენა მინისტერიალთა (მსახურთგან) შედგებოდა. მეკობრეთა რაოდენობა მკვეთრად იზრდებოდა მშვიდობიანობის პერიოდში, როცა მოლაშქრეები უსაქმოდ (უაღფოდ!) რჩებოდნენ. განააკუთრებით გაიზარდა მეკობრეთა რიცხვი დეოდალური სისტემის, ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის კრიზისის დროს, როცა ფეოდალური ლაშქრის ადგილს თანდათან დაქირავებულნი ან რეგულარული ჯარი იკავებდა. უსაქმოდ დარჩენილი მცირეამულიანი, ზოგჯერ კი უმამულო რაინდები მეკობრეთა რაზმებს ადგენდნენ, გაჰვლელ-გამომვლელთ, ვაჭართა ქარავნებს, მონასტრებს, ზოგჯერ ფეოდალთა სასახლეებსაც ესხმოდნენ და არბევდნენ. ასეთ მეკობრეებს XVI—XVII სს. გერმანიაში

„მეკობრე რაინდებს“ /Raubritter/ ეძახდნენ. ზოგ მათგანს საკუთარი ცხეც ჰქონდა, რომელიც მეკობრეთა ბუდეს წარმოადგენდა (Raubburg) [184. 143—144]. სახელმწიფო ასეთ მეკობრეებს სასტიკად ებრძოდა. ზოგჯერ მათ წინააღმდეგ დიდი სამხედრო ძალები გამოჰყავდათ და საბრლოოდ „მეკობრე რაინდები“ გაუღიტეს [203. 27].

მეკობრეთა რაოდენობის ზრდა საქართველოშიც (ბარში) მსგავსი მიზეზებით იყო გაპოწვეული. შედარებით ხანგრძლივი მშვიდობიანობის დროს უსაქმოდ დარჩენილ პროფესიონალ-მოლაშქრეთა მასა მეკობრეობას იწყებდა. მეკობრეობის საფუძველი თვით ფეოდალური ლაშქრის ბუნებაში იყო: მოლაშქრისთვის ომი შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა, ლაშქარს ალაფის წილი (1/5) ერგებოდა, გარდა ამისა ომში თავის გამოჩენისთვის მოლაშქრეს მეფისგან სხვა წყალობაც ეძლეოდა. მშვიდობიანობის პერიოდი მოლაშქრეთათვის კრიზისის ხანა იყო. მეტად დამახასიათებელ ფაქტს აღწერს ეპითაღმწერელი: როცა XIII ს. შუა წლებში აჯანყებული ულუ-დავითი ლაშქრით ნარინ-დავითთან ქუთაისს გადავიდა, დას. საქართველოში მშვიდობა იყო, „არას ავნებდეს ურთიერთს ორნივე დავით და დავით, და დ ა ც ა თ უ ლ ა შ ქ ა რ თ ა ა რ ა ე ნ ე ბ ა, ამისთვის, რომელ არა გასცემდეს ორივე მეფენი საპურკლეს ლაშქართა ზედა. ესრეთ იყო აშლილობა და შფოთნი მრავალნი იმერთ“ [122. II. 343]. სურათი ნათელია: რაკი შინაომი (და საერთოდ, ომიანობა) არაა და მეფე ლაშქარს გასამრჯელოს არა აძლევს, „უსაქმო“ მოლაშქრენი „შლილობას და შფოთს“ იწყებენ. ფეოდალურ ლაშქარს ისეთ მშვიდობას, როცა მას შემოსავალი არა აქვს, შინაომი ურჩევნია, მშვიდობა „არ ნებავს“. მსგავსი სიტუაციები საქართველოში სხვა დროსაც იქმნებოდა: გავიხსენოთ როგორ ცდილობდნენ დავით აღმაშენებელი და თამარი, რომ შათი მოლაშქრენი „პოკლილნი“, დაუსაქმებლნი არ ყოფილიყვნენ.

ფრ. ენგელსმა აღნიშნა, რომ რაინდობის დაცემის ეპოქაში მეკობრეობა, ძარცვა, „მზირობა“ (Wegelagerei) და სხვა „კეთილშობილურ საქმიანობად ითვლებოდა“ [6. 27]. ე ვ რ ო პ ე ლ მ ე ე ც ო ბ რ ე თ ა ს ა ქ შ ი ა ნ ო ბ ა შ ი ძ ი რ ი თ ა დ ი ც ხ ე ნ ე ბ ის მ ო ტ ა ც ე ბ ა - მ ო პ ა რ ე ა ი ყ ო, რ ა დ გ ა ნ ა ც რ ა ი ნ დ რ ს - თ ე ის სა ო მ ა რ ც ხ ე ნ ს დ ი დ ი ფ ა ს ი ჰ ქ ო ნ დ ა გ ვ ი ა ნ ი შ უ ა სა უ კ უ ნ ე ბ ის გ ე რ მ ა ნ ი ს დ ა ბ ა ლ რ ა ი ნ დ ო ბ ა შ ი ს ი ტ ყ ვ ა მ ე კ ო ბ რ ე სა ლ ა ნ დ ა ვ ა დ ა რ

ერთი ახალი ტერმინი — მეკობრე, დეკლასირებული ელენენტების აღსანიშნავად“ [106. 143]. აქვე შევნიშნავთ, რომ ტერმინი მეკობრე უკვე X საუკუნეშია დადასტურებული.

მკვლევარს მიაჩნია, რომ მეკობრე არის „ფეოდალური ურთიერთობიდან ამოვარდნილი ყოფილი ყმა გლეხი“ [106. 144]. ეს „ყოფილი ყმა გლეხი“, ე. ი. თავისუფალი გლეხობა მაშინ XIV ს-ში „ზომანზე შეტად“ ყოფილა გამარავლებული [106. 139]. მკვლევარის განცხადებით, ქურდობა და მეკობრეობა „გლეხთა აჯანყების წინა პერიოდის მაუწყებელია“ [106. 141, 143]. ალბუღას დროს მეკობრეობა გავრცელებული ჩანს. აქედან გამომდინარე, ამავე მკვლევარის სიტყვით, „შიუხედავად მონღოლების ბატონობის შედეგებისა, საქართველოში სულ ახლო იყო გლეხთა ომების პერიოდი, ანუ ბურჯუაზიული რევოლუციის წინაღულე“ [106. 145].

დასაძლეთ ევროპაში ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევა და კაპიტალისტური ურთიერთობების იანვითარება განაპირობა მოვლენათა რთულმა კომპლექსმა (გლეხობის ესქპროპრიაცია, კაპიტალის პირველადი დაგროვება, კაპიტალისტური მანუფაქტურების გაჩენა, ტექნიკური რევოლუცია, სოფლის მეურნეობაში წარმოების კაპიტალისტური წესის დანერგვა, დიდი იეოგრაფიული აღმოჩენები....). ევროპაში ფეოდალიზმის რღვევის პერიოდში მომრავლდა ლუმპენპროლეტარიატი. ფრ. ენგელსის სიტყვით უქონელთა, ლუმპენპროლეტარიატის წარმოშობა ახალი დროის მოვლენა არაა, ასეთი ჯგუფები გვხვდება თითქმის ყველა აქამდელ საზოგადოებაში [6. 33]. ფეოდალური ურთიერთობისაგან ამოვარდნილ უქონელთა მასას სოფელში სამყოფელი აღარა აქვს და იგი ქალაქებში იყრის თავს, სწორედ ამით გამოეყოფა იგი, როგორც აღნიშნავს ენგელსი — ნაციის მასას, გლეხობას [6. 33]. ამ მასას ენგელსი უწოდებს „ძირალებს“ (Pöbel). ასეთი ხალხი, მისი სიტყვით, მხოლოდ ქალაქის ქვედა ფენებში იგულისხმება. კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ რევოლუციური პროცესების დროს ლუმპენპროლეტარიატი, დეკლასირებული და დემორალიზებული, პარაზიტული მასა, რეაქციულ, კონტრარევოლუციურ როლს ასრულებს [1. 324—325; 4. 156, 157; 12-408].

საყურადღებოა, რომ კ. მარქსი და ფრ. ენგელსი ევროპაში მაწანწალათა (Vagabund) დიდი მასის გაჩენას გვიანფეოდალურ ხანაში მომხდარი ისტორიული ვითარების შედეგად მიიჩნევდნენ და

მის ძირითად წყაროდ მოლაშქრეთა მასას თვლიდნენ. მათი სიტყვით მაწანწალათა გაჩენა დაკავშირებული იყო ტაძრულთა რაზმების (feudale Gefolgschaft) გაქრობასთან, მანუფაქტურების გაჩენასთან, მნიშვნელოვან ცვლილებებთან სოფლის მეურნეობის ტექნიკაში და საერთოდ — ფეოდალიზმის დაშლასთან [11. 56; 2. 1. 921]. კ. მარქსმა «კაპიტალის» I ტომის 24-ე თავის მეორე პარაგრაფში დაწვრილებით აღწერა ინგლისში ე. წ. «შემოღობვის» შედეგად გლეხობის მასობრივი გაღატაკება და ლუმპენპროლეტარიატის გაჩენა. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სიტყვით, ფეოდალური ურთიერთობიდან ამოვარდნილი მასა (ყოფილი მოლაშქრეები და გლეხები) ინგლისში აყვავებულმა მანუფაქტურებმა შთანთქა, ე. ი. ქალაქის მცხოვრებთა რიცხვს შეემატა [11. 56].

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ვითარება, რომელმაც ევროპაში „მძარცველი რაინდების“, ლუმპენპროლეტარიატისა და მაწანწალების გამრავლება გამოიწვია, სავსებით განსხვავებულ იყო იმ ვითარებისაგან, რომელსაც XIV ს. საქართველოში მეკობრეთა გამრავლება მოჰყვა. ამ მოვლენათა შედეგებიც, შესაბამისად, ძირეულად განსხვავებული იყო:

ერთადერთი, რაც ამ თვალსაზრისით, ევროპისა და საქართველოს ისტორიულ სიტუაციებში ანალოგიურია, არის ის ფაქტი, რომ ორივე ამ ქვეყანაში მეკობრეობენ მოლაშქრეები, ძირითადად არათავისუფალი ვასალები, მსახურები. მეკობრეობის პერიოდული ზრდა ფეოდალური ლაშქრის კრიზისულ მომენტებთანაა დაკავშირებული. ეს მომენტები კი ჩვეულებრივ მშვიდობიანობის პერიოდებს ემთხვევა.

მინისტერიალიზმი

ქართულ ისტორიოგრაფიაში მსახურთა წოდების განხილვისას მინისტერიალები პირველად ა. ხახანაშვილმა ახსენა [150. 20. 21]. 1912 წელს ს. ავალიანმა მსახურს პირდაპირ უწოდა «serviteur, ministerial» [164. 60]. არც ხახანაშვილს და არც ავალიანს არ უცდიათ დაემტკიცებინათ ეს დებულება, შეედარებინათ მსახური და მინისტერიალი.

მსახურთა შესახებ მსგავსი აზრი გამოთქვა 1934 წ. გამოსულ ნაშრომში ე. კარსტმა, რომელიც მსახურთა ზოგადი დახასიათები-

სას ფ. ჰოლდაკის ნაშრომს ეყრდნობოდა. კარსტმა ვახტანგ VI-ის სამართლის 32-ე და 204-ე მუხლების კომენტარებისას მსახურები ჩათვალა ევროპელ *hommes liges, ministeriales, vassal-liges* . . . შესატყვის წოდებად, რომლის წარმომადგენლებიც რანგით დაბალ კეთილშობილებს, კეთილშობილ რაინდებს უტოლდებოდნენ [273. 63].

1963 წ. რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე მ კატეგორიულად განაცხადა, რომ «მსახურთა ინსტიტუტი იმ სახით, როგორც ის განვითარდა ჩვენში, სრულიად განსაკუთრებულ ქართულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მას, რამდენადაც ვიცით, მხოლოდ ქართულ ფეოდალურ ურთიერთობაში ჰქონდა ადგილი: ყოველ შემთხვევაში იმ ფორმით და იმ შინაარსით, როგორც ის ჩვენში არის წარმოდგენილი, არც ერთმა ევროპის მოწინავე ერთა ფეოდალურმა წყობილებამ არ იცის. ა ნ ა ლ ო გ ი უ რ ი და წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა , რ ო მ ე ლ ი ც შეიძლება ამ ინსტიტუტს დაეუახლოვოთ, ევროპის საზოგადოებაში იყო «*homme-lige*» ან «*ministerial*» [22. 200].

ზემოხსენებულ მეცნიერთა ამ საყურადღებო აზრისათვის, სამწუხაროდ, ჩვენს ისტორიოგრაფიას სათანადო ყურადღება არ მიუქცევია, მსახურთა შესწავლა ხდებოდა შედარებით — ისტორიული მიდგომის გარეშე, ფეოდალურ საზოგადოებაში მისი სოციალური როლის სრულად გაუთვალისწინებლად. ამან დიდად შეუშალა ხელი მსახურთა წოდების ბუნების სირთულას, ფეოდალური საზოგადოების ჩასახვა-განვითარებაში მისი როლის ნათლად წარმოდგენას. ამანვე განაპირობა მსახურთა სოციალური კუთვნილების შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში რამდენიმე დიამეტრალურად საწინააღმდეგო შეხედულებისა და ზოგჯერ ზელოვნური, ისტორიული განვითარების თვალსაზრისით გაუშართლებელი სოციალური სქემების შექმნა. საკმარისია გავეცნოთ დასავლეთევროპულ მინისტერიალიტეტს, მის დამახასიათებელ ნიშნებს, რომ მსახურთა წოდების კვლევის სირთულე მაშინვე გაქრება, ნათელი გახდება ბევრი რავე, რაც მსახურთა შესახებ არსებული ისტორიული ცნობებიდან საკმაო სისრულით არ ჩანს.

რადგანაც მინისტერიალთა წოდება, მინისტერიალიტეტი ფეოდალიზმის სისტემაში მეტად თავისებური მოვლენაა, ხოლო ქართული ისტორიოგრაფია, შეიძლება ითქვას, არ იცნობს ამ წოდებას, საჭიროდ მიგვაჩნია ვრცლად დავახასიათოთ, არსებული მდიდარი ლიტერატურის საფუძველზე, მინისტერიალიტეტი როგორც საზოგადოებრივ-ისტორიული მოვლენა. ისტორიოგრაფია-

ში მინისტერიალთა შესახებ ბევრი რამ სადავოა, ქვემოთ ძირითადად მხოლოდ ის იქნება გადმოცემული, რაც მეცნიერთა საერთო აზრს გამოხატავს.

ფეოდალურ დასავლეთ ევროპაში მოლაშქრე არ იყო მოსახლეობის დიდი უმეტესობა; არ ლაშქრობდნენ: ყმა გლეხები, სამღვდელოების მეტი ნაწილი, 15 წელზე ახალგაზრდა და 60 წელს გადაცილებული ფეოდალები, ვაჭრები, ხელოსნები... პ. ბოკლის სიტყვით ფეოდალური საზოგადოების გაბატონებული ზედაფენა, ფეოდალი მოლაშქრეები საზოგადოებაზე თხელი აპკივით იყვნენ განლაგებული [248. I. 134]. ფეოდალთა რაოდენობას მოსახლეობის დაახლ. 10 %-ად ანგარიშობენ. აქედან ბრძოლისუნარიანი იყო, ცხადია, მხოლოდ ნაწილი. მხოლოდ ფეოდალთაგან შემდგარ მცირერიცხოვან ლაშქარს, ცხადია, არ შეეძლო შესრულებინა თავისი ფუნქცია — საგარეო მტრის მოგერიება და შინაური წესრიგის დაცვა, ფეოდალთა კლასის ბატონობის უზრუნველყოფა. სწორედ ამით იყო განპირობებული მინისტერიალთა, ფეოდალური ლაშქრის ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილის არსებობა.

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში, ჯერ კიდევ ფრანკთა სახელმწიფოში, განსაკუთრებულად ჩამოყალიბებული სახით კი გერმანიაში, არსებობდნენ ე. წ. მინისტერიალები (გერ. Dienstmannen), რომლებიც შეადგენდნენ ხელმწიფეთა და დიდი საერო, თუ სასულიერო ფეოდალების შეიარაღებულ მსახურთა რაზმებს. გარდა ძირითადი მოვალეობის — სამხედრო სამსახურისა, მათ ევალებოდათ კარის თუ საქვეყნოდ გამრიგეთა საპატიო სამსახურის შესრულებაც. რ. შრიოდერის სრულყოფილი განმარტებით, განვითარებული «ფეოდალიზმის ხანაში მინისტერიალები იყვნენ მეფისა და წარჩინებულთა მსახურები, რომლებიც ყოველგვარი ბეგარა-გამოსაღებებისაგან გათარხნებული იყვნენ და ბატონს ემსახურებოდნენ როგორც მოლაშქრეები, მონადირეები, კარისა და საქვეყნოდ გამგებლნი (მებაჟეები, ტყისმცველები, მოურავები, შათირები და მხლებლები). მინისტერიალები ბატონს ცხენით ემსახურებოდნენ (equitando serviunt) [290. 472]. საისტორიო წყაროებში მინისტერიალები მოიხსენიებიან დამახასიათებელი სახელებით: ministerial, famulus, eclesiarium filius, miles plebeji, gregarius miles, ingenuus, servitor, homo [294. V. 429—439]. აღსანიშნავია, რომ ტერმინი, რომლითაც მსახურის საქმიანობა (ვალდებულება) აღინიშნებოდა — servitium ფეოდალურ ეპოქა-

ში აღნიშნავდა როგორც გლეხურ სამსახურს—შრომით და ნატურალურ ბეგერას, ისე საპატიო სამსახურსაც — ადმინისტრაციული და სამხედრო ფუნქციების შესრულებას. მინისტერიალთა წარმოშობაზე მეცნიერებაში ერთიანი აზრი არ არსებობს. ამ საკითხზე ძირითადად სამი შეხედულებაა: 1) მინისტერიალები წარმოიშვნენ სერვებიდან, 2) მონებიდან და 3) როგორც თავისუფალ, ისე არათავისუფალთაგან. ეს უკანასკნელი აზრი უფრო გავრცელებულია.

მინისტერიალიტეტის საწყისები ფეოდალიზმის გენეზისთანაა დაკავშირებული. პირველი მინისტერიალები იყვნენ მეფის არათავისუფალი მსახურები (*unfreie Leibriener*) [290. 148]. ადრეფეოდალური ურთიერთობის დროს მინისტერიალიტეტი მეფის უახლოეს წრეს, კარის მოხელეთა შტატს შეადგენდა. მეფემ იგი ძველ სატომო არისტოკრატობას დაუპირისპირა და თავისი ხელისუფლების საყრდენად გაიხადა. თანდათან საკუთარი მინისტერიალები გაიჩინეს მსხვილმა ფეოდალებმაც. მეფისა და უმაღლესი რანგის წარჩინებულთა მსახურებს — მინისტერიალებს სამსახური მხოლოდ ბატონისაგან მიღებული მიწისა და მატერიალური სახსრების საშუალებით შეეძლოთ. უკვე V—VII საუკუნეებში მინისტერიალები დაწინაურდნენ როგორც კარისა და საჭვევსად გამგებლობაში, ისე სამხედრო სამსახურშიც.

უძველესი დროიდანვე სხვადასხვა რანგის მინისტერიალთა დიდი შტატი ჰყავდა ეკლესიას — ეპისკოპოსებს, მონასტრებს. მაგ., მინისტერიალს ებარა მონასტრის *cellerarius*-ის (*Kelner*) ხელი.

მეფის (სახელმწიფო) მინისტერიალები მათი წოდებრივი მდგომარეობით განსხვავდებოდნენ ფეოდალთა მინისტერიალები-საგან, რომელთა უფლებებიც უფრო შეზღუდული იყო და რომელთაც დიდხანს შემორჩათ არათავისუფალთათვის დამახასიათებელი ნიშნები [220. 344]. რაც უფრო მაღალი იყო ბატონის რანგი, მით უფრო პრივილეგირებული იყო მისი მინისტერიალი.

მინისტერიალის ძირითადი მოვალეობა მოლაშქრობა და მონღელობა, ადმინისტრაციული და სასამართლო-საპოლიციო მოვალეობის შესრულება იყო. მასვე ევალებოდა ბატონის თანხლება, მეციხოვნობა და სხვა. მინისტერიალთა რაოდენობა იზრდებოდა ხანგრძლივი ომიანობების დროს და მომდევნო პერიოდშიც, როცა საჭირო ხდებოდა ლაშქრის რიგების შევსება. როცა XI ს-ში ე. წ. იტალიური ლაშქრობების დროს გერმანიის იმპერატორის ლაშქარი კატასტროფულად შემცირდა, იმპერატორმა იგი ახალი მინისტერიალებით შეავსო. მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს

კონრად III-ის არმია ძირითადად მინისტერიალებისგან შედგებოდა. ომში დაღუპულ ფეოდალთა მაგიერად ლაშქრის რეზერვად ყოფნა მინისტერიალთა აზრების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი იყო.

მინისტერიალებმა განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს იმპერიის დაშლისა და ე. წ. „ტერიტორიალურ სამთავროთა“ წარმოშობის პროცესში. ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლმა მთავრებმა ყმა (მებეგრე) გლეხთა ნაწილი მინისტერიალებად აქციეს, საკუთარი სამხედრო ძალა გაზარდეს და გახელმწიფდნენ. სამხედრო სამსახური რომ შესძლებოდათ, მთავრებმა მინისტერიალებად დაწინაურებულ გლეხებს მინისტერიალს მამული (3 საკომლო) მისცეს [259. 718].

წყაროთა ჩვენებით დადასტურებულია, რომ მინისტერიალიტეტი ფეოდალთა ძირითადი საპოლიციო-სადაშსჯელო ძალა იყო. მინისტერიალები სენიორის დავალებით აიძულებდნენ გლეხებს წესისამებრ შეესრულებინათ გლეხური (ყმური) მოვალეობანი, გადაეხადათ საბატონო გადასახადები [170, 172-3]. მინისტერიალებს ევალეობოდათ დამნაშავეთა დაპატიმრება, საქმის გამოძიება, დასჯა.

მინისტერიალები განაგებდნენ ფეოდალის მანულის სამეურნეო საქმეებზე. ისინი იყვნენ მოურავებად, ზელოსნებად (მამასახლისებად), ტყისმცველებად, მზარეულებად, შათირებად, გზირებად.

აღრეფეოდალურ გერმანულ სახელმწიფოში, როცა მეფის კარი მისი კერძო პოლიტიკური მეურნეობა უფრო იყო, ვიდრე სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური აპარატი, მეფის მინისტერიალები ერთგვაროვან მასას არ წარმოადგენდნენ, ისინი სამ ძირითად ჯგუფად იყოფოდნენ:

1) მეფის კარი — კარის მაღალი რანგის მოხელენი: სენეშალი (მაიორდომი, ტრუზნესი), მარშალკი (მეჭინბეთუხუცესი), თეზაურარიუსი (მოლარეთუხუცესი), შენკი (მეწედი), ბაზიერთუხუცესი, მზარეულთუხუცესი, ტყისმცველთუხუცესი, მონადირეთუხუცესი.... მინისტერიალთა ეს ჯგუფი შეადგენდა (გვიანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ) მეფის კაბინეტს, საბჭოს. მეფე მნიშვნელოვან საქმეებზე ამ ჯგუფთან ერთად თათბირობდა [257. II. 200]. ეს ჯგუფი იყო მეფის დასაყრდენი ძველ საგვარეულო არისტოკრატიათან ზრძოლაში. მინისტერიალთა ეს ჯგუფი, მეფის-

გან მამულების მიღების გზით, თანდათან დაწინაურდა, ფეოდალებს, არისტოკრატთა წრეს შეერია.

2) საქვეყნოდ გამრავენი — სამეფო (სახელმწიფო) მამულების სამეურნეო-ადმინისტრაციული და სასამართლო საპოლიციო მოხელენი (გრაფები, პფალცგრაფები, მაიერები) ზოგიერთ დიდ მამულში ისეთივე დასახელების მოხელენიც იყვნენ, რაც მეფის კარზე გვხვდებოდა (ტრუხზესი, კამერჰერი, მარშალი, შენკი...), ოღონდ დაბალი რანგისანი [294. V. 325]. მინისტერიალთა ეს ფენაც თანდათანობით აღზევების გზით მიდიოდა.

3) წვრილი, დაბალი რანგის რიგითი მსახურები, რომლებიც საპატიო, არაგლეხურ სამსახურს ასრულებდნენ მეფის კარზე ან ადგილებზე, მეფის მამულებში: ხაბაზები, მზარეულები, ფარეშები, დალაქები, ხელოსნები (მამასახლისები), შათირები და მინისტერიალთა ძირითადი მასა — მოლაშქრეები. ამ ჯგუფის მინისტერიალები თანამომე გლეხთაგან გამოირჩეოდნენ ქონებრივი შეძლებითაც: ჰქონდათ მინისტერიალის მამული, დიდი კარმიდამოები, ვენახები, ჰყავდათ ცხენები და სხვა პირუტყვი... მინისტერიალები, ჩვეულებრივ მდიდარი გლეხები იყვნენ [170. 286; 234. 216-219].

მსახურთა სხვადასხვა ჯგუფები წყაროებში სათანადო ტერმინოლოგიითაა განსხვავებული: *meliore* (ან *maiores*) *ministeriales* — წარჩინებული მინისტერიალები, *veri ministeriales* (მართებული მინისტერიალები), *minores ministeriales* (დაბალი მინისტერიალები) [294. V. 429—430.]

იყვნენ ქალი მინისტერიალებიც (*feminae ministeriales*, *Dienstjunkfrauen*) — გაუთხოვარი სეფელები, რომლებიც მონაწილეობდნენ ფეოდალის საოჯახო მეურნეობის გაძღოლაში, ემსახურებოდნენ ფეოდალის ცოლსა და ასულებს [290. 473].

მინისტერიალთა მიწისმფლობელობა გლეხის მიწისმფლობელობისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა: მინისტერიალის მამულის მინიმალური ზომა სამი საკომლო იყო [294. V. 334]. მინისტერიალებს უფლება ჰქონდათ ჰყოლოდათ (და ჰყავდათ კიდევ) საკუთარი ყმები და მონები [294. V. 343]. მსახურის მამულის სიდიდე აუცილებელი იყო არა იმდენად მის სარჩენად, რამდენადაც 'სალაშქრო აღჭურვილობისა და ცხენის შესაძენად. ეს გასაგები გახდება; თუ გავითავალისწინებთ შუა საუკუნეებში ცხენისა და აბჯარი-არალის მძალად ფასს. ფრანკთა სახელმწიფოში მოლაშქრის აღჭურ-

ვილობის ერთი კომპლექტი 45 ძროხად ფასობდა [218. 67], საომარი ცხენი კი—12 ძროხად [184. 4]. ამის გამო იყო, რომ მინისტერიალთა რიგები ჩვეულებრივ მდიდარ გლეხთაგან იკვებოდა.

თავისუფალი ვასალი ფეოდალის ლენსა და მინისტერიალის ლენს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება იყო: მინისტერიალის ლენი ნამდვილ ლენსა და გლეხის მიწის—საგლეხო საკომლოს შორის იდგა, სამსახურთან იყო დაკავშირებული. ვინც ასეთ მამულს მიიღებდა — სერვი იყო თუ თავისუფალი, მას მინისტერიალის სამსახური უნდა ეკისრა. ის ფაქტი, რომ მინისტერიალს სასამსახურო ლენი ეძლეოდა, მას ფეოდალად არ აქცევდა: «Это ничуть не противоречит тому, что сами министериалы находились в полной власти их господ. Как раз именно в силу такого юридического положения министериалов господа не боялись дарить им земельные владения: все равно земля оставалось в верховной собственности феодала вместе с личностью самого министериала» [204. а 46]. ეს პირდაპირ იყო აღნიშნული სათანადო დოკუმენტებში: მინისტერიალის მიწას ერქვა: «მინისტერიალის ბენეფიცია» [294. V. 332], «Bauerliche Lehen» (286 ა 84) ან «Servilis terra» [288. 11]. იმ ფაქტში, რომ არათავისუფალი ლენი ეძლეოდა, საკვირველი არაფერია: არათავისუფალთ თავიდანვე, ფრანკთა სახელმწიფოშიაც, შეეძლოთ ლენის მიღება, ვასალურ ურთიერთობაში შესვლა. სამხედრო ლენის (beneficium militare), რაც მის მფლობელს სამხედრო სამსახურს აკისრებდა, მიღება მინისტერიალებს ამ წოდების გაჩენიდანვე შეეძლოთ [170. 73]. კანონი მინისტერიალებს თავისი ბატონის ვასალებად კი არ განიხილავდა ან სახელმწიფოს ქვეშევრდომად, არამედ კერძო პირის კუთვნილ პირებად [204. а. 42]. მინისტერიალს რაინდის წოდებაც რომ მიეღო, მაინც ფეოდალის ყმად რჩებოდა, იგი იყო არათავისუფალი რაინდი (unfreie Ritter). მინისტერიალთა არათავისუფლება საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია [184. 32].

მინისტერიალის მაღალი მდგომარეობა საზოგადოებაში, მისი განსხვავება თანამომე გლეხთაგან და ამავე დროს მისი არათავისუფლება გასაგები გახდებოდა, თუ გავითვალისწინებთ შემდეგს: მინისტერიალის არათავისუფლება არ იყო აბსოლუტური არათავისუფლება, იგი დაკავშირებული იყო უფლებებთან და პრივილეგიებთან [256. 351]. ამ პრივილეგიების საფუძველი იყო მისი სამხედრო საქმიანობა [184. 142]. მინისტერიალი არათავისუფალი ვასალი იყო. ფეოდალურ საზოგადოებაში თავი-

სუფალ და არათავისუფალ ვასალთა არსებობა დადგენილი ფაქტია [279 (ა). 43; 170. 114; 220. 344].

გარდა სამხედრო საქმიანობისა მინისტერიალთა პრივილეგირებულობას განაპირობებდა ის გარემოება, რომ ბატონის კარზე ისინი განსაკუთრებული სახის მოვალეობებს აარულებდნენ, რაც გარკვეულ ცოლხნას მოითხოვდა. ეს განსაკუთრებული სამსახური იყო სწორედ, მოლაშქრეობასთან ერთად, მინისტერიალთა დაწინაურების საფუძველი [248. I. 92].

კ. ბოსლი აღნიშნავს კიდევ ერთ გარემოებას, რაც მინისტერიალთა პრივილეგირებულობას აპირობებდა: ეს იყო მათი სულიერ-შემოქმედებითი, კულტურული აქტივობა. გერმანიაში ხალხურენოვანი პოეზიის აყვავება მინისტერიალთა სახელთანაა დაკავშირებული. მინისტერიალთა შემოქმედებაა რაინდული კულტურა, კარის ეპოსი, საგმირო ეპოსი, მინენზინგერთა ლირიკა. მათი რიგებიდან გამოვიდნენ შუა საუკუნეების სულიერი კულტურის უდიდესი მოღვაწენი [248. I. 211].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო კ. ბოსლი მინისტერიალთა უფლებრივ-საზოგადოებრივ მდგომარეობას ახასიათებდა, როგორც «წარჩინებულ არათავისფლებას» «Adelige Unfreiheit». (248. I. 190).

ამავე დროს მინისტერიალისათვის დამახასიათებელი იყო ის გარემოება, რომ იგი ბატონს ერთგულების ვასალურ ფიცს [hominium] არ აძლევდა, რადგანაც, იგი (მინისტერიალი) ისედაც ბატონის სრულ განკარგულებაში იყო, როგორც მისი ყმა (Leibeigene) [248. I. 204].

მინისტერიალს არ ჰქონდა ის, რაც გაბატონებული კლასის, ფეოდალების სოციალურ სტატუსს განსაზღვრავდა: წარმოშობა, კეთილშობილება, ფიფის მქონე არაკეთილშობილნი არ იყვნენ ფეოდალები, ისინი ერთგვარ გარდამავალ ფენას წარმოადგენდნენ [170. 73-75].

მინისტერიალის არათავისუფლება აშკარა იყო. მას არ ჰქონდა სხვა ბატონთან თავისუფლად წასვლის უფლება, შეიძლებოდა მისი გასხვისება [279 ა. 445]. მისი ურთიერთობა ბატონთან ხელშეკრულებაზე კი არ იყო დამყარებული, არამედ მინისტერიალის წარმოშობიდან (Geburt) გამომდინარეობდა [290, 479]. ბატონს უფლება ჰქონდა მისგან წასული მინისტერიალი სამართლის ძალით დაებრუნებინა [257. II. 195], მინისტერიალი შეიძლებოდა გაესხვისებინათ როგორც ბატონის მამულთან ერთად, რომლის ნაწილადაც (Zubehör-ის) ითვლებოდა, ისე ცალ-

კეც [294. V. 388]. ცოლის შესართავად მინისტერიალს ბატონის ნებართვა უნდა მიეღო [257. II. 196-7]. მინისტერიალის მამულს ელო საბატონო ვალდებულებანი, მაგ., შათირობა, ბარგის გადაზიდვა, ფულადი გამოსაღები და ზოგჯერ მუშაობაც [294. V. 341]. სამხედროვალდებულება, რაც ფეოდალიზმის დროს პრივილეგიურობის საფუძველი და ნიშანი იყო, გადასახადებისაგან მთლიანად განთავისუფლებას არ გულისხმობდა, — როგორც ეს ზოგ ისტორიკოსს ჰგონია, — მინისტერიალები სამხედრო სამსახურსაც ეწეოდნენ და გარკვეული სახის გადასახადებსაც იხდიდნენ [262. 179]

მინისტერიალთა დახასიათებისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა შენდევნი ფაქტი: მინისტერიალთა უფლებრივი შეზღუდულობის გამო მათ მდგომარეობას ყმა გლეხის ან მონის მდგომარეობას ადარებდნენ [257. II. 198], მაგრამ იგივე მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ასეთი შედარება, რაც მხოლოდ გარეგან, ფორმალურ ნიშნებს ეყარება, უსაფუძვლოა. რადგანაც მინისტერიალებს საზოგადოებაში სპატიო ადგილი ეკავათ და ისინი სახელმწიფო კარზე და ადგილობრივ მმართველობაში უდიდეს როლს ასრულებდნენ [257. II. 199]. აღსანიშნავია, რომ მინისტერიალთა უფლებრივი შეზღუდვების მსგავსი შეზღუდვები ახასიათებდათ თავისუფალ ვასალებსაც ზოგ ქვეყანაში, მაგ., საფრანგეთში, ნეპოლის სამეფოში და სხვ. [257. II. 199].

საისტორიო წყაროებში აღნიშნულია, რომ მინისტერიალთა სისხლის საზღაური, მათი ხელის სპატიოობის გამო, მაღალი იყო [257. II. 199]. მინისტერიალი სასამართლოში 7 თანამოფიცარით იფიცებდა [257. II. 204]. თუ ბატონი მინისტერიალს არ იცავდა, კუთვნილს არ აძლევდა და ა. შ., მას შეეძლო ბატონის პირად სამსახურზე უარი ეთქვა და სხვის პირად სამსახურში შესულიყო, მაგრამ ამით არც თვითონ (და არც მისი მემკვიდრეები) თავისი ბატონის კუთვნილებისგან არ თავისუფლდებოდნენ [290. 475]. მინისტერიალი ყმა გლეხის მსგავსად ე. წ. „მკვდარი ხელის“ წესს ექვემდებარებოდა [232. 45-46]. მინისტერიალის სიკვდილის შემდეგ მისი სასამსახურო მამული ბატონის ხელში გადადიოდა (Güterheimfall) [250. XII. 593]. ოფიციალურ დოკუმენტებზე იგი ხელს თავისუფალთა შემდეგ აწერდა. მას არ ჰქონდა ანდერძის უფლება, არ შეეძლო ბატონის ნებართვის გარეშე მიწის ყიდვა-ვაყიდვა [232. 45-46], არც ბატონთან რაიმე წვრილობითი პაიობის დიდება, რადგანაც იგი იურიდიულ პირად არ ითვლებოდა

[280. 201]. თავისი მიწა მას მხოლოდ თავისი ბატონის ხელქვეით-ზე შეეძლო გაესხვისებინა.

როგორც დავინახეთ, ფეოდალურ დასავლეთ ევროპაში ყმა გლეხებისა და მონებისაგან წარმოშობილი მინისტერიალები არათავისუფალი ვასალები იყვნენ. მინისტერიალიტეტი ფეოდალურ საზოგადოებაში გამოყენებული იყო „გლეხობის ზედა ფენის წვრილ მიწისმფლობელებთან შემაერთებელ ზიდად“ [170. 196], მათ ეკავათ „საშუალო მდგომარეობა აზნაურობასა და ხალხს შორის“ [232. 45].

მინისტერიალობა მემკვიდრეობითი იყო. მინისტერიალის შემოსავლის წყაროს, ნაწილობრივ, მასზე დამოკიდებულ (ყმა, სამოხელეო განსაგებელი) გლეხის შრომა წარმოადგენდა. მინისტერიალი გლეხთა ფეოდალური ექსპლუატაციის მონაწილე იყო [259. 718—719].

მინისტერიალთა ასეთმა ორმაგმა ბუნებამ, არათავისუფლებამ და, ამავდროულად, ეკონომიურად და საზოგადოებრივი მდგომარეობით ფეოდალებთან სიახლოვემ განაპირობა მათი განსაკუთრებული სოციალური ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება. ძირძველ ფეოდალებს მთელი გულით სძულდათ სამსახურით დაწინაურებული უგვაროები, რომელთაც კარზე მნიშვნელოვანი სახელოები ეკავათ და ყოყლოჩინობითა და ტირანული ხასიათით გამოირჩეოდნენ [281. 109]. ასევე ქედმაღლურად უყურებდნენ მინისტერიალები მათ ყოფილ თანამომკმეებს — გლეხებს. სპეციალურ გამოკვლევებში დადასტურებულია, რომ მინისტერიალთა წოდებამ საკუთარი წოდებრივი, ჯგუფური თვითშეგნება და იდეოლოგია შეიქმნა [232. 46; 248. I. 211].

თავისებური იყო მინისტერიალთა წოდების ისტორიული ბედი. მათი მაღალი, ზედა ფენა თანდათანობით აღზევების გზით წავიდა. უკვე VIII საუკუნიდან, როცა ფეოდალებმა არიერვასალები გაიჩინეს, ამ უკანასკნელთა შორის მინისტერიალებიც იყვნენ. ამით ისინი ვასალურ-ლენური ურთიერთობის სისტემაში შევიდნენ. მინისტერიალის ლენი თანდათან იქცეოდა კეთილშობილურ, თავისუფალ ლენად. XI—XIV საუკუნეებში მინისტერიალებმა სოციალური დაწინაურების გზაზე უდიდეს წარმატებას მიაღწიეს — ისინი შეადგენდნენ რაინდთა წოდების რიცხოვრივად უდიდეს ნაწილს — წვრილ რაინდობას. XI—XII საუკუნეებში მინისტერიალებს ეკავათ სალიელთა და შტაუფენთა დინასტიების ხელმწიფეთა კარისა და საქვეყნოდ გამრიგეთა ძირითადი სახე-

ლოები, რომლებიც ადრე დიდგვარიანებს ეკავათ [248. I. 208-9]. XII—XIII საუკუნეებში მინისტერიალიტეტი ვეფხს ხელისუფლების დასაჭრდენი ძალა იყო. მიუხედავად ამისა, წოდებრივი ბარიერი დიდგვაროვნებსა და მინისტერიალებს შორის მაინც რჩებოდა — დიდგვარიანები მათთან დამოყვრებას ან სხვა სახის კავშირს იშვიათად კადრულობდნენ.

მინისტერიალიტეტს არ ჰქონია მკვეთრად გამოკვეთილი ჩარჩოები, მყარი საზღვრები, იგი ეხებოდა ზემოთ ფეოდალთა კლასს. ქვემოთ კი არათავისუფალ მწარმოებლებს — გლეხობას, იყო ან კლასთა შემაერთებელი რგოლი.

ხანგრძლივი მშვიდობიანობისა და უშიშროების შემთხვევებში მინისტერიალის ძირითადი ფუნქცია, მისი პრივილეგირებულობის საფუძველი — მოლაშქრობა განუხორციელებელი რჩებოდა. ამან გამოიწვია გვიან შუა საუკუნეებში მინისტერიალთა — პროფესიონალ მოლაშქრეთა მნიშვნელობის შემცირება, მათი დაქვეითება და დაცემა. ამას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ცეცხლსასროლი იარაღის შემოსვლამ, ქვეითი ჯარის შექმნამ, მოლაშქრის ძველი ტიპი — რაინდი XV—XVIII საუკუნეებში ჯერ გადაგვარდა („მეცობრე რაინდი“), შემდეგ კი გადაშენდა.

ცვლილებები მოხდა მოხელეთა რიგებშიც — მინისტერიალ მოხელეთა ადგილი თანდათან დაიკავეს ბურჟუაზიული წრეებიდან გამოსულმა ახალი ტიპის მოხელეებმა [248. II. 288].

მინისტერიალიტეტის ანალოგიური სოციალური ჯგუფი, შეიძლება ითქვას მინისტერიალთა თავისებური სახესხვაობა, არსებობდა შუა საუკუნეების ესპანეთშიც. XI—XIII სს-ში ესპანეთში საბოლოოდ ვაფორმდა გლეხთა კლასის განსაკუთრებული ფენა, უფლებრივად დაბალ ფეოდალებთან მიახლოებული. ესენი იყვნენ ე. წ. «მდაბიო მხედრები» (caballeros villanos), რომელთაც ცხენით ლაშქრობა ევალებოდათ [206. 92]. მსგავსი სტატუსის პირები იყვნენ კასტილიის ქალაქებშიც, — ნახევრად აგრარულ პუნქტებში, — მათ «ქალაქელ კაბალეროებს» უწოდებდნენ.

მდაბიო კაბალეროთა მასა ქონებრივად არაერთნაირი შეძლებისა იყო, ზოგი კაბალერო ღარიბი იყო, თითქმის უქონელი. კაბალეროს შრომითი ბეგარა, ბატონის მიწაზე მუშაობა არ ევალებოდა [206. 177]. ჩვეულებრივ მას მებეგრე გლეხზე (პეონზე) ორჯერ მეტი მიწა ჰქონდა, რომელსაც უფრო დაბალი კატეგორიის გლეხები ამუშავებდნენ [206. 178]. მდაბიო კაბალერო შეიარა-

ლებული იყო აბჯრით, მუზარადით, შუბით, ფარით, ზოგს — უფრო მდიდარს, საკუთარი კარავიც ჰქონდა [206. 178]. მდაბიო კაბალეროები, პეონებდსგან განსხვავებით, სხვადასხვა გადასახადებიდან განთავისუფლებულნი, ზოგჯერ კი მთლიანად გათარხნებული იყვნენ. მათ სხვა პრივილეგიებიც ჰქონდათ: მათი სისხლის ფასა პეონის სისხლის ფასზე მეტი იყო, სასამართლოში მათ მოწმობას პეონის მოწმობაზე მეტი წონა ჰქონდა; დაბალი სახელოები ჩვეულებრივ მათ ეკავათ [206.178-9].

XII საუკუნეში, როცა ესპანეთში ფეოდალური შინაომი გაჩაღდა, მეფე ალფონს VIII „ქვეყნის შიგნითა და გარეთ თავისი პოზიციების განსამტკიცებლად... იძულებული იყო კაბალეროებს დაყრდნობოდა და მათი რიცხვის გაზრდას ცდილობდა“ [206. 179]. საზღვრძპირა („სანაპირო“) ოლქების საზღვდრო ძალა რომ გაეზარდა, ალფონს XIV-მ 1272 წ. კვლავ დაამტკიცა ძველი წესი, რომ ვისაც ცხენი და საკუთრველი ჰქონდა და საზღვარზე ცხოვრების სურვილს განაცხადებდა, შეეძლო კაბალერო გამხდარიყო [206. 179].

როგორც ვხედავთ, ესპანელ მინისტერიალთა — კაბალეროთა გაჩენა ფეოდალურ საზოგადოებაში კლასობრივ ძალთა შეფარდების თავისებურებით, ფეოდალთა კლასის სასიცოცხლო ინტერესებით იყო გამოწვეული. სოციალურმა ფენამ, რომელიც გლეხობას თანდათან უკვე ადრეული საუკუნეებიდან გამოეყო, მეფესა და დიდ ფეოდალებს შორის ბრძოლის გამწვავების პერიოდში — XII საუკუნეში, მეფისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვა, მეფემ ოვი გააძლიერა და მას დაეყრდნო.

მინისტერიალიტეტის თავისებური სახეობა წარმოიშვა იაპონიაშიც. ფეოდალური ურთიერთობის განვითარების კვალდაკვალ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ იაპონელი გლეხი მიწაზე მიაშვრა და მას იარაღის ტარება აუკრძალა [215. 8]. ამის შემდეგ ფეოდალთა საზღვდრო რაზმები იქმნებოდა სოფლის ხელოსანთაგან, ე. ი. შეძლებულ გლეხთაგან. მათ ეძლეოდათ სასამსახურო სამხედრო ლენი და ევალებოდათ მოლაშქრეობა. ასე წარმოიშვა იაპონური მინისტერიალიტეტი — სამურაების წოდება [173. 49. 598].

ნ. კოლესნიცი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა გერმანული მინისტერიალიტეტი და ახალი, ორიგინალური და დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შუა საუკუნეების ფეოდალური საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესწავლის საქმეში, სავსებით საფუძვლიანად დაასკვნის: «Министеряллитет не являлся исключитель-

но франко-германским институтом. Он существовал во многих государствах Европы и Азии. Его необходимость диктовалась объективными условиями экономического и политического развития в обстановке государства феодально-крепостнического строя с натуральным по преимуществу характером хозяйства. В этих условиях министерялы составляли наиболее подходящий контингент для формирования аппарата судебно-административной власти и вооруженных сил. Без них феодалы не могли ни осуществлять эксплуатацию крепостных, ни реализовать свое политическое и военное господство. Таким образом, министерялитет можно считать таким же закономерным для феодализма явлением, как вассало-ленную систему или сеньорат » [204. а 54].

ბ. კოლესნიკოვს ეს დებულება, რაც ახალი სიტყვაა ფეოდალიზმის კვლევის საქმეში, ნათელს ფენს ფეოდალურ ურთიერთობათა წარმოშობა-განვითარების ისეთ ძირითად საკითხს, როგორცაა ფეოდალთა კლასობრივი ბატონობის სოციალური მექანიზმის არსი და, რაც ჩვენთვის ყველაზე უფრო საყურადღებოა, გასაღებს წარმოდგენს ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში მსახურთა წოდების წარმოშობა-განვითარების, მისი სოციალური არსისა და საზოგადოებრივი როლის დადგენისათვის.

თუ გულდასმით შევადარებთ ქართველ მსახურთა და ევროპელ მინისტერიალთა დამახასიათებელ ნიშნებს, აშკარა გახდება მათი საოცარი მსგავსება, თითქმის იდენტურობა. ორივე ეს ინსტიტუტი სხვადასხვა, ერთმანეთისგან დიდად დაშორებულ რეგიონებში ერთნაირ სოციალურ სიტუაციაში ჩასახული და განვითარებული ინსტიტუტია. ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარების ეპოქაში როგორც მსახური, ისე მინისტერიალი გვაროვნულ-თემური საზოგადოების ზედაფენის გაბატონებას, მეფის ხელისუფლების ჩამოყალიბება-გაფორმებას უწყობდნენ ზელს, ფეოდალიზაციის პროცესში ეს წოდებები კატალიზატორის როლს ასრულებდნენ. სახალხო ლაშქრის გაქრობისა და ფეოდალურ ურთიერთობათა განმტკიცების შემდეგ მსახურები ფეოდალური ლაშქრის ძირითად მასად იქცნენ. მსახური-მოლაშქრეები გვიან შუა საუკუნეებში არაფეოდალური, მწარმოებელი საზოგადოების — გლეხობის 15—45 %-ს შეადგენდნენ [75. 123-124; 95. 284-294].

მსახურთა წოდება (ქართული მინისტერიალიტეტი) ფეოდალური წყობილების გამძლეობის, მისი არსებობის ერთ-ერთი ძირი-

თადი საფუძველი იყო, მსახურთა წოდება იყო ის ფაქტორი, რომელიც ერთიანობას უნარჩუნებდა ორ დიამეტრალურად დაპირისპირებულ ძალთაგან შემდგარ საზოგადოებას. მსახურის სტატუსისა და ფუნქციების მქონე წოდება აუცილებელი იყო ფეოდალური საზოგადოებისათვის; სწორედ ამიტომაც, რომ სადაც იყო ფეოდალიზმი, იყო მსახურის (მინისტერიალის) — არათავისუფალი ვასალის, არათეოდალი მოლაშქრის წოდებაც.

მეორე თავი

ნადირობა — „ლაშქრობის მასწავლებელი“

წინამდებარე ნარკვევის მიზანია ქართული ფეოდალური სახელმწიფოს სამხედრო საქმის ორგანიზაციაში ნადირობის, როგორც ვასალური მოვალეობის და სამხედრო საქმესთან დაკავშირებული საქმიანობის ადგილისა და როლის ჩვენება. ამის გამო ქვემოთ მოცემული იქნება არა ძველ საქართველოში ზოგადად ნადირობის ისტორიის გადმოცემა, არამედ აღწერა და დახასიათება იმისა, რაც ცნება „ლაშქარ-ნადირობის“ მეორე ნაწილში იგულისხმება, — ის, რაც წმინდა ფეოდალურ მოვლენას, სიუზერენ-ვასალთა ერთიან საპატრიო საქმიანობას წარმოადგენდა და ფეოდალიზმთან ერთად გადავარდა.

ფეოდალური ნადირობა, ანუ ევროპული ტერმინით — „მაღალი ნადირობა“ შუა საუკუნეების საქართველოში ზენიორალურ-ვასალური ურთიერთობის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენდა ამ სისტემის ყოველ რგოლში (სიუზერენი-ვასალი — სუბვასალი), ასე რომ მისი შესწავლა საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა შესწავლისთვისაც აუცილებელია.

საკითხის კვლევის ისტორიიდან

ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეოდალიზმის დროს ნადირობის როლს ყურადღება პირველად ივ. ჯავახიშვილმა მიუძღვნა. მისი სიტყვით, ფეოდალურ საქართველოში ნადირობას „მარტო კერძო გასართობის თვისება არ ჰქონდა, არამედ სამხედრო ვარჯიშის მაგიერი იყო და ბეგარასავით სახელმწიფო ვალდებულებას წარმოადგენდა“ [158. 147]. საქართველოს სახელმწიფო წყობილების განხილვისას ივ. ჯავახიშვილმა „ხელმწიფოს კარის გარიგების“ მიხედვით დაახასიათა მონადირეთუხუცესის სახელო [160. II(1), 195]

და სათანადო ადგილი დაუთმო ტყისმცველთა სახელოს [160. II(1). 196; 158. 147].

ძველ საქართველოში ნადირობის შესწავლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ა. რობაქიძის ნაშრომი „კოლექტიური ნადირობის გადმონათები რაქაში“ (1941 წ.). აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომის სახელწოდება სრულად არ გამოხატავს მის შინაარსს — ფაქტიურად მასში, გარდა სათაურში აღნიშნული საკითხისა, მოცემულია ძველ საქართველოში ნადირობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. ნაშრომში განხილულია ბუნებრივი გარემო, ნადირობის მატერიალური ბაზა, ნადირობის ორგანიზაცია, ნადირობის სასპორტო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა და სხვ. მკვლევარს ყურადღების გარეშე არ დარჩენია ნადირობის კავშირი სამხედრო საქმესთან, ნადირობა როგორც ვალდებულება („სახელმწიფო ბეგარა“), „სამხედრო ვარჯიში“ და „აღლუმი“ [108. 148—151]. ნადირობის სოციალური არსი ა. რობაქიძის კვლევის საგანი არ ყოფილა, მაგრამ მის მიერ მოპოვებულმა მდიდარმა ეთნოგრაფიულმა მასალამ მას საშუალება მისცა აღენიშნა ფეოდალურ საქართველოში ფრინველით ნადირობის წოდებრივი ხასიათი (გვ. 112-114), რაც ქართულ საისტორიო წყაროებში სრულ დადასტურებას პოულობს. ამავე თვალსაზრისით საყურადღებოა ა. რობაქიძის შენიშვნა მონადირეობის კავშირზე რაინდობასთან (გვ. 154—155).

შუა საუკუნეების საქართველოში ნადირობისა და სამხედრო საქმის კავშირზე საყურადღებო დაკვირვებებია ლ. გარსიაშვილის ნარკვევში „ვეფხისტყაოსანი. სამხედრო ხელოვნების ისტორიის მასალები“ (1937 წ.), რომელმაც ივ. ჯავახიშვილის მაღალი შეფასება დაიმსახურა [146].

ნადირობის ისტორიის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ივ. სურგულაძემაც. მის ნაშრომში „სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 საუკუნის დასაწყისში“ [120] შესწავლილია სამხედრო და სახადირო ბეგარა „დასტურლამალის“ მიხედვით. ივ. სურგულაძე ეხება ლაშქარ-ნადირობას და ნადირობის დარგის მოხელეებს; მკვლევარს შენიშნული აქვს ნადირობის სოციალური ბუნება, რასაც შემდეგნაირად ხსნის: „მსხვილ ფეოდალებს ნადირობისათვის მიჩენილი ჰქონდათ ტყეები, სადაც სხვა ვერ ინადირებდა. მამასაღამე, ნადირობას ფეოდალები მიჰდევდნენ“ [120. 341].

ივ. სურგულაძემ ნადირობისა და სამხედრო საქმის ურთიერთობა განიხილა მეორე ნაშრომშიც — „საქართველოს სახელმ-

მწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. I“ (1952 წ.), აქ ცალკეა განხილული „ნადიროს მოხელენი“ (გვ. 221—222). ავტორი აღნიშნავს, რომ ნადირობა ფეოდალიზმის დროს გაბატონებული კლასის საქმიანობაა და მას აქვს როგორც სამხედრო, ისე სამეურნეო და ყოფითი (გართობა!) მნიშვნელობა.

ნადირობა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით მოკლედია განხილული ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება“. მკვლევარს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ადრეფეოდალურ ხანაში ნადირობის უფლება მხოლოდ მეფეს ჰქონდა, განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ეს უფლება ფეოდალებმაც მიიღეს, „თუმცა სამეფო ნადირობა მაინც დიდ მოვლენად დარჩა“. ეს დებულება ნაშრომში სათანადო დასაბუთების გარეშეა წარმოდგენილი.

გარდა ზემოაღნიშნული ნაშრომებისა, რამდენიმე სხვა ნაშრომში, რომლებიც ფეოდალური საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ისტორიის საკითხებს ეხება, არის ცალკეული შენიშვნები ნადირობის კავშირზე სამხედრო საქმესთან და ნადირობასთან დაკავშირებულ საგლებზე გამოსაუბებზე.

როგორც ვხედავთ, საკითხი ფეოდალურ საქართველოში ნადირობის სამხედრო საქმესთან მჭიდრო კავშირისა და ამ საქმიანობის სოციალური ბუნების შესახებ ყურადღების გარეშე არ დარჩენილა, მაგრამ ჭერჭერობით სპეციალურად არავის შეუხსწავლია ნადირობის სოციალური შინაარსი, მისი ადგილი და როლი ფეოდალურ ურთიერთობათა სისტემაში, კერძოდ სენიორალურ-ვასალურ ურთიერთობაში, ჭერჭერობით არ ყოფილა ცდა ქართული ფეოდალური („მადალ“) ნადირობის ისტორიის შედარებითი ისტორიული მეთოდით შესწავლისა, არაა შესწავლილი ის საერთო და განსაკუთრებული, რაც ამ ისტორიულ მოვლენას ახასიათებდა საქართველოსა და სხვა ქვეყნებში.

წინამდებარე ნარკვევი, რომელსაც გარკვეულად შემოფარგლული მიზანი და მოცულობა აქვს, ჩვენი ისტორიოგრაფიის ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსების ცდას წარმოადგენს.

ნადირობა—ვასალური მოვალეობა

ფეოდალურ საზოგადოებაში ნადირობა, ლაშქრობასთან ერთად, ერთ-ერთი ძირითადი ვასალური მოვალეობა იყო [257. III. 133]. განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში, რაკი ბარელ გლეხებს იარაღის ტარების უფლება წარამეული ჰქონდათ, ცხადია,

არ ჰქონდათ ნადირობის უფლებაც, „თევზაობისა და ნადირობის უფლება ბატონს ეკუთვნოდა“ [6. 36]. კანონი გამონაკლისს იშვიათ შემთხვევაში უშვებდა, მაგ., თუ გლეხის ფეხმძიმე ცოლი ნადირევის ხორცს მონატრებდა, ქალის სურვილის შეუსრულებლობით ნაყოფი რომ არ დაზიანებულიყო, გლეხს ნადირობის უფლება ეძლეოდა [286^ა 212].

გერმანიის გლეხთა დიდი ომის დროს (1525 წ.) გლეხთა ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა მათთვის ნადირობის უფლების დაბრუნება იყო [286^ა 212]. ასევე იყო 1789 წ. საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროსაც. გლეხებს ნადირობის რეგალია ფეოდალთა ყველაზე უფრო საძულველ პრივილეგიად მიაჩნდათ და მისი გაუქმებისთვის იბრძოდნენ.

შუა საუკუნეების ევროპაში ნადირობა მკვეთრად იყო გაყოფილი ორ სახედ: ზოგ ნადირსა და ფრანველზე ნადირობა საზოგადოების მაღალი ფენების, ფეოდალების პრივილეგიას წარმოადგენდა. გერმანულ სახელმწიფოებში ფეოდალური ნადირობის საგანი იყო მსხვილფეხა ჩლიქოსანი ცხოველები (Rotwild). გარეული ღორი და ზოგიერთი ფრინველი (ხოხობი, წერო . . .). ამათზე ნადირობას «მაღალი ნადირობა» (Hohe Jagd) ერქვა [286 ა. 207]. «მაღალ ნადირობაში» შინაგანი გრადაცია იყო, მაგ., ირემზე ნადირობა ზოგ ქვეყანაში მაგ., ინგლისში, მხოლოდ მეფის რეგალიას წარმოადგენდა. «მაღალი ნადირობის» ეს შინაგანი დაყოფა, რაც მონადირეთა წოდებრივ რანგებს შეესაბამებოდა, კარგადაა ასახული ევროპის რაინდულ ლიტერატურაში [257. III. 23].

უფრო დაბალი წრეებისათვის დაბალი ანუ, უფრო სწორად, მდაბიური ნადირობა (Niedere Jagd) იყო განკუთვნილი: წვრილ ცხოველებსა და ფრინველებზე ნადირობა არავის ეკრძალებოდა, თუმცა საკმაოდ ხშირი იყო ნადირობის სრული აკრძალვაც, მაგ., საფრანგეთში [286 ა. 208].

ფეოდალურ დასავლეთ ევროპაში ხელმწიფეები და დიდი ფეოდალები აწყობდნენ ნადირობებს, რომლებშიც მათი ვასალები მონაწილეობდნენ. ნადირობას ასეთ შემთხვევაში სამხედრო ღონისძიების, ლაშქრობის სახე ჰქონდა. ასეთი ნადირობის მნახველს შეიძლებოდა ეფიქრა — მტრის მოსაგერიებლად მთელი ჯარი გამოსულაო [227. 10]. ასეთი ნადირობა რამდენიმე დღეს, ზოგჯერ კი რამდენიმე კვირასაც გრძელდებოდა.

ამგვარი ნადირობები ეწყობოდა რუსეთის სამეფოშიც. რუსი

ხელწიფეები ყოველწლიურად აწყობდნენ განთქმულ სანადირო ადგილებში „სანადიროდ გალაშქრებას“ („ОХОТНИЧИЙ ПОХОД“). დიდი მასშტაბის სახელმწიფო ნადირობები ეწყობოდა აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. სელჯუქთა სულთნები სახელმწიფო ნადირობაში იწვევდნენ მთელ არმიას — ბეგებს, ოლანებს (სულთნის გვარდიას) და სიპაჰებს, ანუ რიგით მოლაშქრეებს [177. 54]. მონღოლთა სახელმწიფო ნადირობანი, რომელსაც ჩინგის ყაენი და მისი მემკვიდრეები აწყობდნენ, სამ თვეს გრძელდებოდა და მათში ათიათასობით მოლაშქრე მონაწილეობდა [289. 410-421].

ფეოდალურ საქართველოშიც, როგორც ამას ვახუშტი ბაგრატიონი და ისტორიული დოკუმენტები მოწმობენ, ნადირობა უპირველესად ვასალური მოვალეობა იყო. მსხვილი ფეოდალები — მთავრები განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში მეფისადმი მორჩილებას, მისი ხელმწიფობის აღიარებას სამი სახის სამსახურით გამოხატავდნენ: 1) მეფის უმაღლესი ხელისუფლების აღიარებით, 2) მეფის მოლაშქრეობით, და 3) სახელმწიფო (სამეფო) ნადირობაში მონაწილეობით. იმერეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1488—1510 წწ.) შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს, რომ მან „დაიმორჩილნა დადიან-გურიელი და მთავარნი სხუანი ლაშქრობათა, ნადირობათა და მეფედ მათთა კჳობითა მსახურებათათა“ [30. 809]. ამრიგად, თუ მთავარი მეფეს ნადირობაში არ ეახლებოდა, ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ იგი (მთავარი) მეფის სიუზერენიტეტს აღარ ცნობდა. ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ცალკეულ შემთხვევებში, საქართველოს საშინაო-პოლიტიკური ვითარების შესასწავლად, კერძოდ, — ერთიანი ფეოდალური სამეფოდან სამთავროთა გამოყოფის დროის დადგენისათვის. ვახუშტი იმერთა მეფე ალექსანდრე II-ის შემდეგ მეფის ნადირობაში მთავართა მონაწილეობას აღარ აღნიშნავს.

ანალოგიური ცნობაა დაცული „ახალი ქართლის ცხოვრებაშიც“: 1631 წლის შემდეგ „ვინათგან არღარავინ ჰყავთ ქართველთა მკვდრი არცა მეფე და არცა ძენი მეფისანი, მორჩილ იყვნენ კახის ბატონის თეიმურაზისა... ერჩდეუ ლაშქარ-ნადირობასა შინა“ [122. II. 416], ცხადია, ლაშქარ-ნადირობაში მონაწილეობა მორჩილების ნიშანია.

ფეოდალურ საქართველოში ყოველ მოლაშქრეს, რანგისა და წოდების მიუხედავად, სახელმწიფო ნადირობაში მონაწილეობა ევალდებოდა, ეს იყო მისი ძირითადი ვასალური მოვალეობა. ამის გამო „ლაშქარ-ნადირობა“ (ლაშქრობა — ოპის დროს, ნადირობა —

წმინდობიანობისას) იყო ერთი ისეთი ვალდებულება, როგორც ვადაც ფრიად იშვიათად ვრცელდებოდა შეუვალობის უფლება. თვით საეკლესიო ყმებს, რომლებიც ხშირად იყვნენ გათავისუფლებულნი მხვადასხვა ვალდებულებებისაგან სახელმწიფოს წინაშე, ლაშქარ-ნადირობაში მაინც უნდა მიეღოთ მონაწილეობა“ [75. 125]. ვახტანგ VI-მ 1707 წ. ჯარჯის ნათლისმცემლის უდაბნოსთვის შეწირული სამი სოფლის მოსახლეობა ყველაფრისგან გაათარხნა, გარდა ლაშქრობისა და ნადირობისა, — „ლაშქარსა და ნადირობას გვეახლებოდნენ“-ო, და განმარტა, სრული თარხნობა იმიტომ არ მიეცეთ, რომ „ლაშქრობა ქვეყნის სიმაგრე არის და ნადირობა ლაშქრობის მასწავლებელი“ [69. V. 14].

ივ. სურგულაძემ აღნიშნა, რომ ნადირობას საქართველოში საჯარო, სახელმწიფოებრივი ხასიათი ჰქონდა [120. 341] და ნათლად აჩვენა ნადირობიდან გათარხნების დოკუმენტების სიმცირის მიზეზი: მისი სიტყვით „მეფეები ნადირობას ისე უყურებდნენ, როგორც ლაშქრობას და სასახლის გარიგებაც ერთნაირად ითვალისწინებდა როგორც ლაშქრობის, ისე სახადირო საქმეებს“ [120. 342]. ამას შეიძლება დამატოს, რომ როცა დოკუმენტში სალაშქრო ვალდებულება ან ლაშქრობიდან გათარხნება აღნიშნული და ნადირობა არ იხსენიება, ნადირობის მოვალეობა ან მისგან გათარხნება თავისთავად იგულისხმება.

ლაშქარ-ნადირობიდან გათარხნების იშვიათობა ლიტერატურაში ძირითადად XVIII საუკუნის მაგალითებითაა ნაჩვენები. ასე იყო უფრო ადრეულ საუკუნეებშიც. 1569 წ. კახთა მეფე ლევან II-მ სვეტიცხოველს შესწირა ს. ზემო ლანუხის 16 კომლი მათი ყოველივე გამოსავლით, გარდა ლაშქარ-ნადირობისა [46. 8-9]; 1579 წ. კახთა მეფე ალექსანდრე II-მ სვეტიცხოველს შესწირა ს. ბარაუნთას 42 კომლი, რომლებსაც მეფისგან არაფერი ეთხოვებოდა „ლაშქარ-ნადირობის მეტი“ [46. 10]; 1562 წ. კახთა მეფე ალექსანდრე II-მ ქართლის კათალიკოსს დაუწესა, რომ კახეთში ვინც თქვენი ყმაა, „ლაშქარსა და ნადირობას“ თქვენთან იყოსო [125. II. 191]. ვახტანგ VI-მ [125. II. 334] და თეიმურაზ II-მ [125. II. 397] მცხეთის სასარდლოს განწესების წიგნებით დაადგინეს, რომ კათალიკოსის მოლაშქრენი „ლაშქარ-ნადირობაზე“ მეფის დროშაზე ყოფილყვნენ. ამ დოკუმენტებში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ნადირობაზე გამომავალი, ისევე როგორც ლაშქრობისას, სადროშოებად ე. ი. სამხედრო ოლქების მიხედვით შედგენილ

სამხედრო შენაერთებად გამოდიან. კახეთში, სადაც სამხედრო-ადმინისტრაციული ხელის შქონე მოურავი იყო, სანადიროდ გამოწვევა მის ხელთ ყოფილა. ეს აღნიშნულია კახთა მეფე ალექსანდრე II-ის მიერ შედგენილ ჭიაურის მოურავის სარგოს წიგნში [125. II. 208].

ასევე იყო საქართველოს სხვა მხარეებშიც. ალექსანდრე I-ის (დედის) სიგელში სეგტიცხოვლისადმი ნათქვამია, რომ საკათალიკოსო ყნები ქართლს, ჯავახეთს, საათაბაგოს, სომხიოს, საბარათიანოს, თრიალეთსა და იმერეთს ლაშქრობასა და ნადირობას კათალიკოსს უნდა ეახლონ და მეფის დროშაზე დადგნენ [125. II. 191]. იმერთა მეფემ ბაგრატმა 1545 წ. გელათს შესწირა სამოქალაქოში ს. ნავენახევი „ხელშეუვალად და განთავისუფლებით, თვინიერ ნადირობისა კიდე და ნადირის ჯერგად ნუ დაგვაკლდებიან“-ო, აღნიშნულია დოკუმენტში [125 II. 185]. იმერეთის სამეფოში ლაშქრობასთან ერთად ნადირობის განგებაც სარდლების ხელში იყო. ვახტანგ V (შაჰნავაზის) 1661 წ. სიგელში ზემო იმერლებისადმი ნათქვამია, რომ მათი სარდლობა მეფემ ზაალ წერეთელს უბოძა; მეფე ბრძანებს „ჩუენი სამსახური: ან ლაშქრობა, ან ნადირობა და ან სხუა რამე დაგვატყოს (სარდალმა). ყველაზე მოუდექითო“ [66. 33]. ამრიგად გვიან შუა საუკუნეებში მთელს საქართველოში ფეოდალური ნადირობის განგება სამხედრო უწყების გამგებლობას ექვემდებარებოდა.

სახელმწიფო ნადირობაში გამოუსვლელობა, ლაშქარში გამოუსვლელობის მსგავსად, დეზერტირობად ითვლებოდა და სათანადოდ ისჯებოდა. დოკუმენტებში იხსენიება „ლაშქარ-ნადირობის ჯურუმში“ [165. I. 19] და „ჯარინა ლაშქარ-ნადირობის დაკლებისათჳს“ [165. I. 33].

ფ. სურგულაძემ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ „დასტურლამალში“ ნადირობა ლაშქრობის მსგავსადაა აღწერილი: „ნადირობა აქ ისევეა აღწერილი, როგორც ლაშქრობა: ჯარის გამოძახება, მისი სადროშოებად დაყოფა, ჯარის სწორად სიარული ნადირობის წინ და სხვა“ [120. 343].

„დასტურლამალში“ აღწერილი სანადიროდ წასვლა განონაკლისი არაა: სახელმწიფო ნადირობა მართლაც გალაშქრება იყო. ეს ნ. მარშაც შეამჩნია, მისი სიტყვით „ძველად სანადიროთ რომ წავიდოდნენ მეფეები, ლაშქრობას წააგვდა, ურცხვი ქორი და ძალი მიჰყავდათ“ [214. 79] „ვისრამიანში“ (XII ს.) ნათქვამია: „მოუხდა მოაბადს ველსა თამაში და ნადირობა. სწრაფით

უქმნა დიდებულნი და აწვივნა ლაშქარნი და უბრძანა ვითა: ჩუენ ნადირობად გურგანის ქვეყანასა წავალთ და დაეკაზმენითო“ [53. 276]. ასევეა ქართულ საისტორიო თხზულებებშიაც. ვახტანგ ბაგრატიონის სიტყვით, „ოდესაც ენებათ მეფეთა ნადირობა ესე გვარი (ე. ი. დიდი სახელმწიფო ნადირობა, ქ. ჩ.) მოუწოდიან კაცნი სამეფოთაგან მსგავსად საომართა ლაშქართა“ [65. 8]. მისივე სიტყვით, ტყის ნადირობისას მარეკებად უშვებდნენ „ქვეითსა ჯარსა“ [65. 8]. ამ ცნობასთან დაკავშირებით ალ. რობაქიძე აღნიშნავს, რომ „ნადირობას ისტორიკოსი შემთხვევით არ აღარებს „საომართა ლაშქართა“ და „ნადირობის გასამხედროებული ბუნება უდავო ფაქტად გვეხატება“ [108. 151].

ყველაზე თვალსაჩინოდ სახელმწიფო ნადირობის ხასიათი და მიზანდასახულობა აისახა ერთ ისტორიულ დოკუმენტში, რომელშიც ნათქვამია: „პას უამსა, ოდეს მეფემა როსტომ რომ სანადიროდ შირაქზედ გაილაშქრა“ [69. IV. 34]. „სანადიროდ გალაშქრება“ ის ტერმინია, რითაც ფეოდალურ საქართველოში სახელმწიფო ნადირობა აღინიშნებოდა; სწორედ სანადიროდ გალაშქრება იყო „ლაშქრობის მასწავლებელი“. სანადიროდ გალაშქრება რომ მართლაც „მშვიდობიანი“ ლაშქრობა იყო, იქიდანაც ჩანს, რომ სანადიროდ მიმავალ მეფესა და მოლაშქრე-მონადირეებს წინ ჭვარინაპტიერთველი მიუძღოდა. XII საუკუნის ცნობით, ამ დროს ჭვარინაპტიერთველს მიჰქონდა „პატიოსანი ჭვარი“ [122. II. 14], XVIII ს. ცნობით კი — ოქონის ხატი [180. 14]. სანადიროდ გალაშქრებისას მოლაშქრეები საომრად იყვნენ აღჭურვილნი. თამარის ერთ-ერთი ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ როცა მენაპირენი თამარს როჰელიძე მიმართულებით გალაშქრების საჭიროებას მოახსენებდნენ, იმ დროს „თუ თუთ (თამარი) იყვის... ნადირობასა შინა... შესხნის მუნ ღირსნი მისნი“ და სალაშროდ გაგზავნიდაო [122. II. 130].

სანადიროდ გალაშქრება აღწერილია „ვეფხისტყაოსანში“, „რუსულდანანში“, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიაში. არჩილის, ფეშანგის, ვახტანგ VI-ის და თეიმურაზ II-ის პოემებში, სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანისა და ვახტანგ ბატონიშვილის ნაწარმოებებში. იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა გვექონდეს სანადიროდ გალაშქრებაზე, მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს.

დავიწყოთ „ვეფხისტყაოსნით“.

ავთანდილი მივიდა ფრიდონის სამეფოში და

„მინდორს ნახა სპა, ლაშქართა და ნადირთა ჰვეანდეს მსრველსა,
ყოღნით ალყა შემოეკრა, მოსდგომოდეს ვარე ველსა“ (სტრ. 986).

ავთანდილს

„კაცი ემთხვია; მას ჰკითხა ამავე მის ლაშქარისა;
უბრძანა: ისი ვისია ხმა ზათქისა და ზარისა?
მან უთხრა: ფრიდონ ნადირობს, მეფე მულლანზანზარისა,
იგი ნადირობს, შეუყრავს ნაპირი ველ-შამბნარისა“ (სტრ. 987).

„მინდორსა შიგა გორი დგა, ფრიდონ მას ზედა დგებოდა,
ღირსი მის თანა სროლასა ორმოცი კაცი ჰხლებოდა“ (სტრ. 991).

სწორედ სანადიროდ გალაშქრება (და არა უბრალო ნადირობა) იგულისხმება ავთანდილის დანაბარებში შერქადინისადმი:

„ლაშქრობა და ნადირობა შენი ჩემსა დაასახე“ (სტრ. 162).

ამავე დროს „ვეფხისტყაოსნის“ თათქმის ყოველ თავში საუბარია რიგით, ჩვეულებრივ ნადირობაზე, როცა ხელწიფე ან ფეოდალი ნადირობით ერთობა. ველად გაქრილი ტარეელი და მისი მაძიებელი ავთანდილი ნადირობით ირჩენენ თავს.

ფარსადან გორგიჯანიძეს აღწერილი აქვს როსტომ მეფის ზემოთ უკვე ნახსენები „სანადიროდ გალაშქრება“, რომელიც 1651 წ. გაზაფხულზე მომხდარა. ამ ნადირობაში მონაწილეობდნენ მეფე, დედოფალი, „საქართველოს უფროსნი“ და „თავადები ქალაბებით“. სანადიროდ გალაშქრების მარშრუტი ასეთი ყოფილა: თბილისი — ლილო — სამგორი — საგარეჯო — ბუჯანბალი — შირაქები (ღიღი და პატარა) — ოფიდარი-ვარცლები — აღრიტლები — ბაშინჯალი — თოფყარალაჯი — წინა მინდორი — აბელას ფონი — ალავერდი — ალონი — გრემი. ეს სანადირო ლაშქრობა, რომლის დროსაც ათასობით ნადირი და ფრინველი დახოცეს, თვეზე მეტს გაგრძელდა [76. 260-261].

არქანჯელო ლამბერტიმ (XVII ს. პირველ ნახევარი) აღწერა სახელწიფო ნადირობა ოდიშის სამთავროში. მისი სიტყვით, ოდიშში „ყოველ ნადირობას თავისი დრო აქვს, ზოლო ყველაზე უფრო მოწონებაშია ირმებზე ნადირობა, რომელსაც ორი დრო აქვს წელიწადში: ერთი ყველაერის დაწყებიდან დიდ-მარხვამდე და მეორე — სექტემბრის დასასრულიდან შობის მარხვამდე. ყველიერში... მთავარი მოიწვევს ოდიშის ყველა დიდებულს, რომლებიც ამ შემთხვევისთვის გამოცხადდებიან საუკეთესო ცხენებზე და მშვენიერად ჩაცმულები. წინა დღით, დილას, ნალარას დაჰკრავენ და მის ხმაზე ადგებიან ყველა მონადირეები და ძალებით წაივლენ,

რომ ტყე შეჰკრან. ხმაურობით და ძაღლების ყეფით ნადირს შეაშინებენ და ძლიერ შორიდან მორეკავენ იმ ალაგს, რომელიც დანიშნულია ნადირობისთვის“. ნადირობენ მეორე დღეს, მთავარი მონადირეებს თავ-თავის ადგილს მიუჩენს და მშვილდისრით ზღელში ელოდებიან გამორეკილ ნადირს. „როცა ნადირი საკმაოდ მოახლოვდება, თვითეული... ცხენს გააქენებს, მომართავს მშვილდს და გაისროლის ისარს... ასე ნადირობენ საღამომდე“. ნადირობის შემდეგ იმართება ლხინი, ლხინის დროს მონადირეები სუფრასთან დააწყობენ ნანადირევის თავებს (ტროფეებს) და მოჰყვებიან... ვინ მოჰკლა ესა და ეს ირემი, ვინ იყო პირველი, რომ დაჰკოდა იგი და რა ადგილას დაიკოდა“ და ა. შ. [83. 59].

სახელმწიფო ნადირობა „რუსულნაიანში“ (XVI) ს. ასეა აღწერილი: „...რა დილა გათენდა, მოდგა ჯარი ხელმწიფის კარსა... მრავალი ბედაური ძაღლი ოქროს ჭიჩილებითა ექირათ და ქორშავარდნისა, გვაზისა, ბარისა, სონღულისა, თულუნისა... ყოვლის სანადიროს მწყაზრის ფრინველისა ანგარიში არ იქნებოდა... მოვიდა მეჩინბეთუხუცესი და უკან ჯილაბდრები მოსდევდნენ... შესხდა მის ქალაქისა კაცნი, ყველასა თავთავისი ფრინველი და ძაღლი მოჰყვებოდა... დასცეს სახელმწიფო კარები სტავრისა და მრავალი სხვა ქამხისა და ატლასისა... იგი მინდორი სულ ავსილიყო ფერად-ფერადის კარვითა... ესეთი ალყა შეეკრათ, რომ თვალკერსაით მისწვდებოდა... [111. 220-1].

ვახტანგ ბატონიშვილის სიტყვით „ნადირობა ესე გვარი (ე. ი. ნისივე სიტყვით, ლაშქრობის მსგავსი ნადირობა, სანადიროდ გალაშქრება, ქ. ჩ.) არღარა ყოფილ არს შემდგომად მეფისა თეიმურაზ ნეორისა“ [65. 9].

ეს მეტად საყურადღებო ცნობაა, იგი კარგად ახასიათებს XVIII ს. მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილ მდგომარეობას. ისეთ ვითარებაში, როცა საბოლოოდ აშკარა გახდა ფეოდალური ლაშქრის დროგადასულობა და ნახევრად რეგულარული მორიგე ჯარის იდეა გაჩნდა, სახელმწიფო ნადირობამ თავისი ძირითადი ფუნქცია და მნიშვნელობა დაჰკარგა. ერეკლე II-მ მორიგე ლაშქრის რეგულარული სამხედრო წვრთნა შემოიღო, მეფის მიერ დანიშნული მეთაურები („ოფიცრები“) მორიგე მოლაშქრეებს კვირადღეობით ავარჯიშებდნენ. ამ ფაქტში ნათლად აისახა ის სიახლე, რაც XVIII ს. მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს სოციალურ განვითარებას ახასიათებდა — დაიწყო შუასაუკუნეობრივი სენიორალურ-ვასალური ურთიერთობის 160

კლასიკური ფორმების დეფორმაცია და კრიზისი, მაგრამ მძიმე საგარეო პოლიტიკური ვითარების გამო ეს პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობდა და რუსეთთან შეერთების წინ არ იყო დიდად განვითარებული.

ნადირობა და სამხედრო საქმე

ნადირობა უძველესი დროიდანვე სამხედრო საქმესთან იყო დაკავშირებული. ნადირობის როგორც სამხედრო საქმესთან დაკავშირებული საქმიანობის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა ფეოდალიზმის ეპოქაში. ფეოდალურ ევროპაში ნადირობა ომის საუკეთესო სკოლად ითვლებოდა [286 ა. 53]. რადგან იგი მოლაშქრეს აჩვევდა სიძნელეთა დაძლევის, უშოშრობას, მოსაზრებულობას, იარაღის ხმარებას და ყოველივე იმას, რაც ომის დროს აუცილებელი იყო [257. III. 6, 9]; ნადირობის დროს სწავლობდნენ მანევრირებას, სხვადასხვა სამხედრო ხერხებს, მოხერხებულობას, მკაცვდებობდნენ, იწრთობდნენ ფიზიკურად. რაინდულ ტურნირებთან ერთად ნადირობა მეომრის აღზრდის ძირითადი საშუალება იყო [257. II. 13. 130]. შუა საუკუნეების ევროპაში ამბობდნენ: მეომარმა მგელივით თავდასხმა, ღორივით თავდაცვა და მელისავით უკან დახევა უნდა იცოდესო და ყოველივე ამას სწორედ ნადირობაში სწავლობდნენ [257. III. 131]. რაინდულ ეპოქაში, იარაღის იმდროინდელი არასრულყოფილობის პირობებში, ნადირობა არა მარტო წვრთნა, სპორტი და გართობა იყო, არამედ მამაცობით, ღონითა და მოხერხებულობით თავის გამოჩენის საშუალებაც [270. 83]. ა. რობაქიძის სიტყვით, ნადირობა მონადარეს ანიჭებდა რაინდულ თვისებებს: გამძლეობას, ძალ-ღონეს, მამაცობას, რთულ პირობებში ორიენტაციის უნარს . . . , ე. ი. ყველა იმ თვისებას, რომელიც მოლაშქრეს სჭირდებოდა [103. 159]. მშვიდობიან დროს ფეოდალთა ძირითადი საქმიანობა, ჩვეულებრივი დროსტარება ნადირობა იყო [227. 10]. დას. ევროპაში მეფეებს თავიანთ რეზიდენციებთან საგანგებო სამხეცეები Brolium, Brühl, Tiergarten ჰქონდათ მოწყობილი, რომლებშიც სხვადასხვა ნადირი იყო თავმოყრილი და სადაც მეფე თითქმის ყოველდღე ისრით ნადირობდა. XI საუკუნის ერთი ქართული ცნობით, ასევე იყო ბიზანტიაშიაც: კონსტანტინოპოლში, მეფის სასახლესთან იყო სანადარო პარკი — ფილოპატრი, რომელშიც თავმოყრილი იყო ნადირები «სანადიროდ მეფი-

სა» [43. 363]. ამავე მიზნით იყო მოწყობილი რუსეთის დიდი მთავრებისა და მეფეების სამხეცეები («Звериней»). ვახუშტი ბაგრატიონის მოწმობით საქართველოშიც იყო «სანადირო მეფისა შემოღობილი ახლოს მეფის სამყოფისა» [30. 21]. ასეთ ადგილებს XII ს. საქართველოშიც ფილოპატს უწოდებდნენ. მემბტიანე გადმოგვცემს, რომ თამარი და დავით სოსლანი იმყოფებოდნენ «ქალასა აგარათასა», სადაც იყო სამეფო საზაფხულო სადგომი ფილოპატით [122. II. 64]. ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით ახალი წლის საღამოს სქართველოს მეფის სასახლესთან შემოღობილ სანადიროში დახოცავდნენ «ცხენთა არაკეთილთა», ღამით «ალივის შემოღობილი იგი მელითა, ტურიითა, მგლითა. და დილას მცველმან მისმან ჩამოხურნის კარნი და დაამწყვდივის მას შინა. ხოლო მეორესა დღესა შეჯდის მეფე წარჩინებულთა თჳსითა და მივიდის ადრიან მუნ მაშინ გამოუშვიან მხეცნი ივინი და დაუწყიან ისრითა სროლა და სიკუდილი მათი» [30. 29]. ასეთი გასართობი ნადირობა ეწყობოდა მეფესთან უცხოელი საპატიო პირების სტუმრობის დროსაც.

ნადირობას სამხედრო ვარჯიშის მნიშვნელობა ჰქონდა შუა საუკუნეების აღმოსავლეთშიც. ერთი ინდოელი დიდებულის თქმით «ნადირობა ომის დაა» [265. 522]. სელჯუკთა სახელმწიფოში ნადირობა, სპორტულ თამაშობებთან ერთად, ომის სკოლად ითვლებოდა და მასში მონაწილეობა ყველა მოლაშქრეს ევალებოდა. ნადირობაში თავგამოჩენილ მსროლელებს საპატიო ნიშნებით (ვეფხის კუდი, ფრინველის ბოლო) აჯილდოებდნენ, რომლებსაც დაჯილდოებულები სიამაყით ატარებდნენ [177. 54—55]: სელჯუკთა სახელმწიფოში ნადირობის საგანგებო უწყება და შტატი არსებობდა. ჩვენამდე მოღწეულია «ნადირობის წიგნი» «შექარ-ნამე» რომელშიც მალიქ-შაჰის დროინდელი ნადირობის ცერემონიალია აღწერილი. აღფაჰრის სიტყვით, «Охота серьезное занятие; объемлет много значительных выгод, высшая из которых упражнение ратников в скачке, в нападении, в набегах, в искусстве приучаться к верховой езде, метать дротики, бить саблей и булавой . . . другая выгода охоты заключается в испытании коней» [183. 146].

ნადირობას ომის სკოლად მიიჩნევდა ჩინგის-ყაენი. მონღოლთა სახელმწიფოში ნადირობა ომის მოსამზადებელი ეტაპი იყო. ჩინგის-ყაენსა და მის მემკვიდრეებს, მაგ., ილხანებს, ჰქონდათ სანადირო დაცული ადგილები („ყორულები“) და სანადირო პარკები (სამხეცეები). მოლაშქრეთა მშვილდოსნობა-ცხენოსნობაში დასაოს-

ტატებლად მონაღოლთა ყაენებო ხანგოდლიე სახელწიფო ნადი-
რობებს აწყობდნენ [289. 419-420]: „ჩანგის ყაენი მთელი მონ-
ლოღეთიდან აგროვებდა მონადირეებს... ყოველი კუთხე გზაენი-
და მონადირეთა სავალდებულო რიცხეს... ამგვარ ნადრობაში
მონაწილეობას იღებდა ასიათასეული მონადირე. ასეთი გრანდი-
ოზული მასშტაბით ნადრობის დროს გამოცხადებული იყო სამ-
ხედრო მღვდმარეობა... ნადრობა ასეთ შემთხვევაში სამხედრო
მანევრების ხასიათს ატარებდა“ [108. 149].

ფეოდალურ საქართველოში ნადრობა იყო ფეოდალთა ერთ-
ერთი ძირითადი საქმიანობა, აღზრდა-გაწვრთნის საშუალება, სპორ-
ტი და გართობა. ამით აიხსნება, რომ ნადრობის, როგორც მო-
ლაშქრის საქმიანობის შესახებ ქართულ საისტორიო, თუ ლიტე-
რატურულ ძეგლებში უამრავი ცნობაა შემონახული. ამაზე გვიამ-
ბობენ უცხოელებიც. არქ. ლამბერტის სიტყვით, მეგრელი ფეოდა-
ლები „საშინელ პაპანაქება სიცხეში სანადიროდ მიდიან... ამას
რ მიტომ ჩადიან, რომ ცქვიტები და მარდები
შეიქმნენ და შეეჩვიონ იმ გასაჭირს, რომელიც
ჩვეულებრივომიანობასთან მოჰყვება“ [83. 87].

ქართულ ისტორიოგრაფიაში ნადრობის კავშირი სამხედრო
საქმესთან აღრევეა შენიშნული (ივ. ჯავახიშვილი, ა. რობაქიძე...),
ამიტომ ქვემოთ ჩვენ მხოლოდ იმ საკითხს შევხებით. რომლებიც
ნაკლებადაა შესწავლილი ან სულ არაა განხილული.

უპირველესად ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება, რაც
ნადრობის როგორც ომის სკოლის მნიშვნელობას განსაკუთრე-
ბით თვალსაჩინოდ გვიჩვენებს. რიგ ქართულ წყაროებში ნადი-
რობის აღწერისას ხაზგასმულია, რომ სასახელოდ, ვაჟკაცობად
ითვლებოდა არა მარტო ის, თუ ვინ მეტი ნადირ-ფრინველი მოჰკლა
(თუმცა ისიც აღირიცხებოდა: „ნასროლსა დასთვალვიდითა“-ო
უბრძანა როსტევეანმა მონებს და ნადრობის შემდეგ ამ მონებმა
დახოცილი ნადირი დათვალეს), არამედ თუ როგორ იყო მოკ-
ლული ნადირი („ნასროლსა შეადარებდით“-ო, ბრძანა როსტევეან-
მა). „ჩანს, რომ გარკვეული ადგილი ყოფილა დანიშნული ნადი-
რის სხეულზე, რომელშიდაც მოხვედრილი ისარი ...კარგ შშილ-
დოსნობაზე მიგვითითებდა“, შენიშნა ა. რობაქიძემ [108. 157].

აჩილის სიტყვით:

„ასრე უნდა შვილდოსანი, არა კრეედეს ყოვლსა ასოს,
მართალს მხარსა შეუასა კერას, წინ გარდამხტალს თეთრს დაასოს“ [23.11. 339].

თეიმურაზ II განმარტავს, თუ რას ნიშნავდა „მართალი მხარი“ და „წინ გარდამხტალი“ ნადირი და როგორ უნდა ესროლა კარგ მონადირეს: ჩეღვთ (მორეკვით) ნადირობისას ერთ ღამეს ნადირს ალყას შემოარტყამდნენ და სანადიროდ გამიზნულ ადგილას მირეკავდნენ. მეორე დღეს, გათენებისას, ალყად მდგარი მარეკები მონადირე მეფისა და დიდი ფეოდალებისთვის რამდენიმე ადგილას ალყას გახსნიდნენ, ე. წ. „კარებს“ გააკეთებდნენ. „მეფე-ვაჟკაცი“ ამ „კარებთან“ დადგებოდნენ, „დაკარდებოდნენ“ და, როცა ალყაში მოქცეული ნადირი „კარებს“ მიაშურებდა, ჩემ მღვთმი მხედრები მშვილდ-ისრებს მოიმარჯვებდნენ და

„ზოგი დაუღვეს მართალს მხარსა ზოგი წინ გარდამხტალსაო.“

მართალი მხარი ის არის, მოუვა მარცხნივ მხარსაო,
წინ გარდამხტალსა მარჯენისკენ მიაწევს ცხენის ყელსაო,
უნდა მიუხდეს, ესროლოს წინ გარდამხტალსა წამსაო.
წინ გარდამხტალსა ნადირსა კაცსმან თეორსა ჰკრას ისარი,
ზნეობითა და ცოდნითა ისპად სიკვდილი ისარი,
გარდააბრუნოს ყირაზედ, აღარ არბინოს ისარი,
ვინც მოკლავს ასრე ნადირსა, კაცს მოძევი ისარი,
მართალს მხარსა მოსულს ჯერანს სკირს ავეჯანდის მიწოლა-და,
უნდა სადავე გაუკრას, თორემ დარჩეს ძუასა-და,
რა ცხენის ყელს გაიცილოს, ხელი მკაცოს სროლასა-და,
სამოსართვეს წინ არა ჰკრას, უკან უნდა თეძოსა-და“ [56.76].

მონადირე თუ ნადირს ამ წესების დაცვით არ მოჰკლავდა, ე. ი. ისარს განსაზღვრულ ადგილას არ ჰკრავდა, მოკლული ნადირი მას სანადირევის რიცხვში არ ჩაეთვლებოდა:

„სწორედ არ ერკოს ისარი, ნადირს არ ჩაუვდებნო“ [56. 76]

სანადიროდ მიმავალი მონადირეები წინასწარ იმაზე ბაასობდნენ, თუ ვინ რა ადგილას დაკოდავდა ნადირს, ზოლო ნადირობის შემდეგ გამართულ ნადიმზე — როგორ მოკლეს ნადირი; არჩილის სიტყვით, მონადირენი სანადიროდ მიდიან „უკეთ სროლის ბაასითა“ [23. II. 39],

„ზოლო ნადირობის დროს

„ზოგი იტკოდეს, აქა ვჰკრავ, მიყურეთ, უსაცილოდა“ [23. II. 43].

ნადირის „ზნეობითა და ცოდნით“, გარკვეულ ადგილებში ისარის კვრით მოკვლა, „ოსტატობა“, სრულსაკოვან მონადირე-მოლაშქრეთათვის აუცილებელი რამ იყო, ზოლო მათთან ერთად მონადირე ყმაწვილები ასეთ რაინდულ წესებს დიდად არ დაგიღვევდნენ:

—ყმაწვილები არ არჩევდეს არც კერასა და არც ნადირსა:

თუ საღვთისა ბევრს მიეიტანთ, ოსტატობას ჩვენ რა გვარჯისა? [23. II. 43].

ზუსტად სროლასთან ერთად მონადირეს სხვა პირობაც უნდა დაეცვა — ნადირობის დროს ცხენი გარკვეული წესით უნდა ეტარებინა:

„ნადირზედ ასე მივიდეს, ეგონოს — შეაძგერაო,

ძეურ სადავეს გამოჰკრას“ (ე. ი. ცხენი უცბად შეაჩეროს, -ქ. ჩ.) [23. II. 4.].

„ის ესერის ისარს, ვინც რომე ცხენს კარვალ გაუქენებსო,

თუ ავს დროს ცხენი დაუძრა ნადირსა, რააშავებსო“ [56. 76].

განსაკუთრებით ფრთხილად უნდა ეტარებინა ცხენი მონადირეს, თუ გვერდით სხვა მონადირე ახლდა: „ქელმწუფემან პატრონმან როსტომ ყარაიას ნადირობა მოიპრიანა და წელწადის თვის (ე. ი. ახალი წლის, ქ. ჩ.) მესამეს დღეს ინადირა და მომკრემ ცხენი შემოაძგერა, და ავად გახდა, და მკარ-ბეჭი იტკინა“ [116. II. 66]. ისტორიამ სხვა მსგავსი შემთხვევაც შემოგვინახა: 1611 წ. ნადირობაში დაიღუპა მანუჩარ დადიანი, „ზუგდიდს ნადირობასა ცხენის რბევასა შიგან შეიძგერდენ ბატონი (მანუჩარ) და გოშაძე ფარუხია და ცხენი წაიქცა, (მანუჩარ) აზიერ სოფლით მიიქცალა“ [44. 155].

ასეთი შემთხვევები რომ არ მომხდარიყო, თეიმურაზ II-ის სიტყვით სახელმწიფო ნადირობის დროს ცხენის უწესოდ, სახიფათოდ ტარებისათვის მკაცრი სასჯელი იყო დაწესებული:

„კოლეუ გალახვენ ამევარს. კაცს. ზედ დაკვერდ ბევრსა ჟოღებსო“ [56 76].

სასჯელის სიმძიმე ამ შემთხვევაში იმით აიხსნება, რომ ნადირობის დროს მონადირის გაუფრთხილებლობას, შესაძლო იყო ადამიანის მსხვერპლი მოჰყოლოდა. ზოგჯერ ასეთი რამ საგანგებოდ იყო მოწყობილი, პოლიტიკურ აქტს წარმოადგენდა. უნებლიედ თუ განზრახ ნადირობას მრავალი ადამიანი ეწირებოდა: „მესისხლევობით ზოიკლა კვრიცე მეფე ნადირობასა შინა“ (კახთა მეფე კვირიკე დიდი, XI ს.) [122. I, 297; 30. 562]. მამია I გურიელი (1512—1534 წწ.) „ტახბა მოკლა ნადირობაში“ [303]; ლევან II დადიანი ნადირობის დროს ცხენით ხრამში ჩავარდა და კინალამ დაიღუპა [103.II. 453]; ყარაიას ნადირობის დროს „სროლასა თოფთასა ხროთა ზედა ირმისასა მოხუდა თოფი ლუარსაბს (როსტომ მეფის ნაშვილებს, სიმონ I-ის ძის ვახტანგის ვაჟს, ქ. ჩ.) და მოკულდა იგი“ [30. 446].

ზემოთქმულიდან კარგად ჩანს, თუ რაოდენ სერიოზულ მეომარულ წვრთნას გადიოდნენ ნადირობის დროს მონადირეები.

ფეოდალური ეპოქის ხელჩართულ ბრძოლებში, როცა ბრძოლის ბედს მეომართა პირადი უნარი ჰნიშვნელოვნად განაპირობებდა, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — წყვეტდა კიდეც, ნადირობაში მიღებულ გამოცდილებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ა. რობაქიძე აღნიშნავს, რომ „სამეფო და სათავადაზნაურო ნადირობა წარმოადგენდა სანადირო საქმიანობის ორგანიზაციის ჩვენებას, თავისებურ აღლუპს“ [108. 148]. საისტორიო წყაროებიდან და ლიტერატურული ძეგლებიდან ეს კარგად ჩანს: „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილი სანადიროდ მიდის „ძოწეულით მოსილი“, პირზე ოქროს რიდე მოხვეული, ძვირფასი აკაზმულობით. ნადირობა „ზეიმითა და ზარით“ მიმდინარეობდა. არქ. ლამბერტის სიტყვით, სახელმწიფო ნადირობაში ოდიშარი ფეოდალები მიდიოდნენ „საუკეთესო ცხენებითა და კარგად ჩაცმული“ [83. 59]. არჩილი კახეთში სახელმწიფო ნადირობის აღწერისას ამბობს:

— მუნ იკვს ხელაურთ ცხენთა შვეჯბა, გამომჩვენობა.

შესამოსელთა კეკელითა შენოსად ტურფად ჩვენობა,

ქარქაშას განწყობილება, ისარს ორბის ფრთით ჰშვენობა“

[23. 11. 40].

ნადირობის საზეიმო, „გამომჩვენებითი“ ხასიათი კარგად ჩანს ნადირობის იმ აღწერიდანაც, რომელიც „რუსუდანიანშია“ მოცემული [111. 220].

სახელმწიფო ნადირობათა აღწერებიდან ნათლად ჩანს ფეოდალური ნადირობის მკვეთრად გამოხატული სოციალური შინაარსი, მონადირეთა კლასობრივი ვინაობა.

ნადირობა — ფეოდალური „ზნეობა“

შუა საუკუნეების ევროპაში «მაღალი ნადირობა» ფეოდალური ზნეობის ანუ «ზრდილობის» Courtoisie, höfische Kunst, Höflichkeit ერთ-ერთი ელემენტი იყო. იგი განსაკუთრებით რაინდულ წრეს ახასიათებდა. ფეოდალი ბავშვობიდანვე იწვრთნებოდა ნადირობისა და სანადირო ნადირ-ფრინველთა და ძაღლთა მოვლა-დაგეშვავში.

ქართული საისტორიო წყაროები მრავალ ცნობას შეიცავენ ფეოდალურ საქართველოში ნადირობის როგორც „ზნეობის“, ზრდილობის მიუცილებელი ელემენტის შესახებ. „ამირანდარეჯანიანის“ მიხედვით „ნადირობა“ საქაბუკო (ე. ი. რაინდული, ქ. ჩ.) საქმეა“ [153. 312, 417]. რაინდული „ზნეა“ ნადირობა. „ვეფხისტყაოსანშიც“: მოხუცებული როსტევეანი გულისტკივილით ჩივის, რომ მის სამეფოში „კაცი არ არის, რომე მას (მეფისგან) ესწავლნეს

სამამაცონი ზენია“ (სტრ. 63). ამით განაწყენებული ავთანდილი. მეფეს მისი ნათქვამის მცდარობა რომ დაუმტკიცოს, როსტე-ვანს ნადირობაში ეჭიბრება; ცხადია, რომ ნადირობა ერთ-ერთი „სამამაცო ზენია“.

არჩილის სიტყვით, საქართველოს საერთო „ზნეობებში“ (იგუ-ლისხმება ფეოდალურში!) შეღის სამხედრო ზნეობანი — ლაშქ-რობა და ნადირობა [23. I. 3]. არჩილი განჰარტავს, თუ რა იგულისხმება ამ ზნეობაში: „მიტყეველობა ფრინველების“, ანუ „ბაზიარობა“, „ძაღვის მოტყეება“, ცხენის, ფრინველისა და ძაღ-ლის „ცნობა“, მეძებრის გაწვრთნა, კურღლის „კვლევა“ და სხვა [23. I, 38, 41, 47]. ყოველივე ეს, არჩილის სიტყვით, „ზნეობადვე სწავლებულა“. მისივე თქმით, გასაყიციხია ის კაცი, რომელიც

„ვერც ლაშქრობს, ვერცა ნადირობს...“

აზნაურშვილად არ ვარგა, ჯარში ნუზს ვერ მოიტანსა. ...

ცხენსა და ჯორს ვერ ეწყობა, მწვეარსა, ვერცა მყეფარსა“ [23. I. 40—41].

ვისაც არ უნდა

„ნადირობა და უკუყრა, მყეფრისა ხშირად მყეფრობა“ [23. I. 47].

ძაღლებით ნადირობა და ბაზიარობა იმ მაღალ ზნეთ („edle Kunst“) მიეკუთვნებოდა, რომელსაც წარჩინებული ისევე უნ-და დაუფლებოდა, როგორც მხედრობას, იარაღის ხმარებას და ნატიფ ქცევას. „სანადირო ძაღლი და შვებარდენი მუღმივი თან-მხლები იყვნენ კეთილშობილისა, გარკვეული აზრით — მისი წო-ღების ნიშანი“. [284. 77].

როგორც კი ფეოდალის ვაჟი ცხენზე შეჭდომას შეძლებდა, მას ცხენოსნობას ასწავლიდნენ და სანადიროდ დაჰყავდათ. შუა საუკუ-ნეების ფრანგულ რომანში პრინც ბლანშადენზე ამ პრინცის აღზ-რდის უმთავრეს ელემენტად ბაზიარობა-მეძაღლეობის შესწავ-ლაა ნაჩვენები [257. II. 418]. ამავე დროს ნადირობა ფეოდალთა დროსტარების ძირითადი სახე — «კეთილშობილური ვართობა» («noble plaisir de la chasse») იყო. შუა საუკუნეების ნაწარმოებების ყველა გმირი, სხვა ღირსებებთან ერთად, იმით ხასიათდება რომ კარ-გი მონადირეა [284. 77]. ასევეა ქართულ წყაროებშიც: კარგი მონა-დირეა ფარნავაზი, მირიანი, გიორგი II, დავით აღმაშენებელი [122. I, 21. 108, 322, 334, 325. . .], გიორგი III, ნადირობს თამარი [122. II. 13, 15, 18, 22, 44]; ულუ-დავითი იყო «მონადირე რჩეული და კეთილად მსროლელი ნადირთა» [122. II. 228], ბექა ჯაყელი, სარგისის ძე, იყო «მოისარი ნადართა ხელოვანი» [122. II. 273]; კარგი მონადირეები იყუ-ნენ ლუარსაბ II [122. II. 395], გიორგი სააკაძე [122. II. 404] და სხვ.

რაკი ნადირობა ომის სკოლა იყო, ცხადია, რომ ფეოდალუ-რი აღზრდის სისტემაში მას ძირითადი ადგილი ეკავა. ვეროპულ

ისტორიოგრაფიაში, სათანადო წყაროთა ზიუხვის წყალობით, ეს საკითხი კარგადაა შესწავლილი. ქართულ საისტორიო წყაროებში ანაზე მხოლოდ რამდენიმე პირდაპირი მითითებაა, მაგრამ ქართულ ფეოდალურ აღზრდაში ნადირობის როლის დასადგენად ესეც საკმარისია. „ვეფხისტყაოსანში“ ნათქვამია, რომ ტარიელი ბაუმვობიდან, 4—5 წლის ასაკიდან იწვრთნებოდა ნადირობაში (სტროფები 334 და 336) და სრულასაკოვანი უკვე დახელოვნებული მონადირე იყო (სტრ. 338). ნადირობაში „ყმაწვილ მონადირეთა“ მონაწილეობა დადასტურებულია „ვეფხისტყაოსანში“ (სტრ. 26) და „არჩილიანშიც“ [23. II. 43].

ნადირობის გამგებლობა

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ნადირობის საქმე ცენტრალური ხელისუფლების უშუალო გამგებლობაში იყო.

კაროლინგების სახელმწიფოში ნადირობის გამგებელი — მონადირეთუხუცესი კარის ერთადერთი უმნიშვნელოვანესი მოხელე იყო, რომელიც უშუალოდ მეფესა და დედოფალს ემორჩილებოდა. კარლოს დიდის დროს (768—814 წწ.) ფრანკთა სახელმწიფოში ერთდროულად ოთხი მონადირეთუხუცესი იყო: იმპერიის ცალკეულ ნაწილებს ცალკე სანადირო უწყებები ჰქონდათ. XI საუკუნიდან მონადირეთუხუცესთა რიცხვი სხვადასხვა იყო [286ა. 79-80; 294. III. 508]. XIV საუკუნიდან უფროსი მონადირეთუხუცესიც იხსენიება. მონადირეთუხუცესებს ნაცვლებიც ჰყავდათ. თანდათან სანადირო უწყება საგანგებო შტატით შეიქმნა ფეოდალურ სამთავროებშიც; როგორც ჩანს, უკვე XI საუკუნიდან მსგავსი ფუნქციების მქონე მოხელეები ჰყავდათ საერო და სასულიერო ფეოდალებსაც [279. 444].

მონადირეთუხუცესობა ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო ხელი (Kronamt) იყო; მისი ხელქვეითნი მთელ კორპუსს ემნიშვნენ [257. III. 158]. მონადირეთუხუცესის ფუნქციებს შეადგენდა სახელმწიფო მონადირეთა ვრცელი შტატის განგება და სახელმწიფო ნადირობის ორგანიზაცია [279. 441].

მონადირეთუხუცესის ხელი გარკვეულ ლენთან იყო დაკავშირებული. მაგ., გერმანიის იმპერიის მონადირეთუხუცესი შტეტინისა და რიუგენის მთავარი იყო. მთავართა კარზე მყოფ მონადირეთუხუცესთა კელი ლენსა და პრივილეგიებთან იყო დაკავში-

რებული. ამ სასამსახურო ლენის გასხვისება, მაგ., გაყიდვაც კი შეიძლებოდა [284. 72].

ფრანკთა ხელმწიფის კარის გარიგებაში მონადირეთუხუცესს წინშენლოვანი ადგილი ეკავა. იგი, გარდა სახელმწიფო ნადირობისა, სხვა შემთხვევებთან დაკავშირებულ კარის ცერენონიალებშიც მონაწილეობდა, ჩვეულებრივ შობისა და სხვა ქრისტიანული დღესასწაულების დროს, თავისი საყვირითა და ძაღლებით [284. 72].

შუა საუკუნეების დას. ევროპის სახელმწიფოებში მონადირეთუხუცესის როლია და ადგილის შესახებ შემონახულ ცნობათაგან ყველაზე სრული და საინტერესოა უელსის X ს. სამი კოდექსი და ბურგუნდიის საჰერცოგოს XIV ს. ნადირობის გარიგებანი (ორდონანსები). შედარებითი განხილვის თვალსაზრისით, როგორც ყველაზე დამახასიათებელს, ქვემოთ ვრცლად მოვიტანთ ცნობებს ჩრდილოეთ უელსის კოდექსიდან. ჰკითხველი, ჩვენი აზრით, შეადარებს რა ამ ცნობებს და „ხელმწიფის კარის გარიგების“ შესაბამის ადგილებს, ადვილად დარწმუნდება ამ ორი ისტორიული დოკუმენტის საოცარ მსგავსებაში [279. 451].

უელსის მონადირეთუხუცესი მეფის კარზე რანგით მეოთხე მოხელე იყო, ხოლო მეფის სუფრაზე — მეათე, ერთ-ერთი იმ 14 მოხელეთაგანი, ვისაც სასახლეში სკანზე ჯდომის უფლება ჰქონდა. სასახლეში შესულ მონადირეთუხუცესს მეფე ფეხზე ამდგარი უნდა შეგებებოდა. მისი მამული სახელმწიფო გადასახადებიდან გათარხნებული იყო; ცხენი მეფის საჭინბოდან ეძლეოდა, შალის ტანსაცმელი — მეფისაგან, სელია კი დედოფლისაგან. მეფის სუფრას იგი, თავის მონადირეებთან ერთად, კარის მოძღვრის გვერდით უჯდა. ბინა მას სასახლესთან ჰქონდა, ულუფად ყოველდღიურად საჭმელსა და სამ ყანწ ღვინოს ებებულობდა: პირველ ყანწს სუფრაზე მას მეფე აწვდიდა, მეორეს დედოფალი, მესამეს — მეფის კარის გამგებელი. მონადირეთუხუცესს ჯამაგირად ეძლეოდა მეფის მონადირეთა ჯამაგირის ნესამედი და მონადირეთა ასულების საწვითვო საჩუქრის (მეფისაგან!) მესამედი. გარკვეული სარგო ჰქონდა მას ვინმესთვის მონადირის ხელის ბოძებისას. შეწყალებულს მისთვის 34 პენსი უნდა მიეცა.

მონადირეთუხუცესი შობის დღესასწაულიდან თებერვლამდე მეფის კარზე, მეფის განკარგულებაში იმყოფებოდა. თებერვლის პირველი კვირეულიდან იგი თავის სანადირო ბუქს — კამეჩის რქას აიღებდა და თავისი ძაღლებით ფურ-ირემზე სანადიროდ გასწევდა. ეს ნადირობა წმ. იოანეს დღესასწაულამდე (24 ივნისამდე) გრძელ-

დებოდა. ამ პერიოდში იგი სამართალს არ ექვემდებარებოდა — მისთვის ვისაც არ უნდა ეჩივლა, შეეძლო სასამართლოში არ გამოცხადებულიყო.

შუა ზაფხულში, წმ. იოანეს დღეს, მონადირეთუხუცესი ხარიმებზე ნადირობას იწყებდა. ამ პერიოდშიც მისი დაპატიმრება არავის შეეძლო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას ლოგინში უფეს-საცმლოს მოუსწრებდნენ. ხარიმებზე ნადირობა დაზამთრებამდე გრძელდებოდა. ზამთრის დაწყებიდან მე-9 დღეს იწყებოდა ტანზე ნადირობა, რომელიც ნოემბრის დასაწყისამდე გასტანდა. ამ პერიოდშიც მონადირეთუხუცესი სამართლის წარმოებას არ ექვემდებარებოდა.

ნოემბრის დასაწყისში მონადირეთუხუცესი მთელი წლის საქმიანობის ანგარიშგებას ახდენდა. მას უნდა გაენაწილებინა წლის განმავლობაში დაგროვილი ტყავები და ტყავ-საფარები (Wilddecke, Decke) და ჯამაგირი მიეცა მონადირეთათვის, ტყავის საფარების ორი ნაწილი მონადირეებს ერგებოდა, მესამე—მეფეს, მეფის წილი, მესამედი მონადირეთუხუცესს ერგებოდა. გარდა იმისა მას ზამთარში ეძლეოდა ძაღლების თასპებისთვის 16 ძროხის ტყავი, ზაფხულში, საჩქემედ, 1 ძროხის ტყავი.

ტყავების განაწილების შენდევ მონადირეთუხუცესს მეფისთვის უნდა ეჩვენებინა თავისი ძაღლები, ტყავსაფარები, ტყავები, თასპები და ბუკები. ამ შემოწმების შემდეგ იგი სავართლის წარმოებას ექვემდებარებოდა.

მონადირეთუხუცესი, როგორც მინის ტერიალი, ნეფისგან ღებულობდა თავისუფალ (გათარხნებულ) სასამსახურო ლენს, ცხენს და ტანსაცმელს. მის პრივილეგიებს შეადგენდა მეფის თანაშეინახეობა, თავისუფალი ბინა და ულუფა. მას შეეძლო დამნაშავე შეეფარებინა და იქამდე გაეყვანა, სანამ (სასახლიდან) მისი ბუკის ხმა აღწევდა. ზემოთ ჩვენ ვილაპარაკეთ მონადირეთუხუცესის იმუნიტეტზე სამართლის წარმოების სფეროში. ეს იმუნიტეტი ვრცელდებოდა ყოველ იმ მესამე სხვა პირზეც, რომელსაც მონადირეთუხუცესი მფარველობის ხელს დაადებდა იმ ტერიტორიაზე, სადაც მისი ბუკის ხმა გაისმოდა. მონადირეთუხუცესი თავის ბუკსა და თასპებს იფიცებოდა, სხვა სახის ფიცი მას არ დაედებოდა.

რადგანაც მონადირეთუხუცესის სარგოს ერთ-ერთ ძირითად ნაწილს ნანადირევი შეადგენდა, ცხადია, იგი ცდილობდა რაც შეიძლება კარგად ენადირა, მეტი ნადირი მოეკლა [279].

451]. განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში ეს სახელო დიდგვარიან ფეოდალებს ეკავათ.

მონადირეთუხუცესი თავისი მონადირეებით თითქმის მთელა წლის მანძილზე მეფის კარს ხორცითა და ტყავით ამარაგებდა. რადგანაც კარზე მყოფთა რიცხვი მეტად დიდი იყო, ცხადია მათი მომმარაგებლების რიცხვიც დიდი უნდა ყოფილიყო (კარის მომარაგება ძირითადად საგლეხო ბეგარა-გამოსაღებების ხარჯზე ზღებოდა, მაგრამ ამ მომარაგებაში ნანადირევის წილი წნიშენელოვანი იყო). მართლაც, კარის მონადირეთა რიცხვი დიდი იყო.

XIV საუკუნეში ბურჯუნდიის ჰერცოგის კარზე (სხვადასხვა სასახლეებში) მონადირეთუხუცესებს ექვემდებარებოდნენ მონადირეები, მონადირეთა შებნეები, მემწევერეები, მემეძებრეები, მწერალი (კლერკი), ძაღლებისთვის ჰურის მცხოვრებლები, ნანადირევის მზიდავები და სხვა [283. 35-36]. ჰერცოგ ფილიპე მამაცს (XV ს.) სანადირო უწყების შტატში 300-მდე მონადირე და ნადირობასთან დაკავშირებული სხვა პირი ჰყავდა [283. 35-37]. ამ შტატის შენახვაზე ჯამაგირისა თუ სხვა ხარჯების სახით უზარმაზარი თანხა იხარჯებოდა. შედარებით ნაკლები რაოდენობით ჰყავდათ მონადირეები და ძაღლები უფრო დაბალი რანგის ფეოდალებს.

ზემოთ მოცემული ვრცელი ცნობების მოტანა ერთ მიზანს ემსახურებოდა: გვეჩვენებინა ის უდიდესი როლი, რასაც შუა საუკუნეების ფეოდალურ საზოგადოებაში კარის სანადირო უწყება ასრულებდა. ამ საგაშვებლოს უდიდესი წილი წნიშენელობის მაჩვენებელია, უპირველეს ყოვლისა, მისი გამგებლის — მონადირეთუხუცესის დიდი და ორიგინალური სახის პრივილეგიები და მონადირეთა შტატის რთული და დახვეწილი გარიგება. სისრულისათვის აქვე მოვიტანთ ცნობებს ბიზანტიისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ადმინისტრაციულ სისტემებში ნადირობის უწყების შესახებ.

ბიზანტიის იმპერატორის კარზე ნადირობის უწყების სათავეში პროტოკინიგი (მეძაღლეთუხუცესი) იღვა: იგი სარგოვ იღებდა, სხვათა შორის, ნადირობის დროს სისხლით გასერილ ტანსაცმელს [275. 230; 228. 52]. რუმის სასულთნოში ნადირობას ნადირობის ემირი განაგებდა. მისი ხელი საპატიო იყო [177. 54].

მონღოლებში ჩინგის ხანის დროიდან ნადირობის გამგებლის ხელი დიდად საპატიო იყო. ჩინგიზმა სახელმწიფო ნადირობის გარიგება შეადგინა და ნადირობის გამგებლად თავისი შვილი ჯუჩი დანიშნა [289. 420].

ადრეფეოდალურ საქართველოში ნადირობის ცენტრალური სახელმწიფო-საგამგებლოს არსებობის შესახებ ცნობები არ ზოიპოვება. „საქართველოში განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში არსებობდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ინსტიტუტი, რომელსაც ექვემდებარებოდა ნადირობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, უფლებათა და მოვალეობათა მტკიცე განსაზღვრით. მისი დაფინანსება ზღებოდა როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ჯამაგირი), აგრეთვე სავალდებულო გადასახადის საშუალებით, რომელსაც სახელმწიფო ბეგარის სახე ჰქონდა (საბაზიარო ქათამი, არაკეთილი ცხენი), ხოლო დამხმარე პერსონალი დაბეგრული იყო თავისი მონაწილეობით ნადირობაში“ [108. 157].

უძველესი ცნობა საქართველოს სამეფოს ნადირობის უწყების შესახებ XII ს. მეორე ნახევრისაა: დემეტრე I-სა და გიორგი III-ს ჰყოლიათ მონადირეები [125. II. 23]; თამარის დროს, 1882 წ. იხსენიება ტყისმცველთუხუცესი [125. I. 26], რაც გულისხმობს რიგით ტყისმცველთა არსებობას. იოანე ბატონიშვილის სიტყვით (მისი წყარო ცნობილი არაა), ტახტზე ასულმა თამარმა დანიშნა „სანადიროთა ადგილთა ზედამხედველად და ბაზიერთუხუცესად სუმბატისძე“ [80. 84]. „სანადიროთა ადგილთა ზედამხედველი“, გვიანდელი ცნობებით; ტყისმცველთუხუცესი იყო. სუმბატისძე (სუმბატისშვილი სამცხელი წარჩინებული იყო, ვახუშტის თქმით XVIII ს-ში ეს იგვარი დაკნინებულია) ერთდროულად ტყისმცველთუხუცესად და ბაზიერთუხუცესად ჩანს, მაგრამ იოანეს განმარტებით, ბაზიერთუხუცესი „ყოველთა მონადირეთა უფროსია“ (ასე იყო მის დროს!) [63. I. 215]. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სუმბატისძე მონადირეთუხუცესად იყო დანიშნული, ან ორ სხვადასხვა ხელს ითავსებდა—მონადირეთუხუცესისა და ტყისმცველთუხუცესისა.

სახელმწიფო ნადირობის უწყების ორგანიზაცია კარგადაა ასახული „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ (XIV ს. პირველი ნახევარი). „გარიგების“ ტექსტი ნაწილობრივია შემონახული და სავარაუდოდებელია, რომ მონადირეთუხუცესის შენახებ ცნობების ნაწილი შეიძლება დაკარგული იყოს.

„გარიგებით“ სახელმწიფო ნადირობის საგამგებლოს სათავეში დგას კარის მოხელე — მონადირეთუხუცესი. მისი ხელი საპატრიოა, ხოლო თვით მოხელეს განსაკუთრებული პრივილეგიები ჰქონია. მონადირეთუხუცესი ზამთრის პერიოდში, კერძოდ, გიორგობიდან (შენიშნავთ გიორგობა — 10 ნოემბერი) თევდლორო-

ბამდე (თებერვლის ბოლო — მარტის დასაწყისი) მონადირეებ-თ კარზე იმყოფება [126. 42]. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კარის საახალწლო საღმრთო საწაულო ცერემონიაში: ახალ წელს „წელიწადის თავს დღეს მეფე არავისგან შეიშოსების ამისგან კიდე“, მონადირეთუხუცესი მეფეს ტანთ ჩააცემეს და ქუდს და-არქვამს“ [126. 32]. საახალწლო სუფრასთან მონადირეთუხუცესს საპატიო ადგილი უკავია: „საღვინეთ წინ ქვე დასმენ მალლითა სკამითა, ტაბლას წინ დაუდგამენ, ველურის ტახის თავს, მოხარ-შულს, წინ დაუდგამენ [126. 32]; იქვე, მის ახლოს სხდებიან ტყის-მცველნი და მონადირენი. ახალწელს ხდება მონადირეთა და ტყის-მცველთა „აღთვალვა“ (რეგისტრაცია) [126. 32].

ახალწლიდან („წლისთავი“) თვედრობანდე მონადირეთ-უხუცესი ყოველდღიურად, მეფის მითითებით, მონადირეებს სა-ნადიროდ აგზავნიდა, თვითონ კი ყოველდღე მეფის სუფრას უჭდა და მეფის ჩელიდან მწვალსა და ღვინოს ღებულობდა [126. 32]. „კარის გარიგების“ შედგენის დროს მისი ხელქვეითი ყოფილა „კა-ხეთსა და იმერეთს... ორას სამოცი სახლი მონადირე“ (და ტყის-მცველი?) [126. 42].

თვედრობის მეორე დღეს მეფის კარზე მონადირეთუხუცე-სის თანდასწრებით ხდებოდა ძაღლების „დაწერა“ (აღწერა, რე-გისტრაცია). ამ სამუშაოს მონადირეთუხუცესის ხელქვეითი მოხე-ლე — მწიგნობარი ასრულებდა: სამ ან ოთხ ძაღლს „მეფის-სად გადააყენებდნენ“ — კარზე მუდამ სამყოფლად, ერთ ძაღლს — „ბერძულს“ (მეძებარს?) ან მწვეარს აღწერის გასამრჩელოდ მწიგნობარი ამოიჩევედა, 24 ძაღლს კი მონადირეებს მისცემდნენ „საკვებავად“. ამის შემდეგ ხდებოდა მონადირეთუხუცესისა და მონადირეების „გაშვება“ [126. 42]. ალბათ მეფის სანადირო სა-სახლეებთან, მეფის „სანადირო ადგილებში“ სანადიროდ.

„ხელწიფის კარის გარიგების“ ტექსტის ნაკლებეწიანობის გამო არ ვიცით — ემორჩილებოდნენ თუ არა მონადირეთუხუ-ცესს ბაზიარები, თუ ცალკე ბაზიართუხუცესის ხელიც არსე-ბობდა. ასევე არ ვიცით, იყო თუ არა მაშინ კარზე მეძაღლეთუხუ-ცესი ან ტყისმცველთუხუცესი, ან ვინ იყო სოციალური მდგომარ-ეობით მონადირეთუხუცესი.

საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის დროიდან (XV ს. შუა წლები) XVIII ს. დასაწყისამდე სახელწიფო ნადირობ-ს უწყების შტატის და მისი ცვლილებების დადგენა, სათანადო წყა-როთა სიმცირის გამო, უაღრესად ძნელია. ვახუშტი ბაგრატიონის

ცნობები არც ერთიანი სამეფოს, არც დაშლის პერიოდის ნადირობის უწყების აღაწერად არ გამოდგება. მაგ., ვახუშტის მიაჩნია, რომ ერთიან სამეფოში ბაზიერთუხუცესის ხელისა იყო „სრულად ბაზნი, მეძალენი, ძაღლნი, ტყეთა და ველთა ზეველნი, — სანადიროთა ზეფისათა“ [30. 22]. მონადირეთუხუცესის ხელის არსებობა ვახუშტიმ არ იცის. ვახტანგ ბატონიშვილიც (ერეკლე II-ის ძე), ვახუშტიზე დაყრდნობით, ბაზიერთუხუცესს მიიჩნევს იმ მოხელედ, რომლის „ხელსა იყო სრულიად ნადირობასა შინა სახმარნი მფრინველნი, ბაზიერნი, მეძალენი და ყოველნი სანადიროთა ზეფისათა მცველნი“ [65. 5-6].

XVIII ს. დასაწყისის ქართლის სამეფოში ნადირობის საქმის გამგებლობა ასეთია: ბაზიერთა გამგებელია ბაზიერთუხუცესი, მეძალეების კი მეძალეთუხუცესი [126. 687-690]. „სანადიროში ჯელგის დამძახებელი“, ე. ი. მარეკთა გამომწვევია ჯარჩი [126, 480], რომელიც იმავე დროს მოლაშქრეთა გამომწვევიცაა და, ცხადია, ბაზიერთუხუცესს არ ემორჩილება; არიან მეყორულეები შავარდნის ბუდეებისა, რომლებიც ბაზიერთუხუცესის ხელქვეითნი უნდა იყვნენ და ტყისა და წყლისა (მაგ., ყარაიის მეყორულე გაბაშვილები, რომლებიც, არ ჩანს, ვის ექვემდებარებიან [126. 684]. ვახუშტი და ბაგრატ ბაგრატიონები ახალწლის მეორე დღეს მეფის სასახლესთან მოწყობილი ნადირობის გამგებლად ბაზიერთუხუცესს მიიჩნევენ, ცხადია, რომ მათ გვიანდელი ვითარება გადააქვთ XVI ს-ის წინა ეპოქაში. იოანე ბაგრატიონის ცნობით „ბაზიერთუხუცესი ყოველთა მონადირეთა უფროსია“, მას აბარია სანადირო ადგილები, მთის სანადიროები, ჯელგა, ბაზიერების გამოყვანა, სანადირო ფრინველები, სანადირო ძაღლები და მეძალეები [63. I. 215. 217-218]. ამასვე იმეორებს დ. ალენიცი [245. 261-2].

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ ნადირობის ერთიანი სახელმწიფო გარჩევა მოიშალა. ერთიანი ლაშქარ-ნადირობის მოშლის გამო მონადირეთუხუცესის ფუნქციები არისტოკრატიული დროსტარების — ფრინველით ნადირობის გამგის — ბაზიერთუხუცესის ხელში გადავიდა. ცალკეულ სამეფო-სამთავროებში ნადირობის უწყების გამგებელი ბაზიერთუხუცესი გახდა.

XVII ს. ქართლის სამეფოში გაჩნდა სახელმწიფო ნადირობის გამგებლის ახალი სახელწოდება — მიშკარბაში (სპარსული „მირ-შეჟარ-ბაში“ [ირანში მირშეჟარბაში შაჰის ნადირობის გამ-

გებელი იყო, რომელიც XVII ს. ბოლოს „მეკლიაში“ — სავაზო-როში შეიყვანეს [197. 189]. ივ. სურგულაძეს ნიაჩხია, რომ მიშკარბაშის ხელი ქართლში XVIII ს. მეორე ნახევარში გაჩნდა, როცა ზბრემ შაჰმა ეს ხელი ვასილ ბეჰბუთოვს უბოძა (1748 წ.)

ფაქტიურად მიშკარბაშის სახელო ქართლში უფრო ადრე გაჩნდა: 1695 წ. ერთ სიგელში, რომელიც ერეკლე I-მა ორბელი-შვილებს უბოძა, იხსენიება ბაზიერთუხუცესი ოთარი, ასლან ორბელიშვილის ვაჟი [98. 366.]. ამ ორენოვანი საბუთის სპარსულ ტექსტში ოთარი მ ი რ შ ე ქ ა რ ბ ა შ ა დ იხსენიება [98. 367].

XVIII ს. მეორე ნახევრის ქართლში მიშკარბაშობა უფრო საბატოო წოდებად ჩანს, ვიდრე რეალური შ-ნაარსის მქონე სახელოდ. ივ. სურგულაძემ თვალსაჩინოდ აჩვენა, რომ იმპროინდელი მიშკარბაშები თავიანთი ფუნქციებით ნადირობის გამგებლები არ იყვნენ, სულ სხვა საქმეებს განაგებდნენ [119. 224]. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იოანე და ვახტანგ ბაგრატიონები ქართლ-კახეთის სამეფოს ნადირობის უწყების აღწერისას მიშკარბაშს არც კი იხსენიებენ.

სახელმწიფო ნადირობის გამგებლარ სახელოს ასეთი გადაგვარება გასაგები ვახდება, თუ გაიხსენებთ, რომ XVIII ს. შუა წლებში, თეიმურაზ II-ის დროს (ვახტანგ ბაგრატიონის მოწმობით), სახელმწიფო ნადირობა საბოლოოდ მოიშალა, ერეკლე II-მ კი მორიგე ჭარის რეგულარული წვრთნა შემოიღო. ასეთ ვითარებაში ნადირობის ცალკე საგამგებლოს საქროება აღარ იყო და იგი კიდევაც მოიშალა.

კახეთის სამეფოში ნადირობის უწყებას XVI—XVII საუკუნეებში ბაზიერთუხუცესები განაგებდნენ.

იმერეთის სამეფოში ნადირობის მოხელეები იყვნენ ბაზიერთუხუცესი (სოლომონ II-ის დროს აზნაური კროკი), მეძაღლეთუხუცესი (აზნაური ტყავაძე). ბაზიერები და მეძაღლეები. ბაზიერთუხუცესსა და მეძაღლეთუხუცესს ერგებოდათ გლეხთაგან ბეგრად აკრეფილ საკლავთა და ქათამთა მეთაფი [176. 431; 165. IV. 256].

სამეგრელოს სამთავროში ნადირობის უწყების მოხელენი იყვნენ: 1) მეძაღლეთუხუცესი ანუ კურძულათუხუცესი (რუსულ თარგმანშია — ობერეგერმანისტერი!). ეს ხელი ჩვეულებრივ აზნაურებს ეკავათ. კურძულათუხუცესი იმავე დროს ტყისმცველთუხუცესიც იყო. მას ემორჩილებოდნენ კურძულალები ანუ მეჭოლორეები — ეგერები, რომლებიც გეშავდნენ ძაღლებს და იცავდნენ

სანადირო ტყეებს [190 ა. 413, 416], 2) ბაზიერთუხუცესი და ბაზიერები [190 ა. 413. 416].

გურიის სამთავროში ნადირობის გამგებელ მოხელეებზე ცნობა არ შემონახულა. XVI საუკუნიდან გვაქვს ცნობა ტყისმცველებზე. იმ დროს გურიელს ქობულეთში 4 ტყისმცველი ჰყოლია [168. 282]. სახელმწიფო ტყისმცველები იყვნენ გურიაში XVII—XVIII საუკუნეებშიაც [302]. ეს ტყისმცველები მსახურები იყვნენ. საკუთარი ტყისმცველები ჰყავდათ დიდ ფეოდალებსაც, მაგ., თავად მაჭუტაძეებს [113. VII. 212]. აზნაურებს ტყისმცველები არ ჰყავდათ [113. VII. 212].

ფრინველით ნადირობის სახელმწიფო საგამგებლოს ორგანიზაციას, რომელსაც ჩვენთვის ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ამჟერად არ განვიხილავთ.

მეფის მონადირეები

მონადირეთუხუცესს მონადირეთა დიდი შტატი ექვემდებარებოდა. ესენი იყვნენ მ ე ფ ი ს მ ო ნ ა დ ი რ ე ე ბ ი.

მონადირეთა ვრცელი შტატი არსებობდა შუა საუკუნეების ევროპისა და აღმოსავლეთის სახელმწიფოებშიც. მათი ფუნქციები ყველგან ერთნაირი იყო, გასტუმრების წესი სხვადასხვა — იმისა და მიხედვით, სოციალური განვითარების რა საფეხურზე იდგა ესა თუ ის ქვეყანა.

ფრანკთა სახელმწიფოში მეფის პროფესიონალი მონადირეები (venitor) იყვნენ უკვე მეროვინგების დროიდან [279. 450]. მომდევნო ხანის გერმანულ სახელმწიფოებშიც მათი რიცხვი დიდი იყო. ეს მონადირეები იყვნენ არათავისუფალნი მ ი ნ ი ს ტ ე რ ი ა ლ ე ბ ი, რომლებიც სოციალური მდგომარეობით რიგით ყმა გლეხებზე — მებეგრეებზე ბევრად მაღლა იდგნენ. მათ არაფერი ევალებოდათ, გარდა მონადირეობისა, რაც მთავარია, არ ევალებოდათ გლეხური, მიწის სამუშაოები. მონადირეები მეფეთა კარზე იმყოფებოდნენ და უშუალოდ მეფესა და დედოფალს ექვემდებარებოდნენ; მეფის მონადირეთა პრივილეგიებულობა სწორედ მეფის წინაშე ყოფნა, მისდამი უშუალო სამსახური განაპირობებდა [279. 440-1]. მონადირეთუხუცესი, საჭიროებისამებრ, მათ სახელმწიფო ნადირობის მომზადებას ან სანადიროდ წააგვლას ავალებდა. ზოგჯერ მონადირეებს სხვა საპატიო სამსახურსაც ავა-

ლებდნენ, მაგ., შათირობას, დესპანობას და სხვა [294. VI. 508]. მონადირეები, როგორც მეფის სამზარეულოს მომმარაგებელი, სენეშალის (სახლთუხუცესისა) და მუნდზენკის (მეწე, პერიქიფე) განყარგულეებესაც აარულებდნენ [284. 73].

მეფის კარზე ან მეფის „სადგომებში“ მყოფი პროფესიონალი მონადირეები მრავალრიცხოვან ფენას ქმნიდნენ. მათ სამსახუროს სამაგიეროდ ეძლეოდათ ბენეფიციუმები — სასამსახურო, ანუ მინისტერიალის ლენები (მსახურის მანულო) [279. 442: 286 ა. 245]; გარდა ამისა, მონადირეები ლებულობდნენ ნატურალურ ან ფულად ჯამაგირსაც. უელსის კანონმდებლობით (X ს.) მონადირეებს ფულადი გასაარჯელო ეძლეოდათ [279. 451], მათვე ეძლეოდათ ნანადირევი ტყავების ორი მესანედიც [279. 452] ან, საერთოდ, ნანადირევის ნაწილი [284. 73].

მონადირეთა შენახვისა და გასტუმრების ერთ-ერთი საშუალება იყო აგრეთვე მათი ჩაყენება ვასალებთან (მონასტერს, დაბალი რანგის ფეოდალი) და ყმებთან (სოფლებში). უელსში (X ს.) მეფის მონადირეების გამასპინძლება, წელიწადში ერთჯერ, ევალებოდათ მეფის მინისტერიალებს [279. 221]. მონადირეთა ჩაყენება უკვე აღრეფეოდალურ ხანაში იქნა შემოღებული [286 ა. 225]. მონადირეთა ჩაყენება მძიმე ვალდებულება იყო: საპირო იყო მრავალრიცხოვან მონადირეთა და მათი სანადირო ცხოველ-ფრინველთა (ცხენები, ძაღლები, ქორ-შავარდნები...) გამოკვება, რაც დიდ ზარკებს იწვევდა, ამიტომ, როცა მონადირეთა შენახვა ერთ ადგილას შეუძლებელი ხდებოდა, ისინი სხვა „სანადირო ადგილებსა“ და „სანადირო სასახლებთან“ გადაჰყავდათ. მონადირეები ხელმწიფეთა (მეფე-მთავრები) გარდა მრავლად ჰყავდათ მსხვილ ფეოდალებს და ეკლესიასაც; საშუალო პირები, რომელთაც ნადირობა ეკრძალებოდათ, ჩვეულებრივ თავიანთ მინისტერიალ მონადირეებს ანადირებდნენ.

მონადირის ხელი უკვე აღრეფეოდალურ ხანაში ჰემკვიდრეობითი გახდა. ფრანკთა სახელმწიფოში გარდაცვლილი მონადირის ერთ-ერთ ფაქს მისი ბატონი მონადირედ აყენებდა და მას მამოსეულ სასამსახურო (მონადირის) ლენს გადასცემდა [279. 442], მონადირეს, ჩვეულებრივ, ცხენით სამსახური ევალებოდა [290. 472].

მონადირეები, საქმიანობისდა მიხედვით, სამ ჯგუფად იყოფოდნენ: იყვნენ ტყის, ველისა და წყლის მონადირენი [286 ა. 79]. არსებობდა სხვა, უფრო დაზუსტებული დაყოფაც — იყვნენ

ორენსა და სხვა მსხვილ ცხოველებზე, პატარა ზომის ნადირზე, მგელზე, და ა. შ. მონადირენი [284. 73].

რადგანაც მონადირეობა სპეციფიკურ და ფართო ცოდნას მოითხოვდა, შემუშავებული იყო მონადირეთა აღზრდის მთელი სისტემა, რომელიც საოცრად წააგავდა რაინდული აღზრდის წესს. მონადირის აღზრდა 7 წლიდან იწყებოდა. 7-დან 14 წლამდე მონადირედ აღსაზრდელი მოზრდილ მონადირეს ახლდა (Japdpag), 14-დან 20 წლამდე ძაღლების ზედამხედველად იყო (valet de chien), 20 წლისას კი lagdjunker-ის ხელს აძლევდნენ და ნადირობაში აზსტატებდნენ. მხოლოდ ამ საფეხურების გავლის შემდეგ შეეძლო მას მონადირის ხელი მიეღო [257. I. 211; 284. 73]. უელსში მონადირის ხელის მიღებისას მიმღებს მონადირეთუნტუცესისთვის 24 პენსი უნდა გადაეხადა. მონადირის ასულებს გათხოვებისას ფულადი შესაწირავი ეძლეოდათ. ნადირობის ვადები და მონადირეთა კარზე სასახლეში ყოფნის დრო დადგენილი იყო [279. 451].

რიგითი გლეხები (მებეგრე ყმები) მეფის მონადირეებში არ ერივნენ, მაგრამ მათ ნადირობაში მონაწილეობის მიღება მაინც ევალებოდათ. ნადირის მოკვლას მათ არ ავალებდნენ, რადგან უიარაღონი იყვნენ, მათი მოვალეობა იყო მორეკვით (ჯელგა) ნადირობის დროს შარეკებად გამოსვლა [6. 36].

სახელმწიფო მონადირეები იყვნენ ბიზანტიაშიც. გიორგი აკროპოლიტის ცნობით, XIII ს. ბიზანტიაში იყო გლეხთა პრივილეგირებული კატეგორია, რომელიც განსაკუთრებული სჯის საშუალებას ასრულებდა და სპეციალურად ყოველგვარი შეღავათებით სარგებლობდა. ვინც ამ გლეხთაგან იმპერატორს ირემსა და ღორზე ნადირობაში ახლდა, ან მასთან ერთად ქორ-შავარდნით ნადირობდა. ჯარში არ გაჰყავდათ; მათი გაწვევა მხოლოდ 1256 წ. მოხდა. ეს მონადირეები სრული თარხნები იყვნენ და ულუფას („საკმელი“) ლებულობდნენ. მათი მიწებიც გადასახადებით არ იბეგრებოდა. ასევე პრივილეგირებული იყვნენ ბაზიერებიც. ასე გაგრძელდა ბიზანტიაში და ბალკანეთის სლავთა ქვეყნებში თურქთა ბატონობის დროსაც [295. 280].

რ უ ს ე თ ი ს ს ა მ თ ა ვ რ ო ე ბ შ ი მთავრებს ჰყავდათ საცუთარი მონადირეები, რომლებსაც უფლება ჰქონდათ ჩამდგარიყვნენ სოფლებში, გლეხთა ოჯახებში, მათ ხარჯზე უსვათ და ეჭამათ, სანადირო ცხოველები თუ ფრინველები გლეხთა ხარჯზე გამოეკვებათ [167].

აღმოსავლეთის მამადიანურ დესპოტურ სახელმწიფოებში ხელწიფებებს (შაჰი, ხანი, სულთანი...) მრავალი მონადირე ჰყავდათ, რომელთა შენახვაე ხალხს მძიმე ტვირთად აწვა, თურქეთის სულთან ბაიზეთს (XIV ს.) 7000 მონადირე და 7000 ბაზიარი ჰყავდა [257. III. 54]. ეს მონადირეები სულთნის მონები იყვნენ.

საქართველოში მეფის მონადირეთა შესახებ ცნობები შეზონახულია როგორც საისტორიო წყაროებში, ისე ზეპირსიტყვიერებაშიც. ჩვენამდე მოღწეული უძველესი ცნობა მეფის მონადირეთა შესახებ XII საუკუნისაა, ეს ცხადია, სრულადაც არ ნიშნავს, რომ ასეთი მონადირეები უფრო ადრე, ადრეფეოდალურ ხანაშიც არ არსებობდნენ.

გიორგი III-ის წყალობის სიგელში (1170 წ.) იხსენიებიან მეფის მონადირენი („მონადირენი ჩუენნი“). იმავე სიგელიდან ჩანს, რომ მონადირენი ჰყოლია დემეტრე I-საც. ამ მონადირეთა გასტუმრების ერთ-ერთი საშუალება ყოფილა მათი ჩაყენება („შედგონა“) მეფის მონასტრებსა და სოფლებში, ალბათ ფეოდალთა მამულებშიაც. დემეტრე I-ს შიო-მღვიმის ნაპული მონადირეთა „შედგომისგან“ გაუთავისუფლებია [125. II. 23].

ხალხურ ზეპირგადმოცემებში იხსენიება თამარ მეფის ვაჟ-კაცობით განთქმული „ქარის მონადირე“ [137 ა. 96]. კასპში ჩაწერილ ერთ ხალხურ ლექსში მეფის მონადირეზე ნათქვამია:

„მეფის მონადირე ვიყავ.
ვაჭრევეინებდი ხმალსაო,
ვაქცეულ ნადირს ვეჭრდი,
ზედ მოვისომდი მხარსაო!
ნეფე მწყალობელი მყავდა,
მას მივართმევედი კარსაო;
მტერი რომ გამონდებოდა,
წინ მიუძლოდი ჭარსაო;
სადაც ცუდ საეალს ვნახევიდო,
მე გაურჩევედი გზასაო;
საწყაღსა, ვაჭირებულსა
შორით ვაწვდენდი ხმასაო!“ [1:9 (ა) 149—150].

ამ ხალხურ ლექსში ზედმიწევნითი სიზუსტითაა განმარტებული მეფის მონადირის ვინაობა და ფუნქციები: მეფის მონადირე „ხმალს აჭრევეინებს“, ე. ი. მოლაშქრეა და ლაშქარში, ბრძოლის გარდა, თავის ძირითად სპეციალობასთან (მონადირეობა) დაკავშირებული ფუნქციაც აქვს — მეგზურია, ჭარს წინ მიუძღვის,

ცულ სავალში გზას ურჩევს და, შესაძლოა, მზვერავადაც იგზავნება. როგორც მეფის მონადირე. იგი ნადირს იჭერს და მეფეს კარზე მიართმევს, სამაგიეროდ მეფე მისი მწყალობელია...

მეფის მონადირეები იხსენიებიან „ვეფხისტყაოსანში“. როცა როსტევეანი და ავთანდლილი სანაძლეოზე ნადირობას აწყობენ, მათ ახლავთ „მონებნი“, — ნოლაშქრე მსახურები, რომლებიც მეფესა და სპასპეტს ისრებს აწვდიან, ნასროლ-ნაკრავს ითვლიან და აღარებენ. ნადირობის მოწაადება სხვებს — მეფის მონადირეებს ევალებათ. როსტევეანმა „მონადირეთა უბრძანა მინდორი შოიარენით, დასცევით ჯოგი ნადირთა, თავნი ამისთვის არენით“ (სტრ. 73).

აქვე, მონადირეთაგან განსხვავებულად, იხსენიება ლაშქარი, რომელიც ნადირობაში მონაწილეობს (სტრ. 73, 75, 175, 178). ამ ნადირობის დროს როსტევეანი უთვალავი ლაშქრით „მინდორს ნადირობდა, დაეფანჩა მარეკი.“ ამ მარეკებში, უეჭველია, მონადირეებიც არიან.

ყველაზე საყურადღებო ამ შენიშვნებში ისაა, რომ როცა მეფე ნადირობას გადაწყვეტს (მეორე დღისათვის!), მას მონადირეთა ძებნა და ხმობა არ უხდება, ისინი იქვე, კარზე არიან (სტრ. 73).

დავით VIII-ის ერთ სიგელში (ს. კაკაბაძით 1292—1297 წწ.) კარის მოხელეთა შორის, მელენეთა, მეჯინებეთა და მერემაეთა, ე. ი. დაბალი რანგის პირთა შორის, იხსენიებიან ბ ა ზ ი ა რ ნ ი და მ ო ნ ა დ ი რ ე ნ ი [113. I. 142]. აქედან ცხადია, რომ მონადირე ნ ბ ა ზ ი ა რ ნ ი ა. მეფეთა წყალობის წიგნებში, მეფის წყალობის „დამამტკიცებელ“ (ე. ი. ვინაც სიგელში აღნიშნული უნდა აასრულოს) კარისა და საქვეყნოდ განრიგეთა შორის (კარის ვაზირნი, ერქთავენი, მოურავები, ცხისთავეები და სხვ.) იხსენიებიან „ბ ა ზ ი ა რ ნ ი და მ ო ნ ა დ ი რ ე ნ ი“ [125. II. 99]; ალექსანდრე I-ის 1426 წ. ერთი სიგელის დამამტკიცებელთა შორის იხსენიებიან მეფის „მემეძებრენი“ [103. II. 230]. შერგილაძეთა სასისხლო სიგელში (1554 წ.) „დამამტკიცებლად“ იხსენიებიან მეფის ბაზიერები და „მეძალე-მემწევრენი“ [103. II. 398].

სანადირო უწყების მოხელეებს კანონი განსაკუთრებით იცავდა: „ვინც ბაზიერი... გიცეს“, ამდენი და ამდენი გადაიხადოსო, — აღნიშნულია სიგელში [103. II. 397]. უეჭველია, რომ მონადირეთა და ნადირობის უწყების სხვა მოხელეთა სისხლის საფასური, მათი ხელისა და წოდების გამო, მაღალი იქნებოდა, როგორც ბატონთა ხელის მქონე მსახურისა.

მეტად მნიშვნელოვანი ცნობებია მეფის მონადირეთა შესახებ „ხელწიფის კარს გარიგებაში“: მონადირენი მეფის კარზე არიან გიორგობიდან თევდორობამდე და დროდადრო სანადიროდ დადიან. კარზე მყოფ მონადირეებს ეძლევათ სასწილ-საკმეღი და მეფის სუფრისთვის დაკლული პირტუცის ტყავები. ახალწლის დღილით, მეფის შემოსვის დროს, მონადირეები კარზე არიან, მათ „აღთვალავენ“, ე. ი. ზღვება მათი აღრიცხვა-შემოწმება, ცხადია სათანადო სიის („დაეთრის“) მიხედვით, „კარის გარიგებით“ მეფის მონადირენი „კახეთსა და ჩნერთს უვლგან არიან. ორას სამოცი სახლი არის“, ე. ი. 260 კომლი [126. 42]. ახალწელს ისინი მეფის სუფრას უსხედან, სათანადო ადგილას, იერაქციელი რიგის მიხედვით [126. 32] „გაშვების ყამს“, თევდორობა დღეს, თითოეულ მონადირეს ეძლევა ჭამაკირი — სამ-სამი თეთრი, ხოლო ხორციელის კვირა დღეს (16 თებერვალს) — 6 ტყავი [126. 42]. თევდორობის მეორე დღეს ხდებოდა მონადირეთა „გაშვება“. ამრიგად ზამთარში, მთელი 4 თვის განმავლობაში, სხვათა გარდა, მეფის კარზე იმყოფებოდა 260 მონადირე.

„გაშვებულ“ მონადირეთაგან 6 კაცს შესანიხად („საკვებავად“) ეძლეოდა 12—12 ძალი — სამი მონადირე „ბერძულ“ ძალებს (მეძებრებს?) წაიყვანდა, სამი კი მწეწრებს [126. 42].

მეფის მონადირეთა სოციალურ ვინაობასა და პრივილეგიერებულებაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის „კარის გარიგებაში“ თევდორობის შემდეგ („ორშაბათს მეორეს“) მონადირეთა გაშვების დროს შესრულებული ცერემონიალს აღწერა: მონადირეები ლამპრებს მიართმევენ მეფეს, მეფის ცოლსა და შვილებს, აგრეთვე ვაზირებსა და მოურავებს (მოურავებიც, როგორც ჩანს, თევდორობას კარზე იყრიან თავს). მეფე მონადირეებს უბოძებს პურ-ღვინოსა და საკლავს — „ფურ-ბერწს“. მონადირეები საბოძვარისთვის მიმართავენ, ვისაც სურსათ-სანოვავე აბაჩია — „საგანმგებოს მუჭიფისა და საღვინის მუჭიფისა და გამცემარსა“, თუ ისინი მისცემენ პურს, ღვინოს და საკლავს, მონადირენი მას „ალარას აწყენენ“. აქედან ცხადია, რომ საბოძვარის მიუღებლობის შემთხვევაში მონადირეები კარის მწე-მოხელეთა „წყენას“ არ ერიდებოდნენ, ძალით ართმევენ სურსათ-სანოვაგეს. იციან რა ეს წესი, სურსათ-სანოვაგის გაჩეხებლები ცდილობენ დამალონ და მონადირეებს არათფერი მისცენ.

ამის შემდეგ მონადირეები მეფის სასახლის ეზოში ფერხულს გამართავენ („მრგვალს დააბნენ“) და საფერხულო სიმღერებში

„ავად“ იხსენიებენ, ჰკილავენ, „ვისცა ავად მიუცემია ანუ ჰტრაუ ავია“ [126. 42].

კარის გარიგების ამ ცნობიდან ნათელია, რომ მეფის მონადირეები არათავისუფალ და არაარისტოკრატიულ წრეს ეკუთვნოან: ისინი ძალღებს უვლიან, მათ დაკლული ცხოველების „შიგანს“ უხარშავენ და აჭმევენ, ძაღლები „საკვებად“ სახლში მიჰყავთ: მეფე მონადირეებს უბოძებს პურს, ღვინოსა და საკლავს, ისინი „საბოძეარს“ (პურ-ღვინოს...) სთხოვენ კარის სამეურნეო მოხელეებს, ფერხულს ცეკვევენ სასახლის ეზოში... ამავდროულად, რომ მონადირეები გლეხურ შრომას არ ეწევიან: ნადირობა განსაკუთრებულ ცოდნა-დაოსტატებას მოითხოვს, თანაც თითქმის წთელი წლის განმავლობაში გრძელდება. მეფის მდინარეები და გარკვეული პრივილეგიების მქონე უმდაბლესი მოხელენი — მეფის მონადირეები ყველა ნიშნით მსახურები არიან, და ამავდროს, როგორც ვნახეთ, პროფესიონალი მოლაშქრეები.

მეფის მონადირეები, როგორც დას. ევროპაში, ჩვენშიაც, ალბათ, მეფის „სანადირო სასახლეებზე“ იყვნენ მიწერილნი. ასეთი სასახლეები მეფის „სანადირო ადგილებში“ იყო აგებული და მეფეები იქ ნადირობის სეზონზე დგებოდნენ. მონადირეთა და სანადირო ცხოველ-ფრინველთა შენახვა იმით იყო გაადვილებული, რომ „სანადირო სასახლეებზე“ იყვნენ „ქვეყანანი... მოკიდებულნი“ და ამ „ქვეყანათა“ გლეხობა სასახლეებსა და მონადირეებს სურსათ-სანოჯავით ამარაგებდა [153. 373].

მეფის მონადირეებს მეფის რეზიდენციის ახლოს მოხერხებულ ადგილას ჰქონდათ მიჩენილი „მონადირეთა სადგომები“. დემეტრე I-მა როცა მუხრანის სასახლე ააგო, მის ახლოს მდებარე სოფელი ქანდა შიომღვიმის მონასტრისაგან „მონადირეთა სადგომად მოიკვალა“. გიორგი III-ის დროსაც „ქანდაი მონადირეთა სადგომი არის“, ხოლო მის სამაგეროდ მეფე მონასტერს სხვა სოფლის „მოქსენებას“ პირდება [125. II. 22].

მეფე-მთავართა და დიდ ფეოდალთა სასახლეებთან მონადირეთა და სანადირო ცხოველ-ფრინველთა სადგომი-ნაგებობანიც იყო, მაგ., ძაღლების სადგომები და საბაზიაროები. ლევან II დადიანს „მთელ სამფლობელოში გაფანტული ჰქონდა ხისგან ნაშენები 15 მოზრდილი საფრინველე“ [163. 86]. 1684 წ. ზაალ ციციშვილმა გაყიდა თბილისში თავისი „საბაზიარო“ [116. II. 143] და სხვ.

საკუთარი მონადირეები ჰყავდათ მთავრებსა და დიდ ფეო-

დალებს. ლევან II დადიანს ჰყავდა „თავისი მონადირეება“ [83. 184]; ლევან VI დადიანს (1804 — 1846) ჰყავდა „პირველი მისი მონადირე“ ქობულეთიდან მოყვანილი და გაქრისტიანებული სიმონ დადიანის ძე ბოლქვაძე [48]: „პირველი მონადირის“ არსებობა მთავრის მონადირეთა სიმრავლეზე მიგვიჩვენებს. მთავრის მონადირის მდგომარეობისათვის დამახასიათებელია, რომ ლევან VI-მ თავისი მონადირე „აღავსო ყოვლითა პატივითა და ქონებითა... ჰყო პატრონი აზნაურის გიორგი საჯაიას მამულისა სოფელ ჯალრას“, ე. ი. მისცა სასამსახურო ლენი [48], და ეს მოხდა XIX ს. პირველ ნახევარში!

საკუთარი მონადირეები ჰყავდათ ოღიშის მსხვილ ფეოდალებსაც. არქ. ლამბერტის ცნობით, ისეთ ადგილებში, სადაც ნადირობა სიამოვნებას არ წარმოადგენდა (ჯაგნარი, ქაობი...), „ბატონები გზავნიან თავის მონადირეებს“ [83. 61]. XIX ს. ერთ ბელეტრისტულ ნაწარმოებში, რომელშიაც ბატონყმობის დროინდელი ნადირობაა აღწერილი, ნათქვამია, რომ თავადს ნადირობაში დამხმარედ თან ახლდა ხელჯონიანი „მეკურდღლე“ მონადირე [144. 13]. მსახური მონადირეები ჰყავდათ სასულიერო ფეოდალებს და შესაძლებელია, მონასტრებსაც.

ამრიგად, ფეოდალური ეპოქის საქართველოში მონადირეთა შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: საქართველოს ბარის მხარეებში, სადაც ფეოდალური ურთიერთობა ბატონობდა, ფეოდალური ეპოქის მთელ სივრცეზე, ბატონყმობის გადავარდნამდე, არსებობდა სახელმწიფო და ფეოდალთა მონადირეების მრავალრიცხოვანი ფენა. წოდებრივად მონადირენი და ნადირობის უწყების სხვა მოხელეთა უმრავლესობა მსახურები იყვნენ. მონადირეები ბავშვობიდანვე იწრთობოდნენ თავის ხელობაში და პირადად ემსახურებოდნენ მეფესა თუ ფეოდალს. ნადირობით სამსახურის სანაცვლოდ მონადირე მსახურის მამულს, ფულად ჯამაგირსა და ნატურალურ სარგოს ლებულობდა. მონადირის ხელი (განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში ეს დადასტურებულია) მის მანუელთან ერთად მეგვიდრეობით გადადიოდა, ამის ხელშეწყობი პირობა იყო მონადირეთა პროფესიონალიზმი. მონადირის ხელი მონადირეს პრივილეგიებულ მდგომარეობაში აყენებდა: მონადირე და მისი მამული გათავისუფლებული იყო სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სამსახურ-გამოსაღებებთან და, სავარაუდებელია, სამართლისწარმოების სფეროშიც განსხვავებულ საგანგებო წესს ექვემდებარებოდა.

მონადირე, ჩვეულებრივ, მხედარი იყო, ბატონს ცხენით ემსახურებოდა. თავისი ძირითადი მოვალეობის — მონადირეობის გარდა მონადირეს ევალებოდა სახელმწიფო ვალდებულება — ლაშქრობა. ლაშქრობის დროს მონადირე განსაკუთრებულ, მის სპეციალობასთან დაკავშირებულ ფუნქციას ასრულებდა. მონადირეები იყვნენ სავანგებოდ მომზადებული მოლაშქრენი: სანაქებო წსროლელები, კვალის დახელოვნებული „მკვლევარნი“, მეგზურები, მშვერაკები, ყოველგვარი მოულოდნელობისა და ხიფათისთვის მუდამ მზადყოფნი (მსგავსად გერმანელ „მეგერთა“ და რუს „ახოტნიკთა“ სამხედრო ნაწილებისა). ასეთი თვისებებით შემკული მონადირეთა რაზმი (XIVს-ში მარტო მეფის მონადირეთა რიცხვი სამასამდე იყო) საქართველოს ლაშქრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამხედრო შენაერთი იქნებოდა.

მონადირე მსახურები ნაწილობრივ გლეხთა ექსპლუატაციის ხარჯზე ცხოვრობდნენ, ზოგჯერ მათ აშკარად უპირისპირდებოდნენ (ტყისცველნი!) და ამით ემიჯნებოდნენ გლეხთა კლასის სხვა ფენებს.

საქართველოს პროფესიონალ მონადირე-მსახურთა სოციალური მდგომარეობა და სხვა ნიშნები განსაკუთრებულ მსგავსებას აჩვენებენ დასავლეთ ევროპის შესაბამისი ფენის მონადირე-მინისტერიალთა მდგომარეობასა და ნიშნებთან. ამის მიზეზი, როგორც ჩანს, ამ ქვეყნების სოციალური ვითარების მსგავსებაში იყო. საერთო იდეოლოგია (ქრისტიანობა) უფრო თვალსაჩინო ნიშნებს მატებდა ამ მსგავსებას, განსაზღვრავდა რა მონადირეთა საქმიანობის მთელ წლიურ განრიგს — ნადირობისა და მასთან დაკავშირებული რიტუალების კალენდარს.

ნადირობის რეგალია და დაცული სანადირო ადგილები

წინაკლასობრივ საზოგადოებაში, როდესაც მოსახლეობა შედარებით მცირე იყო, ხოლო ტყე და სხვა სანადირო ადგილები კი მრავალი, სანადირო ადგილებსა და ტყეზე კერძო საკუთრება არ არსებობდა, ტყე საერთო („სახალხო“) საკუთრებას წარმოადგენდა [293. 26]. წინაფეოდალური ხანის, კერძოდ სამხედრო დემოკრატიის ეპოქის, დასავლეთ ევროპაში უკვე არსებობდა ნადირობის უფლების ერთგვარი რეგლამენტაცია: მარკის (თემის) საერთო საკუთრებაში მყოფ მიწაზე ნადირობის უფლება მხოლოდ ამ მარკის წევრებს ჰქონდათ და თავიანთ ტერიტორიაზე სხვა მარკის წევრებს სანადიროდ არ უშვებდნენ [293. 26].

ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების კვალდაკვალ ნადირობა მხოლოდ ფეოდალთა პრივილეგიად იქცა. თანდათანობით სამოყალიბდა ნადირობის რეგალია, ე. ი. ნადირობაზე სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლება (167. 496).

ნადირობის შეზღუდვა, ნადირობის რეგალია ფეოდალური საზოგადოების დამახასიათებელი მოვლენაა. რომელმა სამართალმა ნაკრძალ იარ იცოდა, ნადირი იყო *res nullus*. ლათინურ ენაში ბრაკონიერის აღმნიშვნელი სიტყვა *კი არ არსებობდა*. ნადირობის უფლება ჰქონდა ყველა თავისუფალ რომელს [279. 114—5].

ნადირობის რეგალია და ტყის სამართალი, რომლებსაც პარტევლოს სოციალური განვითარებას ისტორიისათვის, მისი ეტაპების დადგენისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ჩვენში, სამწუხაროდ, ჭერჭერობით შესწავლილი არ არის. რადგანაც საკითხი უშუალოდაა დაკავშირებული როგორც მოლაშქრე მსახურთა, ისე სახელმწიფო ნადირობის ისტორიასთან, ქვემოთ შევეცდებით ის მოკლედ განვიხილოთ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია აზრი, რომ «არ იყო ჩვეულება ჩვენში აკრძალვა ტყის ხმარებისა და ნადირობისა» [150. 115]; შესადარებლად მოტანილია ფეოდალური საფრანგეთის ვითარება; „საფრანგეთში *la chassé* (ნადირობა), *colombiers* (სამტრეღეს გამართვა) შეეძლო მხოლოდ ბატონს» [150. 115].

ა. ხახანაშვილის ამ მტკიცებას ის ნაკლი აქვს, რომ იგი მეტად ზოგადია, — დროს, განვითარებას არ ითვალისწინებს.

ადრეფეოდალური ეპოქის მიწურულის ვითარების ამსახველი ძეგლი „სერაპიონ ზარმელის ცხოვრება“ (X ს.), ცხადად გვიჩვენებს, რომ სამცხეში მდებარე მოსახლეობისთვის იმ დროს უკვე შეზღუდულია ტყით სარგებლობა და ნადირობის უფლება. მსხვილ ფეოდალს (მაგ., გიორგი ჩორჩანელს, რომელიც იყო „მთავარი დიდი და წარჩინებული, რომელი ყოველთა კმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერისათა აგარაკათათა“) უკვე ხელი აქვს დადებული ტყეზე და ნადირობის რეგალიას ფლობს. გიორგი ჩორჩანელს რამდენიმე „ტაძარსა“ და „კარავთან“ (დროებით ჯადგომთან) ერთად ჰქონდა სანადირო სახლიც. ეს სახლი აგებული იყო მთავარ ჩორჩანელის კუთვნილ ტყეში, რომელსაც ცხროჭა ერქვა და სადაც იყო „სიმრავლე თხათა და სხუათა ნადირთა ველურთა“ [139. 324]. ნადირთა სიმრავლე აქ შემ-

თხვევით არაა მითითებული: ტყეზე ფეოდალთა უფლების გაჩენა, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, დაკავშირებული იყო ტყესთან, არა როგორც ხე-ტყის წარმოების ბაზასთან, არამედ როგორც სანადირო ადგილთან. ერთხელ, როცა გიორგი ჩორჩანელი ცხროკის ტყეში იყო „მღევარ ნადირთა“, დაინახა, რომ ვილაცას ტყეში ცეცხლი დაენთო; მთავარს გაუჟვირდა: „უკეთუ ვინმე ეძიებეს ნადირთა, სად კადნიერ და ურცხვნო ქნნილ არს? დაღათუ სხუად საჭირო რაჲა უქმს, ჩუენ ვითარ არა მეცნიერ ვართ?“ [139. 325].

დიდი ფეოდალის ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს შეპლდგი: 1) ტყე „ცხროკა“ ფეოდალს ეკუთვნის, 2) ფეოდალის კუთვნილ ტყეში სხვას ნადირობის უფლება არა აქვს, ე. ი. ფაქტია ნადირობის ფეოდალური რეგალია და 3) ფეოდალის ტყეში სხვა პირს „სხუად საჭირო რაჲა“ (შეშა, ხის მასალა, ხილი...) მხოლოდ ტყის პატრონის ნებართვით შეუძლია ისარგებლოს. ამის შესახებ ტყის მფლობელმა უნდა იცოდეს („მეცნიერ“ უნდა იყოს). „ცხროკა“ ყორულია, „დაცული“ ტყეა.

ამავე ძეგლის მიხედვით, სულ სხვა მდგომარეობაა. სამცხის დასავლეთ ნაწილში, მთიან მხარეში, საღლაც გოდერძის გადასასვლელის ახლოს. იქ ორი სანადირო ადგილია: ერთია — „შესაკრებელი ნადირთა ველისათა და ბაკთა ეწოდებნა“, მეორე კი ტბა სათაქუე, რომელშიაც არის „სიძრაულე თახუთა და სხუათა ნადირთა“ [139. 325]. ეს ადგილები საერთო მფლობელობაშია და მოსახლურე თემების მუდმივი დაღის საგანია. სათახვესთან წისული ბერები ტბისკენ არ გაუშვეს სხვა პირებმა, რომლებიც თვითონ მონადირენი არ არიან (მონადირენი იმ დროს ტბასთან იყვნენ ჩააფრებულნი და ნადირის მოსვლას ელოდნენ), შეიძლება ვიფიქროთ, რომ თემებს საკუთარი, სათემო ტყე-მცველები ჰყავდათ. ნადირობის უფლება აქაც „შეზღუდულია“, მას მონადირეთა გარკვეული კოლექტივი, თემი ფლობს, რომელიც სხვა თემის მონადირეებს ამ ტერიტორიაზე ნადირობას უშლის.

ამრიგად, ადრეფეოდალური ხანის დასასრულისთვის აშკარად ჩანს ტყით ისარგებლობისა და ნადირობის უფლების ფეოდალური რეგალიად ქცევა, ოღონდ ეს პროცესი დამთავრებული არაა.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში სახელმწიფო ტყეთა ნაწილი საქართველოში უკვე სპეციფიკურ ნაკრძალია (თუ ეს ადრე-ფეოდალური ხანიდან მოდის?), მეფის სანადიროა. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ „აჯამეთს არს სანადირო მეფეთა,

აღესილი დიდ მცირეთა ნადიროთა, საქებელი ფრიად“ [30. 757].
ეს ტყე უკვე XI ს. მიწურულს იყო სამეფო ნაკრძალი, იქ ნადი-
რობდა გიორგი II [122. I. 322]. თამარის 1186 წლის სიგელში
იხსენიება აჭამეთის ტყისმცველი [125. II. 26]. აჭამეთა და გე-
გუთს ნადირობდა თამარი მემკვიდრის ცნობითაც [122. II. 99].
აჭამეთი სამეფო სანადიროდ დარჩა ბოლომდე, სოლომონ II-ის
მეფობაშიაც [176. 426].

ტყისმცველთუხუცესი მოიხსენიება გელათისადმი ბანოჯისა და
დერჩის შეწირულების წიგნში, რომელიც. ს. კაკაბაძის მიხედ-
ვით, ლაშა-გიორგისია, თ. ყორღანია კი მას გიორგი II-ისად მი-
იჩნევს [113. III. (1925 წ.). 127]. როგორც ადრე აღვნიშნეთ,
იოანე ბატონიშვილის ცნობით, თამარის დროს „სანადიროთა აღ-
გილთა „ზენდამხედველად“, ე. ი. ტყისმცველთუხუცესად იყო
სუმბატის ძე.

ნადირობის სამეფო პრივილეგია (რეგალია) ჩანს ნარინ-დავი-
თის თარხნობის სიგელში ხეფინისხეველთა და წაქეულთადმი (1261
წ.). მეფე აცხადებს: „ავჰადეთ ყოველი შესაველი: საჯელმწიფო.
საერისთავთ-ერისთავოი, და საჯელისუფლოი. და თუ რას ნადი-
რობა ჰქონებოდა, ჰაგრევე მიუბოძეთ, დაფლული და რასაც ნა-
დირობა გამოჩნდეს და მოკლვადი ესე... მისი ნადირობაი არა
ჰქონდესვე, მის ტყისა მცველთა უხუცესი და ტყის-მცველნი,
ვითა წესია, ისე გადააჯდედნენ გარეთ, შოგა ნუ ჩაუდგებან და
ივი დაუფრგებლობასა ნუ იყადრებენ“ [125. II. 72].

ამ საბუთის ტექსტი ნაკლულია და ამის გამო ძნელად გასა-
გები, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ტყით სარგებლობის, კერძოდ —
ნადირობის რეგალია და მისი შელახვისთვის ჯარიმა, რასაც მეფის
სასარგებლოდ ტყისმცველები და ტყისმცველთუხუცესნი იღებლ-
ენ — ფაქტია.

ნადირობის უფლება მ ა მ უ ლ ი ს ცნების შემადგენელი ნაწი-
ლი იყო, მიწათმფლობელობასთან იყო დაკავშირებული. შუა საუკუნე-
ების ევროპის წყალობისა და შეწირულებათა სიგლებში ჩვეულებრი-
ვი იყო ფორმულა, რომ მიწა ნაწყალობევი ან შეწირულია ნადი-
რობის უფლებით («cum silvis, forestibus, venationibus, piscati-
onibus . . .») [285. 246]. ევროპაში ტყეზე კერძო საკუთრების
გაჩენა უკვე VI ს-ის ძეგლებშია დადასტურებული: ჩანს საერთო
სახალხო და საბატონო ტყეები (silva aliena და silva dominus),
ნადირობის უპირატესი უფლება კი მიწისმფლობელობასთან VII
საუკუნიდანაა დაკავშირებული [286 ა. 55]: სამეფო ტყეში ნადირო-

ბის უფლება სამეფო იმუნიტეტის, სამეფო რეგალიის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი იყო [286 ა. 55]. VIII ს. წყალობის სიგელებში უკვე ჩანს მეფის მიერ ნადირობის უფლების მონასტრებისათვის ბოძება; ჩვეულებრივი ტყეებისაგან (silva, nemus) განსხვავებით ასეთ ტყეებს განსაკუთრებული სახელი აქვთ—foresta [286 ა. 56]. ასევე ერქვათ წარჩინებულთა იმ ტყეებსაც (მეფისგან ნაწყალობებს, ქ.ჩ.), რომლებშიც ნადირობის უფლება მხოლოდ ამ წარჩინებულებს ჰქონდათ [286 ა. 57].

ფრანკთა მეფეების დროს სამეფო ტყეებში გრაფებსაც კი არ შეეძლოთ ნადირობა. კარლოს ნელოტმა სამეფო ტყეებში ნადირობა საკუთარ შვილებსაც კი აუკრძალა [286 ა. 57]. ნადირობის უფლება ისე დიდმნიშვნელოვანი რეგალია იყო, რომ მეფე ზოგჯერ მამულს სწირავდა ან წყალობად გასცემდა ნადირობის უფლებს გარეშე. ე. ი. ამ უფლებას თავისთვის იტოვებდა [286 ა. 57].

საქართველოში ნადირობის უფლება მიწისმფლობელობასთან იყო დაკავშირებული, როგორც ჩანს, უკვე „სერაპიონ ზარზველის ცხოვრებაში“ აღწერილი დროიდან მაინც, წიგლი შუა საუკუნეების სიგარძეზე.

„მამულის“ ატრიბუტი იყო ე. წ. „საწყლისპიროც“ — მდინარის (და ტბის?) სათევზაოდ გამოყენების პრივილეგიური უფლება გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში. თევზის ჭერა ძველი ქართული ვაგებით იგივე ნადირობაა, მაგრამ რადგანაც მას უშუალო კავშირი არა აქვს ნადირობასთან, როგორც სამხედრო საქმიანობასთან, მას ჩვენ არ განვიხილავთ.

1348 წ. ანდრონიკე მეფემ წითლოსან ქვენიფნეველს უბოძა ქართლში ორი სოფელი თავისი „სანადიროთა“, ე. ი. ნაკრძალი ტყით [125. II. 99]. ასევეა აღნიშნული ალექსანდრე დიდის 1429 წ. სიგელში ზედგინიძისადმი [125. II. 119-120]. 1452 წ. მეფის ნაკრძალი ტყე ჩანს „სკანდას დაღმა და გოგს გაღმა, სადა წევის წყალი შეერთვის ფისიანს და ჩხარის, — მას დაღმა გოგს დაღმა“ [103. II. 234], XV საუკუნის ერთი დოკუმენტით ნადირობის პრივილეგია აქვს თავის მამულში ეკლესიასაც. შთის წმინდა გიორგის (რაჭა) გუჯარით: „ვერვინ იკადროს ნადირობად ჭალათა და ვერცა სათიბთა... და ვერცა წყლისა და თევზთა ნადირობა“ [103. II. 308]. 1503 წ. სვანებმა თავად ჭაფარიძეს სიძხლის საფასურში მისცეს, ზხვათა შორის, „ყოვლის დღის სანადიროები საჩიკვე ზოფახითო, კარტიშო, ედენ, გილოინა, რიონის სათავე, სხუა სანადიროები არჩუისა“ [62. 33]. ამ ადგილებში ამის შემდეგ, ნადირობის უფლება, ცხადია, მხოლოდ ჭაფარიძეს ჰქონდა.

კაცხის მონასტერს XVI ს. პირველ ნახევარში ეკუთვნოდა „კაცხს სანადირო კელშეუვალად. სათევზე კელშეუვალად“ (112. III. 36]. იმავე ღრის ბაგრატ მეფემ გელათს იე-წირა სამოქალაქოში ნავენახევი „სანადიროთა სათევზაოთა“ [116. I. 18]. სანადირო პრივილეგია ჰქონდა XVII ს-ში ხობის საყდარს ტყემი, „ცუს გამოღმა და ჭვირს გამოღმა“ [125. II. 210]. მიწები „სანადიროთი“ შესწირა 1684 წ. პაატა აბაშიძემ [112. III. 55]. ნადირობის ფეოდალური რეგალიის არსებობა კარგად ჩანს ა. ლამბერტის ცნობითაც. მისი სიტყვით, ოდიშში ლევან II დადიანის დროს (1611—1657) „სანადიროდ ტყეები ისეა განაწილებული, რომ თვითეულ თავადს თავისი სანადირო ტყე აქვს, რომელშიაც სხვას მის ნებადაურთველად არ შეუძლია ნადირობა. თვითმთავარსაც, თუმცა იგი ყველას ბატონია, არ შეუძლია სხვის საკუთრებაში ინადიროს, რადგან თვით აკრძალა სასტიკი კანონით მის ტყეებში ნადირობა და ამ კანონის დარღვევას ვერავინ ვერ ზედავს“ [83. 56]. ეს ცნობა იმითაა განსაკუთრებით საინტერესო, რომ მასში ნათლად ჩანს ნადირობის სახელმწიფო რეგალიის (აღრიზდელი ფორმა!) საბოლოოდ გადაჭყევა კერძო (ფეოდალთა) პრივილეგიად.

ნადირობის ფეოდალური პრივილეგიის მნიშვნელობის შესახებ მოგვითხრობს ერთი ისტორიული გადმოცემა XVI ს-ში საჭილაოს „მთავრების“, ძმების ჯავახ და შედან ჭილაძეების ამოწყვეტაზე მეფის გიორგი II-ის მიერ: „ერთხელ იმერეთის მეფეს თავისი კაცები გაუგზავნია ჭილაძეების მამულში სანადიროდ. გალაღებულ ჭილაძეებს მეფის კაცები რომ დაუნახავთ, დაუთხოვნიათ და დამუქრებიან; თუ კიდევ გაგიბედიათ ჩვენს მამულში გავლა, დაგზოცავთო. ამაზე მეფე დიდად განწყურალა და გადაუწყვეტიათ ძმათა ჭილაძეების ამოწყვეტა“ [45. 85.].

XVII ს-ში ნადირობის რეგალია ჩანს აღწ. საქართველოშიც. შანშე ქსნის ერისთავს და ამილახორს (იოთამს?) მამულების გამოცენის წიგნში (განაჩენში) საგანგებოდ აღნიშნული აქვთ, თუ რომელს სადა აქვს ნადირობის უფლება. აქვე იხსენიება „დაცული მთა“, რომლის გარეთაც შეუძლიათ ამ დიდ ფეოდალებს ნადირობა [296. VIII, 14]; ეს „დაცული მთა“, როგორც ჩანს, მეფის სანადირო მთაა.

ამ დოკუმენტში მოხსენიებული ტერმინი „დაცული“ (მთა,

ტყე...) სპეციალური ქართული ტერმინია. შესატყვისი XVII (?) საუკუნიდან შემოსული თურქული „ყორულისა“. ამავე ხანებში აღმ. საქართველოში „ტყისმცველის“ გვერდით „მეყორულე“ ჩნდება. უკვე 1666 წ. ერეკლე I-ის საბუთში მოხსენიებულია „ყარაის მეყორულე“ [296. VII. ს. 1]. აქვე აღვნიშნავთ, რომ „ყორული“ ერქვა ყოველგვარ დაცულს. ნაკრძალს, -- სანადირო იყო იგი, სათევზაო, საძოვარი თუ სხვა რამ. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა სხვა ტერმინიც — „დაკრძალული“ [103. II. 144]. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალით“ ყორული ეწოდება „იაღლუჯის საძოვარს“ [126. 577]. ყორული ერქვა იმ ადგილებს, რომელიც დაცული იყო, რადგანაც იქ შავარდენი ბუდობდა [126. 694], წყალს, რომელშიაც თევზაობის უფლება ამა თუ იმ ფეოდალს (ან მონასტერს, ეკლესიას) ეკუთვნოდა [127. 12-13]. ყორულის დაცვას „დაყორულეზა“ ერქვა, ზოლო მცველს — „მეყორულე“. ერეკლე I 1690 წ. მიმართავს ფარემუზ ჯავახიშვილს: „არჯავნის მეყორულობა თქვენთვის გვიბოძებია და რაგვარადაც ამას წინად შაჰნავაზ მეფისა და გიორგი მეფის ჟამში ყორული ყოფილიყოს, იმ რიგად დაყორულე“ [116. II. 105].

ყორულთა შესახებ სხვადასხვა სახის წყაროებში უამრავი ცნობაა დაცული. ყორული იყო ყოველი „სახასო სანადირო“ [116. II. 59] და დოკუმენტებში მათი ან მათი მცველების ხსენება ზშირადია. ამ ცნობებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სამეფო დომენის, ფეოდალური მიწისმფლობელობის, მეურნეობის, ფლორა-ფაუნის და სხვ. ისტორიის შესასწავლად.

ნადირობის რეგალია და პრივილეგია — „დაცულ“, „დაკრძალულ“, „ყორულ“ სანადირო ადგილთა სისტემა საქართველოში ფეოდალიზმს ბოლომდე შემორჩა. გვიანდელ, XIX ს. დოკუმენტებში ამაზე მრავალი ცნობაა, რომელშიც სხვადასხვა ვითარებაა ასახული; ჩანს რომ საქართველოს სხვადასხვა მხარეში „დაცულ“ ადგილებში ნადირობა სხვადასხვა პირობით ხდებოდა.

XIX ს. შუაწლების ოფიციალური ცნობით კახეთში წყალი, საძოვარი, ტყე და ნადირ-ფრინველი საკუთრად არავის ჰქონია, საერთო სარგებლობაში იყო [230. I. 11]. იმერეთსა და გურიაში მებატონეები თავის მამულში საკუთარ ყმებს არ უკრძალავდნენ ნადირობასა და თევზაობას, ოღონდ გლეხებს ნანადირევის ნაწილი ბატონისთვის უნდა მიეტანათ [230. II. 321]. გურიაში, ნიგოთის ტყეში, რომელიც თავად მაჭუტაძეებს ეკუთვნოდათ, თავადებს ჰყავდათ ტყისმცველები, რომ-

ლებიც ტყეში ბატონის უნებართვოდ არავის უშვებდნენ. როცა მაკუტაძე ამ ტყეში მორეკვიით ნადირობდა, მოკლული ნადირის (ირემი, ღორი, შველი) გარკვეული ნაწილები ბატონს მიჰქონდა, სხვებს მონადირეები ინაწილებდნენ [113. VII. 209. 212].

საეკლესიო ტყეებში („ხატის ტყე“) ნადირობის პრივილეგია ეკლესიას ეკუთვნოდა. 1625 წ. სიმონ I გურიელმა აჭის წმ. გიორგის ეკლესიას შესწირა გლეხები მათი ბეგრით, „ტყით და წყლით“ და დაადგინა „რაც ამ ტყეშიდ ნადირი მოკვდეს, მარჯვენა კერძი წინამძღვარს, მარცხენა — ვინც ამ საყდრის დეკანოზი იყოსო“ [125. VI. 663]. 1764—1770 წწ. გურიის ერისთავთა მამულში (სურები) ჯუმათის ეკლესიას ეკუთვნოდა შეწირულ მთავარანგელოზის ტყეში მოკლული ნადირის ნახევარი [116. II. 521]. შემოქმედის მონასტრის ტყეებში, XIX ს. დასაწყისის ცნობით, „რასაც მოჰკვლენ იმავე ტყესა შინა, ირმისაც და ღორისაც ფელიცი შიერთმევა იმავე მონასტრის მღვდელმთავარს“ [302]. გვიანდელი ცნობით, გურიის რიონისპირა „ტყე ბატონყმობის დროს თითქმის სოფლის საკუთრებას შეადგენდა, იქ ნადირობას და ხეტყის მოჭრას ვერაინ დაუშლიდა“ [97. 128]. „დაცულ“ სანადირო ადგილებში ნადირობის ნებართვისათვის „ნ ა დ ი რ ო ბ ი ს ბ ა ჟ ე ი“ იყო დაწესებული. ნადირობის ბაჟი ეძლეოდა გურიელს მდ. ბეჟუჯში დაწერილი თევზიდან [302].

დას. საქართველოს ისტორიულმა დოკუმენტებმა შემოგვინახეს „დაცულ ტყეში“ ნადირობისათვის „ნადირობის ბაჟის“ სხვა, უეჭველად ძალიან ძველი, სახელი — „ს ა უ ფ ლ ო“. 1817 წ. თავადი აბაშიძე აზნ. მაჭავარიანებთან დავის დროს აღნიშნავდა, რომ სატობავ ღელეს, ჩხერიმელასა და ძირულას შორის მდებარე ტყეები — „ნაროდინევი“ და „ნაორმალი“ „ჩვენი და ჩვენი მამა-პაპის სანადირო ტყე იყო და რამდონი ნადირი მოკვდებოდა, საუფლოს ჩვენ და ჩვენი მამა-პაპა იღებდა“-ო [125. VI. 473]; იმავე დოკუმენტში იხსენიება „მოკლულის ნადირის ს ა უ ფ ლ ო“ [125. VI. 474]. იგივე ტერმინი ყოფილა ხმარებული საჯავახოშიც. აზნ. კალოიანი XVIII—XIX სს. მიჯნაზე ედავებოდა ხელოსან ხუნდაძეს — სადავო ტყე ჩემია და არა მეფისა (იმ დროს საჯავახოს ნაწილი იმერეთის მეფეს ეკავა, ქ. ჩ.) და „ამაშიდ მოკლული ნადირის ს ა უ ფ ლ ო, ჩემი წინაპრების გარდა არავის წაუღია, არც მეფეს და არც სხვა ვინმესო [125, VI. 466].

როგორც ზემოთ განხილული ცნობებიდან ჩანს, ფეოდალურ

საქართველოში არსებობდა ნადირობის რეგალია და ნადირობის პრივილეგია; მთიან მხარეებში, გარდა „სახატო ტყეებისა“ („ხატის მამული“), ყველა ტყე საერთო იყო და არც ნადირობის პრივილეგია არსებობდა.

დას. ევროპაში ნადირობის რეგალიის დარღვევისთვის უმძიმესი სასჯელები იყო დაწესებული: ბრაკონიერი შეეძლოთ მოეკლათ, მისთვის ხელი მოეკვეთათ, თვალი ამოეთხარათ ან სხვაგვარად დაესაჩივრებინათ [286 ა. 20]. ინგლისის მეფე ფილიპე I-მა სამეფო ტყეში ირმის მოკვლისათვის სასჯელად დაბრმავება ან კასტრაცია დააწესა [279. 226]. ყველაზე „რბილი“ სასჯელი დაცულ ტყეში უნებართვოდ ნადირობისათვის დიდი ფულადი ჯარიმა იყო. სამეფო „დაცულ“ ტყეებში დაჭერილი ბრაკონიერი ფეოდალებიც კი მკაცრად ისჯებოდნენ [286 ა. 240].

ფეოდალურ საქართველოში ბრაკონიერებს, ცხადია, ებრძოდნენ (სწორედ ეს იყო ტყისმცველთა, მეყორულეთა მოვალეობა), მაგრამ მათი დასჯა, როგორც ჩანს, ფიზიკურ დასჯაში არ გამოიხატებოდა, დოკუმენტებში არც ერთი საამისო ჩვენება არ მოიპოვება. თვით ცნება ნ ა დ ი რ ო ბ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ს ა ფეოდალურ საქართველოში ევროპულისაგან განსხვავებული შინაარსისა ჩანს. ვახტანგ VI-ის «სამართლის წიგნის» §5 179—183-ში, რომლებიც «ნადირობის ცილებას» შეეხება. ე. კარსტმა ეს მუხლები ცალკე გამოჰყო სათაურით— «Statut de chasse» ნადირობის სამართალი [273. I. 220—225], განიხილულია მოკლულ ნადირზე შეცილების გადაწყვეტის წესი და უბედურ შემთხვევაში (შემთხვევითი, წინასწარ განუზრახავი დაჭრა ან მკვლელობა) დამნაშავეთა დასჯის ზომები. ბრაკონიერთა დასჯის შესახებ სამართალში ცნობები არაა. როგორც ჩანს, საქმე ასეთ შემთხვევაში ფულადი ან ნატურალური ჯარიმით თავდებოდა. ქართული ფეოდალური სამართლის ჰუმანურობა, რაც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში. ამ მხრივაც სათანადო დადასტურებას პოულობს.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ტყისმცველ მეყორულეთა შტატს ფეოდალურ საქართველოში, როგორც წესი, ფეოდალები და მსახურები შეადგენდნენ, მებეგრე გლეხი ნადირობის უწყებიდან გამორიცხული იყო. ესეც მებეგრე გლეხის არამოლაშქრეობით იყო განპირობებული.

მოლაშქრე-მონადირეთა ცნობარებიდან

ყველაფერი ის, რაც ზემოთ ითქვა ფეოდალურ საქართველოში ლაშქარ-ნადირობის სოციალური არსის შესახებ, კარგადაა ასა-

192

ხული ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში — ფრინველისა და ცხენის კარაბადინებში.

ცნობილი ორნითოლოგის ზ. დემენტიევის სიტყვით, შეხედულება, რომ შუა საუკუნეებში ბუნების შემსწავლელი მეცნიერებანი არ ვითარდებოდა, სწორი არაა. კერძოდ, ეს არაა სწორი ცხოველთა შემსწავლელი მეცნიერების ისტორიის თავსაზრისით: ნადირობა მოითხოვდა ცხოველების, მათი ქცევისა და ეკოლოგიის ზედმიწევნით ცოდნას, რაც სპეციალურ სახელმძღვანელოებში იყო ასახული [185. 6]. ასეთი სახელმძღვანელოები ცხენისა და ფრინველის კარაბადინები იყო.

XIX საუკუნეში, როცა საქართველოში თანდათან ფეხი მოიკიდა ევროპულმა მედიცინამ და ვეტერინარიამ, ძველ ქართულ მედიცინაზე, ქართულ კარაბადინზე და საერთოდ ქართულ ტრადიციულ სამკურნალო ხელოვნებაზე მცდარი შეხედულება გავრცელდა. კარაბადინებს ჩამორჩენილობის, პრიმიტიულობის განსახიერებად მიიჩნევდნენ და მათში დაცული, საუკუნეების გამოცდილებით შემოწმებული მეთოდები და საშუალებები თანდათან მივიწყებულ იქნა [145. V].

ჩვენს დროში ეს შეხედულება ძირეულად შეიცვალა. შესწავლილი და გამოცემულია სამკურნალო კარაბადინები და ყურადღების გარეშე არ დარჩენილა ცხენისა და ფრინველის კარაბადინებიც, მაგრამ ეს უკანასკნელები მხოლოდ ვეტერინარია-ზოოტექნიკის ცნობარებადაა მიჩნეული.

ჩვენ გავეცანით ფრინველისა და ცხენის იმ კარაბადინებს, რომლებიც საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (რამდენიმე კარაბადინი საქართველოს სხვა სიძველეთა საცავებში ინახება) და დავრწმუნდით, რომ ისინი მეტად საყურადღებო წყაროს წარმოადგენდნენ არა ხარტო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, არამედ ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვისაც.

ფრინველთა კარაბადინები ასეთი შემადგენლობისაა: დასაწყისში, ჩვეულებრივ, მოცემულია დარიგება ბაზიერისადმი, დარიგებაში ნათქვამია, რომ ბაზიერს „ფრინველი გულით უყუარდეს და ვერც უფრინველოდ გასძლებდეს და საქმეშიც საკვირველად ფრინველის ერთგული და მოყვარული უნდა იყოს. ასრე — თითქმის ზედ უნდა ელეოდეს“.

მომდევნო ნაწილში — ზოგად შესავალში მოცემულია ფრინველის დაავადებათა აღწერა და მკურნალობის პრინციპების დახა-

სიათება; შემდგომ ნაწილში აღწერილია ფრინველის სხეულის ნაწილებისა და სხეულში არსებული სითხეების ფუნქციები, რასაც მოსდევს ფრინველთა კლასიფიკაცია გარეგანი ნიშნების (მაგ., თვალის ფერი...) მიხედვით.

ამის შემდეგ იწყება კარაბადინის ძირითადი ნაწილი. თავდაპირველად აღწერილია ფრინველის აღზრდა, გამართვა (გაწვრთნა) და მიტევება (ნადირობის პრაქტიკა), აგრეთვე გამოკვება-შენახვა. მომდევნო ნაწილში მოცემულია ფრინველთა დაავადებების ნიშნები (სიმპტომები), ამ დაავადებათა მკურნალობის საშუალებები და მეთოდები. ამ (სამკურნალო) ნაწილში მოცემულია როგორც მკურნალობის რაციონალური მეთოდები და საშუალებანი, ისე მაგიური საშუალებებიც, კერძოდ შელოცვები, რაც შუა საუკუნეების მედიცინისა და ვეტერინარიისათვის ჩვეულებრივი იყო და ძველ ქართველ ბაზიერებს ჩამორჩენილობად არ ჩაეთვლებათ.

ფრინველთა კარაბადინები შეიცავენ არა ყოველგვარი ფრინველის (მაგ., შინაური ან მგალობელი ფრინველების) მოვლა-მკურნალობის წესებს, არამედ მხოლოდ „შავარდნისა, გავაზისა, ქორისა, მიმინოსი და ყოვლისავე ფრინველისა, რაც ადამის ტომთა კელთაგან გაიწუართება“ (Q—562, ფურც. 183 r), ე. ი. ფრინველის კარაბადინი მხოლოდ სანადირო ფრინველთა მოვლა-მკურნალობის სახელმძღვანელოა.

კარაბადინების მიხედვით, ბაზიერი არა მარტო მომველლ-გამმართველია ფრინველისა, არამედ მისი მკურნალიც. სათანადო ცნობები საისტორიო ძეგლებშიცაა დაცული. არქ. ლამბერტის ცნობით, ლევან II დადიანი, ოდიშის „მთავარი ისე ზრუნავს ქორმიმინოებზე და ძაღლებზე, რომ როგორც კი სახლში დაბრუნდება, პირველად თვალი უნდა გადაავლოს ბაზიერების სადგომებს, იკითხოს ქორმიმინოების და ძაღლების ამბავი და თუ რომელიმე ავად გახდა, დიდის გულმოდგინებით უნდა უწამლოს“ [83. 56]. ეს ცნობაც იმის დადასტურებაა, რომ კარაბადინები ფეოდალთა საზოგადოებისათვის იყო განკუთვნილი გამოსაყენებლად, ხოლო სანადირო ფრინველისა და ცხენის (ამაზე ქვემოთ) ვეტერინარიის ცოდნა ერთ-ერთ არისტოკრატიულ „ზნეობად“ ითვლებოდა და არა მდებიურ საქმიანობად. ამას საგანგებოდ აღნიშნავს არჩილი თავის პოემაში „საქართველოს ზნეობანი“ [23. I. 4].

იოანე ბატონიშვილის სიტყვით, ფრინველთა მკურნალობის

ცოდნა ბაზიერთუხუცესის მოვალეობა იყო („უნდა იცოდე ამა სნეულთა მკურნალობა, რაკი ბაზიერთუხუცესი ხარ“) [63. I. 217], ბაზიერთუხუცესებად კი, როგორც საისტორიო წყაროებიდანაა ცნობილი, ჩვეულებრივ, თავადები (იშვიათად აზნაურებიც) იყვნენ. იოანეს სიტყვით სანადირო ფრინველთა მკურნალობა აღწერილია „საკუთარსა ამათ კარაბადინსა შინა“ [63. I. 217], რომელიც სწორედ ბაზიერთუხუცესს უნდა ჰქონოდა, — მართლაც კარაბადინები, რამდენადაც ამის დადგენა ხერხდება, არისტოკრატიული ზედაფენების წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ. მაგ., H—297 ზელნაწერი თავდაპირველად კახელ თავად აბაშიძეთა ოჯახში ყოფილა, შემდეგ კი სხვა მფლობელი თავადი გასჩენია. ეს უკანასკნელი წერს: „...მას შემდეგ მეკუთნის მე, ბაზიერსა და მონადირესა, თავად ილია აფხაზოვსა; წლისა ვარ ოცისა და დიახ კარგი ბაზიერი“ (ფურც. 50 v — 50 r).

ევროპის ფეოდალურ სახელმწიფოებში ფრინველით ნადირობის ისტორიის შემსწავლელები აღნიშნავენ, რომ ბაზიერობა რთულ საქმედ ითვლებოდა. იგი მოითხოვდა თავდადებულ შრომას. სიფხიზლეს, დიდ ცოდნა-გამოცდილებას და ფრინველის მკურნალობის ცოდნას [284. 74]. როგორც ვხედავთ, შრომა საკმაოდ მძიმე იყო, მაგრამ საპატიო.

კარაბადინები ბევრ სხვა საყურადღებო ცნობებსაც შეიცავენ, მაგ., სანადირო ფრინველთა კვების რაციონებს. კარაბადინთა მიხედვით ბაზიერმა სხვადასხვა დროს ქორ-შავარდნებს უნდა აჭამოს: მოკვერცხებულის ვარიის კვერცხი, ნადირის შიგნითი სუკი, გარეული ღორის შიგნითი სუკი, ჭეირანისა და შელის მსუქანი ხორცი, მსუქანი უშობელის შიგნითი სუკი, ახალი გული და თიჯნის ხორცი, მინდვრის კუს ზორცი, იხვის, გარიელის, ზოხბის და კაკბის ხორცი, მტრედის ხუნდი, ჭილყვავი, თავვი, ბატის გული, ძროხის გული, დანაყილი ჭარხლის წვენი, თვალაუხილავი ძაღლის ლეკვი, მელიის ლეკვი, ქათმის, თხისა და ცხვრის „ნალამევი“ ხორცი, ვარია „მუდამათ საჭმელად“... სანადირო ფრინველის რაციონის მიხედვით ცხადია, რომ ასეთი ფრინველის შენახვა (მეფე-მთავრებსა და დიდ ფეოდალებს ისინი ათეულობით ჰყავდათ) დიდ ხარჯებს მოითხოვდა და უბრალო მოკვდავს მისი გაწევა არ შეეძლო. ესეც ერთი პირობა იყო იმისა, რომ ფრინველით ნადირობა ფეოდალთა პრივილეგიად იქცა. აი, რისთვის იკრიბებოდა „საბაზიერო“, „საბაზიერო ქათამი“, „საქორე ქათამი“... აქედან ისიც ცხადია, თუ რაოდენ დიდი წყალობა იყო, როცა ვინმეს სითარხნის წიგნში უწერდნენ.

არაფერი გეთხოვებოდეს, „ჩვენს ბაზიერს ქორი უკედებოდეს, წი-
წილი ვერ აგიფრინოსო“ [295 ა, ფურც 153].

ახლა, მოკლედ, ცხენის კარაბადინის შესახებ. ცხენის კარა-
ბადინები ორი ძირითადი ტიპისაა შემორჩენილი — პირველი,
უფრო ძველი, წარმოშობით XVIII ს-ზე აღრინდელი და მეორე —
გვიანდელი კომპილაციები.

ცხენის კარაბადინები ასეთი აგებულებისაა: ძველი ქართული
ცხენის კარაბადინები (მაგ., S—225) იწყება ლეგენდით ცხენის
წარმოშობის, ადამიანის მიერ მისი ზღვიდან გამოყვანის შესახებ.
შემდეგი ნაკვეთია კარაბადინის მიზანდასახულობის განმარტება:
კაცმა უნდა იცოდესო ცხენის მოვლა და მკურნალობა, — „თუ
რომელი როგორი არის: ვ ე ლ მ წ ი ფ ი ს ს ა კ ა დ რ ი ს ო ბ ა ა ნ უ
ო მ ი ს დ დ ი ს გ ა მ ო ს ა ყ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა ა ნ უ ს ხ ვ ა რ ი გ ა დ
ს ა მ ს ა ხ უ რ ი“; შემდეგ აღწერილია ცხენთა ტიპები, ცხენის ბუ-
ნება და აგებულება, ჯ ო გ ი ს უ ე ყ რ ი ს წ ე ს ი, კვიციის მოვლა-
აღზრდა სხვადასხვა ასაკში, წ ვ რ თ ნ ა ო მ ი ს ა და ნ ა დ ი რ ო -
ბ ი ს ა თ ე ი ს („ნადირზედ და მტერზედ რბევის წვრთნა“), ცხე-
ნის შეკაზმვა... კარაბადინის მეორე ნაწილი ცხენის დაავა-
დებებისა და მკურნალობის აღწერას შეიცავს. მკურნალობის
მეთოდები ორგვარია: რაციონალური და მაგიური (შელოცვა,
მაგიური მანიპულაციები, ავგაროზები...).

ცხენის კარაბადინები ზოგჯერ მეტად იშვიათ და სამხედრო
საქმის ისტორიისათვის უნიკალურ ცნობებს შეიცავენ. აი, ერთი
ასეთი ადგილი S—225 ხელნაწერიდან: „ცხენის მარქაფის დაჭერა
მარცხენას ხელით სჯობია, იმიტომ, რომ თავად ცხენი ფაფრისკენ
(მარჯვენის, — ქ. ჩ.) ბრუნებას დაეჩვენება და ის უჯობს, მერმე ეს
არის — მემარქაფე მსახური მარქაფას ტახტაზედაც გამოიბამს და
მარცხენა კელით სადავესაც დაიჭერს და კიდევ მარქაფის გაზიდ-
ვასაც მარცხენა კელით მოჰკიდებს და მარჯვენა კელი
ლაშქარ-ნადირობაში მოკლილი იქნებოს, სა-
კლმოდ უნდა, თუ სხვა რიგად მოსაკმარისად,
ყველაზე მარჯვედ ექნებოს“ (გვ. 18).

ცხენის კარაბადინში აღწერილია, თუ როგორ უნდა გაიწვრთ-
ნას ცხენი ნადირობისთვის, „ნადირს უველოდ (როგორ უნდა)
მისდევდეს“, იხსენიება ცხენის „საკაკებსა და საჯოკებში ხედნა“,
აღნიშნულია, რომ ცხენის პატრონმა „ცხენის შეკაზმა ასრე უნდა
კარგად იცოდეს, რომე თავის მეჯინიბესაც... ასწავლოს“. ცხენის
გაწვრთნაზე ნათქვამია, რომ ეს წვრთნა ომისთვისაცაა ნავერაუ-

დები: „წყლის სმევაში ლაგამს და ალვის ნუ წაყრი, დაეჩვევა, ჯ არ ში ბრალი ხარ“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, ცხენის კარაბადინი უბრალო ვეტერინარული-ზოოტექნიკური ცნობარი კა არაა, არამედ მეცხენეობის ენციკლოპედიაა, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა: ცხენის კარაბადინის საგანია მოლაშქრის ცხენი (სალაშქრო, სანადირო, სამგზავრო, სასპარეზო): ქართული ფეოდალური სინამდვილის შესაბამისად, კარაბადინისთვის მუსა ცხენი არ არსებობს, ხოლო ცხენის პატრონი, მსედარი მხოლოდ მოლაშქრეთა (ფეოდალი, მსახური) რიგებიდანაა ნაკულისხმევი და დასახლებულიც («ხელმწიფე», ფეოდალი, მსახური). საყურადღებოა, რომ კარაბადინის ტიპის წიგნები ევროპაშიაც მაღალი საზოგადოებისთვის იწერებოდა. იაკობელუს ვიტური ტროვირელი (XV ს. პირველი ნახევარი) აღნიშნავს, რომ ცხენისა და ფრინველის კარაბადინი მან შექმნა ხელმწიფეთა და კეთილშობილთათვის („Signori et gentilhomini“)[269. 45].

სამხედრო საქმის თეორიისა და პრაქტიკისადმი მიძღვნილი ძველი ქართული ნაშრომები (სტრატეგიკონების ტიპისა) ჭერჯერობით ცნობილი არაა, თუმცა მათი არსებობა სავარაუდებელია. როგორც ჩანს, სანადირო ფრინველისა და ცხენის კარაბადინები იმ წიგნთა რიგს უნდა მიეკუთვნოს, რომლებზედაც ძველი ქართველი მოლაშქრეები იზრდებოდნენ, ლაშქრობისა და ნადირობისთვის იწვრთნებოდნენ, მხედრობის სკოლას გადიოდნენ. ამის დამადასტურებელია ამ კარაბადინებში ზემოაღნიშნული ისეთი საკითხების გადმოცემა, რომლებიც არც ვეტერინარიის საგანს შეადგენს და არც ზოოტექნიკისა (ომისა და ნადირობისთვის წვრთნა).

დასკვნა

ფეოდალური ეპოქის მთელ მანძილზე, XVII ს. მეორე ნახევრამდე გლეხთა კლასის უდიდესი ნაწილი — პირადად არათავისუფალი, მიწაზე მიმაგრებული და მძიმედ დაბეგრული მწარმოებლები, ე. წ. მებეგრე გლეხები ჩამოშორებული იყვნენ სამხედრო საქმეს, მოლაშქრობას. ისინი ლაშქრად გაჰყავდათ მხოლოდ თავდაცვითი ომების დროს, ისიც მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში, როგორც დამხმარე ძალა.

მოლაშქრობა მიწისმფლობელობის განსაკუთრებულ ფორმებთან იყო დაკავშირებული და პრივილეგიას წარმოადგენდა. ლაშქარს შეადგენდნენ ფეოდალები და არათავისუფალი ვასალები — მსახურები, რომლებიც გლეხთა კლასის პრივილეგირებულ ნაწილს — მსახურთა წოდებას ქმნიდნენ. მსახურთა წოდება გლეხთა მასისგან განირჩეოდა უფლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობით, ფუნქციით, სოციალური ფსიქოლოგიით.

მსახურთა წოდებამ, რომელიც ჯერ კიდევ უკლასო, გვაროვნულ-თემური საზოგადოების უმაღლეს საფეხურზე ჩაისახა, გადამწყვეტი როლი შეასრულა კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში, საფუძველი ჩაუყარა რა სახელმწიფოს სამხედრო ძალასა და ადმინისტრაციას. „ე. წ. მეფეების“ (ფრ. ენგელსი) და მეფეების მსახურთა რაზმები („მსახურნი“, „პალატ-ბანაკი“, „მხედრები“...) ის სოციალური ძალა იყო, რომლის არსებობამაც განაპირობა გვაროვნული თემების გაქრობა და წარჩინებულთა (პირველ ფეოდალთა) კლასის ჩამოყალიბება. ფეოდალიზმის მთელ მანძილზე ამ საზოგადოების უძველესი სოციალური წოდება — მსახურთა წოდება ფეოდალთა კლასობრივი ბატონობის დასაყრდენი იყო. ამ წოდების არსებობა მნიშვნელოვნად განაპირობებდა გლეხთა კლასობრივი ბრძოლის სისუსტესა და წარუმატებლობას. მსახურთა წოდება რთული წარმოშობისა და შემადგენლობისა იყო.

მსახურთა წოდება შეადგენდა ქართული ფეოდალური ლაშქ-

რის არათავისუფალ ნაწილს, რიცხობრივად მის დიდ უმრავლესობას. მსახური, ფეოდალის მსგავსად, პროფესიონალი მოლაშქრე იყო. რადგან ფეოდალიზმის დროს ლაშქრობასთან ერთად ძირითადად ვასალურ მოვალეობას ნადირობაც შეადგენდა („ნადირობა-ლაშქრობის მასწავლებელია“), მსახურს მონადირეობაც ევალებოდა. ფეოდალური ნადირობის უწყების მოხელენი და ე. წ. „მეფის მონადირენი“ ძირითადად მსახურები იყვნენ.

მსახურთა წოდება ფეოდალური საზოგადოების ყველაზე უფრო ამორფულ და დინამიკურ მასას წარმოადგენდა. იგი კავშირში იყო, ერთი მხრივ (ზემოთ), ფეოდალთა კლასთან (ხდებოდა მსახურთა ზედა ფენის აღზევება, გააზნაურება) და, მეორე მხრივ (ქვემოთ), — გლეხთა მასასთან (მსახურთა წოდება მებეგრე გლეხთაგან ლებულობდა შევესებას). სოციალური სტატუსით არათავისუფალ, არაარისტოკრატ მსახურს ფუნქციები ფეოდალური ჰქონდა. მსახურთა წოდების სწორედ ამ ორმაგი ბუნებით აიხსნება ის ფაქტი, რომ მკვლევრებს უჭირდათ მისი სოციალური კუთვნილების დადგენა.

მსახურთა წოდების თითქმის სრული ანალოგიაა დასავლეთ-ევროპული მინისტერიალიტეტი. ამ ანალოგიის გათვალისწინება იძლევა მსახურთა სოციალური არსის გაგების გასაღებს (მსახური — არათავისუფალი ვასალი!). მინისტერიალთა და მსახურთა შორის, ცხადია, ზრული იგივეობა არაა, — ეს ორი ინსტიტუტი სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში სხვადასხვა დროს, მაგრამ მსგავს სოციალურ სიტუაციაში ჩასახული და განვითარებული ერთნაირი საზოგადოებრივი ფუნქციების მქონე წარმონაქმნებია. მსახური მინისტერიალის მსგავსია იმდენად, რამდენადაც ფეოდალური ევროპა ჰგავს ფეოდალურ საქართველოს და განსხვავდება იმდენად, რამდენადაც ეს ორი მხარე (ბუნება, ხალხი, განვითარების პოლიტიკური პირობები) განსხვავდება ერთმეორისაგან. ეს განსხვავება არსებითი იყო XIII ს-ის მეორე მეოთხედიდან. აქედანაა მსგავსება და სხვაობაც მსახურთა და მინისტერიალთა ისტორიულ ბედს შორის: მინისტერიალი და მსახური ფეოდალიზმთან ერთად გაქრა, ოღონდ ევროპაში ეს მოხდა XVI—XVIII საუკუნეებში, საქართველოში კი XIX ს. პირველ ნახევარში.

ქართული სამხედრო ორგანიზაცია, მისი სოციალური შემადგელობა რუსეთთან შეერთებამდე ფეოდალური დარჩა. იმ ცვლილებებს, რომლებიც XVIII ს. მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს სამხედრო ორგანიზაციაში მოხდა და რომლებიც ქვეყ-

ნის ბუნებრივი განვითარებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ საგარეო ვითარების გაუარესების შედეგს წარმოადგენდა, ქართული ლაშქრის ფეოდალური ხასიათი არ შეუცვლია. მსახურის — პროფესიონალი მოლაშქრის ასე გვიან ხანამდე შემორჩენა გვიან შუა საუკუნეებში ქართული ფეოდალური საზოგადოების სტაგნაციის უეჭვო მოწმობაა.

საქართველოს მთიან მხარეებში შუა საუკუნეთა მთელ სიგრძეზე შემორჩენილი იყო სოციალური განვითარების დონის შესაბამისი წინაფეოდალური სამხედრო ორგანიზაცია (სახალხო ლაშქარი, „ხალხი — ჯარი“).

ძველი საქართველოს ლაშქრის სოციალური არსის შესწავლა დიდწიშვნელოვან არგუმენტებს იძლევა ისტორიოგრაფიაში უკვე განოთქმულ იმ დებულებათა განსამტკიცებლად, რომ ქართული ფეოდალური საზოგადოება წარმოადგენდა წინაკლასობრივი გვაროვნულ-თემური საზოგადოების უშუალო გაგრძელებას (გარკვეული გარდამავალი პერიოდის გავლით) და შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივი წყობილება ტიპოლოგიურად ისეთივე იყო, როგორც იმავე პერიოდის დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივი წყობილება (ფეოდალიზმი).

ОЧЕРКИ ПО ИСТОРИИ ВОЕННОГО ДЕЛА В ФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ

Резюме

